

114
1938/2



მნათობი

8

საბჭოთაო

1938

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამოღობო
ჟურნალი


წელიწადი მეთხუთმეტი

8

ა ბ ვ ი ს ტ ო

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

1938



3369
1938

რედაქცია:

ტფილისი, მანაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ 3-71-84

კანტორა:

ტფილისი, ვოროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

კ/მზ. რედაქტორი — ალიო. მახაშვილი

კ/მზ. მდივანი — ლევან ასათიანი

გად. წარმ. 22/VIII 38; ხელმ. დასაბ. 28/IX 38 წ.
შეკვ. № 1634; მოივლ. რწმ. № 3746 ტორ. 5.500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ვოროვის ქ. № 5.



საქართველოს
აქრონომიის



ლადო ქაცორაძე
(1903 აგვისტო 1938)

ომისა და ფაშის ნინაღვლა



არც მსოფლიო ომში მონაწილე და არც იმ თაობას, რომელიც ომის შემდეგ წამოიზარდა არ დაეიწყებია მსოფლიო იმპერიალისტური ომის საშინელებანი. შეუძლებელია დაეიწყება იმ ხანძრისა, რომელიც იმპერიალისტურმა ყაჩაღებმა მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, კოლონიების დატაცებისა და უცხო ერების დაპყრობისათვის, შეზობელი ხალხების გაპარტახებისა და მათი სიმდიდრის გაძარცვისათვის გააჩაღეს და რომელმაც ევროპა ადამიანთა სასაკლავოდ გადააქცია. შეუძლებელია დაეიწყება ათი მილიონი მოკლულისა, ოცდაცხრა მილიონი დაჭრილისა და ხუთი მილიონი დასახიჩრებულისა. ამ მსოფლიო კატასტროფამ ნანგრევებად აქცია უამრავი ქალაქი, უთვალავი სამეურნეო ნაგებობა, ხელოვნებისა და კულტურის ძეგლები. და მსოფლიოს ხალხებმა ერთხელ კიდევ დაინახეს ნათლად, რომ იმპერიალისტური ომი ნიშნავს ნგრევას, სიღატაკს, უბედურებასა და სიკვდილს ადამიანთა მილიონებისათვის.

1914 წლის შემდეგ არასოდეს ისე მოახლოვებული არა ყოფილა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, როგორც ამჟამად. ომის ფაშისტური პროვოკატორები, გაცოფებული აგრესორები, რომელთაც გაძარცვეს და დაიმონეს ხალხის მასები, შინა პოლიტიკური სიძნელებისა და ფაშისტური რეჟიმის დაუძლეველ კრიზისისაგან ხსნას სამხედრო ავანტიურებში ეძებენ. განვლილმა წლებმა ნათლად დაარწმუნეს მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომ ფაშისმი ომია, რომ იგი არის ძარცვა-გლეჯის შეუნიღბავი პოლიტიკა, უმკაცრესი და გაცოფებული ტერორი, სამხედრო საკატორლო რეჟიმი, ველური კანიბალიზმი და ადამიანის პიროვნების ფეხქვეშ გათელვა. ამჟამად ომის ხანძარი უკვე დანთებულია ევროპის დასავლეთსა და აზიის აღმოსავლეთს ნაწილებში. იაპონელმა იმპერიალისტებმა დაიპყრეს მანჯურია, იტალიის ფაშისმი თავს დაესხა სუსტ და ჩამორჩენილ აბისინიას და თავის კოლონიად გადააქცია, მესამე წელია გრძელდება იტალია-გერმანიის ინტერვენცია ესპანეთში, იაპონიის სამხედრო ხროვა გაცოფებით ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს დიდი ჩინეთის ხალხის დამოუკიდებლობა, პიტლერის ბანდები შეიჭრნენ ავსტრიაში და იგი ძალდატანებით შეუერთეს გერმანიას, ჩეხოსლოვაკიის თავზე ჩამოწოლილია ფაშისტური თავდასხმის საფრთხე, — ძალადობის ყველა ეს აქტი ცალკეული ეტაპია აგრესორთა ბლოკის საერთო გეგმაში, რომელიც ცდილობს დაიტაცოს ახალი მიწები, დაიმორჩილოს ახალი ქვეყნები, ფაშისმის ჯურღმულში მოამწყვდიოს ადამიანთა ახალი მილიონები. ფაშისტური აგრესორები გაცოფებით ამზადებენ ომს სოციალიზმის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა რომი ჰოვარდთან საუბარში დაასახელა ომის საფრთხის ძირითადი კერები, რომელნიც საერთაშორისო მშვიდობიანობას ემუქრებიან. საერთაშორისო მოვლენათა ვითარება უფრო მეტად დასტურებს ამხანაგ სტალინის სიტყვების ქვეყნობას. უფრო მეტი კერმანია — ომის საფრთხის ძირითადი კერა ევროპაში — ფაშისტურ იტალიასთან ერთად, წინააღმდეგ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებისა, წაქეზებული ინგლისის რეაქციულ-კონსერვატიული წრეებისა და საფრანგეთის რეაქციული ბურჟუაზიის წაყრუებისა და პირდაპირი მხარდაჭერის პოლიტიკით, ცდილობს ყაჩაღურად წაართვას თავისუფლება ესპანეთის ხალხს. ამჟამად ესპანეთში იბრძვის იტალიისა და გერმანიის ორასი ათასზე მეტი ჯარისკაცი. გერმანიისა და იტალიის გენერალური შტაბები ყოველდღე ახალ-ახალ ჯარს გზავნიან პირენეის ნახევარ კუნძულზე. ესპანეთის, გმირი ხალხი, რომელიც მამაცურად ებრძვის ფაშისტურ სახელმწიფოთა კოალიციის ველურ შეტევებს, უძლეველია. რესპუბლიკური ესპანეთი მამაცად სდგას საერთაშორისო თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, იგი იბრძვის თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, საერთაშორისო დემოკრატიის, მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის ინტერესების დასაცავად.

მძიმე პირობებმა, უძნელესმა გარემოებებმა, რომლებიც შეუქმნეს ესპანეთს ინტერვენციამ და ინგლის-საფრანგეთის „ჩაურევლობის“ პოლიტიკამ, ვერ მოსტება ესპანეთის მშრომელთა მილიონების ნებისყოფა. მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის, სახალხო ფრონტის შემოქმედების, მთელი შინაგანი რესურსების მობილიზებისა და თავისი მრეწველობის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების წყალობით მადრიდმა შესძლო რკინის კედლად დახვედროდა ფაშიზმის მღვრიე ტალღას. რესპუბლიკურმა ესპანეთმა შესძლო შეექმნა რეგულიარული არმია, რომელმაც არა ერთხელ უკუაქცია ინტერვენტთა ურიცხვი ურდოები. ესპანეთის ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბრწყინვალე წარმატება შედეგია ერთიანი სახალხო ფრონტის გამტკიცებისა, რომლის შექმნაში ხელმძღვანელი როლი შეასრულა ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ. ეს მთლიანობა საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ რესპუბლიკური ესპანეთი შესძლებს დაამარცხოს და გაანადგუროს გაცოფებული მტერი, რომელიც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღგვასა სცდილობს პირისაგან მიწისა.

მოახდინა რა ავსტრიის ოკუპაცია და დაადგა რა ავსტრიის შვიდი მილიონიან ხალხს ფაშიზმის უღელი, ჰიტლერი ამზადებს თავდასხმას ჩეხო-სლოვაკიაზე, რომელიც წინ ეღობება გერმანიის ფინანსიური კაპიტალის შემდგომ მსვლელობას ევროპის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მტაცებლური ზრახვებით არიან შეპყრობილი ფაშისტური იტალია და პოლონეთი. ფაშისტური აგრესორები ამ თავისი ველური გეგმების განხორციელებისათვის არავითარი ბინძური ღონისძიების წინაშე არ იხევენ უკან. ისინი ცდილობენ დაარღვიონ და ააფეთ-

ქონ სახალხო ფრონტი, იყენებენ რა ამისათვის სხვა ბნელ ძალებთან ერთად ტროცკისტულ ბანდიტებს.

ესპანეთის გმირი ხალხივით ფაშიზმთან ბრძოლეს მოწინავე პოზიციაზე სდგას ჩინეთის ხალხიც, რომელიც მამაცურად ებრძვის კაპონელი სამურაების თავდასხმას. ხალხთა მასები სხვა ქვეყნებშიაც იძალღებენ ხმას და მოითხოვენ აგრესორების მიმართ იმ შეთანხმებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის შეწყვეტას, რომელსაც აწარმოებენ ინგლისის კონსერვატორული ბურჟუაზია და საფრანგეთის რეაქციული ძალები. მშვიდობიანობის ფრონტს, რომელიც უფრო და უფრო იზრდება და მტკიცდება, რომელიც აერთიანებს მშრომელი ხალხის მილიონებს ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანობისა და დემოკრატიის ინტერესებისათვის, სათავეში უდგას და წინ უძღვის სოციალიზმის დიდი უძლეველი ქვეყნის ას სამოცდა ათი მილიონიანი ხალხი, რომელიც დარაზმულია უძლეველი მთლიანობით, რომელიც შემჭიდროებულია კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ირგვლივ.

საბჭოთა კავშირი — საერთაშორისო მშვიდობიანობის უძლეველი ბურჯი, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანა კვლავ განაგრძობს თავისი მშვიდობიანობისა და კოლექტიური უშიშროების პოლიტიკის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის ხალხთა მილიონები მზად არიან გამანადგურებელი პასუხი გასცენ მტრის ყოველ თავდასხმას. საბჭოთა ხალხი მთელი სისასტიკით უსწორდებოდა და უსწორდება ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდიტებს, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის მოსყიდულ ჯაშუშებსა და მკვლელებს, რომელნიც გაფაცოცებით ლესავდნენ მოშხამულ მახვილს, რომ ჩვენი სამშობლოსათვის ზურგში ჩაეცათ. ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდებს ფაშისტურ დაზვერვებისაგან დავალებული შკონდათ, ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებისათვის, გაეხსნათ ფრონტი აგრესორისათვის. მათ უნდოდათ დაეფლითათ აყვავებული საბჭოთა მიწა-წყალი, ნაწილნაწილად მიეყიდათ ჩვენი ქვეყანა გერმანიის გაცოფებულ ბანდიტებისთვის, სისხლიან სამურაებისთვის, პოლონელ პანებისთვის. მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს. ხალხთა მილიონების შრისხანების უძლიერესმა ტალღამ აღგავა პირისაგან მიწისა ტროცკისტულ-ბუხარინული არამზადების ხროვა. ტროცკისტულ-ბუხარინული ბუნაგების გამოაშკარაებებამ და განადგურებამ გააძლიერა საერთაშორისო მშვიდობიანობის პოზიციები, ამ ბანდების გაცამტვერებამ თავზარი დასცა ომის ფაშისტურ გამჩაღებლებს. სოციალიზმის სამშობლოს შეილები ასეთი პასუხით დახვდნენ და მომავალშიაც დახვდებიან მტრის ყოველ გამოლაშქრებას.

ჩვენმა გმირულმა წითელმა არმიამ ხასანის ტბის რაიონში გამანადგურებელი პასუხი გასცა იაპონიის სამხედრო ხროვას, რომელმაც სცადა გადმოეღახა საბჭოთა სამშობლოს შეუვალი საზღვრები.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება ეყრდნობა სტალინური ზოტ-წლებების შედეგად შექმნილ სოციალისტურ მრეწველობას, მოწინავე

სოფლის მეურნეობას, აღმავლობის გზით მიმავალ ტრანსპორტს და თავის უძლეველ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც ერთგული ფოლადის ჯაგმანად არტყია ჩვენს სამშობლოში. ჩვენს მას ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა უძლიერესი ფაქტორია, რომელიც წინ ელობება ფაშისტურ აგრესორთა ველური ზრახვების განხორციელებას. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა ამხნეებს, გამარჯვების რწმენას უნერგავს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს მთელ მსოფლიოში.

ჩვენი სამშობლო — მსოფლიოში პირველი ქვეყანა გამარჯვებული სოციალიზმისა — კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. ჩვენ ვცხოვრობთ „სახელმწიფოთა სისტემაში“. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის სიტყვები:

„საჭიროა გაძლიერდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირურთიერთობანი ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასთან; საჭიროა მოეწყოს ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის პოლიტიკური დახმარება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისადმი ჩვენს ქვეყანაზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევისათვის, ისევე, როგორც საჭიროა მოეწყოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყოველგვარი დახმარება ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასისადმი. საჭიროა ყოველნაირად გაეძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუშაადებელს“.

საბჭოთა მწერლის საპატიო და უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობაა — თავის ხალხთან ერთად მონაწილეობას იღებდეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში. ლიტერატურის ამოცანაა — ზრდიდეს თავის მკითხველში მობილიზაციური მზადყოფნის მებრძოლ განწყობილებას. ამას ესაჭიროება გმირული, ღრმად იდეური, მაღალი გრძობების შემცველი და აღმზრდელი ხელოვნება, ხელოვნება, რომელსაც შესწევს ძალა გადმოგვეცეს ის სიყვარული, რომელსაც გულით ატარებს საბჭოთა კავშირის მოქალაქე თავისი ბედნიერი, მდიდარი და უძლეველი ქვეყნისადმი. ჩვენი მწერლები წარმატებით ანხორციელებენ ამ ისტორიულ ამოცანას.

დაუფიქროს ლ. კ. ბერიას სიფხვა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის
21 აგვისტოს გაერთიანებულ სხდომაზე

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებუტატებო! სრულ-ლიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საკითხს, რომელსაც სესია იხილავს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. გამოფენამ უნდა ცხადპყოს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი წარმატებანი.

ჩვენი პარტია, ლენინი, სტალინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებდნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხებს, საკითხს მუშათა კლასის კავშირის შესახებ გლეხობასთან, და განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

შემთხვევითი როდია, რომ ხალხის მტრებს — ყველა ამ ტროცკებს, პუხარინებს, რიკოვებს, ზინოვიევეებს და სხვა გამცემლებსა და მოღალატეებს. — რომლებიც გამომჟღავნებული და განადგურებული არიან, მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდათ გულღვარდლიანი, ვადაფთრებული პროვოკაციული იერიშები გლეხთა საკითხში ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა დაერღვიათ მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ჩაეფუშათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმე.

ბოლშევიკების პარტიამ დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით თავის გარშემო დარაზმა მუშათა კლასი და მრავალმილიონიანი გლეხობა, გაანადგურა მტრები და უზრუნველპყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში დაიცვა ლენინიზმი, გენიალურად განავითარა იგი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პირობებში და უზრუნველპყო სოციალიზმის გამარჯვება! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

კაცობრიობის ისტორიაში პირველად არის შექმნილი სოციალისტური წყობილება, რომლის დროსაც, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მწვერვალშია, „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსაზრებული არებულა, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი“.

ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელები უზრუნველყოფილი არიან ბედნიერი, შეძლებული და კულტურული ცხოვრებით.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე დიდი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყანაა.

ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა უმდიდრესი ტექნიკით არის შეიარაღებული და მძლავრ მექანიზებულ ბაზას ემყარება.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ, დიდი რუსი ხალხის მუდმივმა დახმარებამ, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ყოველდღიურმა ყურადღებამ და მზრუნველობამ უზრუნველჰყვეს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის გაფურჩქვნა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით გამოხატა სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგად სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციითა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ, არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდვას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ,—ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჰქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში“.

საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ისევე, როგორც ყოველი სხვა ნაციონალური რესპუბლიკისა და ოლქის მაგალითზე, შეიძლება მკაფიოდ

ნათელეყოთ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

საქართველო, ისევე, როგორც მეფის რუსეთის მრავალი სხვა „განაპირა მხარე“, რომელიც ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა, უნდა თავის მემამულე-ფეოდალთა მხრივ, წარსულში ღარიბი, ვალატაკებული და უუფლებო საქართველო, ახლა ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა.

ქართველ გლეხს არ მოეპოვებოდა მიწა, რომელიც მემამულეების, თავადებისა და სამღვდელოების ხელში იყო. დასავლეთ საქართველოში გლეხს და მის ოჯახს 4—6 თვეს ძლივს ჰყოფნიდა ის, რასაც იგი თავისი სრულიად უმნიშვნელო მიწის ნაკვეთის დამუშავებით იღებდა. ამიტომ, საშოვრის ძებნაში, იგი იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური კერა და შორეულ მხარეებში წასულიყო სამუშაოდ. ხშირად შეხვედებოდა ქართველ გლეხს ტუაპსეს, ნოვოროსიისკის, ოდესის ნავსადგურებში, ციმბირსა და მეფის რუსეთის სხვა შორეულ რაიონებში.

საქართველოში მენშევიკების — ქართველი ხალხის ამ გამცემლების და მოღალატეების და საერთაშორისო იმპერიალიზმის საზიზღარი აგენტების ბატონობის წლებში ქართველი გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე და უუფლებო გახდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად გარდაქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობა. მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები განსაკუთრებით მრავალფეროვანია, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი მათი გამოყენება და მშრომელთა სამსახურში დაყენება. უძვირფასესი სუბტროპიკული სპეციალური და ტექნიკური კულტურები — ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ვაზი, კეთილშობილი დაფნა, ტუნგო, რამი და სხვები — მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთ საქართველოში, იქ, სადაც წინათ მინდვრებზე შოადებული იყო გარეული გვირა, ახლა საუცხოოდ ჰყვავის ჩაის, ციტრუსების, ეთეროვანი კულტურების პლანტაციები, რომლებიც ქართველი კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს შეადგენენ.

თუ საბჭოთა ხელისუფლებამდე სულ რამდენიმე ასეული ჰექტარი ჩაი მოაპოვებოდა, ამჟამად ჩაის პლანტაციები 44 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. წლითიწლობით იზრდება ჩაის მოსავლიანობა. 1937 წელს მოკრეფილი იყო 27 მილიონი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, მიმდინარე წელს კი 35 მილიონი კილოგრამი დამზადდება, 34 სანიშნოდ მოწყობილ ჩაის ფაბრიკაში ვადამუშავდება და სახელმწიფოს ჩაჰბარდება 8 მილიონი 260 ათასი კილოგრამი, ანუ ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი მზა პროდუქტია, რომელიც თავისი ხარისხით ცეილონისა და ჩინეთის საუკეთესო ხარისხის ჩაის არ ჩამოუვარდება.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენ ქართული ჩაით დაუაქმებოდა იქნებოდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთელს მოთხოვნილებას.

დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების — მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის განეფარებაში, რომლებსაც რევოლუციამდე მხოლოდ ცალკეულ მეურნეობებში შეხედვადი რაოდენობით იშვიათ მცენარეებს. ამჟამად ციტრუსოვანთა ფართობი დაახლოებით 10 ათას ჰექტარს უდრის, და შექმნილია მძლავრი სანერგე ბაზა (12 მილიონი ნერგი) ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისათვის. 1937 წელს ჩვენ დავამზადეთ ციტრუსოვანთა 300 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1932 წელს დამზადებული 11 მილიონი ცალისა.

საუკეთესო ხარისხის მაღალი ღირსების თამბაქო მოდის საქართველოში, განუხრელად მატულობს მისი მოსავლიანობა და უმჯობესდება ხარისხიანობა. საქართველოს 22 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებს 16 ათას ტონაზე მეტ თამბაქოს მისცემს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა — მენშევიკებმა საქართველოში მათი ბატონობის დროს თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

ამჟამად ვენახების ფართობი დაახლოებით 45 ათას ჰექტარს უდრის და ეს ფართობი 1942 წლისათვის კიდევ 20 ათასზე მეტი ჰექტარით გაიზრდება.

საქართველოს ღვინო სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთერთ საუკეთესო ღვინოდ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შამპანური ჯიშების ფართოდ დანერგვას, რომელთა განვითარებისთვისაც საქართველოში ყველა პირობა მოიპოვება.

საქართველოში დიდი სპეციალური საწარმოები შენდება შამპანური ჯიშების ყურძნის გადასამუშავებლად. 1940 წელს საქართველოში გამოშვებული იქნება 4 მილიონი ბოთლი მაღალხარისხოვანი საბჭოთა შამპანური.

მრავალი სხვადასხვანაირი ნაყოფი მწიფდება საქართველოს საკოლმეურნეო ბალებში. მარტო 1937 წელს გაშენებულ იქნა 7 ათას ჰექტარზე მეტი ხეხილის ბალები. საქართველოს 38 რაიონში გვაქვს ხეხილეობის სანერგე მეურნეობანი. ხილის ნარგავების საერთო ფართობი 60 ათას ჰექტარს უდრის.

სუბტროპიკული ხილი — მუშმულა, ფეიხოა, იაპონური ხურმა ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. მთელმა რიგმა სხვა უძვირფასესმა კულტურებმა — ტუნჯომ, რამმა, ეკალიბტმა, ეთეროვანმა და სხვა კულტურებმა, რომლებიც საქართველოს კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებს შეეფერებიან, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იწყეს განვითარება სამრეწველო მასშტაბით.

ტუნგოს ხის კულტურას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. ამ ხისაგან მზადდება ლაქი, რომელიც ჯანგისაგან იცავს გემების წყალქვეშა ნაწილებს. ტუნგოს ზეთი სავალდებულო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საეწველო მასალების დასამზადებლად, ელემტროტექნიკურ მრეწველობისათვის, თვითმფრინავმშენებლობაში. ტუნგოს ზეთის ლაქწასმული საგნები ცეცხლგამძლე ხდებიან, მათზე გაელენას ვერ ახდენს სინესტე და მეთაე.

საქართველოში ტუნგოს კულტურის განვითარება საბჭოთა კავშირის მრეწველობის საჭიროებისათვის ტუნგოს ზეთის იმპორტის აუცილებლობისაგან გაანთავისუფლებს. ამჟამად საქართველოში ტუნგოს პლანტაციებს 12 ათასზე მეტი ჰექტარი უჭირავთ, მაშინ როდესაც 1930 წელს მათ ერთი ჰექტარი ეჭირათ. რამის კულტურას 1,5 ათასი ჰექტარი უჭირავს. წელს ჩაბარებული იქნება 12 ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა. რამი იძლევა ძალიან მკვირივ ქსოვილს, რომელიც ჩვენი საავიაციო მრეწველობის საჭიროებას ხმარდება.

საქართველოში კოლმეურნე გლეხობის ერთერთ უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ევკალიპტის კულტურის დანერგვა და განვითარება. ეს არის მუდამ მწვანე, სწრაფად მზარდი ხე, რომელიც სამი-ოთხი წლის განმავლობაში 12—15 მეტრ სიმაღლეს აღწევს და საუცხოო, ძვირფას მერქანს იძლევა გემთმშენებლობისა და რკინიგზის შპალებისათვის. ევკალიპტი შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე დაქაობიანებული ადგილების გასაჯანსაღებლად. ევკალიპტის ფოთლებისაგან დამზადებულ ზეთს ფართოდ იყენებენ მედიცინაში. უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში უკვე დარგულია 4 მილიონ ძირზე მეტი ახალგაზრდა ევკალიპტი.

სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან ერთად, ჩვენში იზრდება მარცვლეული კულტურების ფართობი და მატულობს მათი მოსავლიანობა. 1937 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი დაახლოებით 70 მილიონ ფუტს უდრიდა.

საქართველოს კოლმეურნეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეაბრეშუმეობის დარგში. მიმდინარე წელს კოლმეურნეები ერთი კოლოფი თესლიდან პირველი გამოკვების დროს საშუალოდ 43 კილოგრამზე მეტს ღებულობდნენ და დაახლოებით 3,5 ათასი ტონა პარკი მისცეს აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოებს, რაც ახლა სწარმოებს. კოლხიდის დაბლობის ზონაში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს დიდ ზიანს აყენებდა წყალდიდობა, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ქაოზები მალარიის გავრცელების კერას წარმოადგენდა. დღეისათვის დამთავრებული და აგებულია 150 კილომეტრზე მეტი საცავი მიწაყრილები, რომლებიც წყალდიდობის დროს წალეკვისაგან იცავენ 29 ათას ჰექტარ ფართობს. აგებულია 10 მაგისტრალური არხი 98 კილომეტრი საერთო

სიგრძით და 43 კოლექტორი 179 კილომეტრი სიგრძით. აგებული დასაშრობი ქსელის სიგრძე 587 კილომეტრს უდრის. შესრულებულ მიწის სამუშაოთა საერთო მოცულობა დაახლოებით 8 მილიონ კუბმეტრს შეადგენს.

გ ე რ გ ი ა ნ ი

დიდი წყალუხვი მდინარე რიონი, რომელიც კოლხიდის დაბლობში მიედინება, რომელიც სისტემატურად დიდ უბედურებას ატებს თავს მოსახლეობას და წალგავს ხოლმე მრავალ ათეულ ათას ჰექტარ მიწას და ქალაქ ფოთს, ახალ კალაპოტში იქნება გადაგდებული.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოები, რომლებიც ახლა ტარდება, მთლიანად ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის, ევკალიპტის და სხვა პლანტაციებით გაშენებულ მხარედ გადააქცევენ მას.

ყველა ეს ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ესოდენ საქირთა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსათვის, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. მარტო ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს კულტურების ჩაბარებულ პროდუქტიაში 1937 წელს კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან 200 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველ გლეხობას ბედნიერება, შეძლებულობა, კულტურა მოუტანა. საქართველოს სოფლები კოლმეურნეთა ახალი ფართო და მოხერხებული სახლებით, ახალი სკოლებით, თეატრებით, კლუბებით, საბავშვო ბაღებით, საავადმყოფოებითა და პარკებით გამშვენდა.

საქართველოს საკოლმეურნეო მინდერებზე, ქართველ კოლმეურნეთა სახლებში მღერაიან სიმღერებს შრომის სიხარულზე, მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებაზე იმისადმი, ვინც ხალხთა ბედნიერება და თავისუფლება გამოსქედა, — დიდი სტალინისადმი (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ამ წარმატებებს სოფლის მეურნეობის, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის დარგში ჩვენ იმ ყურადღების, დახმარებისა და ზელმძღვანელობის შედეგად მივალწიეთ, რომლებსაც გვიწევდნენ და გვიწევენ ჩვენ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად ჩვენი დიდი სტალინი. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ამხანაგო დებუტატებო! სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა საშუალებას მოგვცემს ჩვენ, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკას, ოლქებსა და მხარეებს, ცხადვეყოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები, დაგვეხმარება იმ მხრივ, რომ ერთმანეთს ვაუზიაროთ მუშაობის გამოცდილება, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და სოციალისტური მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეს.

მთავრობის გადაწყვეტილებამ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ მხურვალე გამოსმაურება ჰპოვა საქართველოს კოლმე-

ურნე გლეხობის ფართო მასებში. დღეისათვის შემოსულია 17 ათასი განცხადება კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისაგან, ბრკადებისაგან და სოფლის მეურნეობის მოწინავეებისაგან, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შედეგად ჩვენ მიერ უკვე შერჩეულია და მთავარი საგამოფენო კომიტეტისადმი დასამტკიცებლად წარდგენილია 350-ზე მეტი კოლმეურნეობა, 24 საბჭოთა მეურნეობა და სოფლის მეურნეობის 1134 მოწინავე.

დეპუტატი ზრუშჩოვი სავესებით სწორად მიუთითებდა სსრ კავშირის მიწსახკომისა და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი აქვს დუბლირებას მეურნეობის ცალკეული დარგების მიღწევათა ჩვენებაში: ერთსადამიანე ობიექტს უჩვენებენ როგორც საკავშირო სახალხო კომისარიატები, ისე რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებიც.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და საგამოფენო კომიტეტმა დუბლირება უნდა აღმოფხვრან და საშუალება უნდა მისცენ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს უფრო სრულად უჩვენონ თავისი მიღწევები. მიწსახკომს და საგამოფენო კომიტეტს სრულიად გამოეპარათ მხედველობიდან სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ახალი დარგი, რომლებიც უკანასკნელ წლებში განვითარდა, მაგალითად, რამის, კეთილშობილი დაფნის, ევკალიპტის, თბილისა და სხვა კულტურები. მთელ რიგ შემთხვევებში მიწსახკომმა და საგამოფენო კომიტეტმა გამოფენაზე მონაწილეობის მოპოვების უფლება განსაზღვრეს რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, პროდუქციის ხარისხის გაუთვალისწინებლად.

საგამოფენო კომიტეტის მუშაობაში ადგილი აქვს დიდ ორგანიზაციულ არე-დარევას: ხშირად იცვლებოდა ექსპონატების წარდგენის გეგმები და ვადები, იცვლებოდა თვით სოფლის მეურნეობის მიღწევების ჩვენების თემატიკა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იმ ექსპონატების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც სსრ კავშირის მიწსახკომისა და მთავარი საგამოფენო კომიტეტის დაყენებითი მოთხოვნით გამოიგზავნა, მათი მხრივ ცუდი ხელმძღვანელობის გამო დაიღუპა, ხოლო ის რაც ვადარჩა უმწურო მდგომარეობაშია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამი მოკავშირე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის — ექსპონატები ერთ შენობაშია მოთავსებული, რაც საშუალებას არ იძლევა უფრო სრულად იქნას წარმოდგენილი თვითიველი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები.

სავესებით სწორად მიმართა დეპუტატ ზრუშჩოვის მიერ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემოტანილი წინადადება სრულიად-საკავშირო სასოფლო სამეურნეო გა-

მოფენის გახსნის ვადის 1939 წლისათვის გადატანის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს როგორც ჩვენ, ისე ყველა სხვა რესპუბლიკის, ოლქებისა და მხარეებს, უკეთ მოვემზადოთ და ვაცილებით უფრო მჭიდროდ წარმოვადგინოთ გამოფენაზე ჩვენი წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში. ეს საშუალებას მისცემს მიწსახეობსა და მთავარ საგამოფენო კომიტეტს გაითვალისწინონ სესიაზე გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები და აღმოფხვრან მათს მუშაობაში არსებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი.

ამხანაგო დებუტატებო! ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იმგვარად მოეწყობა, რომ იგი შესძლებს ნამდვილად უჩვენოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათა, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, ჩვენი საყვარელი, მშობლიური ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. (მჭუხარეხანგრილივი ტაშით).

უკანასკნელი ღღე ქანსოველისა

ღამის წყვილიადში ზრიალებს
მეტეხის რკინის კარი,
ხან სანთლის შუჭი იალებს
ხან კი ტრიალებს ქარი;
მხოლოდ თბილისის მდინარე —
ნელად მოღვლეავს მტკვარი.

მტკვრის პირას ერთი ციხე დგას
ერთი მწუხარე რამე —
საქანში შემოიხედავს
ვარსკვლავიანი ღამე
და რუხ მეტეხის ფერდიდან
გაღეფარება ხრამებს.

თავზე დაჰბრუნავს კეცხოველს
მეტეხის ციხის გმინვა...
სულის კვეთება — ესოდენ
წარსული წლების წვიდან
ფანდურზე აღმოკენესოდა
რვა საუკუნის წინაც. —

ვერ მოჰკლეს, არ იწვებოდა,
იცვამდა გრილსა რკინას,
ხან გლეხის ქოხში წვებოდა,
ხან ველად ჰქონდა ბინა;
ღამე ვარკვლავთან ჰქრებოდა,
მზესთან დგებოდა დილას.

მოღვლეავს მტკვარი ანკარა
ცა-ვარსკვლავების კვართი;
წყალში ვარსკვლავი ჩამკვდარა,
დაწინწყლულია მტკვარი

და ისმის ვეფხის დაგვიარად
ღრიალი ნიაღვარის.

ასეთი იყო ის ღამე,
უკანასკნელი ღამე —
იმ ბნელ ღამეში აშარი
შემოჰყოდა ხრამებს;
ციხეზე იჯდა ფრთა-შავი
აბრიალებდა თვალებს.

მტკვარზე განათდა ბორანი,
სხივი ჰფენია მზისა, —
აფრინდა შავი ყორანი
გადაუარა ისანს
და დარჩა გაუგონარი
ღუმელი სიკვდილისა!

არა და არა! ღუმელშიც
ისმის ხმა ხანდისხანა;
ასევე მთის და ველისა
სამგლოვიარო ზარად —
ძახილი კეცხოველისა
შეაზრიალებს ქალაქს...

ალარც მეტეხი მღუმარებს —
ტყვია, ვაჟაკის მკვლეელი!
ჩაჰჭრა ძახილი მქუხარე,
დაღუმდა მთა და ველი...
ქალაქს გაისმა მწუხარედ:
— მოჰკლესო, კეცხოველი!

ლადო ციხეში კვდებოდა
მკერდზე ეკიდა ალი;
ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,
ეხუჭებოდა თვალი...
და მკერდზე გადაჰფენოდა
ლენინის „ნაპერწკალი“.



მხეთის მთაზე

1.

აქ ძველ კედლების ხმა მომესმოდა,
მამათმთავერების ხმა გადასული...
აქ დედაჩემის კოკობი სდღღდა...
აქ ხმალს ლესაედა მამა მხარგრძელი,
გუთანს უძლოდა გაღიმებული...
მათ მაგარ გულზე მე ვარ გაზრდილი,
სიტყვატკბილი და მალაღმბიანი!

2.

აჰა მღეროდნენ სტვირისმკვრელები
და მომღერლები სიყვარულისა;
მათი ფერფლიდან მე ამოვცენდი,
ნაწოვი მათი სიმღერებითა,
ნაძვის წვერივით განათებული!

3.

დღეს ხეობებში ჩემი ლექსი ჰქრის,
მიწით შესვრილი, ტახის ღონისა;
ასამალლებელს ეხლა მე ვიტყვი,
სათქმელს მიმინოს მოკივილითა,—
აჰა, სამშობლოვ, სიტყვა მორთული!

4.

არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი სააკაძისა;
არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარაევანდითა;
სხვის იალქანი ათრთოლებული!

შე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაპობელი! —
სიტყვა ამტყდარი წვიმასავეითა,
ციხარტყელებით ვარაყფრქვეული!



5.

სამშობლოს დროშის შრიალს შევხარი,
ლოდმავარ ქვიტკირს, — ალტაცებული...
მიყვარს სამშობლოს განთიადები,
მისი სიმაგრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეალერსები!
დე, ჩემი ლექსი დარჩენილიყვეს,
ვით ხმლის ნატეხი დაძველებული,
ვით წყალდიდობის ქაფი შემხმარი
დიდი მდინარის ნაპირებისა...
შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,
ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი...
ახალ ვაჟკაცთა ახალ ღონითა,
ახალ ქართლის შზით გაჩაღებული!..

ა რ წ ი ვ ე ბ ი



მომწონს მე ფიცი მერცხალი,
 მისი ქროლვა და ფეთება,
 თუ სახლზე ბუდეს მიაკრავს,
 სახლს ლხინი დაებედება!
 ბრიალებს ტურფა ზოხობი,
 სტყორცნის ალს არეშარესა;
 შეიფრთხილა ბულბულმა,
 და გული გამიღალერსა...
 მაგრამ მე მიყვარს არწივი,
 სიმაღლე უყვართ არწივებს!
 შუა გაპკვეთენ განწირვით,
 ვინც მზის გზას დაუქარწვიმებს!
 აელენ მზესთან და მღერიან,
 მზეში ფრთას გადაარწვევენ,
 უყვართ სიმაღლის ნათელი,
 სიმაღლე უყვართ არწივებს!..
 ცის საქანელას ჰკიდიან,
 შუჭი მიპყვებათ სვეტური,
 ესწრაფებიან მწვერვალებს
 კლდის არწივები ხეთური!..

2.

ქარგია არწივის ფრთიდან, —
 სტვირის ლერწამის გალობა,
 თუ არწივული სიმღერა
 ლექსის ხმას დაეწყალობა!
 ქარგია არწივის ფრთები, —
 თუ გმირის მხრებში გამოვა!
 ..მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე
 მივხედე მას ჩემსა ნდომასა;
 დღისით და ღამით ვხედდიდე,
 მზისა ელვათა კრთომასა!"

3.

მიყვარს არწივთა სამშობლო,
 არწივიანი, ორბეთი, —
 იქ იწოდება არწივად
 ვაკეცთა წინამორბედი!

ელიზბარ კოლუმორდვინოვი.

ნეუჩვილი

სოფლიდან ახალგაზრდები სიმღერით გამოვიდნენ. მზემაც მათთან ერთად გაიღვიძა, გააღო ცისკარი და მახლობელ მთაზე შედგა, ვარდის ფერით შეღება ღრუბლები, ზურმუხტი ტყეები და ყვითლად დაყურსულნი ფერდობები.

ახალგაზრდების შემოძახილი ქროლასავით ისმოდა, ნიავის მაგიერობას ეწვოდა, ესალმუნებოდა ზებილს, ბუჩქებს, ვაზის ფოთოლს არხევდა, აშრიალებდა მათ და მიღელავდა წინ, მალლა, მთებისკენ, მზისკენ...

მოხუცები ნელად მოდიოდნენ, სიმღერა ხანდახან მათაც უჩქარებდა ნაბიჯს, შუახნის ხალხი ჩვეული სიღინჯით მიაბიჯებდა. ქალები და ბავშვები განუწყვეტელი ტიტინით მიისწრაფოდნენ წინ.

სოფელი მალლობზე იდგა.

რომ გადაგეხდათ მის წინ გადაშლილ ფერდობებზე, ნახავდით არა მხოლოდ მომკილი ყანების მშით გარუჯულ ფართო ზოლებს, არამედ უზარმაზარ მუქ-მწვანე ვენახებსაც, ხილის ბაღებს, სიმწიფით მღელვარე ხეხილსაც.

ბრიგადებად დაყოფილი კოლმეურნენი ვენახებსა და ბაღებში შედიოდნენ. ზურგზე ეკიდათ გოდრები, ხელში ეჭირათ საგზლითა და ღვინით საესე კალათები და ხელადები.

ვიდრე ვენახში შევიდოდნენ, ბრიგადები დარგების მიხედვით დაიყვნენ. კომკავშირელებმა დაქანებული ფერდობი შეიხვედრეს, სწორეზე გახარებული ვაზი—ქალებმა და მოხუცებმა.

რთველი დაიწყო.

ბავშვები უფროსებს ეხმარებოდნენ. მტევნებით საესე კალათები გოდრებისკენ მიჰქონდათ და მოკრეფილს ჰყრიდნენ შიგ.

მკრეფავეები ღიღინითა და შეძახილით კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ვაზის მწკრივებს დაყურსულ მტევნებს ჰკრეფდნენ.

ბაღებში ხეხილი აშრიალდა. ცვივოდა ძირს ნაყოფი—თურაშაული ვაშლი, ხეჭაჭურა მსხალი. გარკვევით ისმოდა კაკლის ხეებზე მოჭეული კეტების ხმა, ტოტების ლაწანი, მტვრევა. სეტყვასავით მძიმედ და ხმა-

ურით ცვივოდა მწვანე წვენით შეთხუზული კაკალი. ბალებსა და ვენახებს ბავშვების თივილ-ხივილი ავსებდა.

დროდადრო გუგუნებდა ავტომანქანა, მოკრეფილ სარკოს, წლის ქირნახულს ბელღებისაკენ მიაქროლებდა.

ვენახის განაპირას, წყაროსთან, საშემოდგომოდ ჩასუქებული ერთწლიანი თხა გამოიყვანეს. ბალანი ბამბასავით თეთრი და სუფთა ჰქონდა, წვერი—თხელი და მოშვებულად, გრძელი, ერთხელ შემოგრებილი რქები—წინ წაწვეტებული. ქვეშ-ქვეშად და ეკვით შეპყურებდა თავის წინ მდგომ შუახნის კაცს. ბევრი იბტუნა, ბევრი იბორჯა, მაგრამ მხარ-თეძოზე მაინც წააწვინეს, დანა ყელზე გადაუსვეს, დაჰკლეს. იქვე ვარიებსა და ყვინჩილებს თავები წააგდებინეს. მოხუცმა მელანომ ცეცხლი დაანთო. კარგა დიდი ქვაბი შედგა.

თხის ერთი ნახევარი მშრალად მოხარშეს, საუკეთესო ნაწილი საგულისგულოდ დათლილ ხის შამფურებზე სამწვადედ წამოაგეს. მელანომ, ქათმები რომ დაპუტა ჩახოხბილი შეამზადა. შუადღისას ქვაბში წვენი უკვე წითლად თუბთუბებდა და მისი სურნელოვანი ორთქლი მთელ ვენახს და გარემოს ეფინებოდა. მუშაობით დაღლილ კოლმეურნებს მადას უღვიძებდა და მათ ყნოსვას ნექტარივით ატკბობდა.

სადილობის დრო დადგა.

მოხუცი მელანო განუწყვეტლივ ფუსფუსებდა. მეტადრე მაშინ შეშფოთდა, როდესაც ნახა, რომ ბრიგადებმა მუშაობა შესწყვიტეს და სასადილოდ გამოეშურნენ.

მწვანეზე რამდენიმე სუფრა გაშალა.

წინა ღამეს მის მიერვე გამოცხობილი ბამბასავით ფაფუკი თორნის პურები დატეხა და სუფრის ირგვლივ დააწყო. ჩამოალაგა ქიქები, ჯამები და კოვზები. სუფთად გარჩეული და წყაროს წყლით გარეცხილი მწვანილი აჭა-იქ დააწყო. წყაროში ჩაყვებული რამდენიმე ხელადა ღვინო წყაროსთანავე იღვა. თვით წყარო კი მოჩხრიალებდა, როგორც მზისგან გამდნარი ბროლი, სუფთა და წმინდა, გრილი და საამო.

მოხუც მელანოს თაღებები ეცვა. მისი ჩაშავებული თვალები ისე გამოიკვირებოდნენ, თითქოს მათში ოდესღაც გადამწვარ ნალევრდალს მხოლოდ გამოფიტული ნახშირი და დაეტოვებინოს. დაღლილი იყო მოხუცი ქალი, მაგრამ მის დაღარულ სახეს რაღაც სინათლე მაინც დაჰქათქათებდა. როდესაც ის ხალხში იყო, მეტადრე ახალგაზრდობაში, საბე განუწყვეტლივ უღიმოდა. მაგრამ ვაი ამ ღიმილს: რაღაც სიმწარე იყო მასში ჩაქსოვილი. ჯანი და ღონე კიდევ გააჩნდა. ოდნავ მოხრილი, გამზდარი და ფერმკრთალი, მოხუცური გულმოდგინებით დაუღალავად ფუსფუსებდა ოჯახშიც და კოლმეურნეობაშიც. უყვარდათ მოხუცი მელანო, უყვარდა მთელ სოფელს. ყველას დედასავით თავს დასტრიალებდა და დედური გრძნობით უვლიდა.

თარგებში ხმამალალი ლაპარაკი გაისმოდა.

— ასი გოდორი შევესრულოთ და მერე ვისადილოთ, — გაქდახოდა კომკავშირელთა ბრიგადირი შალვა.

შალვა სოფლის ახალგაზრდების თვალი იყო. შავი გრძელი მუცლიდრონი შავი თვალები და ჟანგისფრად აღაქლავებული სახე მარტო ეშხსა და ლაზთს კი არა ჰგვრიდნენ, არამედ სიცოცხლესაც, სიხალისესაც, სიმხნევესაც.

— ორასი იყოს, ორასი!..

— ამ მტევნებს მარცვალი კი არა, ქარვა ასხია.

— ვერც გული ძღება და ვერც თვალი, ვერიფოთ და ვკრიფოთ...

მხიარულად ეხმაურებოდნენ ერთმანეთს საამო შრომით წაქეზებულ ტოლები.

განსაკუთრებული ეშხით და ბრწყინვალეებით გოგონების სახეები მოსჩანდა. კარგი სანახავეები იყვნენ ამ დროს ისინი, ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს მტევნებისა და ვაზის გვირგვინებში სხედანო. გოგონები ხარობდნენ, კისკისებდნენ. ეს კისკისი ეფრქვეოდა ყურძენს და თითქოს მის მარცვლებს უფრო ამწიფებდა.

კომკავშირელთა ბრიგადამ უკანასკნელმა შესწყვიტა მუშაობა.

ისინი წყაროს პირად გაშლილ სუფრისაკენ გაემართნენ. ზოგიერთ მათგანს ხელში საფერავისა და რქაწითელის მწიფე ჯაგანი ან აკიდო ეჭირა და სუფრაზე მოწიწებით სდებდა.

ბრიგადები ბალებიდანაც მოდიოდნენ. გამაბრუებელი ყრიაშლით ივსებოდა ვენახი.

სუფრებს შემოუსხდნენ.

იქვე, ნალევრდლად დანთებულ ცეცხლზე, თხის მწვადებიც ამიშხინდა. ჰაერში აიშალა სურნელოვანი ბაცი იისფერი კვამლი.

— დეიდა მელანო, გული ჩაგვიტკბარუნე შენი დამზადებული ჩახობილით, — მიმართავენ მკრეფავები ზრუნვით აფუსფუსებულ მელანოს.

— დასხდით, შეიღებო, დასხდით, ახლავე, — უპასუხებდა მელანო. ქვაბიდან კი მადის მომგვრელი ცხელი ოშხივარი ამოდებოდა.

ჩამორიგდა სავსე ჯამები. ლალისფერი ღვინით აივსო ჭიქები. პირსავსე ხელადებიდან დასხმის დროს იღვრებოდა ღვინო და ფერადდებოდა სუფრა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო, ფეხზე წამოდგა და სადღეგრძელო წამოიწყო:

— თქვენს მარჯვენას ვაღმარჯოს! თქვენი მარჯვენით მოხნულმა მიწამ პური ბევრი მოგვცა, თქვენი მარჯვენით მოვლილი ვაზი ბარაქიანად იკრიფება, ბელლები დოვლათით ივსება, ჭირნახული და სარჩოსაბადებელი უხვად მოგვეცა. თქვენივე დაწურული ღვინო ყოველთვის გატკობდეთ, გათრობდეთ და გახარებდეთ. მაშ კიდევ გავიმარჯოთ!

ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, კისერი უკან გადაიგდო და გადაჰკრა. მერე ჭიქა სუფრაზე დასდო, უღვაშებზე თითები გადაისეა და დააყოლა:

— ტყბილია, ტყბილი!

— ძია დიმიტრი, დააყოლეთ აი ეს, — აწყურიალებული ტყვეანივით სუფთა ხმით მიამახა კომკავშირელმა გოგონამ თავმჯდომარეს და ცივად მოხარული ჭათმის ფრთა მიაწოდა.

— გოგონებმა ფრთებს ხელი არ მოკიდონ! — წამოიძინა კვანძმა ყმაწვილმა ბიჭმა.

— ვითომ რატომაო? — გაჯაგრებით უპასუხა გოგონამ და გაწვილი ხელი გულუბრყვილოდ უკან წაიღო.

— იმიტომ რომ გაგვიფრინდებით და მერე სადღა გდიოთ. ჩვენი კოლმეურნეობის გოგონები სხვებთან რომ გაფრინდნენ, ჩვენ რაღა ვქნათ მერე, მარტოხელები ხომ არ დავრჩებით?! — ხუმრობით, მაგრამ სერიოზული გამომეტყველებით გამოეხმაურა შალვა.

— მე ეს ჩემთვის ხომ არა, თავმჯდომარესათვის მინდა! — ნაწყენი ხმით აბუზღუნდა გოგონა.

მაგრამ ეს ბუზღუნის ყმაწვილების ხარხარმა დაჟვარა. ყველაზე მეტს შალვა ხარხარებდა. გოგონებმაც ბევრი იცინეს. ამ დროს ავტომობილი მოგუგუნდა, შიგ მსხდომმა კოლმეურნეებმა ცარიელი ვოდრები გადმოაწყეს, სავსეები ზედ აიტანეს, მერე სუფრასთან მივიდნენ, სადილობას შეუდგნენ.

ერთმა მათგანმა თავმჯდომარეს გადაულაპარაკა:

— ამ ჩვენ ჭირნახულს ჩვენი ბელლები არ ეყოფა და სად გინდა დააწყეო? იმდენი ვაშლი და მსხალია, რომ ტყეა არ არის. რაზე იჩარე, თორემ ხორბალზე ხომ არ დავერით?

თავმჯდომარე ფრთას შეექცეოდა და თანაც უღვაშებში იღიმებოდა. წაცხებულ სისუქნისაგან ტუჩები ულაპლაკებდა. ამ სიტყვებით გახარებულმა წვენი დათბუნული თითები უღვაშებზე გადაისვა და უღვაშებიც აულაპლამდა.

— თქვენ გადაიტანეთ და თუ არ დაეტევა, ოჯახებში გავანაწილებთ. ნუ ვეშინია, ბატონის კარზე არ მოგინდება მიტანა. სულ ჩვენი არ არის?!

შალვა წამოდგა. ხელში ჭიქა ეჭირა.

— ბედნიერება და სიხარული მინდა გიღღვეგრძელოთ, — წამოიწყო შალვამ. — მე გული მიცინის, აგერ მამაჩემსაც უხარია. თქვენ ყველას გიხარიათ. ჩვენი ნაშრომი ჩვენს ბელლებში მიდის. ჭირნახულს სხვას არ ეუშნადებთ. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი ნაშრომით ჩვენივე ოჯახები იესება. ბარაქა და დოვლათი არ გამოგველევა. ვიდრე ჩვენი მარჯვენა დაუზარებლად იმუშავენს.

— აი, ავაშენოს!..

— ბარაქალა, ბარაქალა!..

მიამახეს აქეთ-იქიდან ხანში შესულმა კოლმეურნეებმა.

დეიდა მელანო მღუმარედ იდგა და სახეგაბრწყინებულ შალვას როგორღაც ფარული სიამოვნებით შესცქეროდა. ის შალვას სახის ყოველ

ნაკეთში სიხარულს კითხულობდა. როდესაც შალვამ ჩაიტყუა დაამთავრა, მელანომ თვალი მოჩხრიალე წყაროს მიაპყრო. დიდხანს უყურებდა წყლის დენას. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქმის შავულები წყაროს მიაწვდინაო და დაუსრულებლად სევამ წყალს, დაუსრულებლად იკლავს წყურვილს, იგრილებს გულს.

აი, მივიდა წყაროსთან ერთი კოლმეურნე, მაჯები აიწია, ხელები ვაიბანა, მერე პეშვი შეუშვირა და ცივი გამაგრილებელი წყალი კარგა ხანს პეშვით სვა. მიიბინა გოგონამაც, წყაროს წყლით დასველებული ხელი შუბლზე გადაისვა, მერე ტუჩებით დაეწაფა და დიდხანს იკლავდა წყურვილს.

მელანო კი გაბრუებული და გაშტერებული დასცქეროდა მათ. ნახშირით მუქ და ჩამქრალ თვალებიდან რამდენიმე ცრემლი გადმოუვარდა. ისეთივე სუფთა და წმინდა ცრემლი, როგორც იმ წყაროს წვეთები იყო. ცრემლი დაღორულ სახეზე დაქანდა, ნიკაპზე ჩაცურდა და კაბის კალთაზე დაეცა. დაიმსხვრა მშობლიურ კალთაზე.

- დეიდა მელანო, რატომ მოიწყინე?
- დეიდა მელანო, რატომ იცრემლები?
- ნუ სწუხარ, დეიდა მელანო, გეყოფა...

გარს შემოეხევიენენ ახალგაზრდები, მეტადრე გოგონები, და მოფერებით ეკითხებოდნენ.

- მოაგონდა, გული ეთუთქება, გული!—ხმადებლა სთქვა ერთმა კოლმეურნემ, მერე ლენო პურის ნატეხზე დააწვეთა და ჩუმად დააყოლა:
- იმის ხსენებასაც გაუმარჯოს!..

ეს ამბავი ოცის წლის წინად მოხდა. მელანოს ვაჟი სანდრო მაშინ თვრამეტი წლისა იყო. დღესაც თვალწინ უდგას მელანოს თავისი ვაჟის სახე. შავი, ერთმანეთზე გადაბმული წარბები ღრმა და ჩაეარდნილ თვალის გუგებზე. კეხიანი ცხვირი და ოდნავ წინ-წამოწყეული ნიკაპი. მის შუბლს ქოჩორი ჰფარავდა, ხოლო ზედა ტუჩს—ახლად ამოსული თხელი ულვაშები. იყო ტანადი, ჯანიანი, მუხლმაგარი და გამბედავი. ათი წლის ბავშვი საქონელს მთაში საძოვარზე დაჰყვებოდა. ბნელი ლამეებიც უთენებია. შორი გზებიც უთელია. ბევრჯერ მშიერიც ყოფილა. შინ, ქობში, რომ მივიდოდა, ისეთსავე უბედურებას განიცდიდა, როგორც გარეთ, ღია ცის ქვეშ. თუ წვიმა მოდიოდა, მის ფარღალალა ქობშიაც ჩადიოდა, თუ ქარი ჰქროდა, მისი ქობის ფიცრულ კედლებსაც თავისუფლად ატანდა. ყინვასა და სიცივეს შუაცეცხლი ოდნავ თუ აწელებდა. დედაცა და შვილიც სხვებისათვის მუშაობდნენ.

გლეხის ოჯახი გაპარტახებული იყო. ბედელი—ცარიელი. საქონელი—მშიერი და გაძვალტყავებული. არც მიწა ჰქონდა, არც უფლება.

სწორედ ოცი წლის წინად ქალაქიდან ახალგაზრდა უმწირო ამოვიდა ჭოჩორგადავარცხნილი, მოღიშარი და კეთილი სახით ტალახში ამოსვრილი და ქუსლებგაცვეთილი ჩექმები ეცვა. სატინჯი ქვედათქვე შემორტყმული ქამარი მის ტანს მოხდენილ იერს აძლევდა; ქსენოტოსთან მივიდა. ისინი ამ ფარღალალა ქოხში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. მაშინ მელანოს ძალიან აკვირვებდა სანდროს საქმიანი და მზრუნველი სახე. ახსოვს მელანოს, როგორი ნალვლიანი მდუმარებით შესცქეროდა სტუმარი მის ღია კერსა და კედლებს.

მეორე დღეს ათიოდე ახალგაზრდა სოფლის მახლობელ ტყისაკენ გაემართა. იქ, სიღრმეში, ტოტებჩამოწოლილი ვერხვის ქვეშ თავი მოიყარეს. ქალაქიდან მოსული ესაუბრებოდა მათ, რაღაც ფურცლებს უკითხავდა.

— ახლა კი გავიგეთ, საქმე როგორა ყოფილა...

— იცი, მშობილო, შენისთანა ამხანაგი აქ რომ გვეყავდეს, რაღა გვიჭირს...

— გონება გავვიხსენი და ქვეყანა დაგვეანახე, — ამბობდნენ ბიჭები.

— ბიჭებო, ავრე გულგატეხილად ნუ იქნებით, — წარმოსთქვა სანდრომ, — ბორია ჩვენი ამხანაგია, ამოვა ხოლმე, დაგვეხმარება, გვიხელმძღვანელებს. ოღონდ ჩვენი გული იყოს ერთიანი.

და იმ დღეს კომკავშირის უჯრედი ჩამოაყალიბეს. სანდრო უჯრედის მდივნად აირჩიეს.

როდესაც ბიჭები დაიშლნენ, ტყეში უკვე მწვანე ბინდი იწვა. თითოეული მათგანი ჩაფიქრებული, მდუმარე და რაღაც უხილავი ტვირთით დამძიმებული ბრუნდებოდა შინ. ისინი თავიანთ თავს ესაუბრებოდნენ, და მათი გონების თვალწინ კვლავ ჩნდებოდნენ ის სურათები, რომლებიც ბორიამ დაუხატა.

სანდრო შინ დაბრუნდა. ბორიას მიერ ნაჩუქარი ლენინის სურათი უბით მოჰქონდა. ძილის წინ მბეტრავი ლამფის სინათლეზე დიდხანს დასცქეროდა მაღალ გონიერ შუბლს, პატარა და ნაპერწყლებით სავსე თვალებს. სანდრო ისე გრძნობდა, თითქოს მის ოთახში უჩვეულო შუქი აენთო, და ნათელი ფიქრებით აღფრთოვანებულს ამ შუქში ჩაეძინა.

ამ დღიდან სანდრო შეიცვალა. შინაც და გარეთაც მდუმარე და დინჯი იყო. მის ასაკს ასეთი სიღინჯე არ შეეფერებოდა. მელანო სწუხდა. ეგონა, შეიღს რამე უბედურება აწუხებდესო. სურდა გაეგო სანდროს გამოცვლის მიზეზი, რომ დედური აღერსით და დარიგებით შეემსუბუქებინა მისი დარდი. როდესაც მელანო ეკითხებოდა:

— რას ნაღვლობ, შვილო, რა გაწუხებს, გამაგებინე.

სანდრო ისეთი ნათელი ღიმილით შეხედავდა ხოლმე დედას, რომ სიტყვები აღარ სჭირდებოდა, რათა თავისი აღფრთოვანება დაემტკიცებინა. გულის საიდუმლოს კი დედასაც არ უმხელდა.

— როცა დრო მოვა, ყველაფერს გეტყვი და თუ გინდა, მაშინ გამოჩნდება, — ხანდახან თავის ნათელ ღიმილს ამ სიტყვებსაც დააყოლებდა ხოლმე.

არ გასულა დიდი ხანი და ერთ დღეს სანდრომ მუცლისკენ მიმართა:

— დედა, რაც ჩვენს გარშემო სოფლებია, ყველა აჯანყდა. ვინც ამდენს გვაუშავებს და შიმშილით გვეკლავს, მათი თავიდან მოცილება გვინდა. ჩვენი სოფლის ახალგაზრდები ჩემთან არიან. მთავრობასთან საბრძოლველად გავდივართ. თუ საჭირო იყოს, შენც ნუ დაიზარებ...

და სანდრომ ხელში შაშხანა აიღო, წელზე სავაზნე შემოირტყა და გარეთ გავარდა.

გაპარტახებულ სოფლებიდან, ფარღალა ქოხებიდან, მშიერ ოჯახებიდან გამოვიდა მშრომელი გლეხკაცობა იარაღით ხელში მიწისა და ძალა-უფლების მოსაპოვებლად.

მოადგა სოფლებს გვარდია. გარს შემოერთყნენ ზარბაზნებით და ტყვიამფრქვევებით. დაიწყო შეტაკებები. იფერფლებოდა სოფლები ყუმბარებით გაჩენილ ცეცხლში.

ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. მთავრობის ჯარმა და გვარდიამ ვერ მოდრიკეს აჯანყებულები. თავგანწირული იყო მათი ბრძოლა. სანდრო თავისი რაზმით ბევრგან ჩნდებოდა, მოულოდნელად დაესხმებოდა თავს და შერე ისევ უკან იხევდა, ტყეში ან მთაში.

ერთი შეტაკების დროს, როდესაც გვარდიელებმა რაზმელებს მთა-მთა შემოუარეს, მტრის დასაზვერავად წინ წასული სანდრო ხელთ ჩაიგდეს. სკადა იარაღის მოხმარება. მაგრამ რამდენიმე კაცის მოულოდნელად თავს დასხმამ შებრძოლების საშუალება მოუსპო.

გვარდიელებმა სანდრო ხეში ჩაიყვანეს.

გვარდიის ოფიცერმა უდიერად გადახედა სანდროს და დამკინავი ხმით შეეკითხა:

— ეს თქვენა ხართ, კომუნიზმის აშენებას რომ აპირებთ?

— დიალ, მე და ჩემისთანები, რომლებსაც ლენინისა და სტალინის აზრი და საქმე მიგვიძღვის წინ.

— ხრამში რომ გადაიჩეხები, როგორ ლა ააშენებ კომუნიზმს?..

— მე მილიონი ამხანაგი მყავს. ისინი ააშენებენ.

— იმ რალაც კომუნიზმს სიცოცხლე თუ გირჩენია, მოპყევი რაც იცი შენი ამხანაგების შესახებ.

— რადგან ეს თქვენთვის საჭიროა, ვიამბობთ. ჩემი ამხანაგებისა მხოლოდ ის ვიცი, რომ თავიანთ რწმენას არ უღალატებენ, სიკვდილამდე იბრძობენ.

— ჯიუტობით ჩვენთან ვერას გახდები. სოფელში თავისუფლად გავიშვებ, ძალზე ახალგაზრდა ხარ, რა დროს შენი სიკვდილია. ნუთუ არ გინდა სიცოცხლე?! სად დგანან მათი რაზმები? რომელი გზით შევიდეთ სოფლებში? ჩვენ ხომ მხოლოდ მათი დამშვიდება გვინდა...

— სოფლებისაკენ ყოველი გზა დაკეტილია. ერთად-ერთი გზა ქვესენელიდან ასეაა, მაგრამ თქვენ ხომ თხუნელები არა ხართ, რომ მიწა-მიწა გაძვრეთ.

— უღვაში მაინც ამოგვლოდა და მერე მომკვდარყავან შუნი თავი თუ არ გეყოლება, ან დედა გეყოლება, ან და, ან ძმს, სანდროს მსგავსად. გვარდიის ოფიცერს სანდროს გამოტეხვა უნდოდა. დახვრეტის წინ აწვალებდა, გულს უწყალებდა.

— მოუტათ ნიჩაბი და წერაქვი, დეე, თავისი საფლავი თვითონვე გათხაროს. სიკვდილის წინ პატარა წაიმუშაოს.

სანდრო განცვიფრებული შესცქეროდა გვარდიის აფიცერს. შესცქეროდა და უკვირდა, რომ გარეგნულად ადამიანსა ჰგავდა, მაგრამ რალაც არაადამიანურს გრძნობდა მასში.

მართლაც, რამდენიმე წუთში ნიჩაბი და წერაქვი დაუგდეს ფერხით.

— საკუთარი საფლავის თხრას გადავეჩვიეთ. ჩვენ მტრებისათვის ეთხრით საფლავს. — შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა, ბრაზით აღზნებულმა სანდრომ.

— თუ საფლავი არ გინდა, მაშინ ყვაეების საძიძვნად ეგდები. მიიყვანეთ ხესთან!

სანდრო ხესთან დააყენეს. იღვა და რალაც გულგრილი უბრალოებით შესცქეროდა მისკენ მიშვერილ თოფებს, რომელთა სასხლეტებზე დადებული თითები ძახილს ელოდნენ, რომ ტყვია-წამალით აფეთქებულიყვნენ.

მაგრამ იმის მაგიერ, რომ სროლის განკარგულება გაეცა, ოფიცერი ხანტად წამოდგა, დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა და შეეკითხა:

— ხომ არ გადაიფიქრე? ხომ ხედავ, მართლა გხვრეტავთ? მე კი სიცოცხლე მინდა გაჩუქო.

— შენგან ნაჩუქარ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩვენია... მესროლეთ...

— მაშ, რადგან აგრეა, დახვრიტეთ! — ბრძანა მოთმინებიდან გამოსულმა გვარდიის ოფიცერმა.

ხრამის პირას მიიყვანეს. პირველი ტყვიით ისე გადაეშვებოდა ხრამში, როგორც უზარმაზარ სამარეში. მიდიოდა დინჯი და მტკიცე ნაბიჯით. დარჩენილი სიცოცხლის ამ მცირე ნაწყვეტში ფიქრობდა ვეებერთელა სიცოცხლეზე, რომელიც მთელ ქვეყანაზე იყო გაშლილი. ფიქრობდა სოფელზე, ამხანაგებზე, დედაზე. ოღონდ ისეთი ბურუსით იყო მოცული, რომ არ იცოდა, რას გრძნობდა მათდამი, რა უნდოდა მათგან, რას ინატრებდა მათთვის. ფიქრებში გართული და თვალებზე ბინდგადაკრული შემოტრიალდა. წარბშეუხრელად შეხედა მისკენ მიშვერილ თოფებს.

— იქნება რამე გინდა სიკვდილის წინ. გვთხოვე. — კვლავ შეეკითხა გვარდიის ოფიცერი.

— რა უნდა მქონდეს თქვენთან სათხოვარი? არაფერი, — მოწყენით წაილაპარაკა სანდრომ. მერე უნებლიეთ ხევში მოჩხრიალე წყაროსკენ გაიხედა. მწყურვალი თვალით შეხედა წყაროს და სთქვა:

— ნება მომეცით, სიკვდილის წინ წყურვილი მოვიკლა, მშობლიური მრწის წყალი დამალევინეთ.

— წყალი? ეს კარგი რამე ისურვე!.. მაგ თხოვნას უსურველდება არ შემიძლია. უმაგისოთაც შეიძლება სიკვდილი. სულ უნდა მოხდეს?! — დაცინვით და მჭეჯნავი კილოთი უბასუხა გვარდიის ოფიცერმა.

სანდრო დადუმდა. გულში თავის თავს ჰკიცხავდა სისუსტისა და მოუთმენლობისთვის. სწყინდა, რომ ნებისყოფის სისუსტე გამოიჩინა და წყლის დაღვევის სურვილი თხოვნასავით გამოუვიდა.

— მე არ გვედრებით, — ხმამალლა წარმოსთქვა სანდრომ, — ჩემს მაგიერ სხვები მოიკლავენ წყურვილს. მე მილიონი ამხანაგი მყავს, ის მილიონები საბოლოოდ მწყურვალნი არ დარჩებიან.

ახლოვდებოდა სიკვდილის წუთი. ამ მძიმე და უჩვეულო წუთის წინაშე სანდრომ მწარე ტკივილი იგრძნო. თითქოს რაღაცა ჩაუწყდაო. მაგრამ ამ დროს მის გონებაში ბრწყინვალე აზრმა იელვა: მოაგონდა, რომ გულთან ჯიბეში ლენინის სურათი ჰქონდა ჩაკრული. ვიდრე დახვრეტის ძახილს გასცემდნენ, წამის რომელიღაც მცირე ნაწილში ათრთოლებული, დამაბული ხელი შეკრდისაკენ წაიღო, უბეში ჩაიყო, ელვის სისწრაფით საყვარელი ადამიანის გამოხატულება ამოიღო შიშველ, ჯერ კიდევ თბილ, მფეთქვე მკერდში ჩაიკრა, — ჩაიკრა იქ, იქ, სადაც რაღაც საშინელის მოლოდინში ძლიერად და სწრაფად სცემდა ცოცხალი გული, — და მერე მკლავის ქვეშ, ილღიაში შეაცურა. სანდრო იდგა, ცალი ხელი გულზე დაეკრიფა, ცალი კიდევ მოტეხილი ტოტივით ძირს დაეშვა. თავი ისე ჩაელუნა, როგორც ყველაფერს შერიგებული და უკანასკნელი წადილის ასრულებით კმაყოფილი. მისი ხელის უცნაურმა მოძრაობამ განაცვიფრა გვარდიელები, მაგრამ ისე სწრაფად მოხდა ეს, რომ რაიმე დასკვნის გამოტანა არ შეეძლოთ.

— ცეცხლი!.. — გაისმა ძახილი და რამდენიმე თოფი ერთდროულად გავარდა.

სანდროს მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ ხელი მაინც მაგრა ჰქონდა. ილღიაში ჩაკრული. გვერდიდან სისხლი მკლავზე და მაჯაზე სდიოდა და უაზროდ და მიბნედილად იყურებოდა, თითქოს სიამოვნებდა საკუთარი სისხლის სითბო.

წამიც და მთელი ტანით მოეშვა, მოდუნდა, ხრამში გადაეშვა.

გავიდა დღეები, კვირეები.

მელანოს შვილის ამბავი არ მოსდიოდა. თითონაც მიდიოდა რაზმელებთან. მებრძოლებისათვის საკმელ-სასმელი მიჰქონდა. ველარ ხელავდა თავის ერთად-ერთ ვაჟს.

შემდეგ უამბეს, როგორ ჩაუვარდა ხელში გვარდიელებს. ამშვიდებდნენ, ეუბნებოდნენ — ცოცხალი იქნებაო.

ვერ მოისვენა მელანომ. ფეხზე „რკინის ქალმნები“ ჩაიცვა და შვილის საძებნელად წავიდა.

დადიოდა ტყეებში, მთებში. გაისმოდა მისი არაჭათგამოკლარო ამო-
ძახილი— „სანდრო, შეილო“. დადიოდა ხეებში, ქალებში და მიხედვებში.
ძებნით თვალები გაწყალებული ჰქონდა, ხეების ხმელი ტოტებისაგან
ტანსაცმელი შემოფხრეწილი; ფეხები წვეტიანი ქვებისაგან დასითუქტილი.
გამვლელსა და გამომვლელს ეკითხებოდა. იმდენი იარა, რომ მტოის ბა-
ნაკში მოხვდა.

— შეილი დამეკარვა, — შესჩიოდა მათ, — თვრამეტი წლისაც არ იყო,
ხომ არ გინახავთ?

ხელის კვრითა და მუჯღუგუნით აგდებდნენ მელანოს. გვარდიელთა
ბანაკს რომ არ სცილდებოდა, ძალით გაათრიეს შარა ვზაზე. მაშინ
ერთმა გვარდიელმა ჩუმად წასჩურჩულა:

— დედი, კარგს ვერაფერს გეტყვი, შენი შეილი დახვრიტეს.

გულს შემოეყარა მელანოს. შეჰკივლა. სასოწარკვეთა. მუხლები
ჩაეკეცა. თავი მაინც შეიმავრა, წამოდგა.

— შენი თვლით ნახე? — წაილულულა მელანომ.

— ვნახე, დიახ, ვნახე.

— მითხარი, შეილო, რა სთქვა სიკვდილის წინ? მე ხომ არ მახსე-
ნა? რა ინატრა?

— წყალი ინატრა, დედი, მწყურიაო, წყურვილს მოვიკლავო.

— მერე?

— წყალი არ დააღვეინეს. მწყურვალე მოჰკლეს.

— მწყურვალე?! მწყურვალე მოკლეს?! — ხმაშლლა წამოიძახა მე-
ლანომ და ხელები ცისკენ ალაპყრო, — ღმერთო, შენ დაეხმარე ყველა
მწყურვალს, ღმერთო! — სთქვა სასოებით ეს და თვალთაგან მდულარე
კრემლი გადმოსქდა.

სწორედ მაშინ ჩაუქრა ის ცეცხლი, რომელიც მგზნებარედ ენთო
მელანოს თვალებში. აი, მაშინ გაუხდა თვალები ნახშირით მუქი,
ბნელი და გამოფიტული.



გავიდა რამდენიმე წელი.

ახალი ცხოვრება დაიწყო საქართველოში.

მელანო მოხუცდა, წელში გატყდა. სახეზე ნაღველმა ღარები დაამჩ-
ნია. დარჩა მარტოდ-მარტო, გულმოკლული. შრომით ირჩენდა თავს და
ცხოვრობდა სოფლის სიყვარულში.

ერთ დილას ნათელმა აზრმა გაუბრწყინვა გონება. გადაწყვეტილების
შესასრულებლად ყოველ ცისმარე დილას დგებოდა, დადიოდა სოფლის
გარეთ, ხევის პირას, იქ, სადაც ერთ მხარეს ვენახები იყო გაშენებული
და წინ სოფლის შარაგზა მიდიოდა.

ხევის თავში, კარგა მალლობზე წყარო მოჩხრილებდა, წმინდა, ანკარა, ბროლივით სუფთა. ქვევით ეს ხევი ფართოვდებოდა, იშლებოდა და წყარო მის ქვებსა და ბუჩქებში იკარგებოდა.

მოხუცმა მელანომ წყაროს სათაეიდან დაწყებულს კანაპოტის გაუკეთა. ყოველდღე სთხრიდა და ამაგრებდა პატარა ვიწრო კალაპოტის ნაპირებს. ისეთის მზრუნველობით და გულმოდგინებით დასტრიალებდა თავს მოდუღუნე წყალს, როგორც მშობელი პირმშოს.

რამდენიმე კვირა იშრომა, იწვალა და შერა გზასთან, ვენახების პირას წყარო გამოიყვანა. საკუთარი ხელით გამოსჭრა ლაფნის ხე, გამოსთალა ღარი. შეუდგა ხევიდან ჩამოყვანილ წყალს, და აჩქეფდა წყარო.

როდესაც გლეხები შეეკითხნენ:

— დეიდა მელანო, რისთვის გამოიყვანე აქ წყარო, ამდენი რათ იწვალეო.

მანამდე გულხათხრობილმა და მდუმარე მელანომ თავის ნაშრომს დახედა და სთქვა:

— შეილებო, ჩემი სანდროს მოსაგონად, ერთად-ერთი შეილის სამახსოვროდ. დეე, გამვლელმა და გამომვლელმა წყურვილი მოიკლას. ჩემი სანდროს სახელობაზე გამოვიყვანე, სანდროს...

ჩალუნა თავი, იქვე ქვაზე ჩამოჯდა და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა წყაროს.

და ბინდისას შინ დაბრუნდა.

გავიდა მას შემდეგ წლები. სოფლად კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. იმ დროს მელანოს ფარლალა ქობის მეტი არაფერი გააჩნდა. იგი კოლმეურნეობაში მიიღეს, და მას შემდეგ მელანო დაუღალავად და სიყვარულით ჩაება საერთო შრომაში.

დოვლათით აივსნენ კოლმეურნეები. ახალი ფართობები მიემატა მათ საყანე მიწებს, ბაღებს, ვენახებს, და მელანოს მიერ გზის პირად გამოყვანილი წყაროც კოლმეურნეობის ვენახში მოჰყვა.

რთველზე გამოსული კოლმეურნეები ახლა ამ წყაროსთან სხედან და სადილობენ. აქ გაიეღვა კოლმეურნეების გონებაში ამ გრძელმა და გულისმომცველმა მოგონებამ.

მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩამოვარდა სიჩუმე. მდუმარედ შესცქეროდნენ მელანოს. ისეთი სიჩუმე იყო, რომ მელანოს თვალთაგან დავარდნილი ცრემლის დაცემის ხმასაც კი გაიგონებდით.

— დეიდა მელანო, — ხმამალა და მზიარულად შესძახა შალვამ, — ჩვენ ყველანი ხომ შენი შეილები ვართ... აი, შემოგვხედე, მე, თამარი, სერგო, აი ეს ჩვენში ყველაზე პატარა ლექსო, განა შეილივით არ ვიყვარს? ჩვენ სანდროს სიკვდილის მაგალითზე ვისწავლით მტრებთან ბრძოლას, სახელოვან სიცოცხლეს და სახელოვან სიკვდილს. ის ჩვენს სოფელში პირველი კომკავშირელი იყო, რომელმაც დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისათვის თავი გასწირა.

და შალვა გაჩუმდა. კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გრძობების სიკარბემ აზრის ძაფი გაუწყვეტა.

მელანომ შეხედა ახალგაზრდებს და ღიმილი გადმოჰქადასობდა. მის თვალწინ აღიმართნენ ცოცხალი და მოძრავ-თვალნიანი, ხელნიერი ღიმილით შეღამაზებული, ჯანსაღი, პირმრგვალი სახეები.

— მან ვერ მოიკლა წყურვილი, მაგრამ შილიონები დაეწათნენ ბედნიერების წყაროს... ბიჭებო, ტოლებო, კომკავშირელებო, შეხედეთ ამ წყაროს, ის სჩქევს, როგორც სიწმინდე. ამ წყაროში ჩაქსოვილია სანდროს სახე და სახელი და განა ის მკვდარია?! ის ცოცხალია, ის ჩვენს ბედნიერებაში სუნთქავს!.. — ხმამაღლა აღგზნებით წარმოსთქვა შალვამ და ამხანაგებს გადახედა...

— დეიდა მელანო, სანდრო ჩვენს ბედნიერებაში სუნთქავს, — დაბალი ნელი და დამაჯერებელი ხმით გაიმეორა შალვას ნათქვამი კომკავშირელმა გოგონამ, მელანოს მიუახლოვდა და მოეხვია. მელანომაც მოღიშარი სახით მხრებზე ხელი შემოავლო და დედური გრძობიერებით მკერდზე მიიკრა.

— აბა, ხაზო, კვლებზე, თორემ ყურძენი სიმწიფისაგან ცრემლად იღვრება, — წამოიძახა შალვამ და თავის ბრიგადას გაუძღვა.

რთველი განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ სიმღერის ხმაც გაისმა.

მელანო კარგა ხანს ნათელი სახით შესცქეროდა შრომაში ხალისითა და მზიარულად ამღერებულ ახალგაზრდობას და ნახევრად გასაგონი ხმით წარმოსთქვა:

— შეილებო, ძვირფასო შეილებო, გაიხარეთ, გაიხარეთ!..

მერე უცბად შეტრიალდა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

მთელი დღე, ვიდრე მზე სკოლის მახლობლად მდებარე მთას ამოეფარებოდა და ცა შემოდგომის გრილ და კრიალა ვარსკვლავებს მოიხამდა, კოლმეურნეობის ბალ-ვენახებში მზიარული ხმაური, ძახილი და სიმღერა არ შეწყვეტილა.

ღამით საწნახლებში ბიჭები მზიარულად სწურავდნენ ყურძენს, საწნახლების ღარებიდან კი ქარვისა და ლალის წყაროები მორაკაკებდნენ.

მოხუც კოლმეურნეებს ხელში ჯამები ეჭირათ და ძველი ღვინით ლოცავდნენ ბედნიერებისათვის ტკბილ და სიხარულივით საამურ მაჭარს.

მასაც დაძველებას უსურვებდნენ...

მოსკოვი

ახლა ლამეა, უკვე აღარ თოვს,
 მიწებზე ქარი მიჰქრის ტიალი,
 რომ ყინულები შემოახატოს,
 როგორც ხელები იპრიტიანი.
 ახლა ლამეა, შე ვინ მალეიძებს,
 ისევ ყინვაა და ისევ ქარი,
 გამოვალ გარეთ ლექსის ძახილზე,
 თოვლივით თეთრად ღამის მთევარი:
 გავყვები ქუჩებს ლექსის ჩურჩულით,
 ამ ლექსებს სხვა დროს რას ვუშველიდი,
 ბედნიერების ერთი ბუღბუღი —
 სამხრეთის შვილი და რუსთველიდი.
 შე მოველ არა ყმა, მგლოვიარე,
 არა მოხარკე,
 მეც, ჩრდილოეთის
 გზა სიყვარულით გამოვიარე
 და სატახტოში ლექსით მოვედი.
 იგიც თბილია თავისებურად
 ის თბილისელთა სატახტოც არი —
 ბრძოლით და ძმობით დამტკიცებულა,
 როგორც სიგელი გასაოცარი.
 მოვედი ასე მკვიდრი კაცივით,
 რომ სამყოფელი ვნახო ლენინის,
 რომ ვნახო ჩვენი დიდი არწივი.
 ქართლის გულიდან გადმოფრენილი.
 მოვედი, ვიგრძენ ჭალაქის კართან.
 რა ახლო არი გასაკვირველი
 და დარიალში შემოსვლას ჰგავდა
 ეს სიხარულის განცდა პირველი.
 შე ამ სიხარულს ვმღერი ჩურჩულით,
 ამ ლექსებს სხვა დროს რას ვუშველიდი,
 ბედნიერების ერთი ბუღბუღი,

კოლხეთის შვილი და რუსდველიდი.
 ახლა ლამეა... მოთოვს ყელამდის,
 ნე ქარი მიყვარს, ამ თოვლას ვაჭებ,
 ამ დიდ ქალაქში ცხოვრობს ბელადი,
 მეც ამ ქალაქის ვარ მოქალაქე.



მე მოგნახავდი სანაძლეოდაც,
 რომ გამომველო გზა საშინელი,
 გული ყინულად გადაგქცეოდა,
 მე გავხდებოდი პაპანიწელი.

ცად ასულიყავ, შენი სასახლის
 შუქი მეხილა იქნებ მცირედი,
 შემოგწედებოდი ხელის ცახცახით,
 რქებს მათხოვებდა კიბედ ირემი!..

მავრამ სადა ხარ...

წუთით, ხანდახან

გულის მომკვლელი გამკრავს ფიქრები:
 რისთვის, როდესაც გულში აღარ ხარ,
 რალად გეძებო, საღა იქნები.

მესიზმრა ბალი რიკრაჟიანი,
 მწვანით და ვარდით შემოზღუდული,
 ჩიტებს ვაპქონდათ ყრიალ-ყრიალი,
 ავსებულყო ეზო ელურტულით.

გამომეღვიძა. ოდნავ ხილული
 ჩანდა სარკმლიდან ცა ჭირხლიანი,
 სახურავიდან მოტყდა ყინული
 და მოდიოდა ღარში ხრიალით.

და მომძახოდა მედიდურებით:

რა ადვილია ზოგჯერ შეცდენა —

მე ვიმსხვეოდი, შენ ჩიტუნების
 ღვილხივილად რომ მოგეჩვენა.

მოტყუედი განა? ქარი შხუილით —

ჯერ კიდევ დაპქრის — ზამთრის ფრინველი;

— ასეთი უყვარს აპრილს ტყუილი,
 დღეს ზომ აპრილის არის პირველი?!

ალ. ჭიჭიჭილი

ლ ე ლ ო

რომანი ¹⁾

ჩამწარბეული ლხინი

ჩამოიწურა ეს მღელვარე დღეც. ესმა და ქიონია ვახშმის სამზადისს მორჩნენ. ფარნა და სეფეც ამოვიდნენ სანერგიდან. დღეს გახურებული მყნობა ჰქონდათ. ხელები სულ დაჰკაწროდათ ტრიფოლიატის ეკლებით. ქიშვარდი მოუთმენლად გასცქეროდა თემშარას. სტუმრები იგვიანებდნენ.

სალამოზე ელიზბარას დედა ლესტანა ამოვიდა, წელში ორად მოხრილი, ყოფილი დედამანია. ქიშვარდის მუხლებზე მოეხვია, აუტირდა, თურმე რაცბა გაწყენია ამ დილას იმ ჩემმა გადარეულმა ბიჭმა, დედაშვილობას გულში ნუ ჩაირჩენ, ამ ჩემს ქალარას დასდე პატივი, მე მყავდა მობარებული მოსავლელად ის მოხერები, ძალით წაიყვანა წუხელის იმ დედაგაგლეჯილმაო. მოატყუეს, გააბრიყვეს სიბიტომ და ყაისარამ, ასე ათრევენ და ხედნიან, თვითონ კეთდებიან და ჩემ შვილს კიაყელა მოუცევა სახლში, რამდენს ვუჩიჩინებ, ვერაფერი შევასმინე, ვერ ისწავლა ჭკუა, მაინც მაგენს დასდევსო. ახლა ამ ხარების გულიზა რამე რომ შეახვედრონ, რა ეშველება მის ბაღნებსო. ესმაც გამოესარჩლა ლესტანას. მთელის დღის ფაცა-ფუცში ქიშვარდის გადავიწყებული ჰქონდა დილანდელი შეტაკება. ლესტანა დააიმედა, შენ ხარებს მოუარე და მე ჩემ წყენას არ გავსდევო. ლესტანა ლოცვითა და მადლობით წავიდა.

სტუმრები კიდევ არ სჩანდნენ. ყველას სეჩიამ მოუსწრო. ამბები ჩამოიტანა — შერმანდია და ებიფანე ვარდოულში გაიძახესო. სილოვანაც იქ წავიდაო. ბრივადას კი ჯერ საწარმოო თათბირი აქვს, დღევანდელი კრფის შედეგებს აჯამებენ, სახვალიო შეტევისათვის ეშხადებთან, ძალებს ანაწილებენო.

ქიშვარდის გული დაწყდა. რამდენი ამაგი დასდეს შერმანდიამ და ებიფანემ ოდის შენებაზე და ახლა სწორეთ ისინი უნდა დაკლებოდნენ მათ წვეულებას.

¹⁾ გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 7, 1938 წ.

როცა ურმები კრიალით მოადგნენ ქიშკარს, უკვე იმდენად ბნელოდა, რომ ესმამ და ქიონიამ ხელნათურები შეაგებეს. ურთმანეთის დახმარებით, ყიეინით და შეძახილებით გადმოიღეს მეურმეებმა ქვის ბოძები. ხარები გამოხსნეს და ნედლი ჩალა დაუყარეს.

ქიშვარდი ეზოში უწყესრიგოდ დაყრილ ბოძებს შორის დაბორჩალობდა, ხან მტკავლით ზომავდა, ხან თავებს აუწევდა, თითქოს ანგარიშობდა, იქნებოდა თუ არა ამ ბოძებზე წამომდგარი ოდა ბონდოს სახლის სიმაღლე. და ამ ფიქრებში წასულს ყრუდ ჩაესმოდა ნედლი ჩალის ღერების ხრაში-ხრუში, მეურმეების შეძახილი და ტრაბახი იმის შესახებ, თუ რა ბურთივით დაკუმშული მოდიოდნენ ლომა და ალმასა აღმართში და როგორ „ამოადლონიზეს“ წებოსავით სქელი ტალახიდან ურემი.

სკაჩიას ჩახჩახი მაინც ყველას ხმას ფარავდა. ყოვლის მცოდნე სკაჩიამ თითოეული ხარის ძალა და ხასიათი იცოდა, რომელი აღმართში იყო ძლიერი, რომელი დაღმართში, რომელს რა ზნე სჭირდა ხიდზე თუ წყალში გასვლისას.

— ქიშვარდი, ბიჭო, რას უდარაჯებ მაგ ბოძებს, ხომ არ გეშინია, ეინმემ ჯიბაში არ ჩაიღოს? — გასძახა ზუმრობით სკაჩიამ ქიშვარდის.

— არა, კაცო, ვინაა ახლა მაგისთანა გარდანქეშანი! აგერ სიმაღლეს ეზოშავე, — მიუგო ქიშვარდიმ და მეურმეებისკენ წამოვიდა.

— მაგას თუ შეიძლებს, ისევ ჩვენი მიხელა შეიძლებს, — ჩაერია სეფე.

ყველამ ქის კონტარივით აღანძულ მეურმისაკენ მიიხედა, რომელიც ჩალისთვის წაკიდებულ ხარებს აზავებდა. ახმახი იყო მიხელა, სპილოს ძალა ჰქონდა, საწნახელი თუ იქნებოდა ტყიდან გამოსატანი ან დვიროები სხვენზე ასატანი, უსათუოდ მიხელას დაუძახებდნენ. უსაშველო მშველიც იყო მიხელას საწნახელის ტყიდან გამოტანაც შეუძლია და დაცლაყო, ოხუნჯობდნენ მასზე.

ახლა, სეფეს წაქეზებით თუ იყო, მიხელა ისე მიაწეა რქებგადაშლილ ლომა ხარს, რომ კინალამ ძირს დასცა.

მეურმეებმა ბოლოს ხარები დააბინავეს, დაცლილი ურმები მისწიბოსწიეს, რომ ეზოში გასაველელი დაეტოვებიათ, და ფიცრულის აიენის წინ შეგროვდნენ. ბრიგადის ხალხი და სხვა წვეულები ჯერ არსად სჩანდნენ, და ქიშვარდის მოუთმენლობა იზრდებოდა. როგორ უნდა შეასრულოს შერმანდიასთვის მიცემული დაპირება — შუალამემდი მოვასრულებთ ქეიფს და ხვალ სამუშაოზე ხალხს არ მოვაცდენო.

თანაც ეშურება ბრიგადის წევრების ჩამოსვლა, განსაკუთრებით ციცინოსი. როგორ გაუყვირდება ციცინოს, ქიშვარდის ნამუშევარს რომ ნახავს. ამ ფიქრზე ღიმილი მოადგება სახეზე, ისევ ის დილა მოაგონდა, სკაჩიამ რომ იხუმრა — ქიშვარდი, ალბათ, უხუთშაბათო კვირაში აიშენებს ოდასო.

მას უკან ციცინოს არც კი გაუვლია მათსა, და ქიშვარდის გულს უტოკებს ის, თუ რა რიგად ვააოცებს ციცინოს დასაყადლებული კრა-

მიტი, დათლილი კოჭები და ჭვის ბოძები. თითქმის მზადაა ორა, შეასრულა ხომ ჭიშვარდიმ თავისი დანაქადები ციციხოს წინაშე — ბიჭი არ ექნება, თუ მარიამობისთვემდი სახურავში არ მოვიყვანო, ოდასო.

„ეგეც შენი უხუთშაბათო კვირაო“, თითქოს ნიშნის მიხედვით ამეორებს ჭიშვარდი თავის გულში და ბავშვეური თავდაუქერლობით კუნტრუშებს. მაგრამ სწორედ ისინი არა სჩანან, ვისაც უნდა უთხრას ჭიშვარდიმ, ეგეც შენი უხუთშაბათო კვირაო.

მთვარე შევახშმებაზე იყო, როცა სტუმრები ეზოში შემოვიდნენ. ჭიშვარდის გული დასწყდა: ამ სიბნელეში ჭიშვარდის მშენებლობას ციციხოს ნათელი თვალის ვაკირვებით თუ გააჩვენდა. ღამის წყვილიადს მხოლოდ ეზოში სიხარულივით მოფანტული ბურბუშელა ანათებდა, მაგრამ გზის გასაგნებად ეს არა კმაროდა. სტუმრებს ხან ბოძებისთვის ამოთხრილ ორმოებში უვარდებოდათ ფეხი, ხან ეზოში უწესრიგოდ დაყრილ მასალას ეჯახებოდნენ და ერთმანეთს მხიარულად გასძახოდნენ: კისრის ტეხაო.

კვესია მხიარული წკმუტუნით და კულის ჭნევით შეეგება წვეულებს. მესამე ბრიგადის ხალხი ურთიერთთან ძალიან გაშინაურებულნი იყო და კვესია მათ ისე უყურებდა, როგორც ოჯახის წევრებს — თავის დღეში არ დაუღრენდა. ეჭიმი და ფოსტის გამგეც ყველა წვეულებაში აუცილებელი წევრები იყვნენ და მათ არა თუ მშვიდობიანი კვესია, არამედ მთელი სოფლის ძაღლებიც კარვად სცნობდნენ, ყველაზე ბლენიანებიც კი არასოდეს არ შეჭყეფდნენ. ფორტოგრაფი ტერენტიც მათ აპკიდებოდა თავისი ზანდუკის ტოლა აპარატით ზურგზე.

— ასეა ხათრიანი კაცის საქმე! არ გვქონდა დრო, მარა გავიჭირვეთ და წამოვედით, გვეშინოდა, ჭიშვარდის ღვინო არ ამმარებოდა ქურში. — აივანზე შემოსვლისთანავე ამოილაპარაკა სარდიონმა.

— თვარა თქვენ რომ დიდი მსმელი ბრძანდებით სარდიონ, საკუთრათ ერთ ქურს დასცლით, — სთქვა თავგიდელა ტერენტიმ.

— არა, ჩვენი ტერენტი თუ ღმერთმა კარვად ამყოფა, სამღვთოში ღვინო არა კაცს არ აუძმარდება, — წამოიძახა ბრვე მიხელამ.

— მე კიდევ საწყალი მიხელა მეცოდება, ბამბით რომ უწურავენ ღვინოს პირში, — არ შეარჩინა ტერენტიმ სიტყვა მიხელას.

ყველას გაეცინა.

ყველამ იცოდა, თუმცა მიხელა ღვინის დიდი მტერი იყო, მაგრამ ამ მტრობას მისი უზომო რაოდენობის განადგურებით გამოხატავდა.

ესამა სტუმრები მოიკითხა და ისევ სამზადში შებრუნდა. ჭიონიას სახე გაჭარხალებოდა კეცების სიმხურვალისაგან. მარჯვენა ხელში სპილენძის თუნგი ეჭირა, მარცხენაში თითბრის ტაშტი, მკლავზე პირსახოცი გადაეგდო და სტუმრებს რიგრიგობით უვლიდა, სთხოვდა: ხელები დაიმშვენეთო.

შორი გზიდან ნავალი მეურმეები დამშეულები და დაღლილები იყვნენ, ზოგმა კი ხელის ბანა გააჭიანურა.

— რა ამბავია ამდენი ხელის ბანა! ძალლი ხომ არ ვავიკტეებიათ?
 — მაგას ქოპოსანივით აქვს ხელი, რათ უნდა, ბიძა, მაგას ეს ძვირფასი საპონი, მაგი ნაცრისძალით უნდა იბანდეს ხელსეკრძენული
 — აბა, მამაშენი დაახრჩო დუხმა და საპონმა! ~~აჰ ხტმარჩმარჩ~~ გასძახონდნენ მეურმეები ერთმანეთს.

ქიშვარდის მოლოდინი გაუმართლდა. ციციონომ მართლაც მოიბრინა მთელი ეზო, ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა, დიდი ამბავი დაგითენებიაო, მოუწონა ქიშვარდის, და ვაჟსაც სიხარულის ერუანტელმა დაუარა ტანში.

„კი ღირდა ამდენ გულისხეთქად და ჭაპანწყვეტად“, — გაიფიქრა მან.
 — ორ კვირაში სახურავში ავიყვან ოდას, — მიახარა ციციონს. თუ ფიქრობდა, რომ პალატზე წამოდგმული ოდა გადასწყვეტდა შეჯიბრებას მასსა და ბონდოს შორის.

შემდეგ ციციონო სამზადში შევიდა და შინაურულად დატრიალდა, ისე, როგორც წინად სჩვეოდა.

გობზე საფენელ-მოყრილი და საცობად გამზადებული ხაჭაპურები ელაგა. თვალის ტოლა ქონის წვეთები ცურავდნენ საცივის ზედაპირზე. შამფურ-გაყრილ გოქს თითქოს მხიარულად დაეყოჰა კბილები.

უზანდარასთან¹⁾ მოსახარშად გამზადებული ბეჭები ეკიდა. დინჯად თუხთუხებდა და ფშვინავდა ჯაქვზე შეკიდებული ჩაზელილი ლომი და ამ ხმაურში თითქოს სიმშვიდე ისმოდა და დარწმუნება, რომ ყველაფერი მზად იყო. ქიშვარდისაც ეშურებოდა ვახშმის დაწყება. არ უნდოდა შერმანდიასთვის პირის შეშლა.

— დღეს ადრე უნდა მოვათავოთ ეს ქეიფი, რომ ხეალ ხალხი არ მოცდეს სამუშაოს. ნამდვილ ქეიფს და ვარახელას მაშინ გავმართავთ, სულ რომ მოვასრულებთ ოდას, ვასაშლელი ოთახები რომ გვექნება, — გაუზიარა მან ციციონს თავისი იმედები და საზრუნავი და უცებ წამოწითლდა, თავში გაუელვა — ეს ვასაშლელი ოთახები რომ „გვექნება“ ციციონომ სხვანაირად არ გაიგოსო. ამ ფიქრმა დააბნია. სწრაფად აირბინა ფიცრულის კიბე.

ესმა და ქონია სტუმრებს იწვევდნენ: დაბრძანდით, როგორც გაეწყობა ამ ვიწროობაშიო. ციციონაც მათ მიეშველა. ქიშვარდი კი საჯდომების გამართვას შეუდგა. ზოგან ტახტები მისწიეს მაგიდებისკენ, ზოგან ტაბურეტებზე ფიცრები გასდეს. სტუმრები მიჯრით ისხდნენ. პატარა, თხმელის ფიცრული ისე გაიჭედა ხალხით, რომ მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელი აღარსად იყო, ვინმე გარეთ რომ გასულიყო, ყველანი ზეზე უნდა წამომდგარიყვნენ.

ტყუილად არ ბოდიშობდა ესმა. მართლაც არ იყო მოწყობილი მათი ფიცრული ასეთი დიდი წვეულებისათვის. ჭერი ისე დაბალი იყო, რომ შუატანის კაცი ხელით ადვილად შესწევდებოდა. ესმას ამ დილით

¹⁾ კედელზე დაკიდული კარადა.

იატაკი მოერეცხა. თხელი ფიცრები წყლით გაქვნილიყვნენ და კეხი-
ვით ამობურცულიყვნენ. მთვრალი კაცივით ბარბაცებდა მავთელს უსწო-
რ-მასწორო იატაკზე და წამდაუწუმ უსწოვებდნენ ფეხს.

— ასე ბანცალ-ბანცალით უნდა წავიდეს ხვალ ყველა აქედან, —
სთქვა თავვიდელა ფორტოგრაფმა ტერენტიმ.

— აბა გამაგრდი, თუ შეგიძლია, — გადმოსძახა ტერენტის ახმახმა
მიხელამ, რომელმაც ჯერ კიდევ თამადის არჩევამდე გააჩალა სმა მეურ-
მეებს შორის.

ქიშვარდის ეს ცუდად ენიშნა, ისევ ციცინოს მიეჭრა.

— გამოგვეკრიან ყელს ეს მიხელა და ტერენტი. თუ მაგათ აჰყვია ხალ-
ხი, ფუტკურივით ჩაიხრჩვებიან ღვინოში. ხვალ კაცად არ ივარგებენ, გა-
თენებამდე უნდა გავიდეთ სამუშაოდ, ხვალ შეჯიბრის უკანასკნელი
დღეა.

— სარდიონი დააყენეთ თამადათ, მაგი მისწრებაა ასეთ შემთხვევა-
ში, — მიუგო ციცინომ. — ამას წინათ ისე მშვენივრად ჩაატარა ჩვენსას
კამპანია, არც არაეინ დამთვრალა მაინც და მაინც და ძალიან მზიარუ-
ლება და დროსტარებაც იყო.

— აბა, სარდიონს ესთხოვოთ თამალობა, — ხელად აჰყვია ქიშვარდი
ციცინოს რჩევას.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ, თუ გვასმევს ღვინოს, ცოტა გულნაკლუ-
ლად სთქვა ტერენტიმ, — მაგი რა სათამალო კაცია, თვითონაც არ დალევს
და არც სხვებს დააძალებს, — გადაულაპარაკა მან მიხელას.

სარდიონმა ერთხანს იუარა, მერე დაჰყვია:

— ოღონდ, ერთი პირობით, ჩემი ნორმით იყოს სმა. აი, აგია ჩემი
საწყავი, — სთქვა მან და პატარა ჭიქა ასწია ზევით.

— ეჰ! — დაზაფრულად ამოიხენეშა მიხელამ.

ამ დროს ესმამ საცივი შემოიტანა, ქიონიამაც ზედ მოაყოლა ლან-
გარზე ჩაცუცქული შემწვარი გოჭი. ეტყობოდა, ეშურებოდათ ვახშმის
მოთავება, მაგრამ ამ სიციწოროეში კერძის გადაწოდება ადვილი საქმე
არ იყო. ქიონიას ზეაწვდილ ხელებზე ედგა ლანგარი. დაუღღღულ თხასა-
ვით ვარ აქ გახერგილიო, ოხუნჯობდა თავის თავზე სკამებს შორის გა-
ჩხირული ქიონია.

— რა ამბავია, ესმა, დაგიქცევია ოჯახი! — სთქვა ტერენტიმ და
ზედ ლანგარზე აადღლიზა გოქს წინა ფეხი, — რა შეპიწკინებუღია, ავი
ძვალთან-რბილიანად იქმება.

მისმა გამაყრუებულმა ხრამა-ხრუმმა თვალ ნათლივ უჩვენა სტუმ-
რებს, რომ გოჭი მართლაც ძვალთან-რბილიანად იქმეოდა.

— ამფერ ძვირფას შემთხვევიზა თუ არ მოვიმეტებთ, აბა რა დღის-
თვის მინდა ან გოჭი ან ქათამი! — სთქვა სახე-გაბრწყინებულმა ესმამ. —
ნეტა რამე გვექონდეს ასეთი ძვირფასი სტუმრების საკადრისი, თვარა
რაფა დავზოგავთ!

— ასეა პურადი ოჯახი, — მოწონებით სთქვა მიხელამ. — თორემ ხომ ვახსოვს, სეფე, ყაისარას რომ მიუტანეთ კრამიტი, რაფერი გოჭო მოგვართვა ვახშმად?

მურმეებში სიცილ-ხარხარი ატყდა.

— რაფერ იყო, რაფერ? რაცა მეც გამიგონია მაგი ამბავი, — შმაართა მიხეილას სარდიონმა, რომელმაც პირველად ესმას სადღეგრძელო შესვა.

— მიუტანეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყაისარას კრამიტი თორმეტი ურმით, — დაიწყო მიხელამ: — წაბლის ოდა უდგას იმ დამწვარს, იმხელა გასაშლელი ოთახები აქვს, რომ ცხენი ვაქენდება შიგ. დაგვაჯინა ვახშმად მჭეარტილიან ფაცხაში, მოიტანა რაცა გაჭირვებული ვახშამი, მხალი, ლობიო, მონაყილი ღვინო. ზამთარია, არ დაგავიწყდეს შენ. ვზივართ ვაგანია ცეცხლის პირას. დაიჩემა ყაისარამ, უძახის თავის კოლს: ქალო აღათი, მიხედე, არ დაიწვას იგი გოჭიო. მე კალენიკას ვეჭაჩები კალთაზე, ვეუბნები: ნუ მისკდი, ბიჭო, მაგ ლობიოს, გოჭი მოდის აგერ შემწვარი-თქვა. მეც ისე ვიცუცქნები ცოტ-ცოტას. მგელივით გეშია, მარა მადას ვინახავთ, გოჭისთვის. უცდით, ვაგვიწყალდა გული, აღარ დაადგა საშველი იმ გოჭის გამოჩენას. ყაისარა კი იძახის და იძახის — მიხედე ქალო აღათი, არ დეიწვას იგი გოჭიო. გამოგველია მოთმინება. ბოლოს მე ვავიტებე იხტიბარი, მიუბრუნდი ყაისარას: ყაისარ კაცო, გოჭია მაი თუ ველური ტახი, რაა ასეთი, რომ მთელი საღამო იწეება, გვადირსე აწი, გამოიტანე-თქვა. იცი, რაეა შეტა ყაისარა? უჰ, შენი მშვიდობაო, აგერ გოჭს ბლილი დაესია, ტანი დავბანეთ და კერია-სთან შრება, იმაზე ვეუბნებოდი ქალს, არ დაიწვას ცეცხლზე-თქვა, — დაასრულა მიხელამ ყაისარას გოჭის ამბავი.

ამან დიდი მზიარულება შეიტანა წვეულებაში. ყველა იმეორებდა, „არ დაიწვას გოჭიო“. ამ სიცილ-ხარხარში დასცალეს გოჭიანი ლანგარი. ტერენტი და მიხელა გულგაწყალბულნი შეჰყურებდნენ სარდიონს, ბუზღუნებდნენ — ვააცივო კამპანია.. აწი ქე უნდა დასცხოს ჩაის ქიქებითო.

— ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვაყოფინა“, — წამოიწყო ტერენტი. მიხელამაც ბანი მისცა, მაგრამ სარდიონი ნირსაც არ იცვლიდა. კმაყოფილი ღიმილი ბრწყინავდა მის მთვარესავით შრგვალ, ჩასუქებულ სახეზე. აუმღვრეველად განაგრძობდა სადღეგრძელოებს ღვინის ქიქებით.

— ხომ ვთქვი მე, სარდიონი მისწრებაა ასეთ შემთხვევაში, — უჩურჩულებდა ციცილო ქიშვარდის და ვაქსაც გული სიხარულით ევსებოდა, ციცილო რომ ასე გულდაგულ ეკიდებოდა მის საქმეს.

ტერენტი კი ისევ ბუზღუნებდა. სარდიონს აჯავრებდა — რა სათამალო კაცია მაგი, დაიკავებს ასე იწკიპიწკად ღვინის ქიქას ხელში კაცს მამაკაცის ელფერი უნდა ჰქონდესო.

ასე მშვიდად მიდიოდა ქეიფი, სარდიონი უკვე შეეპყრო სადღეგრძელოზე იყო. უცებ კვესია ყუფით მიასკდა ჭიშკარს. შეურჩევებს ძაღლებიც ახვავდნენ. ერთმანეთში აირია სხვადასხვა ხმეჭყუჭყუ და წკაფ-წკაფი. ეს ხმაური ისე გამოისმოდა, თითქოს ძაღლებიც ვერძინებდნენ წაყინებულს.

— ოჰ, მაგი ნამდვილად ვინცა ავფეხა უნდა იყოს, თორემ კვესია უმიზეზოდ კაცს არ დაეტაკება, — სთქვა სეფემ.

ჭიშკარდი წამოდგა და სტუმრების შესაგებებლად გაემართა.

შერმანდია, ებიფანე და სილოვანა თუ დაბრუნდნენ ვარდოულიდან, — სიხარულით ფიქრობდა ის, სანამ ერთმანეთზე მიჭრით მიდგმულსკამებს შორის გატანებას ცდილობდა.

მაგრამ როგორი იყო მისი ვაკვირება, როცა ამ სასურველ სტუმრების ნაცვლად ელიზბარას კეხიანი ცხვირი გამოჩნდა კარებში. რა უნდოდა ახლა აქ ელიზბარას, ამ დილით ამოწვდილი ბებუთით რომ მიიწვედა ჭიშკარდისაკენ? უფრო მეტად გაოცდა ჭიშკარდი, როცა ელიზბარას ზურგს უკან ჩაჩნურ ხალათში გამოწყობილი ბონდო დალანდა. ისე სახტად დარჩა, რომ ძლივს მოახერხა კარებში მდგომთათვის ეთქვა, შემობრძანდითო.

მაგრამ ელიზბარას დიდი წვევა და პატივიც არ უნდოდა. შემოსვლისთანავე ერთი ეშმაკურად გადახედა ჭიშკარდის, ისეთის გამომეტყველებით, თითქოს ეუბნებოდა: ხომ შეერიგდითო. თავგიდელა ტერენტი და ახმახი მიხელა საზეიმო ყიფინით შეზღვდნენ ელიზბარას და ბონდოს გამოჩენას.

— ემატოს კამბანიას, ემატოსო! — შეჰყვირეს კარებშივე. იცოდნენ, რომ მათ მოსვლას მაგარი სმა მოჰყვებოდა.

ელიზბარას და ბონდოს ეტყობოდათ, რომ უკვე ნაღვინევი იყვნენ. ელიზბარას ერთთავად უღვივოდა კეხიანი ცხვირი და ძელიანი სახე, ცხროიანივით უცახცახებდა მომწვანო თვალეები.

ბონდოს უფრო ემჩნეოდა ნასევამობა. სახე ყურებამდე შეფაკლებოდა, თვალეები ამღვრეოდა, ჩაჩნური ხალათის სახელოდან ტალახს იწმენდა — ეტყობოდა, სადღაც გზაში დატყმულიყო. მან ღიმილი შეაგება ჭიშკარდის.

— რაშია საქმე, ჩვენ ვქეიფობთ და თქვენ დამთერალხართ? — შესძახა სკაჩიამ ახლად მოსულთ.

— არც მაგენს დაუკლია ხელი, მაგათაც გადაუვლიათ საცხა ჭურის თავზე, — სთქვა ტერენტიმ.

— თქვენ თუ ქეიფობთ, ჩვენ რა, გლახის ორიანები ხომ არ ვართ! — ჩაიხორხოცა ელიზბარამ და არეული ნაბიჯით წავიდა მაგიდისკენ. — მე ამ ლამფის წინ დავეჯდები, როგორც ბნელი, ჩალანდარი კაცი, — სთქვა მან და სარდიონის პირდაპირ, მიხელას და ტერენტის მეზობლად დაჯდა.

ბონდომაც იქ მოიკალათა.

— აბა შემოსწრებულების სადღეგრძელო! — დაიძახა ტერენტიმ.

— არა, მაგენს ჩვენობამდე რამდენი აკლიათ, ჯერ ჩვენი დაე-
ლიეთ, ის გამოსცალონ, — სუფრის წესის და სამართლის ღრმა შეგნებით
განაცხადა მიხელამ.

— მაგი ქე ვაპატივოთ, მგონი მაგენს ჩვენზე მეტიც აქვთ დაღუ-
ლი, — გამოეჭომაგა სტუმრებს სეფე.

მაგრამ ელიზბარამ აღშფოთებით უკუაგდო ეს გამოსაჩრლება:

— აჰ, აჰ, არ დამლუბოთ კაცი, არაფერი დამაკლოთ, თქვენ გენაცვა-
ლოს ჩემი თავი! თუ გინდათ, სულ წინდაწინ შევსევამ რაც ამალამ შე-
კუთნის, მაინც ქე ვარ ავანს და ნისიას შეჩვეული, — სთქვა მან.

როცა ტერენტიმ ლანგარზე გამწკრივებული ექვსი ღვინის ჭიქა და-
უდგა წინ, მან გაოცებულმა დაიჯღაღლა:

— არ გადამრიოთ კაცო, ამ ჭიქებით სევამ სულ ამდენ ხანს! ვისი სა-
დღეგრძელო იყო ეს, ბავშვების თუ ღიღების? რას გვიშობით, სარდიო-
ნის ჭირიმე, ამ სათითურებით ვადღეგრძელოთ აგი პატივემული ხალ-
ხი! — როხროხობდა ელიზბარა და სცილიდა ჭიქებს. — სარდიონს რას
უყურებთ, თქვენ დელიყანტებო! — გადასძახა მან მესამე ბრივადის
ახლგაზრდებს, — მაგი ქე არის შეჩვეული, წვეთობით რომ უწერს ავად-
მყოფებს გულის ტკივილის წამალს, მარა ჩვენ შორის, მგონი, არავინ
არ უნდა იყოს გულით ავადმყოფი.

— არავინ, არავინ! — დაუდასტურა ტერენტიმ.

მაგრამ სარდიონი აინუშიაც არ იგდებდა ელიზბარას შემოტევებს თა-
ვისი წვრილი ჭიქებით განაგრძობდა სადღეგრძელოების სმას.

— „ეს თამადა რა ყოფილა ვაი“, — წამოიწყო ელიზბარამ.

„ოცა ღვინო გვაყოფინა ვაი“, — ჩამოართვეს ბონდომ და ტერენტიმ.

სარდიონი ყურსაც არ იბერტყავდა.

— მოგვეყურდა, მოგვეყურდა! ნამეტანი მწუთხე ყოფილა აგი სა-
ცივი, — ერთ ხმაზე შეაწყვენ ელიზბარამ, ბონდომ და ტერენტიმ, როცა
თამადის წამქეზებელმა სიმღერამ არ გასჭრა.

სარდიონი მაინც ღვინის ჭიქებით განაგრძობდა სმას. მან ქიშვარდის
ოდის მშენებლობაზე წამოიწყო:

— აგი პატარა მშენებლობაც ჩვენი დიდი მშენებლობის ნაწილია.
ახლაც სასიამოვნოთ ვატარებთ დროს და ვაისს ამ დროს ვასაშლელ-
ოთახებში გვექვიფოს ქიშვარდისას.

ქიშვარდი აღტაცებული უსმენდა თამადას. ამ სიტყვებზე ციციონს გა-
დახედა.

— მაინძელო, მაინძელო! — ვაისმა ამ დროს ქიშვართან.

ისევ აზვავდნენ ძაღლები, ისევ მიასკდნენ ყეფით ქიშვარს. ქიშვარ-
დი სტუმრის მისაგებებლად გავარდა, ვილაც ცხენოსანი იღვა ალაგეს-
თან. ფეხები უნაგირის ტახტზე აეკრიფა, რომ ძაღლებს არ ჩამოეთრიათ.

ცხენიდან. ძლიერ მოაშორა ქიშვარდომ გამძვინვარებული ბრძეა. იეკიას ბიჭი აღმოჩნდა.

— ბებია ქალმა გამომგზავნა, ჩვენი მეზობლის ქალი რჩება, ექიმს სთხოვენ ამოვიდეს, — უთხრა მას ქიშვარდომ.

ქიშვარდომ შინ შეიპატიჟა. ბიჭმა იუარა, ძალიან გაჭირვებულია, მეჩქარებაო. აივანზე აპყვა, ძალღებმა არ შემეპამონო, ოთახში კი არაფრის გულისათვის არ შევიდა.

ქიშვარდომ დაბარებული გადასცა სარდიონს. ისიც მაშინვე წამოდგა.

— ასეა, ძმაო, მებორჩესავეითაა ექიმი, რა დროსაც არ უნდა მოგადგენ კარზე, მუდამ მზად უნდა იყო. — სიცილით სთქვა მან და კარებთან ჩამოკიდებულ პიჯაკისკენ გაიწია.

— ამაში კი ვარ მაინც ბედნიერი, რომ ასეთ დროს არაეინ მომაკითხავს, — არობროხდა ელიზბარა, — ამით ქე სჯობს ჩემი ხელობა ექიმობას, ვის დასჭირდება ამ შუალამზე ჩალანდრი! სწორედ არ გავცელი ექიმობაში ჩემ ხელობას.

— შერე ვინ გოცელის? — გადმოსძახა სკაჩამ.

— შენ, ელიზბარა, მათე გოგიტაურივით ხარ, მამასახლისობიდან რომ გადადგა, ჯაჭვი მოიხსნა. ოცჯერ ამაყენეს მეზობლებმა სადილობიდან ბეჭდის დასარტყმელადო, — სთქვა სეფემ.

— აბა რა გონია შენ, ერთი ბალანა კი არა, მთელი ქვეყანა რომ იბადებოდეს იმიზა ვერ ამადლღეს ახლა კაცი ამ მშვენიერ სუფრას.

სარდიონმა საყოველთაო სადღეგრძელო შესვა: ამ სამ ტიქაში უნდა ჩაეტო, ვინც უდღეგრძელებელი დამრჩაო, — მოიბოდიშა, თამადობა შოლომდე ვერ გავსწიეო და კარები გამოაღო.

— ბამბის ტომარაა ამხელა კაცი, რა ვაეკაცია მაგი! მამაკაცს თავისი ელფერი უნდა ჭონდეს, — გააყოლა ტერენტიმ თვალი ჩასუქებულ, თავგადაპარსულ სარდიონს.

— მაინც ქე ჭონდა საქმე გასაქცევად, — წამოიძახა ელიზბარამ.

— ერთხანს სინუმე ჩამოვარდა, ისევე გოქსა და საციეს დაეძალნენ.

— ამდენ კაცს უფროსი და ხელმძღვანელი ქე გვინდა, ავირჩიოთ ვინმე თამადად, — სთქვა მიხელამ.

— ელიზბარა ვაეურთხოთ თამადად, — დაიძახა ბონდომ.

— დიდებულია. დიდებული! — დაუდასტურა ტერენტიმ: — ღვინის სმა კარგად შეუძლია და სადღეგრძელოს თქმა.

ელიზბარამ წესისათვის იუარა, მაგრამ როცა დააძალეს და თამადად აკურთხეს, მზიარულად წამოდგა და შორიდან, წილადობილათი დაიწყო.

— ამხანაგებო! ყველაფერს ცოდნა და გამოცდილება უნდა. გადაჭრუებული ქაიხოსრო რომ მოკვდა, ქურდი და უპირო, თათრებში ტყვეს ყიდდაო, რომ ამბობენ იმაზე, იმის სატირელში გახლდით, რაცხა შორეული ნათესავი იყო ჩვენი, ყვაევი ჩხიკვის მამიდაო, რომ იტყვიან, იმფერი. ჩემი ცალი ფედოსე სამი თვის მოყვანილი მყავდა მაშინ, ბალანა ქალი იყო, გამოუცდელი.

— ახლაც არაა დიდი ჭკუის პატრონი და მაშინ რაღა იქნებოდა, — ჩაილაპარაკა სკაჩიამ.

— ჰო, ბალანე ქალი იყო, გამოუჩოველი. — განაგრძობდა მისი მოსაუბრე, — ათცუდენ მეზობლის ქალები, შენ წადი წინ, შენ წამოიყვანე მათი ქალი, უნდა გამოიჩვიო, თვარა მართლა ტირილში რომ მოხედები, მთლად დაიბნევი, ველარაფერს მოახერხებო. ბევრი იუარა, მაგრამ არ მისცეს საშველი. მაშინ იმანაც გაიშალა თმა და წამოიწყო: უბედურო ქაიხოსროვო, სიცოცხლეში არაფერი გეყურებოდა, ახლა სულ ვერაფერს გაიგონებ, მარა არ დამაყენეს ქალებმა და ორღერ სიტყვას გეტყვი, რატომ დააობლე და გააუბედურე აი შენი ოჯახი, შენ საცოდავოა. შერე ქაიხოსროს ცოლს, ნატუსალას ხნის ზეხას მივარდა; ჩემო ზეხაო, რაფერს უნდა განუტეშო, მარა ხომ გაგიგონია ვაჭირვებაში გამაგრება ისე უნდა, როგორც ქვიტიჩისაო.

— ა, ალავეერა ყაძახი! — გააწყვეტინა სეტემ ელიზბარას თხრობა: — მასე კი არაა მაგი: ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსაო. იცი, როის უთქვამს და რაზე უთქვამს მაგი შოთა რუსთაველს?

— კაი ერთი ნუ მომკალი მაგი ლექსით! — იქნია ხელები ელიზბარამ და თავის ამბავს მიუბრუნდა: — ხო, კაი ასე უთხრა: ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსაო. ახლა უნდა გამოიჩინო შენი კაი ჭალობაო. ატყდა ერთი ფხუკუნი — ამ ადამის წლის ბერიკაცის სიკვდილზე რა ქვითკირივით გამაგრება უნდოდა კაცს! ასე იფიქრე, ზეხაც გამოშტურებული უყურებდა ფედოსიას. ჩვენც ისე შეგვრცხვა, რომ კინაღამ უკან გამოვბრუნდით, გაცილებული რაფერს უნდა მივსულიყავით ჭირისუფალთან. მარა მეღენტიმ გამოგვიყვანა სირცხვილიდან, ჩემ ცოლს გადაუსწრო, ჩაიგდო ხელში ტირილის მეთაურობა, წაიშინა შუბლში ხელი, ისეთნაირი რაცხა მოუსადაგა იმ სულკატიან ქაიხოსროს რომ ჩემი ამბავი ქე იცით, წინდის ჩხირი რომ მკრას კაცმა თვალში, კურცხალი არ გამომვარდებდა, მარა იმ წყეულმა მეღენტიამ იმფერ იმფერი უთხრა ქაიხოსროს, რომ მეც ქე ავზლუჭუნდი რაცხა უშნოდ-მერე ტირილიდან რომ ვბრუნდებოდით, ეკითხე, — შენიანს და სხვისიანს როგორ ტირი ასე გულით თქვა. მეღენტიამ, გზის პირას ერთი ჯირკი ეგდო, იმას შეხედა და თქვა: ეს ჯირკი რომ დამიგდო წინ ტირილში, ისე ვატირებ, როგორც ჩემ ღვიძლ შვილსო. ჰო, იმაზე მოვაყოლე აგი ამბავი, ყველაფერს ცოდნა და გამოცდილება უნდა. ყველა სიტყვას მისი საგანი და ადგილი აქვს. იმ ჩემ ფხუკურა ცოლს ერთი ღერი სიტყვა ვაეგონა რუსთაველის და იგიც უადგილოდ დახარჯა. ამდენ ნასტავლსა და პატივეკემულ ხალხში მე რა სათამაღო კაცი ვარ, მარა არ გამართვით საშველი, რა ექნა, დავიწყებ და თუ არაფერი გამომივიდეს, ქე ხარო აგერ ყველა კაცი ჩემზე უკეთესი და ითამაღეთ.

შემდეგ, როგორც გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებულმა ფაღვანმა, სუფრას ამაყად მოაგლო თვალი და ბონდოს ჩაულაპარაკა:

— მაშინ მოკვდეს ელიზბარა, თუ სუყველა ფორთხვით გაუშვა აქედან! ისე გავხდი ყველას, რომ ბრიგადაში კი არა, შინაც ვეღარ მიავნოს მე მავას უჩვენებ, თუ როგორ უნდა გზაში გადადგომა, სუტქვა მან და სიბრაზის ელვა შეანათა სახეში ქიშვარდის.

შემდეგ სუფრას გადახედა. სახე მოეძმარა, ჩაის ქიქა რომ ვერსად დაინახა. დარკილულ კარადისკენ წავიდა ჩაის ქიქის მოსაძებნად. ამ დროს ესმა და ქიონია შემოვიდნენ, მოხარული ბეჭი შემოიტანეს. ელიზბარა ახლა ესმას შესახვედრად გაემართა, ბეჭიანი სინი ჩამოართვა და ქიშვარდის დაუდგა წინ.

— ჩაის თუ სვამენ, ესმას ჰირიმე, თქვენს ოჯახში, ამდენ ჩაის რომ ვაკეთებთ? — ეშმაკურად გაულრიჯა ელიზბარამ.

— კი, ნენა, შენი ჰირიმე, — დაუყვავა ესმამ: — ქვეყნის შაქარი და ჩაი გვაქვს. ისე ხომ არაა საქმე, უწინ წამლად რომ ხმარობდნენ ჩაის. ამ წუთში ავადღულებ, — დაფაცურდა ესმა. გაუკვირდა ამ შუა ქეიფის დროს ელიზბარას რამ მოანატრა ჩაიო.

— ოჰ, ჩაი! — გადინახარა ელიზბარამ. — ჯვარი გწერია, ესმას ჰირიმე. ჩაი რათ მინდა, გოკი კი არ მყავს მუცელში გასაფუტქავი. ჩაის ქიქა თუ იშოვება თქვენს ოჯახში?

— კი, ნენა, ჩაის ქიქა როგორ არ გვაქვს, — ცოტა შეწუხებულად მიუღო ესმამ.

— აბა, გვიშველეთ ერთი ჩაის ქიქები, გულზე შემომყარა ამ სათითურების ყურებამ, — სთქვა მან და წვრილი ქიქები სუფრის ბოლოში შიხვეტა, — ესენი, თუ მაინცდამაინც საჭიროა, აგერ ქალიშვილებს მიმირთმიეთ.

გადახედა შემკრთალმა ესმამ შვილს, შეატყო, საქმე ცუდად მიდიოდა. ელიზბარა თავისი ჩვეულებისამებრ ჰირვეულობას იწყებდა. ერთი თხელი ჩაის ქიქა გამოუტანა.

ქიშვარდიც შემოთვებული შესცქეროდა ელიზბარას. ჯერ ფხიზელიც რომ მისულიყო, მაშინაც აღრევდა წვეულებას ლოთი და ჩხუბის თავი ელიზბარა. ახლა შეზარხოშებული ხომ სულ თავდაყირა დააყენებდა ყველაფერს. თანაც ბონდომ სულ აღსვარა გუნება ქიშვარდის. როგორც კი „აკურთხეს ელიზბარა“ თამადად, ბონდო წამოდგა და არეული ნაბიჯით წავიდა იმ კუთხისკენ, სადაც ციციწო იჯდა ქალიშვილების წრეში.

— თქვენსას ვსვით, — კოსტა უბედურათ დათვრა, — გადაულაპარაკა ბონდომ ციციწოს.

ისარივით მოხვდა ეს სიტყვები ქიშვარდის გულს. თვალს ვეღარ აშორებდა იმ კუთხეს, სადაც ციციწო და ბონდო ისხდნენ. სულ გადაავიწყდა მის წინ დადგმული ორთქლში გახვეული ბეჭის თლა.

— აბა, გავეთამაშოთ ერთი ამ ბეჭს! — მოაგონა სკაჩიამ მასპინძლის მოვალეობა.

ქიშვარდი გამოერკვა. ბეჭის სათლელი დანა მოიკითხა.

ელიზბარამ მყის წელზე მოისვა ხელი, თავისი მოხრილი ზეგნით გაიძრო. ბებუთის გაელეებაზე ქიშვარდის გააფრეოლა. მოავიწინა ამ დილით აფთარივით რომ მიიწვედა მისკენ ელიზბარა. ბებუთით ხელში. შემდეგ თვალწინ დაუდგა სცენა ჩაფხუაფხუა მხეცტზე, ელიზბარა რომ ამოიღანძა საიდანლაც, სიპიტოს და ყაისარას რომ უჭურჩულეებდა რალაცას. როგორის გამობოროტებით გადახედეს მაშინ ყაისარამ და სიპიტომ ქიშვარდის, თითქოს თვალეებით შექმას უპირებენო.

„შემოჩენილი ხომ არაა, სიპიტომ და ყაისარამ ხომ არ შეავულიანეს?“ — გაუელვა თავში. მაგრამ ახლა, თითქოს საბოლოოდ დასდო ზავიო, ელიზბარამ იარალი ჩააბარა ქიშვარდის და ჩაის კიჭებს მიუბრუნდა. მაგრამ ერთს არ დასჯერდა.

— ერთი კიდევ ამის ცალი, — ასწია მან ჩაის კიჭა ზევით, — ასე ობლად რავე იქნება, მე მგონია, ორი ფეხით ვართ ყველა აქ მოსული.

— მეტი მართლა არაა, — სთქვა ესამმ.

— როგორ დავიჯერო ახლა მაგი, ფარნას ოჯახში ერთი კიჭის მეტი რომ არ იშოვნებოდეს! რაფერაა თქვენი საქმე? აბა ოჩერედობით ხომ არა სევამთ ჩაის? — არა სცხრებოდა ელიზბარა.

ტერენტი და მიხელა აგულიანებდნენ ელიზბარას.

ქიშვარდის გული უწერილდება. სწორედ უგრძნო გულმა ელიზბარას გამოჩენისას. ატყობს, რომ ეს ლოთი ჩალანდარი აურდაურვეს დღევანდელ წვეულებას, უსათუოდ შეარცხვენს შერმანდიასთან. როგორ მოუმართა ხელი კოლმეურნეობამ ოდის აგებაზე, ამ გახურებულ მუშაობის დროს. თუ ქიშვარდის წვეულების გამო ხვალ მთელი ბრივადა მოსცდა, კარგი სამაგიეროს გადახდა იქნება ქიშვარდის მხრივ.

ესმა კი ისევ ელიზბარას უყვავებს, რომელიც კირვეულად მოითხოვს მეორე ჩაის კიჭას.

— დატყდა, ნენა და შეილო, დატყდა. ვეღარ მოვიცალეთ, რომ ჩამოგვეტანა დუქნიდან.

ქალიშვილებიც ცდილობენ ელიზბარას დაშოშმინებას, მაგრამ ეს უფრო ახელებს მას. ვერაფერს გახდნენ, მანამ არ დაწყნარდა ელიზბარა, სანამ ესამმ მეორე ჩაის კიჭა არ მიუტანა.

მეორე კიჭა რომ იგდო ხელში, კირვეულმა თამადამ მესამე მოითხოვა. — სამებითაა ღმერთიო. მაგრამ ეხლა ყოველმხრიდან შესძახეს და ელიზბარამაც დაჰყარა ფარხმალი. ჩაის კიჭები ფართო სინზე დააწყო.

— შეხედეთ. რა მეჩხრათაია! — გულნაკლულად სთქვა მან. — ახლა უნდა იყოს აქ ჩამწკრივებული ერთი თორმეტი კიჭა. აბა, რა, თუ იცით თქვენ! ოდის ბოძები მოიტანეს მეურმეებმა, საშვილიშვილო საქმე გააკეთეს და მაგენის ფხიზლად შინ გაშვება რა ვაჯაკობაა, ან ღვინის კიჭები რა გამოსაჩენია სუფრაზე ამ დროში! აყვავებული ვართ, მთავრობა გვეუბნება, იქეიფეთ, ღვინო დალიეთ. ჩამდენიც გინდათ, ისწავლეთ და კარგად იყავითო. ლექციას წავიკითხავს იმფერს, რომ ერთს არ გამოტოვებს არაფერს.

— თვარა ძაან ვაგიგია შენ მაგი ლექტია და მოხსენება! — სცადა ქირვეული თამადის შეგონება სეფემ. — რათ გინდა, კაცო ელიზბარა, ამდენი ჩაის ჭიქა? მხიარულება და კაი გული, თვარა სმა ჯგერ ქუჩელებს ხარს რომ შეუძლია, იმდენი არაფერ კაცს არ შეუძლია. დედასს ხაყუქუბრებში, ეს ცოლიკოური ფარნას მარანში ბოქვებს ხეთქავს. ნამდვილათ არ ვარგა, ბატონო, აი თრობა. დავთვერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, კაი ძმა კაცს ვაწყენიე. გამიხდა საქმე საბოდიშოთ. ავდექი მეორე დღეს, პირი (შანკოლასავით!) მაქვს, ქამის შადა დამეკარგა, თავი მტკივა, გული მეტრევა. დალიე, ჩემო ბატონო, კაცის ნიაგაბათ, რომ შეგერგება, იმდენი. დღეს მაინც ისე უნდა მოვაწყოთ აგი ქეიფი, რომ სახვალიოთ სამუშაოს არ მოვეცდეთ...

ელიზბარა ყურს არ იბერტყავდა. სამ-ლიტრიან მუცელგამობერილ ბოთლს შუა წელში დასტაცა ხელი. ყველამ შეშფოთებულმა შესძახა, არ გაუფარდეს ბოთლი ხელიდან და ქურჭელი არ დაღეწოსო. მაგრამ ამაში დახელოვნებული იყო ელიზბარა, დასხმითაც თავისებურად ასხამდა, ბურღივით აბრუნებდა ბოთლის ყელს ჭიქაში, რომ ღვინო ჩქარა გადმოღვრილიყო.

— ასე უნდა ბოთლს აღება, თორემ ყელში რომ მოკიდებ ხელს და წაახრჩობ, იმას რა შნო აქვს. — ჭიქები შეავსო და წვეულებას მიმართა.

— ამხანაგებო, ჩემი სიგლაზე ქე ვითხარით და ახლა მოლად რომ არ შევრცხვე, ამ მხარეზე სეფეს ვასახელებ ჩემს თანაშემწედ. ცოტარბილი კაცი კია, კაცს ღვინოს არ დააძალებს, მაგრამ კაი მოსიტყვია და საგარეო ლაპარაკი ეხერხება. ეგერ იმ კუთხეში, ბონდო რომ ჩაქურდებულა ქალიშვილებში, ბიძინას ვნიშნავ ჩემს მოადგილეთ.

შემდეგ ლანგრით ჭიქები ასწია.

— ხომ ხედავთ, აგი ორი პატარა სასმისი მიჭირავს ხელში, აგი ერთი ჭიქა იმ მშობიარის სადღეგრძელო იყოს, ჩვენი ძვირფასი სარდიონი რომ მოგვაშორა...

— და შენ ამფერ პატიოსან წვეულებაში თამადობა გაღირსა, — ეითომ ხუმრობით ჩაურთო სიტყვა სკაჩიამ.

— ხო, ხო! — ჩაიხორხოცა ელიზბარამ. — მეორე ჭიქა კოლექტივის ახალდაბადებული წვერის სადღეგრძელო იყოს, სულ ერთია ბიჭი იქნება თუ გოგო. ახლა ქალები კაცებზე ნაკლებ შრომა-დღეებს არ აკეთებენ.

— აბა, აბა! შარშან სამღვთოდან მელიქაურში ოთხი სტახანოველი მკრეფავი რომ ვაგვითხოვდა, იმან ძაან ბევრი დაგვაკლო, — დაუდასტურა სკაჩიამ.

ელიზბარამ ჭიქები დასცალა, გადმოაპირქვა და ცერის ფრჩხილზე დაირეკა.

1) ცერკოვანის სახეობა, მეტად მწარე გემოსი.

— აგი ორი ქიქა ქე დაეცალე, მაგრამ აწი ქე ვარ ცოდვა, — სთქვა მან და დაცლილი ქიქები ქიშვარდის გადააწოდა.

ქიშვარდიმ სადღეგრძელოს თქმა სცადა.

— სმენა იყოს და გაგონება! — დაიძახა ელიზბარას.

მაგრამ მიუხედავად თამადის მონდომებისა, არც სმენა იყო და არც გაგონება. უყურადღებობის მიზეზი ის იყო, რომ სწორედ ამდროს კეცზე შემწვარი, ურწყულში ჩაწყობილი წიწილები შემოიჩანეს. თამადას შეეყვირება დასქირდა, ხმაურობა რომ დაეფარა:

— მოისმინეთ, ამხანაგებო, აგი ერთი ღერი სიტყვა!

ის კუთხე, სადაც ქალიშვილებით გარსშემოორტყმული ბონდო იჯდა, მაინც არ წყნარდებოდა.

— ბონდო, მაქ საჩუქათო თუ გაქვთ რამე, იქნება ხელს გიშლით? — თითქოს განაწყენებ კილოზე გადასძახა ელიზბარამ.

ქიშვარდიმაც იმ კუთხისკენ მიიბრუნა სახე. გუნება აემღვრა. ქიშვარდის გვერდში ატუხულმა ქიონიამ ყურში ჩასხურჩულა:

— შეხედე, რა გამოპრანქულია დღეს ციციხო, როგორ ეთამაშება ბონდოს...

ლაზოს ისარი შეიქრა ქიშვარდის გულში. უნდა ციციხოს თვალეში ამოიკითხოს ეს გადაჭარბებული ყურადღება ბონდოსადმი, მაგრამ ციციხოს მხოლოდ შეშფოთება ეხატება სახეზე. ბონდოს ყოფა-ქცევა აფიქრებს ციციხოს. მოსვლისთანავე ემჩნეოდა, რომ მას და ელიზბარას სეფესას ბლომად ესეათ. ბონდოს არეული ნაბიჯი ჰქონდა. თვალეში ამღვრეოდა. „შემოსწრებულის“ ექვსი ქიქა რომ დასცალა, ძალზე მოეკიდა ღვინო, ფერი დაეკარგა. მარცხენა ლოყა ნერვიულად უტოკავს, კბილებს აკრაკუნებს. ცუდად ჰქონდა ყველაფერი ეს დაცდილი ციციხოს. ამას წინათ ბონდო დაითრო მათსა, კოსტასთან, ელიზბარასთან და ლონგინოზთან ერთად. უმიზეზოდ ბრაზობდა, ქირვეულობდა. ჩხუბი აუტება კოსტასაც და ელიზბარასაც. ახლა ციციხო ეხვეწება ბონდოს, ნუ დაღევ იმდენს, რასაც ვერ შეირგებო. მაგრამ ციციხოს ხვეწნა უფრო ახელებს ბონდოს. სულ ცერზე ირეკავს დაცლილ ქიქებს. ქიშვარდის გულს კი ექვი ღრღნის, რა მარტის დღესავით შეეცვალა ციციხოს გუნებაო. მთელი საღამო გულთბილი, წინანდებურად ალერსიანი იყო ქიშვარდისთან. რა გულდასმით დაათვალიერა ქიშვარდის მშენებლობა; შინაურივით ტრიალებდა სამზარეულოში. ყველაფერში მზრუნველობას იჩენდა. თითონ ურჩია ქიშვარდის, სარდიონი ავირჩიოთ თამადად, კარგად წაიყვანს წვეულებასო. ახლა კი ისე იქცევა, რომ ლამისაა ქიშვარდიმ გრძნობა დაკარგოს. როგორც კი გამოჩნდა ბონდო, მყის მისკენ გადაინაცვლა. მას შემდეგ ერთხელაც არ მიუხედნია ქიშვარდისაკენ. შინაც, ალბათ, ბონდო ვააცილებს. მართლა, რამე ნუსხა ხომ არ აქვს? სიბრაზემ მოუარა: ჯანდაბას მაგის თავი! რახან დათრობაზე მიდგა საქმე, მაგ ბონდოს მაინც მოვსტებ კისერს, — გაიფიქრა ქიშვარდიმ: —

ისე გაეხდი ამალამ, რომ ციცინოს გაცილება კი არა, მამის სხეელიც და-
ავიწყდესო.

სულმოუთქმელად დასცალა ჭიქები და ალავერდი ბონდოსთან გა-
დავიდა. მაგრამ ჭიშვარდი ბონდოსთან უმძრახად იყო. — მამის შემდეგ,
თავდაცვის ჰექტარი რომ გაკაფეს. თუმცა ახლა შემოსულისას ბონდომ
შემარიგებელი ღიმილი შეაგება ჭიშვარდის, მაგრამ მძიმე ხასიათის ჭიშ-
ვარდი ასე ადვილად ვერ მოიბრუნებს კაცზე გულს. ამიტომ ბონდოსთან
რომ გადადიოდა ალავერდს, პირდაპირ მას კი არ გაუწოდა ჭიქებიანი
ლანგარი, არამედ ბიძინას გადასცა; იმას გადაეცია, — უთხრა და თავის
აქნევით ბონდოზე ანიშნა. ბიძინამ ყარამანას გადასცა ლანგარი; ყარამა-
ნამ მამიას და ასე მიაღწიეს ჩაის ჭიქებმა ბონდომდე. ბონდომ ჭიქები დას-
ცალა, მამიასვე დაუბრუნა და, თითქოს ციცინოს გასაგონად, ხმამალა
დაიძახა:

— ჭიშვარდის, ჩვენს პირის ზიარებას!

სანამ წიწილებიანი ლანგარი სუფრას შემოივლიდა, ელიზბარამ მე-
ორე სადღეგრძელო შესვა, თან თავისი ხელოვნება გამოაჩინა. კბილე-
ბით აიღო სავსე ჭიქა და ისე დაცალა. ისევე ჭიშვარდისთან გადავიდა
ალავერდს. ჭიშვარდიმაც კვლავ ბონდოს გადააწოდა სავსე ჭიქები.

„ვინცხას სახლი ეწობოდა, ხელს მაინც მოვითბობო. მაგ ღრიკოლის
მაინც როვა ვერ მოვსტებ ღვინის სმაში კისერსო“, — ფიქრობდა ის.
ვერც კი შენიშნა, თუ როგორ ჩაება თითონ სმაში. ჭიშვარდიმ რომ მი-
უშვა სადავე, მესამე ბრიგადის ახალგაზრდებიც აპყვენენ მას, შეურმე-
ებს გაეჯობრნენ სმაში. შეიქნა გადაეინებული სმა — ის, რისგანაც შერ-
მანდია აფრთხილებდა ჭიშვარდის.

ღვინისაგან მადანზე მოსული სტუმრები ერთგულად ახრამუნებდნენ
წიწილებს.

— კაცო, მთლად ქამათ კი ნუ გადავიქცევით, ავიწიოთ ერთი სა-
ფეხურით უფრო მაღლა! — დაიძახა ელიზბარამ.

— ავიწიოთ, ავიწიოთ! — მისცა ბანი თამადას ტერენტომ. — აი, ქე
შრება ყელში, კუჭში არც კი ჩადის, მგონი, ავიც სათითურია, აბა რაა, —
სთქვა მან და ჩაის ჭიქას კბილით კიდე მოამტერია.

შარგალიტამ თვალებზე ხელი მიიფარა და შეპკივლა.

— ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა შენი ჯილაგი! — გაწყრა ფარნა.

— რამე უფრო მაგარი ჭურჭელი მიუტანე, თვარა მთლად დაკენეტს
შაგას. უგ ზნე თავის ჯორისგან აქვს ნასწავლი, — დაიძახა სკაჩიამ.

— აურიეს ახლა, — სთქვეს ქალიშვილებმა და კუთხისკენ გაიწიეს,
სადაც მათი ბერეტები და ჟაკეტები ეკიდა.

— რამე ამაზე უფრო დიდი ჭურჭელი მოგვაშველეთ — როხროხობ-
და ელიზბარა და პირ-მოკენეტილ ჩაის ჭიქას ზევით ისროდა და იქერ-
და. — ავიწიოთ ერთი საფეხურით ზევით!

— მაგაზე უფრო დიდი აგერ ქარიკაა და, თუ გინდა, ამით დალიე, სადღეგრძელო, — სთქვა სეფემ, კუთხეში მიდგმულ კოქას ხელი დაავლო და ელიზბარას წინ დაუდგა.

— მაგაზეც გადავალთ, მაგაზეც, ისე იცოცხლა ჩემმა მამამ და მამამ და ელიზბარა და თვალებს აცეცებდა, ეძებდა, რა გამოეყენებინა სასმისად, რომ „ერთი საფეხურით უფრო მაღლა“ ასულიყო. სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, გუმანი მიიტანა მის წინ მდგარ დიდი ლამფის შუშაზე.

— ამას რა სჯობია! ერთი ყანწის ოდენა ქე ჩავა ამაში, ვენაცვალე ამის ჩამომსხმელს! — შეჰყვირა მან თავისი აღმოჩენით ალტაცებულმა და ლამფის შუშას ხელი მოავლო.

ქალიშვილებმა შეჰკივლეს — ხელებს დაიწვეავსო. მაგრამ ელიზბარას წარბიცი არ შეუხრია. თითები პირში გამოივლო, მერე ხელსახოცი ამოიღო და ხელახლა მოავლო შუშას ხელი. მაგრამ შუშის სიმხურვალემ ხელსახოცშიც გაატანა. კინალამ ხელიდან გაუვარდა. ქალიშვილები წაეშველნენ და ხელსახოცებით ჩამოართვეს გახურებული შუშა. ამან დიდი აურხაური გამოიწვია. შუშა მომძვრალმა ლამფამ საშინელი ბოლი და სუნი აუშვა. ისედაც დაბალქერიან ფიცრულში ძალზე ჩამოხნელდა. მაგრამ ელიზბარა არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. ლამფის შუშას ქვემოდან ხელი ამოსდო და აავსო.

— ახლა მე მინდა შევსვა ჩვენი მშობლების სადღეგრძელო, რომლებმაც პატივი გვცეს და გაგვზარდეს.

— კაი შენ მოგივა, კაი გაზრდილი შენ ხარ! — მეზობლების გასავგონად ჩაილაპარაკა ფარნამ.

ირგვლივ სიცილი ატყდა. ელიზბარა შეჩოთირდა და დიდხანს, ველარ მოუბა სიტყვას თავი.

— იმ ხასიათის შეკრებულობა, რა ხასიათითაც ჩვენ აქ ვიკრიბებით და რა ხასიათითაც ჩვენ ვსვამთ ამ სადღეგრძელოს, — გააბა ცუდი სიზმარივით დაუსრულებელი სადღეგრძელო თამადამ. ელიზბარივით ქირვეულობდა ეს სახელდახელო სასმისად ქცეული ლამფის შუშა. ხან ქვემოდან აფარებული ხელის გული შორდებოდა შუშის კედლებს, ხან კიდევ თითონ ელიზბარა ქანაობდა, და ამ გრძელი სადღეგრძელოს დროს წითელი ღვინო ნელ-ნელა იღვრებოდა შუშიდან სუფრაზე. ქალიშვილები წამდაუწყებლად მარტოს აყრიდნენ წითლად შეღებილ სუფრას. მთელი წვეულება შეწრიალებული იდგა ფეხზე და ელიზბარას შეჰყურებდა. მიხელა და ტერენტი მალ-მალ აქეზებდნენ თამადას — აბა, დასცხე დასცხეო. მაგრამ ელიზბარამ ველარც სადღეგრძელო მოასრულა, რადგან სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა — იმ ხასიათით, რა ხასიათითაც ჩვენ ვსვამთ ამ სადღეგრძელოსო, და აღარც ღვინის წანწკარს ეღებოდა ბოლო.

ფარნას გული გაუწვრილა ელიზბარას ქირვეულობამ. მის გრუხა წარბებს ქვემოდან შეწუხებულად გამოიყურებოდნენ ღრმად ჩარგული შავი თვალები. ველარ მოითმინა, კარადიდან ორი ჩარეჰიანი ყანწი გამოიღო.

— ოჰ, ვცხონდი კაცი! — წამოიძახა ელიზბარამ და ლამაზად შეშინდა ყანწში გადაასხა ლენო. შუშა გაამშრალებს და ლამაზად ისევ გამბართეს.

— აი განათლდა ყველაფერი ყანწები რომ მუხედას შეშემოკრა ხელი ხელს ტერენტომ, — დიდებული ყაძახია, ფარნაქა ლენოსა ყანწის მოტანისთანავე სეფე წამოდგა.

— მე აწი ქე გავყვები სახლში, სულერთია, მაინც არ გეყურებათ ჩვენი არაფერი. და ამ ერთ ღერ სიტყვას ვეტყვი ამ ახალგაზრდებს. მე ამ ჩვენი კოლექტივის სადღეგრძელო უნდა დავლიო. მუდამ კაი მშრომელი ხალხი იყო ფარნა და ესმა, ქიშვარდიც კარგი ბიჭია, მაგრამ ტყუილია, ამდენ ურემს ვერ მოუყრიდენ თავს, კრამიტის, აგურის და ქვის ზოძების ყიდვას ვერ მოახერხებდნენ, კოლმეურნეობა რომ არ ყოფილიყო. უწინ კაცი სადმე თუ გადაიკარგებოდა, ლაქიობას თუ იკადრებდა, რამე გამოსარჩენ საქმეში თუ მოხდებოდა, თვარა ჩვენში წელს ვერ გაიმართავდა. აგერ მე ამერიკაში მიწოდდა ცხენის საჭენებლად წასვლა, იქნება ცოტა სერმია ვიშოვოთქვა, მაგრამ ნენამ არ გამოიშვა, თქვენ, ახალგაზრდები რომ ხართ, არ გინახავთ გასაქირი, ასე გონიათ, ყოველთვის ასე იყო. ახლა ყველაფერი შეტრიალდა, სად გექონდა წასავალი? ფოთის, ბათუმის პორტი. დიდი შორს წასულიყავი, ქერჩში, სევესტოპოლში მტვირთავად. კურტნით წელი გექონდა მოტეხილი. ვახსოვს, მიხელა, შენ რომ წაგიყვანეს ქერჩში, რამდენი წლის იყავი მაშინ. ბლეჯელი რომ მორთე, ნენას გამომცხვარი კვერი მენატრებაო? ყველაფერი მეგონა, მაგრამ თუ ამ ჩვენ გვიმბრალაში ჩაი და მანდარინი იხარებდა და ამ ჩვენ საფხოკიალა აღმართზე ავტომობილი ამოვიდოდა, ავი არ მეგონა. ასეთია ავი ახალი დროი, თუ კაცი დააფასებს. და ახლა ამ დროშაზე რომ ვართ დაჯიბრებული მელიქაურლებთან, ქე უნდა გავათავოთ აწი ავი სმა, თვარა ხეალ კაცათ აღარ ვივარგებთ. ქე წაგვართმევს იმ დროშას მელიქაურლები.

— დედი მისის შეილებია და მობრძანდენ! — წამოიძახა ელიზბარამ და ყანწი მალლა ასწია, თითქოს ყანწით აპირებსო მელიქაურლებების შეხვედრას. — ერთი-ორი ქიქა რას გვიზამს, გაგვამაგრებს კიდევ შეჯიბრისთვის, — თქვა მან.

ქიშვარდის მოჩვენა, თითქოს ამ სიტყვებზე ელიზბარამ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ბონდოს.

ყანწი ორჯერ ჩამოატარეს. ბიძინამ, მამიამ და ყარამანამ უკვე ჩამოჰკიდეს თავები. თამადა კი გაჰყვიროდა.

— რაშია საქმე, — თანდათან ეფხიზლდები, გამოვიგონოთ აწი რამე უფრო დიდი!

ქალიშვილები წამოდგნენ. სახლში წასვლა დააპირეს. ყმაწვილებმა გზა გადაუღობეს. ბიძინა სახელოში ჩააფრინდა მარგალიტას, ელიქინებოდა: ერთად წავიდეთ ასე ბრივადაშიო. ესმამ მურაბა გამოუტანა ქალიშვილებს — პირი ჩაიტკბანურეთო. ამაზე ატყდა ელიზბარა.

— ესმას ჰირიშე, გვაპატივე სულგრძელად, მარა ის ქურქული მოგვიტანეთ, რაშიდაც ეგ მურაბა მოადუღეთ. მაგ ქალიშვილებს მურაბა და კრიპუჭი არ მოაკლოთ, ჩვენ რამე მწარე და მკავე მოგვაშველოთ.

— სამურაბე ტაშტი, სამურაბე ტაშტი! — აკყვა ტერენტი ხმაშეწყობილად ვაჟყვიროდნენ — სამურაბე ტაშტი, სამურაბე ტაშტიო. არ დაწყინარდენ იმ დრომდე, სანამ ესმამ მომმცრო თითბრის ტაშტი არ გამოიტანა.

ელიზბარამ პირამდე აავსო სამურაბე ტაშტი.

— ახლა მე მინდა შევსვა სადღეგრძელო, ხომ არ იცი შენ, ვისი? — შეუძახა მან მიხელას, რომელსაც რული მოჰკიდებოდა და თვალები მოხეუჭა.

— აბა ჰე, ვისი!? — დაფეთებული წამოვიარდა მიხელა.

— ამ პატარა სასმისით მე მინდა დავლიო ქიშვარდის სადღეგრძელო. მე მგონი ჩვენ განსაკუთრებული გრძნობით შევსევამთ ამ პატარა სასმისს. ჩვენ ქიშვარდის ხასიათში განსაკუთრებული ადამიანობა ამოვიკითხეთ. ამ სადღეგრძელოში, ჩემის აზრით, საგანია ერთნაირი.

ქიშვარდისთანა ახალგაზრდა ჩვენში ორი არაა სწორეთ. კარგი მუშა და კარგი საამხანაგო, მართალი და პირიანი.

— ტიპიური ბიჭია, ტიპიური! — შეაწია სიტყვა თამადას სკაჩიამ. ქიშვარდიმ თვალი შეასწრო, რომ თამადამ თითქოს ისევ ბონდოს ვახედა და რაღაც ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

ქიშვარდის ისევ თვალწინ დაუდგა დილანდელი შეჯახება ელიზბარასთან, და ეს სამურაბე ტაშტი ახლა უფრო აშინებდა, ვიდრე მის თავზე შემართული ბებუთი.

თამადა ირყეოდა, ღვინო ტაშტიდან იღვრებოდა, მთელი წვეულება გულშეწუხებული შესცქეროდა თამადას. მან კი ვერაფრით ვერ დაასრულა ქიშვარდის სადღეგრძელო.

ახლა ქალიშვილების წრეში ატყდა ხმაური.

— ქალიშვილებო, მაქ რომ ყვავიხართ, დაგვაცადეთ ერთი ღერი სიტყვის თქმა! — ყვიროდა ელიზბარა.

— შენ მართლა ყვავი ხარ! — გადმოსძახა ბონდომ.

— შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო, — გადაიტანა ახლა ბონდოზე სიტყვა თამადამ, — ქონება ოხრად დაგრჩა და მიწა თავზე საყარად, ჰყვა რომ გქონდეს და მოიხმარდე. ქარვასლასავეით ოდა გაქვს ლურჯათ შეღებილი. ავი ჩვენი ქიშვარდი გაჭირვებაში და უბედურებაშია გამოზრდილი და მაინც კაცი გამოვიდა ახლა იშნენებს ოდას. კაცს უნდა ქონდეს, ჩემო ძამია, მოხერხება და უნარი. ჩვენ ჩვენი ყველას გვაქვს, მარა მოხმარა უნდა ყველაფერს... კარგი ბიჭი ხარ, ჩემო ძამია, და გაგაკავოს ღმერთმა, გაუმარჯოს შენ პირად მეობას, დაეფასებოს ის დამფასებელ პიროვნებებს.

ბონდო ყურსაც არ იბერტყავდა ელიზბარას შენიშვნებზე, ჭიშვარდი კი გარინდებული იდგა, ზოგჯერ იქითკენ მიღრეკდა კიერს, სადაც ბონდო ჩამჯდარიყო ქალიშვილებს შორის. თეთრე, ჩაქლუფიანი, სახელო ღვინის საესე ჭიქაში დასველებოდა. ჭიონია ატყობდა, — ჩხმს ქაშვარდი შურს აეტანა, სულ ციცინოს ვასცქეროდა და თითონაც ნავთზე ცეცხლს ასხამდა:

— შეხედე, როგორ გამოპრანქულა დღეს ციცინო, რაფერ იგრიხება, ხედავ, როგორ თამამობს ბიჭებში.

ჭიონია ჭიშვარდის გულის მოგებას ცდილობდა, ვერ ამჩნევდა, რომ უფრო უწყრილებდა გულს ჭიშვარდის ახელებდა ერთის მხრივ ჭიონიას გადაჭარბებული ყურადღება, მეორეს მხრივ ციცინოს და ბონდოს ერთად ჯდომა.

ჭიშვარდიმ კვლავ იქით მიიხედა. ციცინო შეჰყურებდა ბონდოს, რომელიც კისერ-გადაგდებული იჯდა და სკამზე ძლივს იმაგრებდა ტანს.

ქალიშვილები ბონდოს ეხვეოდნენ, ეხვეწებოდნენ — ერთი ცხვირსახოცის ფოკუსი გვიჩვენეო, მაგრამ ბონდოს ენა აღარ ედგა პირში, ჩვეულებრივად გალოკილი ქოჩორი ახლა შუბლზე ჩამოშლოდა, აწითლებულ თვალებს ძლივ ახელდა, ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს სლოკინით შესძახებდა: „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ვოუ ნანინა“ ელიზბარა და ტერენტი სუფრის მეორე კუთხეში დაიჯღავლებდნენ: „მე შროშანი მეგონაო ვოუ ნანინა“.

თითქოს ასე ქანცვაცლილი იყო ბონდო, მაგრამ მაინც ზედიზედ სცილიდა ჩაის ჭიქებს და ეს აოცებდა ჭიშვარდის. თითონ ჭიშვარდის კი რატომღაც დღეს ღვინო არ ეკიდებოდა. თითქოს უფრო და უფრო ფხიზლდებოდა კიდევ, სიბრაზისაგან თუ, ახლა ყველაფერზე რომ გაუმახვილდა თვალი და ყური; როცა კვლავ მიიბრუნა პირი ციცინოსკენ, უცებ თვალი მოჰკრა, რომ ციცინომ ბონდოს საესე ჭიქები გამოაცალა და ცალიერი დაუდგა. ჭიშვარდი აიღეწა. სული ყელში მოებჯინა. ბონდო რომ დაეჭირა ღვინის ქურდობაში, არაფრის გულისთვის არ შეარჩენდა. ახლა კი რა უნდა ექნა: ჩხუბი რომ აეტება, ამით ციცინოს მიაცენებდა შეურაცყოფას.

„ცხადია, ბონდოს მხარეზეა, მას შევლის ჩემთან შეჯიბრში“, — გადიწყვიტა მან ყოველგვარი იმედი.

გარეთ გავიდა. ლურჯად დამუქებული ცის თალი ადგა დედამიწას და ამ მუქ ლაქვარდში მოსჩანდა კანკუთის კორტოხზე წამოდგმული ჩაის ქარხანა. „დღის ნაკრფს ამუშავენს ალბათ“ — გაიფიქრა ჭიშვარდიმ. მთელ ღამეს გუგუნებს ქარხანა. ახლა ჭიშვარდის თითქოს როლერების გრიალი და ცხრილების თახთახიც კი ესმოდა. ნადინების ვალმა მოსჩანა ქველობანის საბჭოთა მეურნეობის ჭაღები.

ქარხნისაკენ მისასვლელ აღმართზე ადი-ჩამოდინან საბარგულები. აი ერთმა, შემხვედრი სინათლით დაბრმავებულმა, ფანრები ჩააქრო,

თითქოს ვიღაცას თვალი ჩაუკრაო. შემდეგ ისევ გადაეფინა სინათლის სვეტი ჩაის ბუჩქებით დაფარულ სერზე.

ოთახიდან განუწყვეტლივ მოისმის:

— როვა ბანცალობ, წახდი ხომ, ყაძახო!

— აბა მოკაკვე თითი!

— შენ მაგრად ხარ, კიდევ ბევრს გაუძლებ.

„ამას დავლევ, შენ დავილევ.“

არ დალევ და დღეს დავილევ“, — ჯღაოდა ტერენტი.

„მასპინძელსა მხიარულსა“, — წამოიწყო ვიღაცამ.

სკაჩია დირიგორობს, უცნაურად ჰკეცს და სტებს მუხლებს.

— პირველი მუხლი ასეა, — ჩახჩახებს ის:

„მასპინძელსა მხიი“...

— მაქანე უნდა გადატეხო, გადააბრუნო კილო-

...არულსა ჰყავს სტუმ“...

— მაქანე სამჯერ შეუძახებ, მერე დაუწევ ხმას, დაუდაბლებ, ჩა-
უკუნჭულებ, მერე დასცხებ და დასცხებ, აუჩქარებ და აუჩქარებ.

„...რები, საყვარლები“.

— აბა მაქანე ფიგურს ვაგვიკეთებ შენ და არ დაიბნე.

მასპინძელი კი დიღ დღღრეჯილია — ქიშვარდის გული უწერილდე-
ბა. რა უბედურად ვაგრძელდა ეს უხანო ზაფხულის ღამე! ნეტამც არ
გაემართა ეს ქეიფი. ოდის დაწყებაც რა სულწასულობა იყო ამ გახურე-
ბული მუშაობის დროს. ვათავდებოდა ეს შეჯიბრება და შერმეც ხომ
მოესწრებოდა. ახლა მთელი რაიონი ფეხზე დგას. ახლა საჭიროა მთელი
ძალების დაჭიმვა. შეჯიბრება გაშლილია კოლმეურნეობებს შორის ჩაის
კრეფის გეგმის შესრულებისათვის. მოაგონდა, მელიქაურის კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარე ჯორბენაძე, რომელიც ამ დილით საწონ პუნქტი-
დან მოდიოდა სამღეთოს კოლმეურნეობის ბრიგადების „დასაზვერადად“
და რომელსაც სკაჩია უყვიოდა: არ ვაგატანთ დროშას, დიომიდე, არაფ-
რის გულისთვის არ ვაგატანთო.

ნეტა რა მზადება ექნებათ მელიქაურელებს ზეალისათვის? რა პირობით
უნდა შეხედეს ქიშვარდი ზეალ შერმანდიას — დაჰპირდა ალიონზე ჩამო-
ვიყვან ბრიგადას პლანტაციაშიო. რას გამოდგება ზეალ სამუშაოდ ეს
ხალხი? დაღლილ მეურმეებს ჩქარა მოეკიდათ ღვინო. მამია, ბიძინა, და
ყარამანაც ვასავათებულნი არიან. ვაზეთში ვასაწერი ამბავი დაგვემარ-
თება, — ფიქრობს ქიშვარდი.

გულშეწუხებული შებრუნდა ოთახში.

ამდენხანს ქურდულად თუ გაიხედავდა იქეთკენ, სადაც ციციწო იჯ-
და. ახლა სცადა, გულგრილად მოეელო თვალი იმ კუთხისთვის.

„მაგაზე ხომ არ ჩამიჭრა სანთელი!“ — სცადა ქიშვარდომ სხვათა ნათ-
ქვამის გადატანა ციციწოზე. უნდა სხვა ქალიშვილებს გაუბას საუბარი,
სკდილობს ისინი ციციწოს დარად დასახოს. მაგრამ ვერ ახერხებს. სხვა
ქალიშვილები ისე მოსჩანან ციციწოსთან, როგორც ჩითი აბრეშუმთან.

განსაკუთრებით ეს თვალები: როგორ უაღერსებდნენ, სანამ ბონდო მოვიდოდა.

ჰმ! რა ერთბაშად გამოიცვლება ხოლმე ბონდოს გამოჩენისთანავე, რა მარტის დღესავით შეისვარა გუნება.

ქიშვარდი ცდილობს დაფაროს მღელვარება, მგერაჰ სეკრაჰ სხერხებს. თითქოს სულ გახედა. მიხერა-მოხერის უნარი დაჰკარგა, როგორც ყოველთვის მოსდის ხოლმე ასეთ შემთხვევაში. კლეოპატრას და პელოს საცივიანი სინი გადააწოდა. შერე მოაგონდა, რომ საცივი დიდი ხანია ჩამოატარეს.

— როვა მოკუპრული ხარ, ცოლი ხომ არ მოგკედომია? — შეაგება მარგალიტამ.

— შავისთვის როგორ იქნება უგუნებოდ? — წამოიძახა უკვე შეზარხოშებულმა სკაჩიამ. — ძველად იტყოდნენ, ბედნიერ კაცს ცოლი მოუკვდება და უბედურ კაცს — ხარით.

— აბა რა გგონია შენ, ხარის სიკვდილი ოჯახის დაქცევა იყო უწინ! — სთქვა სეფემ.

ელიზბარა ახლა მიხელას ჩააცვიდა:

— ძაან ხარებია შენი ხარები, პირდაპირ საინტერესო ხარებია. დღეს ყველაზე მსხვილი ბოძები შენს ხარებს ამოუტანიათ. — მოჰყვა ბეწვზე და რქებზე: — თავდაღმართში რომ გაუქირდეთ, ურემს რქებით წაიღებენ, ნამდვილი მეგრული ჯიშის ხარებია.

ისე გაუწყალა გული, რომ მიხელა ზეზე წამოვარდა.

— კაცო, რას ჩააცვიდი ამ ჩემ ხარებს! ველარ გაიგე, კოლმეურნეობაში ვართ შე და ჩემი ხარები? შენსავით გარე-გარე კი არ დაედივართ!

ხარების შესახებ გამართულმა კამათმა იხსნა ფოსტის გამგე.

— კაცო, რა ხარებია ამისთანა? ერთი თუ არ ვნახე, არ დამეძინება ამელამ შავის ჯაერთი! — ადგა, მოიბოდიშა: დაუღლული ღორივით ვარ აქ გაკვეხებულთ, და ვარეთ გავიდა.

სანაქებო ხარების ნახვა სხვებსაც მოესურვათ. სუფრაზე მხიარული ჩურჩული და სიცილი ატყდა. ყველამ გაიგო, რა გასაჭირი ადგათ ხარის მნახველებს.

ელიზბარა კი ადგილიდან არ იძროდა. დამცინავად ხორხოცობდა. ასე ვიქნები სამ დღე და ღამეს აუდგომლად. იგი სადღეგრძელოს სვამდა:

— ყველამ გაუმარჯოს მისი შემადგენლობით! ამ სადღეგრძელოს არავის დაუთმობ, იცოდეთ დაცლაზე! ტაშტის ფსკერი უნდა გვიჩვენოთ — აუცილებელი საკითხია! შენ სულ სხვა ყაძახი ხარ, ტერენტი, შენც სარდიონივით ხომ არ ხარ? ხარხარებდა ელიზბარა.

— არის კონტაქტი! — იძახდა ფოსტის გამგე.

— აბა შეავსე, ტერენტი, შეავსე, გულს ნუ დაგვაკლებ!

ტერენტი შეუდგა სამურაბე ტაშტის ავსებას, მაგრამ ამ დროს ღვიწხო შეწყდა სუფრაზე: სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს ელიზბარას, ღვი-

ნო გადაუმაღეს. ელიზბარამ ბოთლების ძირში ჩარჩენილი ლენის ჩამოწურვა დაიწყო, მაინც არ აუთავდა ამ უძირო ტაშტს.

— გოჭი და საცივი ბლომათ გვაქვს, მარა ამ ღვინოზე ვსაუბრობთ ქესატად! — გულნაკლულად სთქვა ტერენტიმ.

— გათავდა ღვინო, წავიდეთ აწი შინ, ხვალ გათენებამდე უნდა ჩავიდეთ ბრიგადაში! — იძახის ციციწო, პელოს და მარგალიტას ეწევა. უნდა ბონდოც დასძრას ადგილიდან.

ციციწოს გულს უხეთქავს ის, რომ ბონდო წამდაუწუმ ჰკბენს ბიძინას და ყარაშანას, რომლებმაც ის ღვინის მოპარვაზე დაიჭირეს. ბონდო დასცინის და აჭილიკებს მათ, თითქოს ჩხუბის მიზეზს ეძებსო, თან ქლიშვილებს ელლაბუცება, ხან ერთს გადახვევს ხელს, ხან მეორეს. ციციწოს გული მოსდის ბონდოზე, მაინც ვერ დაუტოვებია მარტო.

ჩაიხრჩვება მთლად ღვინოშიო, — ფიქრობდა ის, თითქოს ბონდოს მეურვე ყოფილიყოს. საკუთარი თავისთვისაც ვერ აეხსნა, რატომ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა მოუვიდოდა ბონდოს. იქნებ იმისთვის, რომ ბონდო ქიშვარდისთან მისვლამდე მათსა დაითრო.

ქიშვარდის გულს კი ეჭვი ღრღნის. ალბათ ციციწოს უნდა ბონდო გააკლდებინოს თავი, — ფიქრობს ქიშვარდი.. პელოს და მარგალიტასაც, ალბათ, წესისთვის ეპატიეება თან, რომ მთერალ ვაქვს მარტო არ გააკევს. დღეს ღვინის მოპარვაშიც შევლოდა. ქიშვარდის ჯიბრზე თუ ჩადიოდა. ქიშვარდის გაბოროტება ბონდოს მიმართ თითქოს ციციწოზედაც გადადის.

ელიზბარა კი ისევ ღვინოზე ჭირვეულობს:

— მარიამობისთვე კია, მარა დავიჯერო ახლა ჩვენს მასპინძელს, ამდურ ცნობილ მებაღეს, ღვინო შემოაკლდებოდა? სეფე არ ამბობდა ფარნასას, მარანში ცოლიკოური ბოქკებს ხეთქავსო. აბა ღვინის ხარჯს ხომ არ მოერიდება, ყაისარა ხომ არ არის!..

— რა ექნა, წყალით ხომ ვერ შევავსებ ამ სასმისს! — იძახდა კისერ გადავდებული ტერენტი.

— წყალი კი არა, ფარნა თუ ვინდა ღვინოში გაცურებს მთლად! — ჩახჩახებდა შეზარხოშებული სკაჩია. — მარა წყალი ამავრებს კაცს, მაი მე მკითხე შენ. ერთ მოსახლისას ეცხოვრობდი, გერმანიაში რომ ვიყავით ტყვეთ. მე და ერთი რუსი ვმუშაობდით იმასთან. იგი გვეუბნებოდა ყოველთვის სადილობისას, დალიეთ ბლომათ წყალი, წყალს დიდი ძალა აქვსო. წყალი ხიდებს ანგრევს, კლდეს არღვევს, გაგამავრებს წყალიო.

— რა ექნა, წყალი მაინც მომეცით, შევავსო ეს სასმისი! — იძახის ტერენტი.

— ნავთიანია ბოთლები, — ამღვეს ბანს მიხელა.

მახი ღრიალი იჭაურობას აყრუებს.

ელიზბარამ კი კვლავ დაიწყო ჭიქების კენება. ყველა შეზარებული შეპყურებს მას.

— წამოიკვია თავზე ამ ჩალანდარამ მთელი წვეულება! — ამბობს სეფე.— მაგი თამადათ კი არა, ლომის დამშეღათ არა უნდა დააყენო კამპანიაში!

ფარნაც გაგულისდა, წამოდგა, მარანში გავიდა და ცილინო ზოქა შემოიტანა, აბლაბუდა მოკიდებული, და ელიზბარას წინ დაუდგა.

სკაჩიამ შესჰყვილა, საოცრად ბრწყინავენენ მისი თვალები. ჰიქაში ვადაასხა ქარვისფერი „მოპეტემეზებული“ ლენო.

— ზიარებაა, ზიარება! — გაჰყვიროდა ის.

— აბა, თუ ზიარებაა, გამოსცალე, — უთხრა ელიზბარამ, ტერენტის სასმისი შეაესო და გადაწოდა.

— რა გგონია, თუ იცი, შენოდენას ყურში ჩავისხამ! — ატრაბახდა სკაჩია. ძველებური ქორწილის ამბები წამოიწყო.

ქიშვარდის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმის მისი ჩახჩახი:

— ქორბუდეში ვართ ქორწილში. ქორბუდელი ბლალოჩინი სერაფიონ გალოვრია თამადათ არის. გადაქაჩულია ხუცესი — უნდა მოვსტეხო კისერი სამხეთოელ მაყრებსო. ვეშაბივით კაცი იყო ბლალოჩინი. არ დაგავიწყდეს შენ, ხეს მოსტკლევდა, რომ დატაკებოდა. რუმბივით ქონდა გაბრიგინებული ფაშვი. ერთ ჭურ ლენოს ჩეიწურავდა შიგ. დაიჭო ხუცესმა, ისე უნდა გავხადო სამხეთოელები, შინ ველარ მიაგნონო. მოდის და მოდის ალავერდს ჩვენთან. ჯერ ოთხი ჩაის ჰიქა ერთად, მერე ექვსი, მერე ცხრა. ეხედავ ფინთად მიდის საქმე დაჰალაფდენენ ჩვენებული მაყრები. მე ჰინკასავით ვარ. ეიწია ბლალოჩინმა უფრო მალლა. ააესო თორმეტი ჩაის ჰიქა. აღარ დაეტია სინზე. შეჭედეს ბასკით ორი ყავარი, გაჰკანდრეს თორმეტი ჩაის ჰიქა. ალავერდი სკაჩიასო, — დეიბდღვინა ბლალოჩინმა. გამიხარდა გუნებაში, ჩემთან რომ იკადრა ალავერდის გადმოსვლა. მე მაშინ ბალანა კაცი ვიყავი. პირველათ ვიყავი მაყრათ, დავცალე თორმეტი ჰიქა, გადავედი ქორბუდელ მაყრებთან ალაფერდს. გამოსცალეს, მარა შენ მტერს იმფერი! გადაჰკიდა ერთმა მაყარმა კისერი, გადაჰკიდა მეორემ, გადაჰკიდა მესამემ. კაცი აღარ დგას ფეხზე. არის ერთი ვაი უშველებელი. ბლალოჩინმაც ისე გადმოკიდა ცხვირი. როგორც ინდოურმა თვერი, კიდომ უნდოდა დასხმა, მარა დაუვარდა ბოთლი ხელიდან, დაფშენა ჰიქები.

სკაჩიამ შეისვენა, თვალი მოავლო ყველას და განაგრძო:

— მე ისე ვარ, რომ სამოციქულოთ გამოვდგები. გამოვედი ეზოში. ალიონი ფერაეს. ოდის წინ ტყემალზე ქათმები ზის. ამოვიდე ჩემი ვითოჯირო, ვწვიტე, ერთი გადმოვაგდე, ვწვიტე, მეორე გადმოვაგდე, ვწვიტე, მესამე გადმოვაგდე“...

აღარ ესმის ქიშვარდის, რამდენი „წყვიტა“ და რამდენი გადმოავდო სკაჩიამ.

— ბოლოსთვის ჰქონებია ფარნას შემონახული საუკეთესო ლენო, — როხროხობს ელიზბარა.

ყარამანამ, მამიამ და ბიძინამ თავი გამოიღვეს, შეებნენ ღვეზის სმაში ელიზბარას. მეურმეებიც გაეჯიბრნენ მათ. შეიქნა თავაწყვეტილი სმა.

ბონდო თავგადაგდებული იჯდა. ბიძინამ მაინც დაუდგა წინ კოლიკაურით მოპირთავებული სამურაბე ტაშტი. მის დანახვასზე ბონდო ამოასლოკინა — თუ გულზე წამოზიდა, კარი გამოალო და ბარბაცით გარეთ გავიდა. ციციხო და პელოც წამოიღვენ.

— წავედით ჩვენ, ქიშვარდი, — გაუღიმა ციციხომ კუშტად მდგომ ვაეს, — დიდი მადლობა ესმა.

ესმამ თავის მხრით გადაუხადა მადლობა. ქიშვარდი კი საავდროდ გამზადებულ ცასავით იყო მოკუპრული.

ელიცამ სიმღერა გააბა:

„გათენდა და გატიალდა, ჩიტმა დაიწყო გალობა,
დამპირდი და მომატყუე, შეჩვენდა შენი ქალობა“.

ქიშვარდის მოეჩვენა, თითქოს მას მიუძღვრეს.

გარეთ ცას მართლაც ალიონი ფერავდა. ქალიშვილები დაკეტებს მისწვდნენ. აივანზე გავიდნენ. ყარამანა, ბიძინა და მამაც მათ გაჰყენენ. სუფრა აიშალა. მაგრამ ელიზბარა, ტერენტი, მიხელა, ბიძინა და ყარამანა აივანზედაც განაგრძობდნენ სადღევგრძელოებს. იქ გაიტანეს ყანწები და სამურაბე ტაშტი.

სკაჩიას სმის თავი აღარა ჰქონდა, მაგრამ ყვირილით კი ყველაზე მეტს ჰყვიროდა:

— ვერაფერს ვერ წაიღებენ მელიქაურლები! აბა ნახეთ, დღეს რამდენ პროცენტზე ავაქენებთ გეგმას!

ელიზბარა ვგონებ შეათეჯერ სვამდა ქიშვარდის მშენებლობის სადღევგრძელოს.

— მოდი, ბარემ ჩავესოთ ბოძები და მიუქციოთ ძირში ღვინო, — სთქვა მიხელამ.

გურგუსით ჩავიდნენ ეზოში, ბოძებს კეტები შეუყენეს და ყიფინით ჩაჰყარეს ორმოებში. ისე გულმოდგინეთ უტკეპნიდნენ ძირს, თითქოს ამ დილით აპირებენ პალატზე ოდის წამოიღვმასო.

— გულო საყვარელო, ერთი ასე სურათის გადაღებას რა სჯობია! — ოცნების კილოზე სთქვა კლეოპატრამ.

ამ წინადადებას ყველა აღაფრთოვანა.

— აბა ფოტოგრაფიკ! — ეცა სკაჩია ტერენტის: — მომართე ერთი შენი აპარატი! — ფოტოგრაფი ძლივს მაგრდებოდა ფეხზე. — აბა გადაართვი სურათი ამ ჩვენ მშენებლობას და წვეულებას.

ტერენტიმ მომართა ზანდუკის ტოლა რალაც დანჯღრეული ყუთი.

კლეოპატრა ხალხის დაწყობას შეუდგა. ყმაწვილებმა მიიტანეს ლანგარაზე დარჩენილი გოჭის თავი, ნახევრად ჩამოთლილი ბეჭი, ყანწები, სამურაბე ტაშტი.

— აბა, გაუჭიტინე, გაუჭიტინე ერთი, ტერენტი! — იძახდა ელიზბარა. — მაგაში გიწერენ შენ შრომა-დღეებს.

ფოტოგრაფს თვალები ეხუჭებოდა. შავი თავსაბურღი დაეწყო და ესმამ თალხი თავშალი გამოუტანა. დიდხანს უტრიალებდა ტერენტი.

— წყნარად, წყნარად! მხიარული სახე მიიღეთ!

— ჩვენ თუ მხიარულება გვაკლია და ზღვას ვეძებთ? — რობროხოზობდა ელიზბარა.

ყმაწვილებს წყნარად დგომა ეძნელებოდათ. ქიშეარდი მოვამული იდგა.

ბოლოს ბიძინა მოთმინებიდან გამოვიდა, ზურგიდან მოუარა წელში მოხრილ ფოტოგრაფს.

— რას უჭიტინებ ამდენს?

ჩახედა. თურმე სულ არ იდო შიგ ვადასაღები ფირფიტა და ტერენტი ტყუილად ცოდვილობდა.

— გაზეთში დასახატავი ხართ თქვენ ამ სახით! — სთქვა ბიძინამ. ამ დროს ბრიგადა გამოჩნდა ორლობეში. შერმანდია და ეპიფანეც მათ მოჰყვებოდნენ.

იმ ღამესვე ამოსულიყვნენ ვარდოულიდან.

— როგორ ხართ, თავი ზომ არ გტკივთ? — შორიდან გადმოსძახა შერმანდიამ.

ქიშეარდის ერჩინა მიწა გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა...

ამ დღეს დროშა მელიქაურლებმა წაიღეს.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)

საალი

„ბუსჯანი“-დან ¹⁾

შესტირა გლახამ თვის უმწეო უბედურება
მლიდარს, რომელსაც სხვისი კენესა არ ეყურება..
არც გროში მისცა იმ გულშეგმა, არც არაფერი,
გააგლო ცემით და უწოდა გიჟი, ოხერი.
მოაწვა გულზე სისხლი საწყალს რომ გაუქირდა..
წაართვა თავი მოთმინებას და აუყვირდა:
„მლიდარი კაცი მუდამ ასე რისთვისა სწყურება,
„რატომ იმის გულს არ აშინებს უბედურება?
„ბატონო, რისთვის მოისურვე ჩემი გაგდება!
„იცოდე, ბოლოს მოგიხდება პასუხის გება!..“
უბრძანა მონას იმ ვერაგმა ბრმა დაჟინებით,
გააგლონ გარედ ცემითა და ლანძღვა-გინებით..
იდიდოს უნდა შემოქმედის სახსენებელი:
გაეფე, იმ კაცს განურისხდა წუთისოფელი,
თავით მიწაზე დაანარცხა იგი თავებდი,
და ოტარიდმაც ²⁾ დაადო მას შავი ბეჭედი.
დავარდა გზაზე უბედურად შიშველ-ტიტველი,
მას აღარავინ მიაშველა დამხმარე ხელი.
ვადაიყარა თავზე ბედმა სისაწყლის მტვერი,
გაფუქდა წმინდათ, გახდა როგორც ქუჩის ოხერი.
მისი ცხოვრება შეიცვალა უკვე სხვა გვარად,
ამასობაში ეს დროებაც გარბოდა ჩქარა.
ამ ძუნწის მონას გამოუჩნდა სულ სხვა მყიდველი..
კაცი გულთბილი, ლმობიერი, ბუნებით ქველი.
ისე უნდოდა მას დანახვა სხვა უბედურის,
როგორც რომ გლახას უხარია შეხედვა პურის...
საღამო ეამზე კარს მიაღდა ლუკმის მძებნელი,
ძლივს მიათრევდა უძლურ ფეხებს იგი დღე ბნელი..

¹⁾ „ბუსჯანი“ დაწერილია 1257 წელს. შეიცავს იგავთა კრებულს. ქართულად მისი ნიმუში პირველად იბეჭდება.

²⁾ ოტარიდი — პლანტი მერკური.

ეუბნებოდა თავის მონას ის კაცთმოყვარე:
 მიეცი რამე იმ უბედურს და გაახარე.
 როგორც კი მონამ მიუტანა მას ლუკმა პურის
 აყვირდა უცებ, როგორც გიჟი, ის უბედური
 მობრუნდა მონა თვის ბატონთან გულგატეხილი,
 ცრემლებითა და მწუხარებით სახე შეცვლილი...
 ეკითხებოდა მას ბატონი, გულით ნეტარი:
 რაა მიზეზი, რომ გდის ევრე ცრემლების ღვარი?..
 უთხრა: ჩემს გულში საშინელი რაღაცა არი, ,
 რომ დავინახე საცოდავად ის ბედ-დამწვარი.
 იმ კაცის მონა და მორჩილი ვიყავი ძველად,
 ფული, სიმდიდრე, ყოველივე იყო მის ხელად.
 როცა დასაწყლდა იგი, წინათ ნაზად გაზრდილი,
 დადის კარ და კარ ახლა იგი ხელებ-გაწედილი.
 აქ გაელიმა ბატონს და სთქვა—არაფერია,
 ვალის გადახდა საწუთროში ყველას ჯერია.
 იგი არ იყო, რომ სწავრავედა ყველას აქამდე,
 სიამპარტავნით თვითონ თავი აქონდა ცამდე?
 შე ის ვარ, ვისაც მახსოვს მაგის სასტიკი ქცევა,
 თავის ეზოდან ლანძღვა-ცემით გამომაძევა.
 შე იმ დროს ზეცამ გადმომხედა, მყო ბედნიერი,
 ჩამომარეცხა პირსახეზე სისაწყლის მტვერი.
 ზეცის განგებით, ვინც ნახავს ერთ კარებს დაკეტილს,
 შემდეგ გაულებს მეორეს ის ქველსა და კეთილს.
 ბევრმა საწყალმა ფუფუნებას მით მიალწია,
 ბევრი მდიდარი მძიმე ტვირთის ქვეშ მოაქცია.

მხიკა სიკეთის ღილი ნაყოფი

ნახა ჰაბუკმა ერთი გლახა მოხუცებული,
 დაეწვა გული და აჩუქა მას გროში ფული.
 საუბედუროდ, შეემთხვა ვაჟს ცუდი ამბავი:
 გაგზავნა მეფემ კაცი მისთვის მოეჭრათ თავი.
 შეიქმნა ერთი ღრიალცელი, ხალხის ყაყავი,
 გაივსო ხალხით ყველა სახლი და სახურავი.
 რომ დაინახა გლახამ ვაჟი ამ განსაცდელში,
 როდესაც ჯალათს მოსაკლავად ეჭირა ხელში,
 მას შეეცოდა ის ჰაბუკი დღე განწირული,
 რომელმაც ერთხელ გადაუგდო მას გროში ფული.
 მორთო ყვირილი: რომ სულთანს გარდაიცვალა,
 დასტოვა მიწა და დიდების წაიღო ძალა!..



შეიქნა ყველა ამის გამო ზარდაცემული.
 მისი მხედრებიც აიშალნენ ხმლებ-მომართული.
 მორთეს ყვირილი თავაშეებით და გადარევით. მირბოდნენ შაჰთან ტირილით და თავების მტკრევით.
 როცა მიადგნენ მეომრები სასახლის კარებს,
 ხელადნენ სულთანს ჯანსაღად და ტახტზე მჯდომარეს...
 ვაჟი გაიქცა გამწარებით სხვა უცხო მხარეს.
 ხოლო მოხუცი დაჭერილი სულთანს მიჰგვარეს.
 მას შეეკითხა შაჰი რაღაც სასომიხდილი:
 რაში დაგჭირდა, მოხუცო, შენ ჩემი სიკვდილი? —
 თუ მე ვარ მეფე სიკეთის და მართლის მოყვარე,
 უბედურება წინდაწინ ხალხს რისთვის ახარე?
 წამოიძახა მაშინ გლახამ სიტყვა ყოჩაღად:
 პოი, ცნობილო მთელი ქვეყნის ღირსეულ შაჰად!..
 ჩემმა სიტყვებმა შენ არა-რა დაგაკარგვინა,
 იმ საცოდავმა კი სიცოცხლე მით შეიძინა...
 შაჰს გლახის სიტყვა მოეჩვენა გასაკვირველად,
 დაასაოუქრა და თავისთვის გაუშვა ხელად.
 ქაბუჯა ამ დროს ამ შიშა და სიმწუხარეში
 გარბოდა თავქუდ-მოგლეჯილი კლდესა და ღრეში.
 ერთი წმებდური შეეკითხა ვაჟს თანაგრძნობით:
 როგორ შესძელი, რომ გადარჩი სიკვდილს მშვიდობით?
 პოი, ზრძენ კაცო, უთხრა ყურში ვაჟმა სიმართლით,
 გადაერჩი მხოლოდ ერთი გროშის დათესილ მადლით:
 მარცვალს მიწაში ისე უხვად იმიტომ ჰყრიან,
 რომ იმის ნაყოფს ვაჭირვების დროს მოიმიკიან!..

ქ ე რ პ ი

ენახე სომნატი¹⁾ სპილოს ძვალის კერპი დადგმული,
 როგორც მანატი,²⁾ ისე იყო იგიც მორთული.
 ისე ლამაზი იყო მხატვრის ნამუშევარი,
 არ იქნებოდა სხვა მეორე იმისა გვარი.
 ყოველი მხრიდან მოდიოდა ქარავანთ ჯარი,
 თაყვანსაცემად, რომ ენახათ ეს კერპი მკვდარი.
 ილტვოდა ყველა ქვის კერპისკენ, რომ მას უყურონ
 და საადივით „გულქვის“ ნდობა დაიმსახურონ.

1) სომნატი — ძველი ქალაქი ინდოეთში.

2) მანატი — ძვირფასად მორთული კერპი.

3) ზრავანი — სასულიერო პირი.



ენა მკვირები მოდიოდნენ იმასთან ფრთხილად
და ამ მუნჯის წინ თავდახრილი იდგნენ მორჩილად.
ჩემთვის ის იყო სხვაზე მეტად გასაკვირალი, —
თუ როგორ იქცა კაცის კერპად ეს მინერალიზებული
ერთი თვალთმაქცი იყო ჩემთან კაი მეგობრად
და მასლაათიც მან ყოველთვის იცოდა მწყობრად.
ჰოი, ბრაჰმანო!), ამიხსენი, შევკითხე მშვიდათ,
ამ თქვენი კერპის საქმე ახლა მაკვირვებს დიდათ:
ამ უძღურ ქვის წინ რომ არიან შიშით მოცულნი
და უვიცობის ქასთან მაგრა ჯაჭვით მიბმულნი,
არც ხელში ღონე, ერთ ნაბიჯსაც კი ვერა შვრება,
თუ ძირს დაეცა, ადგილიდან ვერ დაიძვრება.
ხედავ, თვალეები ქარვისა აქვს გაკეთებული,
რას მოგცემს კეთილს ამნაირი თვალდავსებული?!
ეს რომ ეთქვი, უცებ გადამექცა მტრად მეგობარი.
აენტო ცეცხლად და დაეცა თითქო თავზარი.
ამცნო თვალთმაქცებს და მოხუცებს ჩემი ფლიდობა,
და ამ ჯგუფში მე დამეკარგა სრულიად ნდობა.
დამეცნენ თავზე ეს მოძღვარნი, მღელვარნი ძალზე,
როგორც შიმშილით დაქანცული ძაღლები ძვალზე.
იმათ გზა მრუდე დიდათ სწორი ეჩვენებოდათ
და სწორი გზა კი საშინელი მრუდე ეგონათ.
რა გინდ ჭკვიანი იყოს კაცი, ის უეჭველად
სულელთა შორის ჩაითვლება იგიც სულელად.
ყოვლად უმწეოს, როგორც კაცი წყალში დამხრჩვეალი,
ფლიდობის მეტი არა მქონდა გზა წასაყალი.
როდესაც ხედავ, ბოროტებას გიწევს უგნური,
სიფრთხილით უნდა გააცურო ის უბედური.
ბრაჰმანთა უფროსს მიემართე მე: პატივცემულო,
ჰოი, მცხოვანო, სამღეთო სჯულის დიდო სწავლულო!
მეც მომწონს თქვენი კერპის ნაზი შეხედულება,
იმისი მსგავსი მე არსად სხვა არ მეგულება.
მისი სურათი თვალში დიდათ მე მეჩვენება,
მაგრამ იმისი შინაარსის არ მაქვს შეგნება.
ეს გზა სულ ახლად, როგორც ხედავთ, მე ავირჩიე,
მაგრამ ავ-კარგის გარჩევაში ვერ გავერკვიე.
შენ ფერზინი ხარ ამ საკითხის გადასაჭრელად,
ამ წმინდა სახლში დიდი შაჰის ცნობილ მრჩეველად.
დაკარგულია მუდამ რწმენის ბრმა მიმდევარი,
ნეტა მას, ვინაც სწორე გზაზე არის დამდგარი.
მითხარი, კერპში რაა ღირსი, შესანიშნავი,



მუდამ ამისი გაგების მე მომზრე ვიყავი...
 ბრაჰმანს ცეცხლივით გაუნათლდა სახე, სიამით,
 მითხრა: კეთილო, შენ ძალიან მაამე ამით,
 კითხვა სწორია და ბრწყინვალე მაგ საქმის გეზი,
 მიზანს ის აღწევს, ვისაც ესმის საგნის მიზეზი.
 მე თვით, როგორც შენ, ქვეყანაზე ბევრი მივლია,
 ენახე კერპები, მაგრამ ღიდათ არ ჩამითვლია,
 ამ კერპის ვარდა. ამ ადგილზე მას ყოველ დღით
 ზეცისკენა აქვს ორივე ხელი ზევით აწვდილი.
 და შენ ამაღამ აქ დარჩენის დრო თუ გექნება,
 ხვალ დღით ამის საიდუმლო სულ აგეხსნება.
 ღამე იქ დავრჩი, ავასრულე მოხუცის თქმანი,
 როგორც რომ ჭაში ჩავეარდნილი გმირი ბიყანი¹⁾.
 ღამე განკითხვის ღამესავით გადაიქცა გრძელი,
 თვალთმაქტთ ჩემს გვერდით აღემართათ სალოცად ხელი.
 ძაძით მოსიღმა ღამემ ყველას მოულოდნელად
 დილის მახვილი ამოაძრო ბუდიდან ხელად.
 ამ დროს მედოლემ დაჰკრა დოლი დილის სისხამზე
 და იმ ბრაჰმანსაც დაიყვილა თვით მამლის ხმაზე.
 ჩავეარდა დილის ცეცხლი წმინდა საყურთხეველში,
 აინთო ალი მთელი ქვეყნის მთასა და ველში.
 მოვიდნენ ბერი-თვალთმაქცები, პირუბანელნი,
 ვადმოვლახათ უამრავი მთანი და ველნი.
 ხალხის ჯგრო ერთი მეორეში მთლად ირეოდა,
 ისე, რომ მასში თვით ნემსიც ვერ ჩაეტეოდა.
 მე ვიყავ ამ დროს უძილობით სასომიხდილი,
 რომ უცებ კერპი დავინახე ხელეზ-აწვდილი.
 ერთბაშად ყველამ მორთო დიდი ყვირილ-ღრიალი,
 იტყოდი, თითქო დაიწყო ზღვის ლელვა-ტრიალი...
 როცა საკერპე დაიკალა შეკრებილ ხალხით,
 ბრაჰმანი ჩემთან გამოცხადდა მოლიმარ სახით.
 მითხრა: აწ აღარ გეჩვენება ეს საქმე ძნელად,
 ქეშმარიტება აგიცხადდა გასაკვირველად.
 ენახე სირეგვნე, რომელსაც რომ არ აქვს საზღვარი,
 ფიქრი ამაო, ფრიალ მაგნე და საზიზღარი.
 არ აღუხენი იმათ ჩემი შთაბეჭდილება,
 სიმართლე უგნურს არასოდეს გაემხილება.
 მოვეარდნენ ჩემთან ღვთის მსახურნი დაუღალავნი
 და მოწიწებით დამიჭირეს ხელი და მკლავი.
 წაველ ძლიეს კაცთან მე ბოდისის კვლავ მოსახდელად,

¹⁾ ბიყანი — „შაჰნამეს“ გმირი.

იქ იდგა ტახტი მოოქერილი, შავი ხის მთელად.

მე კერპს ძვლის ხელზე რამდენჯერმე ვაკოცე ცხარედ,

წყვეული იყოს ის კერპი და მისი მოყვარეც!..

ერთ ღამეს კარი გადავკეტე მე ჩემის ხელით,

მარცხნით და მარჯვენით მიმოვრბოდი, ვით მორიელა.

უნახე ტახტის ქვეშ ნამალევად შემონახული

მე ერთი ფარდა, სანაქებოდ რამ მოქარგული.

ფარდის უკან კი იჯდა ჩუმად კერპის შსახური,

ხელში ეჭირა ძაფის წვერი მას ეშმაკური.

კაცი ძაფს მაგრად ცოტა ქვევით თუ დაიპერდა,

ძვლის კერპი ხელებს ზეცისაგენ თვით აიშვერდა.

რომ შემომხედა, აიტანა იგი სირცხვილმა,

თვის სისაძაგლე ვერ დაფარა ამ „ზეცის შეილმა“.

მოკურცხლა უცებ და მეც უკან გამოვეკიდე,

დავსტაცე ხელი და ყირაზე ჭაში ჩავკიდე.

ვიცოდი, ის თუ კვლავ ცოცხალი გადარჩებოდა,

გაბრაზებული ჩემი სისხლით ვერ გაძლებოდა.

და თუ კი იგი რამე ფერად მე დამლუპავდა,

მის წამხდარ საქმეს საბოლოოდ არა უშავდა.

ისე სასტიკად ჩავაქვავე ის გაიძვერა,

რომ არასოდეს არ გაისმის იმისი ბგერა.

თარგმანი ფარსულიდან

აშ. კელიძის მიერ.

ა. ს. პუშკინი

ქვის სჯუმარი

Leporello: O statua sentilissima
Del gran Commendatore!..
...Ah, Padrone!

Don Giovanni

სცენა I

დონ ჟუან და ლეპორელლო.

დონ ჟუან.

აქ დაუცადოთ დაღამებას, და აი ბოლოს
ჩვენ მოვალწიეთ მადრიდის ბქეს! ძალიან ჩქარა
მე ფრთა შესხმული გადავირბენ ნაცნობ ქუჩებზე,
ულევაშს დაეფარავ მოსასხამით და ქუდით წარბებს,
როგორ გგონია? ველარ მიცნობს, მგონი, ვერაფერს.

ლეპორელლო.

დიად, ძნელია გამოცნობა დონ ჟუანისა!
სადაც მის მსგავსი ზღვა ხალხია!

დონ ჟუან.

შენ მეხუმრები?

აბა ვინ მიცნობს?

ლეპორელლო.

პირველი მცველი მოდარაჯე,
ვიტანა, ან და მემუსიკე, ღვინით დამთვრალი,
ან თქვენივე მოძმე, კავალერი ვინმე თავხედი,
დაშნას რომ მალაეს ილლიის ქვეშ, წამოსასხამში.

¹⁾ ლეპორელლო: ო, უკეთესობილესო ძეგლო დიდის კომანდორისავე! ოპ, ბატონო!

დონ ქუან.

მერე რა არის თუ გინდ მიცნონ! მხოლოდ და მხოლოდ
არ შემხედვებოდეს თვითონ მეფე.

თუმც არავეისი

მე მადრიდში არ მეშინია.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ხვალეე ხმა მივა

თვით ხელმწიფემდის, რომ დონ ქუან გასახლებული
თვითნებურადვე გამოცხადდა მადრიდში — მაშინ,
მითხარი, იგი თქვენ რას გიზამთ?

დონ ქუან.

გამგზავნის უკან.

უკვეელია თავს არ მომკვეთს, ხომ არ მიმიძღვის
რაიმე ბრალი სახელმწიფო დამნაშავეისა.

მე გამაძევა მან ჩემივე სიყვარულისთვის,
რომ არ დაეწყო ჩემი დევნა-შევიწროება
მოკლულის ოჯახს.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

და მერე რა! დამჯდარიყავით
თქვენთვის იქავე არხინად.

დონ ქუან.

მადლობას გიძღვნი!

ცოტა დამაკლდა, შე არ მოვკვდი იქ მოწყენისგან.
ან რა ხალხია, ან რა მიწა! ზეცა კვამლსა ჰგავს.
მათი ქალები? იცი, უგნურო ლეპორელლო,
არ გავცვლი იმათ უპირველეს მშვენიერზედაც
ანდალუზიელ უკანასკნელ გლეხის დედაკაცს.
თუმცა პირველხანს მე მზიბლავდნენ ისინი კიდევ
ლურჯი თვალებით, სითეთრითა და მოკრძალებით, —
უფრო სიახლით; მადლობა ღმერთს მალევე მივხედა,
ვიგრძენ, რომ მათი ნაცნობობაც შეცოდებაა —
არ აქვთ სიცოცხლე, ყველა სანთლის თოჯინებს ჰგვანან;
და ჩვენები კი... ყური მივდე, ეს ადგილი ხომ
ნაცნობი არის ჩვენთვის; აბა თუ გავგონდება?

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

როგორ არ მახსოვს: მონასტერი წმინდა ანტონის
სამახსოვროა; თქვენ აქ ხშირად მიბრძანებულხართ,

ხოლო ცხენები მე მებარა აქ ამ ჰალაკში.
წყეული მჭონდა, გამოგიტყდეთ, თანამდებობა.
დამერწმუნეთ, რომ თქვენ უკეთეს დროს ატარებდით
აქ ყოფნის ჟამსა, ვიდრე მე.



დონ ეუან (ჩაფიქრებით)

საბრალო ინესა!

ის აღარ არის! რა ძლიერად მიყვარდა იგი..

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ინესა! — თქვენი შავთვალეუბა... პო, მაგონდება,
სამი თვე სდიეთ, დაგეხმარათ ბოლოს ეშმაკი.

დონ ეუან.

ივლისში... ღამით. მე უცნაურ სიამოვნებას
ეპოვებდი იმის დანადგლებულ გამოხედვაში
და გაფითრებულ ბაგეებში. უცნაურია.
შენ კი, მგონია, არ მიგაჩნდა ის მშვენიერად.
თუმც ცოტა იყო ჭეშმარიტი მასში მშვენება.
თვალეები მისი მარტოოდენ. და გამოხედვა...
გამოხედვას მე ამგვარს კვლავ არ შევხედრივარ.
ხმა წყნარი ჰჭონდა მას და სუსტი, როგორც ავადმყოფს.
ჭმარი კი ჰყავდა არამზადა, უსასტიკესი,
გვიან გავიგე... საცოდავი ჩემი ინესა!..

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

და მას შემდეგ ხომ სხვებიც იყვნენ.

დონ ეუან.

მართალი არის.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ვიცოცხლებთ, სხვებიც იქნებიან.

დონ ეუან.

ეგვი ვგრეა.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ეხლა მადრიდში რომელს უნდა დაუწყოთ ძებნა?

დონ ეუან.

ლაურას! მისკენ მივისწრაფი.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ეგვი საქმეა.

დონ ეუან.



პირდაპირ მასთან კარებიდან — და თუ კი ვინმე
მე იქ დამხედება, ვთხოვ გადახტეს იმ წამს ფანჯრიდან.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

უეშველია. აი, უკვე ვაემხიარულდით.
შიცვალეზულნი ჩვენ დიდი ხნით არ გეაშფოთებენ
ჩვენსკენ ვინ მოდის?

(შემოდის ბერი)

ბ ე რ ი.

ეხლავ მოვა. თქვენ აქ ვინა ხართ?
კაცნი ხომ არა, ხელქვეითნი დონა ანნასი?

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

არა, ვახლავართ ჩვენდა თავად ჩვენ ბატონ-კაცნი,
აქ დავსეირნობთ.

დ ო ნ ე უ ა ნ.

თქვენ ვის ელით?

ბ ე რ ი.

ამ საათს მოვა
დონა-ანნა, რომ ქმრის აკლდამა მოინახულოს.

დ ო ნ ე უ ა ნ.

დონა ანნა დე სოლეა! როგორ? მეუღლე მოკლულ
კომანდორისა... თუმცა ეხლა არ მახსოვს ვისგან?

ბ ე რ ი.

ვარყვნილ, უღმერთო, უნამუსო დონ-ეუანისგან.


დ ო ნ ე უ ა ნ.

ოჰო! მაშ ასე! მაშ ამბავმა დონ-ეუანისამ
მოაღწია თვით მშვიდობიან მონასტერამდის.
ხედავ განდევილთ, ისინიკ კი ხოტბას უთვლიან.

ბ ე რ ი.

იქნებ იცნობთ მას?

ლექორელლო.

სულაც არა. სად არის ეხლა?  **ქართული
ნიგელიატიკა**

ბერი.

აქ აღარ არის, ის შორს არის გაძევებული.

ლექორელლო.

და მადლობა ღმერთს. რაც შორს, უფრო უკეთესია. ყველა გარყვნილი ერთ ტომარში და მერე ზღვაში.

დონ ეუან.

რაო, რას სჩმახავ?

ლექორელლო.

მოითმინეთ: მე მხოლოდ განზრახ.

დონ ეუან.

მაშ აქ დამარხეს კომანდორი?

ბერი.

დიალ, ამ ალაგს.

ცოლმა აუგო იმას ძეგლი, ყოველ დღე მოდის, იმის სულისთვის ევედრება ღმერთს და ჭვითინებს.

დონ ეუან.

ქერივი ყოფილა უცნაური! არც თუ გონჯია?

ბერი.

ჩვენ, განდგომილნი, ქალთ მშვენებამ არ უნდა გვზიბლოს, მაგრამ სიცრუეც ცოდვა არის; ბერსაც არ ძალუძს, მისი მშვენება ჯადოსნური არ აღიაროს.

დონ ეუან.

ტყვილა არ იყო გარდაცვლილი ეკვით აღსავსე. მას ცოლი ჰყავდა ცხრა კლიტულში გამომწყვდეული არც ერთს ჩვენთაგანს არ გვყავს იგი თვალთ ნახული. მასთან საუბარს თუმცა მეც კი მოვისურვებდი.

ბერი.

ო, დონა ანნა მამაკაცთან არა საუბრობს არასოდეს.

დონ ეჟან.

ნუთუ არც თქვენთან, ჩემო მამაო?

ბერი.



ჩემთან სრულიად სხვა საქმეა: მე ხომ ბერი ვარ.
და აი ისიც.

(შეზოდის დონა ანა).

დონა ანა.

ო, მამაო, გამიღეთ კარი.

ბერი.

ამ წამში, ჩემო სენიორა, მე თქვენ გელოდით.
(დონა ანა მისდევს ბერს).

ლეპორელლო.

რა, როგორია?

დონ ეჟან.

ის არა სჩანს ეხლა სრულიად,
დამალულია ქვრივის შავი წამოსასხამით,
და მხოლოდ მისი ვიწრო ქუსლი ოდნავ შეენიშნე.

ლეპორელლო.

თქვენთვის ეგ კმარა. და დანარჩენს კი წარმოდგენა
თქვენივე ერთ წამს დაგიხატავთ;
თქვენ წარმოდგენა ხომ მხატვარზე უფრო მკვირცხლი გაქვთ,
და სულ ერთია, რით დაიწყებთ წარბით თუ ფეხით.

დონ ეჟან.

აბა, მისმინე, ლეპორელლო: მე მას გაეცნობ.

ლეპორელლო.

ეგ ლა გაკლდათ! სად ვით წერია — კმარი დასცა
და სურს უმზიროს ქვრივის ცრემლებს. უსვინდისო!

დონ ეჟან.

უკვე დაბინდდა. ვიდრე მთვარე არ ამოსულა
და ნათელ ბინდათ მას სიბნელე არ უქცევია,
შევიდეთ მადრიდს (მიდის)

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო .

ესპანელი გრანდი, ვით ქურდი,
მოელის ღამეს, მთვარეს უფრთხის — ღმერთო ჭრადტუნუში
წყვეული ყოფნა! ნეტავ დიდხანს თუ მომიხდებამს
მე მასთან თრევა? მართალს გეტყვით ძალა აღარ მაქვს!

ს ც ე ნ ა II

(ოთახი, ვახშავი ლაურასთან).

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ მ ა რ ი .

ოპ გეფიცები, ლაურა, რომ შენ არასოდეს
ეგრე სრულყოფით ჯერ არსად არ გითამაშნია.
როგორ სისწორით შეიცანი შენ შენი როლი!

მ ე ო რ ე .

ვანავითარე რანაირად! როგორი ძალით!

მ ე ს ა მ ე .

რა ხელოვნებით!

ლ ა უ რ ა .

ღიად, მე დღეს მემარჯვებოდა
ყოველი სიტყვა, მოძრაობა. მე თავისუფლად
მივენდობოდი შთაგონებას. სიტყვა იღეროდა,
თითქოს მას შობდა გული, არა მონური ხსოვნა.

პ ი რ ვ ე ლ ი .

მართალი არის. და თვალები ეხლაც გიბრწყინავს,
და შენი ღაწენიც ცეცხლისებურ გაღვივებულან,
არ გაუვლია ჯერეთ შენსა აღფრთოვანებას.
ლაურა, შენ მას უნაყოფოდ ნუ გააციებ.
კვიმღერე რამე.

ლ ა უ რ ა .

მომაწოდეთ აბა გიტარა (მღერის)

ყ ვ ე ლ ა .

O, brava, brava, უბადლოა! საუცხოვოა!

პ ი რ ვ ე ლ ი .

მადლობელი ვართ, ჯადოსანო. ჩვენ გულებს ხიბლავ.
ცხოვრების ყველა სიტყვით შორის მხოლოდ სიყვარულს

მუსიკა უთმობს; მაგრამ თვითონ სიყვარულიც ხომ
მელოდიაა... პა. შეხედე: თვით დონ-კარლოსი
აღუღდა უკვე, მოღუშული შენი სტუმარი.



მეორე.

რა ბგერებია! რაოდენი სულია მათში!
ლაურა, ვისი სიტყვებია?

ლაურა.

დონ ეუანისა.

დონ კარლოს.

რა? დონ ეუანი!

ლაურა.

ეს სიტყვები შესთხზა ოდესღაც
ჩემმა ერთგულმა, მოტრფიალემ თავ-ჭარიანმა.

დონ კარლოს.

შენი დონ-ეუან უღმერთოა და არამზადა,
შენ კი სულელი!

ლაურა.

როგორც გატყობ, კუტიდან შესცდი!
ეხლავ ვუბრძანებ ჩემს მსახურებს, აქვე აგკუწონ,
თუმცა კი ვიცი, რომ გრანდი ხარ ესპანეთისა.

დონ კარლოს.

აბა, მოუხმე!

(წამოდგება)

პირველი.

ლაურა, თავი დაანებე;

დონ-კარლოს, ნურც შენ გაჯავრდები. მან დაივიწყა...

ლაურა.

რა? რო ეუანმა ორთა ბრძოლით პატიოსნურად
მიგას ღვიძლი ძმა რომ მოუკლა? თუმც მართალია:
დასანანია, თვით არ მოჰკლა.

დონ კარლოს.

მე სულელი ვარ,

რომ ვაეჯავრდი.

ლაურა.

აჰა! თვითვე სცნობ, რომ სულელი ხარ.
 მოდი შევრიგდეთ.



დონ კარლოს.

დამნაშავე მე ვარ, ლაურა.
 ეს მომიტევე, თუმც იცოდე, არ შემიძლიან,
 რომ მე გულცივად მოვისმინო მისი სახელი...

ლაურა.

ან და მე კი ვარ დამნაშავე, თუ კი ყოველ წამს
 წარმოსათქმელად ენას მადგას მისი სახელი?

სტუმარი.

მაშ იმის ნიშნად, რომ აღარ ხარ სრულებ ნაწყენი,
 ლაურა, კიდევ გვიმღერე რამ.

ლაურა.

გამოსათხოვარს,
 რადგან უკვე დროა, ლამეა. ან რა ვიმღერო?
 ჰა, მისმინეთ. (მღერის)

ყველა.

უბადლოა, საუცხოვოა.

ლაურა.

მაშ მშვიდობით, ბატონებო.

სტუმრები.

მშვიდობით, ლაურა.

(გადიან. ლაურა ატერებს დონ კარლოსს).

ლაურა.

შენ, ცოფიანო, ჩემთან დარჩი, შენ მომეწონე;
 შენ დონ-ჟუანი მომაგონე, როცა გამლანძღე
 და კბილები დამიკრაკუნე.

დონ კარლოს.

ბედნიერია!

შენ ის გიყვარდა.

(ლაურა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს)

ძლიერ?

ლაურა.

ძლიერ.

დონ კარლოს.

და ეხლაც გიყვარს?

ლაურა.

ამ წუთში? არა, მე არ ძალმიძს ორი მიყვარდეს.

ამ წუთში ეხლა შენ მიყვარხარ.

დონ კარლოს.

მითხარ, ლაურა.

რამდენი წლის ხარ?

ლაურა.

თვრამეტისა.

დონ კარლოს.

ახალგაზრდა ხარ...

და იქნები კვლავ ახალგაზრდა ხუთს ან და ექვს წელს.
და ექვს წელს კიდევ შენს გარშემო თავს მოიყრიან,
რომ გიალერსონ, გილოლიონ, დაგასაჩუქრონ
და ღამ-ღამობით სერენადით ძილი დაგიტკბონ,
შენი გულისთვის ამოხოცონ ერთი-მეორე
გზა-ჯვარედინზე ღამეობით. მაგრამ როდესაც
ვამი გაივლის, შენნი თვალნი ჩაიფერფლებს.
ქუთუთოები ჩაგიტყენს, ჩაგიშავედებს,
შენს დაღალეობში გაივლევს როცა ჭალარა,
და როცა ყველა დაგიძახებს შენ დედაბერსა.
მაშინ — შენ აბა რაღას იტყვი?

ლაურა.

მაშინ? და რისთვის

ვიფიქრო ეხლა მე ამაზე? რა ბაასია?

თუ შენ ყოველთვის ამისთანა ფიქრები გახლავს?

მოდის — გააღე აივანი. ცა რა მშვიდია!

თბილი ჰაერი არ ინძრევა. — ღამეს ღიმილის

და დაფნის სუნის ასდის. მთვარე გაბრწყინებული

კაშკაშებს დინჯად მუქს და მღვრიე ცის კაბადონზე.

დარაჯნი ვაბმით გაჰკივიან: თ ვ ა ლ ნ ა თ ე ლ ი ა!..

შორს კი პარიზში, ესპანეთის ჩრდილოეთ მხარეს —

იქნება ზეცა ღრუბლით არის მთლად დაფარული,
 ცივი წვიმა სცრის და ქარი ჰჭრის. ჩვენ რა საქმე გვაქვს/
 მისმინე კარლოს. მე მოვითხოვ, რომ გაიღიმო...
 პო, სწორეთ ეგრე!

უკონცეპტური
 გიგანტი

დონ კარლოს.
 საყვარელო ჩემო დემონო!
 (აქაუნებენ).

დონ ეუან.

ჰეი! ლაურა!

ლაურა.
 მანდ ვინ არის? ეს ვისი ხმაა?

დონ ეუან.

კარი გააღე...

ლაურა.
 ნუთუ!.. ღმერთო!..
 (კარებს აღებს. შემოდის დონ ეუანი).

დონ ეუან.
 სალამი შენდა...

ლაურა.

დონ ეუან!

(ლაურა კისერზე მხვევა)

დონ კარლოს.

როგორ დონ ეუანი!..

დონ ეუან.

ლაურა ჩემო,
 უძვირფასესო შეგობარო!..
 (ჰკოცნის)
 ვინ არის შენთან?

დონ კარლოს.

მე, დონ კარლოსი.



ქართული
ბიბლიოთეკა

დონ ეუან.

მე ხვალ ვიქნები შენი შებვედრა უცაბელი!
შენი მონა-მორჩილი.

დონ კარლოს.

არა!

ეხლა, ამ წამში.

ლაურა.

დონ კარლოსო, თავი ანებეთ!
თქვენ ჩემთან სახლში იმყოფებით, არა ქუჩაში —
კეთილ ინებეთ გამეცალეთ.

დონ კარლოს.

(პალს ყურს არ უგდებს)

მე ველი, აბა,

შენ ხომ ხმალი გაქვს.

დონ ეუან.

თუ კი შენ ვერ მოგიტმენია,

ინებე.

(იბრძვიან)

ლაურა.

აი, აი! ეუან!...

(დაეცემა ლოგინზე. დონ კარლოსი ეცემა)

დონ ეუან.

ადექ, ლაურა.

უკვე გათავდა.

ლაურა.

რა არის? მოკვალ? ჩინებული!

აქ, ჩემს ოთახში! რა ვქნა ეხლა, ანკო, ეშმაკო?

სად გადავავლო ის აქედან?

დონ ეუან.

შესაძლო არის

იგი ისევე ცოცხალია.

ლაურა. (ათვლიერებს გვამს)

დიად! ცოცხალი!

ნახე წყეულო, შენ პირდაპირ გულში დაგიკრავს, —

არ დაგცდენია, სისხლიც არ სჩქევს სამკუთხ კრალიდან,
უკვე არ სუნთქავს — როგორია?

დონ ეუან.

მე რაღა უყო?

თვით ეგრე სურდა.

ლაურა.

ეჰ, დონ ეუან, სამწუხაროა.
გამუღმებული სიანცენი — მაინც არ სტყუი...
საიდან გაჩნდი? რაც აქა ხარ, ღიღი ხანია?

დონ ეუან.

ეს არის ეხლა მე მოვედი, ისიც ფარულად —
მე ხომ არა ვარ შენდობილი. —

ლაურა.

და მოიგონე
იმავე საათს შენი ლაურა? რაც კარგი არის,
ის კარგია. კმარა, არ მჯერა. რომ გაიარე
აქ შემთხვევით, სახლი შენიშნე.

დონ ეუან.

არა, ლაურა
ჩემო, ჰკითხე თუნდ ლეპორელოს. მე ქალაქ გარეთ,
წყვეულ ვენტეში ვდგევარ. მადრიდს მხოლოდ იმისთვის
მოველ, რომ მსურდა მომეძებნა ჩემი ლაურა.
(პოცნის).

ლაურა.

მეგობარო... შესდექი... მკედრის წინ!.. ამას რა უყოთ?

დონ ეუან.

თავი ანებე — აღრიანად, განთიადის წინ,
ამას გავიტან დაფარულად წამოსასხამ ქვეშ,
ვზაჯვარედინზე დავედებ სადმე.

ლაურა.

მხოლოდ გაფრთხილდი,
რომ შენ არავინ დაგინახოს. რა კარგი ჰქენი,
რომ აქ მოხვედი ერთი წამის დაგვიანებით!

ჩემთან ეს არის მეგობრები შენნი ვახშობდნენ.
ამ წამს გავიღწენ. ცოტა ადრე მათ შეხვდებოდი.



დონ ეუან.

ლაურა, დიდი ხანი არის რაც გიყვარს იგი?

ლაურა.

ვინა? შენ ბოდავ, როგორცა სჩანს.

დონ ეუან.

ჰა, გამომიტყდი,
რამდენჯერ შენ მე მილალატე ჩემ არ ყოფნისას?

ლაურა.

შენ კი... ცელქო?

დონ ეუან.

მითხარი... მერე ვილაპარაკოთ.

სცენა III.

კომანდორის ძეგლი.

დონ ეუან.

ყოველი საქმე წარმემართა უკეთესისკენ:
შემთხვევით მოვკალ დონ-კარლოსი, მშვიდ განდგომილად
აქ შევეკედლე — და ყოველ-დღე ვხედავ ლამაზ კერძის,
და თან მგონია, არც მას დავრჩი შეუმჩნეველი.
თუმცა აქამდე ჩვენ ერთმანეთს ვემორცხვებოდით,
დღეს კი დაუწყებ მას ლაპარაკს: უკვე დრო არის.
რისგან დავიწყებ? „გაგებდავთ“... ან არა სხეადერ:
„სენიორა“... ეჰ!.. ან თუ არა, თავს რაც მომივა,
იმასვე ვეტყვი მე წინასწარ მოუმზადებლად,
და იმავე წამს სატრფიალო ზოტბას შეუთბზავ...
უკვე დრო არის, რომ მოვიდეს... უმისოდ მგონი —
მე ისე ეფიქრობ — კომანდორი მოწყენილია.
ბუმბერაზად სდგას! რა მხარბეჭი! ჰერკულესსა ჰგავს!
განსვენებული თვით-კი იყო ჩია ტანისა,
ამ ადგილს რომ დამდგარიყო თითის წვერებზე,
საკუთარ ხელით თავისავ ცხვირს ვერ შესწვდებოდა.
როს ესკურიალს გადაღმით ჩვენ შევიყარენით,
ის წამოევო ჩემს მახვილზე და გაინაბა,

როგორც კრიკინა ჭინძისთავზე, — მაგრამ კი იყო
იგი ამაყი, გამბედავი, სულით სასტიკი.
აჰ, აი ქალიც.

(შემოდის დონა ანა).

დონა ანა.

ისევ აქ არის, წმინდა მამავ,
მე შეგიშალეთ თქვენ ფიქრები — მოტევენას გთხოვთ.

დონ ეუან.

მე უნდა გთხოვოთ მოტევენა თქვენ, სენიორა.
იქნებ მე უშლი თქვენსა ნალევს თავისუფლად ღვრას.

დონა ანა.

არა, მამაო, ჩემშივეა ნალველი ჩემი,
თქვენის დასწრებით შეიძლება ჩემი ლოცვები
მორჩილად ცისკენ აღივლინოს — გემუდარებით,
რომ ამ ვედრებას თქვენც თქვენი ხმა შემოუერთოთ.

დონ ეუან.

მე, მე ვილოცო თქვენთან ერთად, ო, დონა ანა!
ღირსი არა ვარ მაგდაგვარი მე წილხვედრისა.
მე ვერ გავბედავ შებილწული ჩემი ბაგენით
ეგ თქვენი ლოცვა უწმინდესი გავიმეორო, —
მე მხოლოდ შორით შემოგაყურებთ თქვენ მოწიწებით,
როცა თავს დახრით წყნარად და მკრთალ მარმარილოზე
თქვენ შავ დალალებს გაშლით — მაშინ მე მეჩვენება,
რომ ანგელოსმა ეს აკლდამა მოინახულა
საიდუმლოდ, და შეშფოთებულ სულში მე მაშინ
ლოცვას ვერ ვპოვებ. მდუმარედვე მიკვირს და ფიქრობ —
ბედნიერია ცივი ლოდი მარმარილოსი,
გამთბარი მისი ამოსუნთქვით ჰაეროვანით
და დანამული სიყვარულის მისის ცრემლებით.

დონა ანა.

რა უცნაური სიტყვებია!

დონ ეუან.

ო, სენიორა?

დონა ანა.

მე... თქვენ ივიწყებთ.

დონ ეუან.

რას? მე უღირსი განდევილი?
ალბათ, იმას თუ, რომ ცოდვილი სიტყვები ჩემი
ასე ხმა შალლა აქ არ უნდა წარმოითქმოდეს?

დონა ანნა.

მე მომეჩვენა... ვერ გაგიგეთ...

დონ ეუან.

ახ მე კი ვხედავ:
თქვენ ყოველივე, ყოველივე კარგად გაიგეთ!

დონა ანნა.

მე რა გავიგე?

დონ ეუან.

მაშ იცოდეთ, არა ვარ ბერი —
და თქვენს ფეხთა ქვეშ გვეედრებით შეწყალებასა...

დონა ანნა.

ღმერთო! აღეჩით, წამოდეჩით... აბა მაშ ვინ ხართ?

დონ ეუან.

უბედო, მსხვერპლი უიმედო ენებათაღელვის.

დონა ანნა.

ო, ღმერთო ჩემო! და მერე აქ, ამ კუბოს ახლოს!
იქით, გამშორდით!

დონ ეუან.

მხოლოდ ერთ წამს, დონა ანნა,
მხოლოდ ერთ წამს!

დონა ანნა.

და აქ ეინმე რომ შემოვიდეს!..

დონ ეუან.

ღობის კიშკარი დაკეტილი გახლავთ. ერთ წამს!

დონა ანნა.

აბა? რა? ჩემგან რას მოითხოვთ?



დონ ეუან.

სიკვილის და დეე,

ებლავ აქ მოვკვდე თქვენს ფეხთა ქვეშ, დეე, უბედურნი ნეშტნი
ეს ნეშტი ჩემი აქვე სადმე დაასაფლაონ, არა მახლობლად საყვარელი თქვენი ნეშტისა,
არც აქ, არც ახლოს — მოშორებით იქითკენ სადმე,
იქით, კარებთან — განაპირას, თუნდაც ზღურბლთანა,
ჩემს სამარის ლოდს რომ შეეხოთ მსუბუქი ფეხით
ან და სამოსით, როდესაც ამ ამაყ კუბოსთან
მოსვალთ ხუჭუქ თმის დასახრელად და სატირელად.

დონა ანნა.

თქვენ, თქვენ არა ხართ თქვენს ჭკუაზე.

დონ ეუან.

ნუ თუ სურვილი

აღსასრულისა, დონა ანნა, სოგიეეს ნიშნავს?
რომ ეყოფილიყავ გიეი, მაშინ მოვისურვებდი
ცოცხლად დარჩენას, შექნებოდა მაშინ იმედი,
ნაზი ტრფიალით თქვენი გული რომ მომეხიბლა.
რომ ეყოფილიყავ გიეი, მაშინ მე ხომ ლამეებს
თქვენს აივანთან გაეათევედი, სერენადებით
ძილს დაგიფრთხობდით, არ ვიწყებდი მაშინ დამალვას,
პირიქით, ყველგან ვეცდებოდი, რომ შეგემჩნიეთ;
გიეი რომ ვიყო, არ ვარჩევდი დუმილით ტანჯვას...

დონა ანნა.

განა ისე კი სდუმხართ?

დონ ეუან.

შემთხვევამ, დონა ანნა,
მხოლოდ შემთხვევამ გამიტაცა — ისე ვერასდროს
თქვენ ჩემს ნაღვლიან საიდუმლოს ვერ გაიგებდით.

დონა ანნა.

და დიდი ხანი არის, რაც თქვენ მე შეგიყვარდით?

დონ ეუან.

დიდი თუ მცირე ხანი არის, მე თვით არ ვიცი,
მხოლოდ იმ დროდან ვიცი ფასი სიცოცხლის წამის,
იმ დროდან მიეხვდი, რასაც ნიშნავს ბედნიერება.

დონა ანნა.

იქით გამშორდით — თქვენ საშიში კაცი ყოფილხართ.

დონ ეუან.

საშიში! რითი?

დონა ანნა.

მეშინიან თქვენი მოსმენის.

დონ ეუან.

მე გავჩუმდები, აქედან კი ნუ გააძევებთ
იმას, ვისთვისაც თქვენი ხილვა ნეტარებაა.
არ გამაჩნია თაეხედური მე იმედები,
თქვენგან არაფერს არ მოვითხოვ და მარტოოდენ
უნდა გხედავდეთ, თუ სიცოცხლე მე მომესაჯა.

დონა ანნა.

წადით — არა აქვს აქ ადგილი მაგდაგვარ სიტყვებს,
მაგგვარ სიშლეგეს. ხვალ-კი ჩემთან გამოიარეთ.
თუ შემომფიცებთ, შეინახავთ პატივისცემას,
მე თქვენ მიგიღებთ — საღამო ხანს — მოგვიანებით —
არავის ვხედავ მას ეამს აქეთ, რაც კი დავტყრივდი.

დონ ეუან.

ო, ანგელოსო დონა ანნა! ღმერთს ვთხოვ მშვილობას
თქვენთვის, ისე, ვით დაამშვიდეთ ბედით ტანჯული.

დონა ანნა.

იქით გამშორდით.

დონ ეუან.

კიდევ ერთ წამს.

დონა ანნა.

არა, ჩანს, თვითონ

მევე წავალ... აღარც ლოცვების თქმა აღარ ძალშიძს.
თქვენ მე გამართეთ მიწიერი თქვენი სიტყვებით,
ჩემი ყურები მათ მოსმენას დიდი ხანია
გადაეჩვია. ხვალ მიგიღებთ.

დონ ქუან.

კიდევ ვერ ვბედავ
დაჯერებას, ვერ ვბედავ ბედსა ჩემსას მივენდო
ხვალ თქვენ გიხილავთ! — და არა აქ, არა მალულად.

დონა ანნა.

დიად, ხვალ, ხვალა.
შითხარით, თქვენ რას გეძახიან?

დონ ქუან.

დიეგო დე კალვადო.

დონა ანნა.

მშვიდობით, დონ დიეგო
(გადის).

დონ ქუან.

ლეპორელლო!

(შემოდის ლეპორელლო).

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

რა გნებავთ?

დონ ქუან.

ქვირფასო ლეპორელლო!
ბედნიერი ვარ! „ხვალ — სალამოს — მოგვიანებით“...
ჩემო ერთგულო, ხვალისათვის მე მომამზადე...
ბედნიერი ვარ, როგორც ბავშვი!

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

დონა ანნასთან.

თქვენ საუბრობდით? იქნება მან ერთი ან ორი
ალერსიანი სიტყვა გითხრათ ან თქვენ დალოცეთ.

დონ ქუან.

არა, ლეპორელლო, არა! მან პაემანი მე,
მე პაემანი დამინიშნა.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ნუ თუ! ო, ქვირფანო,
ჟველა თქვენგანი მაგვეარია.

დონ ეუან.

ბედნიერი ვარ!

მზად ვარ ვიმღერო, მზად ვარ ყველას გადავხეცო.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

და კომანდორი? ის რას იტყვის ამის შესახებ?

დონ ეუან.

შენა ფიქრობ, რომ ის დაიწყებს ეჭვიანობას?

უეჭველია არ დაიწყებს, ის ჭკვიანია,

ალბათ, დაწყნარდა მას შემდეგაც, რაც განისვენა.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

არა, შეხედეთ იმის ქანდაკს.

დონ ეუან.

რა არის მერე?

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

მგონია, თითქოს ის თქვენ გიმშერთ გაჯავრებული.

დონ ეუან.

წადი და სთხოვე, ლეპორელლო, ჩემთან მობრძანდეს —
ან, ჩემთან არა — ხვალ მოვიდეს დონა ანნასთან.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ქანდაკს მე სტუმრად დაუძახო! და მერე რისთვის?

დონ ეუან.

არა იმისთვის, რა თქმა უნდა, რომ ესაუბროს —
სთხოვე ქანდაკს, რომ ხვალ საღამოს დონა ანნასთან
მოვიდეს გვიან და კარებში დადგეს დარაჯად.

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ნეტავი თქვენა, რომ ხუმრობის ხალისზედაც ხართ
და მერე ვისთან!

დონ ეუან.

წადი რაღა!

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

მერე...

დ ო ნ ე უ ა ნ.

იარე!

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

უნაზესო და მშვენიერო ქანდაკებაო!

ჩემი ბატონი დონ ეუანი მორჩილათა გთხოვთ

მობრძანდეთ... ვფიცავ მაღალ ღმერთს, რომ არ შემოძლიან,
მე შეშინიან.

დ ო ნ ე უ ა ნ.

ლაჩარი ხარ! აი მე შენი!

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ნება მომეცით! ბატონი ჩემი დონ ეუანი

გთხოვთ ზვალ გვიან ეამს მისელას თქვენივე მეუღლის სახლში,
დადგეთ კარებთან...

(ქანდაკე თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს).

აი!

დ ო ნ ე უ ა ნ.

რა მოხდა?

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

აი! აი!..

აი, აი... მოკვდები!

დ ო ნ ე უ ა ნ.

მითხარ, რა დაგემართა?

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

ქანდაკე... აი!..

დ ო ნ ე უ ა ნ.

შენ თავს მიკრავ!

ლ ე პ ო რ ე ლ ლ ო.

მე არა, ისა!



დონ ქუან.

რა სისულელეს სჩმახავ?

ლექორელლო.

აბა, მიდით თქვენ თითონ.

დონ ქუან.

აბა მიეურე, უსაქმურო (ქანდაკს)

მე, კომანდორო,

გთხოვ, შენ მოხვიდე შენივე ქვრივთან, სად ხვალ ვიქნები,
დადგე კარებში მოდარაჯედ. რას იტყვი? მოხვალ?

(ქანდაკი თავს უწევს)

ო, ღმერთო!

ლექორელლო.

რა? მე ხომ გეუბნებოდით...

დონ ქუან.

წავიდეთ.

სცენა IV.

დონა ანას ოთახი

დონ ქუანი და დონა ანა.

დონა ანა.

მე თქვენ მიგიღეთ, დონ დიეგო; მხოლოდ კი ვშიშობ,
რომ ჩემს ნაღვლიან საუბარზე მოგეწყინებათ:

საბრალო ქვრივი სულ ვიგონებ მე ჩემს დანაკარგს.

ცრემლებს ღიმილში ვურევ ისე, როგორც აპრილი.

თქვენ ჩუმად რად ხართ?

დონ ქუან.

ჩუმად ესტკებები იმის ღრმა აზრით,

რომ მარტოკა ვარ მე უნაზეს დონა ანასთან.

აქ — და არა იქ, აკლდამასთან ბედნიერისა, —

და თქვენა გხედავთ არა უკვე მუხლზე დაჩოქილს

მარმარილოს წინ შეუღლისა.

დონა ანა.

ო, დონ დიეგო.

თქვენ იმდენად ექვიანი ხართ, — რომ ჩემი ქმარი

კუბოში, მგონი, თქვენა გტანჯავთ?

დონ ქუან.

და მე არ უნდა
ვეკვიანობდე. რადგან იგი თქვენ აირჩიეთ.



დონა ანნა.

არა, მე დედამ მიბრძანა, რომ ხელი მიმეცა
დონ ალვარისთვის, ჩვენ ღარიბნი ვიყავით მაშინ,
დონ ალვარი კი მდიდარი იყო.

დონ ქუან.

ბედნიერი!

მან საუნჯენი ცარიელნი ღვთაების ფეხთან
მიიტანა და მით იგემა სამოთხის სიტკობა!
აღრე მცნობოდით — ოჰ, როგორი აღფრთოვანებით
მე ჩემს ღირსებას, ჩემს სიმდიდრეს და ყოველივეს
შემოგწირავდით ერთ მწყალობელ შემოხედვაში;
მე ვიქნებოდი საღმთო მონა თქვენის ნებისა,
ყველა თქვენ სურვილს გულმოდგინედ შევისწავლიდი,
რომ აღმესრულა წინასწარვე, რომ თქვენი ყოფნა
განუწყვეტელი ყოფილიყო მომხიბლაობა.
ვიშ! — ბედისწერამ მომისაჯა მე სრულიად სხვა.

დონა ანნა.

დიეგო, თავი დაანებეთ: თქვენი მოსმენით
მე ვცოდავ, მე ხომ აღარ ძალშიძს, რომ თქვენ მიყვარდეთ;
ჭკრივი ერთგული უნდა იყოს თვით კუბოსიც კი.
თქვენ რომ იცოდეთ, ვით უყვარდი მე დონ ალვარსა!
უეჭველია დონ ალვარი არ მიიღებდა
შეყვარებულ ქალსა თუ კი იგი დაქვრივდებოდა
იგი ერთგული იქნებოდა ცოლ-ქმრულ ტრფიალის.

დონ ქუან.

გულს ნუ მიტანჯავთ, დონა ანნა, მუღმივ ხსენებით
მეუღლის. კმარა ჩემი ტანჯვა, თუმც შეიძლება
მე ეგ სასჯელი თქვენს წინაშე დავიმსახურო.

დონა ანნა.

რით? თქვენ არა ხართ გადაბმული წმინდა უღელით
არც არავისთან — მართალია? მე შემიყვარეთ,
და თქვენ მართალი ხართ ჩემსა და ზეცის წინაშეც.

დონ ქუან.

მე თქვენ წინაშე! ღმერთო ჩემო!

დონა ანნა.

მერე ვანა თქვენ
ღამნაშავე ხართ ჩემს წინაშე? მითხარით, რაში?

დონ ქუან.

არა, არასდროს!

დონა ანნა.

დიეგო, ვანა ჩემს წინაშე
არ ხართ მართალი? მითხარით რაშე?

დონ ქუან.

არა, ვერ ვიტყვი.

დონა ანნა.

დიეგო, ეს უცნაურია: მე ვთხოვთ, მოვეითხოვ.

დონ ქუან.

არა და არა.

დონა ანნა.

მაშ თქვენ ამგვარად გამგონი ხართ-
ჩემი ნებისა! ამ წამში რას მეუბნებოდით?
თითქოს თქვენ გსურდათ ჩემ მონათ ყოფნა, დიეგო.
მე ვავეჯავრდები: მიპასუხეთ, რა ბრალი გიძღვით
თქვენ ჩემს წინაშე?

დონ ქუან.

ვერ ვებედავ, შეგეზიზღებით.

დონა ანნა.

არა და არა. შემინდებიხართ მე წინასწარვე,
მაგრამ ცოდნა მსურს...

დონ ქუან.

ნუ მოისურვებთ თქვენ მის ცოდნას-
ცოდნას საზარელ, გულის მომკვლელ საიდუმლოსას.

დონა ანნა.



საზარელისას! თქვენ მე მტანჯავთ. მე საშინელი ცნობისმოყვარე არსება ვარ — განა რა არის? ან რით შესძელით მომაცენეთ შეურაცხყოფა? თქვენ არ გიცნობდით — მტრები არ მყავს, არცა მყოლია მხოლოდ ქმრის მკვლეელი ერთადერთი.

დონ ეუან (თავისთვის)

კვანძი იხსნება.

მითხარით: საწყალ დონ ეუანს თქვენ ხომ არ იცნობდით?

დონა ანნა.

არა, არასდროს არ მინახავს.

დონ ეუან.

და თქვენ გულში ხომ

მტრობა გაქვთ მისი?

დონა ანნა.

სინიღისის მოვალეობით.

მაგრამ თქვენ სკდილობთ, რომ ჩემ კითხვას გადაუხევიოთ, დონ დიეგო — მე კვლავ მოვიტხოვ...

დონ ეუან.

და თუ შეხედვებით

დონ ეუანს სადმე?

დონა ანნა.

ბოროტმოქმედს მკერდს ხანჯალს ჩავეცემა.

დონ ეუან.

დონა ანნა, სად გაქვს ხანჯალი? ჰა, ჩემი მკერდი.

დონა ანნა.

დიეგო! რა სთქვით?

დონ ეუან.

მე ეუან ვარ, არა დიეგო.

დონა ანნა.

ო, ღმერთო! არა, არ იქნება, მე ეს არ მჯერა.

დონ ქუან.

მე ვარ დონ ქუან.

დონა ანნა.

ტყუილია.

დონ ქუან.

მე მოვეკალ იგი,
მეუღლე შენი, არც ენანობ და არც რამე მჭეჯნის.

დონა ანნა.

მე ეს არ მესმის? არა, არა, არ შეიძლება.

დონ ქუან.

მე დონ ქუან ვარ, მე მიყვარხარ...

დონა ანნა (ეცემა)

სადა ვარ? სადა?..

მე ცუდათა ვარ, ცუდათა ვარ.

დონ ქუან.

ცაო! რა მოსდის?

რა გემართება, დონა ანნა? ადექ, გონს მოდი:
შენი დიეგო, შენი მონა შენს ფეხთ წინაა.

დონა ანნა.

თავი მანებე

(სუსტად)

შენ მტერი ხარ — შენ მე წამართვი,
რაც კი მებადა ცხოვრებაში...

დონ ქუან.

ტურფა ქმნილებაე!

ყველაფრით მზად ვარ, ჩემი დაკვრა გამოვიწყილო,
შენ ფეხთ წინაშე ველოდები მხოლოდ ბრძანებას,
ბრძანებ — მოეკვდები, ან მიბრძანებ — ვისუნთქებ ისევ
და მხოლოდ შენთვის...

დონა ანნა.

მაშ ეს არის თვით დონ ქუანი.



დონ ეუან.

ხომ მართალია — ავიწერეს იგი თქვენ როგორც ვერაგი ვინმე ავაზაკი, — ო, დონა ანა —
 ეგ ხმა იქნება სრულიადაც არ არის ყალბი,
 დაღლილ სინილის, დაამძიმებს მრავალი ცოდვა,
 იქნებ ასეა, რადგან ვიყავ მე ძლიერ დიდხანს
 უბეჯითესი მოწაფე ბილწი გარყვნილებისა,
 მაგრამ იმ დროდან, როდესაც მე თქვენ დავინახეთ,
 ასე მგონია, რომ სრულიად გარდავიქმენი.
 თქვენ შეგიყვარეთ, მიყვარს ეხლა მე სათნოება,
 და შის წინაშე მე პირველად ჩემს სიცოცხლეში
 აკანკალებულ მუხლთ მოვიდრეკ გულ-დამშვიდებით.

დონა ანა.

ო, დონ ეუანი მე ვიცი, რომ ენამჰყვერია,
 გამიგონია, ის ცბიერი მაცდური არის.
 თქვენ, ამბობენ, რომ გამრყენელი ხართ, დაუნდობელი.
 თქვენ ხომ ნამდვილი დემონი ხართ. რამდენი ქალი
 საბრალო თქვენ დაგიღუპიათ?

დონ ეუან.

მათში არც ერთი
 მე ამ ხნამდის არ მყვარებია.

დონა ანა.

მეც დავიჯერებ,
 დონ ეუანს ქალი შეუყვარდა ვითომ პირველად
 და არ ეძებდა იგი ჩემში ვითომ ახალ მსხვერპლს!

დონ ეუან.

მე რომ მდომნოდა თუნდაც თქვენი შეცდენა, მაშინ
 გამოეტყულებოდი, ვახსენებდი განა იმ სახელს,
 რომლის მოსმენაც თქვენ არ ძალგიძთ? ანა სადა სჩანს
 აქ წინასწარი მოფიჭრება ვერაგობისა?

დონა ანა.

ვინ იცის თქვენი? — მაგრამ როგორ გაბედეთ მოსვლა
 აქ; აქ შეედლოთ თქვენი ცნობა, მაშინ სიკვდილი
 უაპველი არ აგცდებოდათ.

დონ ეუან.

რაა სიკვდილი?

ჰაემნის ერთი ტყბილ წამისათვის მე უღრტვინველად ნულნი
დავთმობ სიცოცხლეს.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

დონა ანნა.

მაგრამ აქედან ვით გახვიდეთ,

გაუფრთხილებო!

დონ ეუან.

(ხელზე ჰკონის)

და თქვენ ზრუნავთ საწყალ ეუანის
სიცოცხლისათვის! მაშ არ არის ხომ სიძულილი
შავ თქვენს ღვთაებრივ სულისთქმაში, ო, დონა ანნა?

დონა ანნა.

ახ, რომ შემეძლოს სიძულილი მე თქვენნი! თუმცა
საჭიროა ხომ ჩვენი გაყრა.

დონ ეუან.

კვლავ როდის შევხვდეთ?

დონა ანნა.

არ ვიცი. ოდესმე.

დონ ეუან.

მაშ ხვალ?

დონა ანნა.

და მერე სადა?

დონ ეუან.

აქ.

დონა ანნა.

დონ ეუან, ხედავ, მე როგორი სუსტი ვარ გულით.

დონ ეუან.

გამოთხოვების ნიშნად კონა მშვიდობიანი...

დონა ანნა.

დრო არის, წადი.

დონ ეუან.

ერთი, ცივი, მშვიდობიანი...

დონა ანნა.

მოუშორები რამ ყოფილხარ! აბა, მიიღე.
რა კაკუნია?... მიიმაღე აბა, დონ ეუან.

დონ ეუან.

ნახვამდის, ტურფა მეგობარო, იყავ მშვიდობით.
(გადის და ისევ შემორბის)

ახ!..

დონა ანნა.

რა შეგემთხვა?!
(შემოდის კომანდირის ქანდაკი, დონა ანნა დევცემა)

ქანდაკი.

მე დაძახილზე გამოვცხადდი.

დონ ეუან.

ო, ღმერთო ჩემო! დონა ანნა!

ქანდაკი.

დაეხსენ იმას,

უკვე გათავდა. შენ კანკალი გიპყრობს დონ ეუან?

დონ ეუან.

შე? არა. მე შენ გეძახდი და მოხარული ვარ,
რაკი გხედავ.

ქანდაკი.

მომეცი ხელი.

დონ ეუან.

აბა... მძიმეა

ჩამორთმედა მის ქვის მარჯვენის! ჩამომეხსენი,

ხელი გამიშვი, ჩამომეხსენ, ხელი გამიშვი...

მორჩა — გათავდა — ვიღუპები. — ო, დონა ანნა!

(ჩაინთქმებიან.)

დამირი ბენაშვილი

კონსტანტინე გამსახურდია

„არიან მწერლები, რომლებიც თითქმის განგებას შეუტყნია ამოცანად... რა საზომითაც არ უნდა მივეუდგეთ მათ, რაც არ უნდა ვეცადოთ მათი ხასიათის ძირითადი თვისებების გაგებას, ჩვენ ყოველთვის წაეაწყდებით რაღაც გაუგებარ წინააღმდეგობათა გაუგებარ შეხამებას. იმ ფაქტებთან ერთად, რომლებიც ამტკიცებენ ასეთი მწერლების კეთილშობილებასა და სულის სიღიადეს, ჩვენ ვხედავთ უღირს, პირდაპირ დამამცირებელ ფაქტებს. განუსაზღვრელი სიამაყე და ხასიათის სიმტკიცე ერთად არის თავმოყრილი სულმდაბლობისა და ამპარტავენობის გრძნობებთან. კეთილშობილ, სათუთ პოეტურ გრძნობებთან ერთად ვხედებით ეგოიზმისა და ვანდიდების მოყვარეობას. ასეთი მწერლები ალტაცებულ თავყანისცემასთან ერთად იწვევენ ამაზრზენ გაღიზიანებასა და გაბრაზებას“

გოტფრიდ ლახინგი.

1.

კონსტანტინე გამსახურდიამ საკმაოდ გრძელი და თავისი თაობის მწერლებისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი გზა გაიარა. იგი რევოლუციამდე მოვიდა ქართულ ლიტერატურაში, როგორც დეკადენტური ხელოვნების თეორეტიკოსი. კონსტანტინე გამსახურდია ერთი პირველი ალამდარი იყო მწერალთა იმ ჯგუფისა, რომელმაც შეგებულად გასწავიტა კავშირი მე-19-საუკუნის ქართულ ძარღვმავარ ლიტერატურასთან. კლასიკურ რეალიზმს ამ მწერლებმა იმპრესიონიზმი დაუპირისპირეს, ხოლო ილია ქაეკავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პროზას—მისტიციზმით გაჯღენთილი უიდეო ნოველები და მხატვრულ ღირებულებას მოკლებული უსიუჟეტო, დეკადენტური მინიატურები. ხელოვნება დასცილდა ხალხს და გაჩნდა უფსკრული მწერლების შემოქმედებასა და ცხოვრებას შორის. ეს იყო კრიზისის პერიოდი ქართულ ხელოვნებაში საერთოდ და ლიტერატურაში კერძოდ.

კრიზისი ვაგრძელდა 1921 წლის თებერვლის რევოლუციამდე. რევოლუციის მაცოცხლებელი იდეები დაეუფლნენ ადამიანთა შემოქმედების ყველა სფეროს და მათ შორის ხელოვნებასაც. შემოქმედების ასპარეზიდან ლიტერატურულმა რეალიზმმა თანდათან „გამდევნა“ დეკადენტობა და თვით მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა. ლიტერატურული რეალიზმის გამარჯვებას იმპრესიონისტურ მისტიციზმზე წინ უძღოდა მარქსიზმის ტრიუმფალური გამარჯვება ბურჟუაზიულ მეტაფიზიკურ აზროვნებაზე. რევოლუციამ თავის პრაქტიკულ ამოცანად დაისახა ქვეყნის გარდაქმნა, და ხელოვნების მთელი ფრონტი მოაბრუნა ამ ამოცანებისაკენ. დროებით ჩატეხილი ხიდი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის რევოლუციამ გაამართლა. რევოლუციის ზეგავლენითვე მწერალთა ცოცხალ ნაწილში დაიწყო მობრუნება ახალ სამყაროსაკენ. მართალია, მობრუნებას თან ახლდა ზიგზაგები, ზოგჯერ წინააღმდეგობაც, მაგრამ მობრუნება ფაქტი იყო. სხვა გზა არც ჰქონდა მწერლობას. თუ მწერლებს ერის, ხალხის სამსახური უნდოდათ, ისინი უნდა გაპყლოდნენ იმ გზას, რომელიც რევოლუციამ უჩვენა.

კონსტანტინე გამსახურდია, თუმცა ზიგზაგებით, მერყეობით, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, მაგრამ არსებითად მაინც მობრუნდა რევოლუციისაკენ. მობრუნებისთანავე მან თეორეტიკოსის კალამი დროებით ხელიდან გაავდო და მხატვრული პროზის ოსტატის კალამს მოჰკიდა ხელი. ამ გზაზე მის პირველ დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „დიონისოს ღიმილი“. ეს რომანი, როგორც თვითონ ავტორი ვაძმოგვცემს, ცხრა თვის გამუდმებული შრომის ნაყოფია. „ცხრა თვეო, — ამბობს იგი, — დღისით და ღამით ისე ვებრძოდი ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის შრისხანე ღმერთს“. ამ რომანს მართლაც ატყვია ქართული პროზის ოსტატის ხელი, თუმცა იგი თავისუფალი არ არის დეკადენტური მისტიციზმისაგან. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „დიონისოს ღიმილი“ ერთსა და იმავე დროს ხარკს უხდის როგორც ლიტერატურულ რეალიზმს, ისე ექსპრესიონისტულ მისტიციზმს. უფრო ზუსტად რომ ვსთქვათ: „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში უნდა ჩაითვალოს უღელტეხილად მისტიციზმიდან რეალიზმისაკენ გადასვლის გზაზე. განრის თვალსაზრისითაც „დიონისოს ღიმილი“ საშუალო გზაა რეალისტურ რომანსა და დეკადენტურ პროზას შორის. ამ ორი მოწინააღმდეგე მხარის შეერთებამ მე-19 საუკუნის დამლევის ევროპულ ლიტერატურაში შექმნა პოეტური პროზა. „დიონისოს ღიმილიც“ პოეტური პროზის ნიმუშია და ქართული პროზის ისტორიაში დარჩება როგორც პირველი ცდა. მაგრამ ამ შემთხვევაში „დიონისოს ღიმილი“ ჩვენ ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ ფორმალური ძიებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, პრინციპებითა და იდეებით.

ყოველი ეპოქის ლიტერატურაში იდეები წარმოადგენენ მის მამოძრავებელ ძალას. ისინი თავისებურ მიმართებას აძლევენ ფორ-

მალურ ძიებასაც. მხატვრული ნაწარმოების ღირებულება იდეების სიღრმით განიზომება. უიდეო ხელოვნება ძალიან წააგავს უსულს ხეულს, სადაც ტიპაჟი მანეკენს ჰგავს და არა ცოცხალ ადამიანს, მხოლოდ იდეების, პრინციპებისა და ფორმის სიახლეს და სიღრმეს. შედეგად მისცეს ნაწარმოებს ისეთი თვისება, რომელიც გაუძღვება საუკუნეების გამოცდას.

ამ თვალსაზრისით „ლიონისოს ღიმილი“ ერთი პირველი ცდაა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების მიჯნაზე არსებულ ქართულ პროზაში. კონსტანტინე გამსახურდიამ ამ რომანში პირველმა სცადა ქალაქური ყოფის ასახვა და პირველმა შემოიყვანა ქართულ რომანში ევროპულად განსწავლული ქართველი ახალგაზრდა ადამიანი.

როგორც ცნობილია, მთელი მე-18 და მე-19 საუკუნის ევროპულა რომანების მთავარ პერსონაჟს ახალგაზრდა ადამიანი წარმოადგენდა. კაპიტალიზტურმა სამყარომ შექმნა ზედმეტი ადამიანის ტიპი, რომელსაც ოდესღაც უდროობის გმირი უწოდეს. დროის უკუღმართმა პირობებმა ისინი ზ ე დ მ ე ტ ადამიანებად აქცია. სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის გამო მათთვის დახშული იყო სამოქმედო ასპარეზი. ამ ნიადაგზე მათ არ შეეძლოთ დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ საკუთარი სულიერი ძალები. ასპარეზის უქონლობამ მათ ცხოვრებას ტრაგიკული დასასრული მისცა. ვერტერს, კარლ მოორს, ჩაილდ-პაროლდს, რაფაელს, ეიულენს, ჩაცკის, ევგენი ონეგინს და პერორინს მაღალი დანიშნულება ჰქონდათ, მაგრამ სამომქმედო ასპარეზი მათთვის დახშული იყო. ამ ადამიანების ტრაგიკული ცხოვრება გადაიქცა არა მარტო რომანის (გოეთე, ბალზაკი, ფლობერი, სტენდალი), არამედ პოეტური ეპოსისა (ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი) და დრამის (შილერი, გრიბოედოვი) ყურადღების ცენტრად.

კონსტანტინე გამსახურდია „ლიონისოს ღიმილში“, მსგავსად კლასიკოსებისა, იძლევა ახალგაზრდა ადამიანის ტრაგედიას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ მიერ დასახელებული ლიტერატურული პერსონაჟები ზ ე დ მ ე ტ ი ადამიანები იყვნენ, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას გმირი — კონსტანტინე სავარსამიძე — ყოფილი ადამიანია. ¹⁾

¹⁾ „ლიონისოს ღიმილის“ მეორე გამოცემის წინასიტყვიანობაში ავტორი კონსტანტინე სავარსამიძეს ზედმეტ ადამიანს უწოდებს. აქ ზედმეტ ადამიანის ცნების გაუგებლობასთან გვაქვს საქმე. ზედმეტი ადამიანის ცნება პირველად ლესინგმა შემოიტანა გერმანულ ლიტერატურაში. ეს ცნება გაბატონდა როგორც რუსულ, ისე ფრანგულ და გერმანულ ლიტერატურაში. ზედმეტი ადამიანის ლესინგისებური ცნება მიიღო დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ბელინსკიმაც. ლესინგი ზედმეტ ადამიანებს უწოდებს მხოლოდ იმ ლიტერატურულ პერსონაჟებს, რომლებიც პროგრესულ იდეებს ეტრფიან და აიდეალებენ თავისუფლებას რეაქციის პირობებში, მაგრამ უდროობის გამო ისინი მარცხდებიან. იმ ადამიანებს კი, რომლებიც ეტრფიან უკვე დროგადასულ იდეებს, რომლებიც აიდეალებენ არა თავისუფლებისადმი მისწრაფების გრძნობას, არამედ დასკინიან მას, ბელინსკიმ „ყოფილი ადამიანები“ უწოდა. ამიტომ პრინციპულად შემედარია აზრი სავარსამიძის ზედმეტი ადამიანობის შესახებ. ამ არასა-

თუ პირველ შემთხვევაში ახალგაზრდა ადამიანები პრდგოესრულ იდებეს ეტროფონენ და მათ ქება-დიდების ჰიმნს უმღერდნენ, კონსტანტინე სავარსამიძე ქართველი „გულამშვიერი აზნაურის“ გახუნებულ მანჯღღეთებად ქცეულ დროშას, უკმევს გუნდრუეს და სოციალისტური სტრუქტურის პრიმიტივთან დაბრუნებას მოითხოვს. ამ ადამიანის კულაბზიკა აზნაურულა ფსიქოლოგია არსებითად რეაქცია იყო ჩვენი დიდებული აწმყოსი.

კონსტანტინე სავარსამიძე ქართველი თავადაზნაურობის უკანასკნელი მოვიკანია, იგი თათქარიძისა და სამანიშვილის შთამომავალია, თუმცა მათზე უფრო განათლებული და კულტურული, მაგრამ მაინც მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირული ნაწიერი.

გამსახურდიას, როგორც შემომქმედის, ღირსება იმაშია, რომ მან „დიონისოს ღიმილში“ დასვა დიდი სოციალური პრობლემა, რომელიც თავის დროზე აწვალებდა მე-19 საუკუნის ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. რომანის ავტორმა დროებით უკან მიგვახედა და დაგვანახა ადამიანები, რომელთაც რევოლუციის შემდეგ თავიანთი დიდებულ წინაპრებიდან მხოლოდ ძონძები-ლა შერჩენოდათ.

კონსტანტინე სავარსამიძე ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობის იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც დასტოვა გაღატაკებული კერა და ევროპაში გაიქრა კულტურის მისაღებად. მაგრამ იქ, კულტურულ ევროპაშიაც თან გაჰყვა გაკორებული აზნაურის ფუქსავატური ფსიქოლოგია. ნიადაგვამოცილი კონსტანტინე სავარსამიძე არამც თუ არ დანტერესებულა იმ მოძრაობით, რომელიც ხდებოდა ევროპის ცხოვრებაში, არამედ გაექცა კიდევ ნამდვილ ცხოვრებას და ზერელე შთაბეჭდილებებით კმაყოფილდება.“ მე მიხარია,—ამბობს სავარსამიძე—რომ შემიძლია გაულიმო მაღალ ცის ლავვარდს, ან ქუჩაზე გავლილ კახპას. ვაკოცო დედაკაცს და როგორც უბრწუნელ ქალწულს ვახარო ჩემი

მართლიანმა დებულებამ კონსტანტინე გამსახურდია მიიყვანა მეორე ყალბ დებულებამდე. ამტკიცებს რა, რომ სავარსამიძე ზედმეტი ადამიანიაო, გამსახურდია იქვე უმატებს: „ზედმეტი ადამიანი ზედმეტი უკუღმართ სოციალურ წრეში“. რამდენადაც ეს დებულება სწორია გოეთეს, ბალზაკის, სტენდალის, პუშკინის, ლერმონტოვის გმირების მიმართ, იმდენად იგი შემსჯარია „დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირის მიმართ. ან რომელ უკუღმართ სოციალურ წრეზე ლაპარაკობს ავტორი? სავარსამიძე ხომ ჩვენს დროში სცხოვრობს ფიზიკურად.

არ ვიცი, ვრძნობს თუ არა კონსტანტინე გამსახურდია, რომ ამ დებულებით იგი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და კრიტიკას საბუთს აძლევს ავტორის გაიგივებისას გმირის პიროვნებასთან. ამას კი კონსტანტინე გამსახურდია გაურბის და გეობოვს: „ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებსო“. რა თქმა უნდა, ავტორი ყოველთვის არ არის პასუხისმგებელი ტიპების ცოდვებისათვის, მაგრამ როდესაც მწერალი გამართლებას იწყებს ტიპის არა სამართლიან მოქმედებისას, როცა იგივე ავტორი კრიტიკულ წერილებში ხშირად სიტყვა სიტყვით იმასვე იმეორებს, რასაც რომანში ამბობენ მისი პერსონაჟები, კრიტიკა ნაწარმოების განხილვის დროს ვვარდს ვერ აუხვევს რომანის ავტორის პიროვნებასა და მსოფლმხედველობას.

ლთავებრივი თესლიდან იშობა მეთქი: ათასი გმირი, ათასი პრეტე, კომპოზიტორი და სპორტსმენი“. ვასაოცარია გულამშვიერი აზნაურის ქედმალლობა უცხო ქვეყანაში. „მე ვიტყვი სიტყვას — ვერცხვად და მიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას შვენიერზე და ლთავებრივზე და მას სიტყვა თუ დაეცემა ფხვიერ ყაშირზე, ამ სიტყვას ათასები ისევ იტყვიან“. კონსტანტინე სავარსამიძის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ამგვარი ტრახახი ზღაპრულ ნაცარქექიას გვაგონებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ნაცარქექია დარწმუნებული იყო თავის უძღურებაში, სავარსამიძეს კი სჯერა თავისი ძლიერება და კეთილშობილება: „ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. ბედით კმაყოფილი, მაინც ბედის მადიებელი. არ დაემალავ, ოღნავ აევანტიურის მოყვარული“.

საკითხავია, რით ცხოვრობს, რა იდეებით ცოცხლობს კონსტანტინე სავარსამიძე? ეს ახალგაზრდა ოცნების კაცია და არა საქმისა; მის ცხოვრებაში ფრაზა თამაშობს მაგიერ როლს. ხშირად ოცნებობს მოგზაურობაზე ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, მაგრამ არა საქმის ინტერესის გულისათვის. არა! მისი მიზანი სრულიად მარტივია. „ნაზ პორცელანის თასით დავლევ სურნელოვან ჩაის. ვეარშიყები გრძელ წაშწამებიან ჩინელ ქალებს... მზეზე გავითობ ვათოშილ სხეულს. მერე იქიდან ინდოჩინეთი და ინდოეთი... მოვინახულებ მონღოლთა მეფეების მარმარილოს პალატებს, ბრწყინვალე მიზგითებს, ვქამ ნაზ ბანანებს, ვეფხვზე ვინადირებ, სპილოზე შევჯდები. ცოტა სანსკრიტი. უპანიშდებს გადმოვთარგმნი შემდეგ ქართულად. აქ ამდენ ხანს ალბად კიდევ მოვა ჩემთან სიბრძნე-საქართველოსკენ იმავე გზით, როგორც ირაკლი... არა დიდებით მოხვეჭილი, არამედ როგორც უსახელო, უბირო მწირი, მოვძებნი ეზოს პაპისეულს და შიგ დავსახლდები. მერე? ვიქნები ფილისტერი ფილისტერთა შორის... ვიცი, მიმიღებს საქართველოს მიწა, არ დაიშურებს ის ჩემთვის კალთას კურთხეულს... დიახ, ასე! რკოც მოწყვეტილი იქ დაეცემა, სადაც ბებერი მუხა წაიქცა“.

უკანასკნელი ფრაზები ძალიან გაბედულად და შინაარსიანად არის ნათქვამი, მაგრამ სავარსამიძის შინაგან „მე“-სთან მათ ორგანიული კავშირი არა აქვთ. ასეთი ლატაკის ბუნების კაცი ამგვარ გრძნობას ვერ დაიტევს გულში. ასეთი სიტყვებით მიმართვის უფლება თავის სამშობლო მიწისადმი მხოლოდ იმ ქართველს აქვს, რომელიც სამშობლოში ბრუნდება არა როგორც ფილისტერი და ფხვქვეშ ნიადაგ გამოცლილი ადამიანი, არამედ როგორც შემომქმედი, მალალი მიზნებისა და იდეების მატარებელი მოქალაქე. ამგვარი გრძნობით ბრუნდებოდა საქართველოში ოდესღაც სამშობლოდან დევნილი გიორგი სააკაძე. ამგვარივე გრძნობით ჰკოცნიდა სამშობლო მიწას რუსეთიდან მოშავალი დიდი ქართველი ილია ჭავჭავაძე. სამშობლოსადმი სიყვარული დიდი გრძნობაა და ის მხოლოდ იმ ადამიანს შეენის, ვინც გულწრფელია ამ სიყვარულში. კონსტანტინე სავარსამიძე კი ფილისტერია. აბა ვის შეუძლია, თუ არა ფე-

ლისტერს, ასეთი სიტყვების წარმოსთქმა: „ერთი ღამის ორგანიზაციის სატანას მიეყიდი სულს“. ვისაც ორგანიზაციის სულს გაყიდე/შეუძლია, იგი ადვილად გაჰყიდის სამშობლოსაც. ამ აზრით, სამშობლო სავარსამიძისათვის შინაარს მოკლებული ფრაზაა. „მეღმერთს ვეცი, — დამშვენდებოდა შაეი, ქართული ჩოხა, თეთრი დარაიას ახალუხი, სადა, თეთრი სპილოსძვლის ქამარ-ხანჯალი, ძლიერ ვიწრო უძიროები, ღომის ფერი ჯიშინი ცხენი, ქორ-მიმინო, თეთრი მწვერები, ომები, ღბინი, მიჯნურობა და ნადირობა“. აქ კი სიმართლეს ამბობს სავარსამიძე. ჩოხა, მიმინო და მეძებრები მის შინაგან სულიერ სამყაროს გამოხატავს. მისი მათხოვრული და ლატაკი ფსიქოლოგია ყველაზე მეტად თავს იჩენს ქალთან ურთიერთობაში. სავარსამიძე ნახევრად დონ-ჟუანია, მაგრამ მოკლებული დონ-ჟუანის ქეკუსა და გამოცდილებას. „არ შემიძლია დიდხანს ვსდიო ქალს. მიყვარს, როცა მოულოდნელად შევეფეთები და დავიპყრობ, როგორც შევარდენი აფრენილ ხობობს.“ „ბოლოს და ბოლოს ყოველი ქალი მოსაწყენია“. „მე მიყვარს დროის გარეშე ცხოვრება... შემძულდა ადამიანებთან ყოფნა... აქამდის თუ ადამიანები მძულდა, ახლა ჩემი თავიც შემძავდა... ვიგრძენ ჩემი სივალღაბე და სიპატარავე.“

ასეთია სულიერი სამყარო კონსტანტინე სავარსამიძისა. იგი წვრილმანია და მუდამ ისეთ იდეებზე ოცნებობს, რომლებიც ადამიანის ქვენა გრძობებთან არიან დაკავშირებული. თავის სამათხოვრო აზგას დროშად აფრიალებს და ჰგონია ქვეყნის ყველა კუთხეს მისწვდება მისი მოწოდების ხმა. ერთსა და იმავე წუთში მზად არის თავყანისცემისა და უარყოფისათვის. რალაც დემონური ხმა ყურში ჩასჩურჩულებს, რომ „ყველაფერი ამოება ამ ქვეყანაზე“, მაგრამ სიგიჟემდე უყვარს თავისი საკუთარი უშინაარსო პიროვნება. რასაც ეტრფის, კიდევაც აფურთხებს მას. ჯოჯოხეთური ძალით იკაფავს გზას ევროპელი არისტოკრატების მაღალ წრეებისაკენ, მაგრამ იმავე დროს აიდეალებს ღარიბ ქობ-მახებს. შეიდი ენა შეისწავლა და შეიდ ენაზე კითხულობდა გამოჩენილ მეცნიერთა წრომებს, მაგრამ მეჯოგე ტაია შელიას სიბრძენს ვერ გასცილდა. ყოველ წუთს მარტობას უჩივის და ამავე დროს სძავს ადამიანური საზოგადოება.

ხელოვნური აღვზნება და აედამყოფური ილუზიები კონსტანტინე სავარსამიძის ისედაც განწირულ ცხოვრებას უაზრობათ აქცევენ. ნიციშესებური თავმოყვარობა აიძულებს მას, „მაღალ“ იდეალებისაკენ სწრაფვას, მაგრამ ეს იდეალები დიდი ხანია გახუნდნენ და დრომ სულთანა წაუკითხა მათ. დონკიხოტური გამბედაობით იბრძვის სათნოებისათვის, მაგრამ ამ ბრძოლაში მას აკლია დონკიხოტისებური რწმენა და მომავლის რომანტიკა.

მაგრამ ერთი დადებითი მზარე აქვს კონსტანტინე სავარსამიძეს, რომელიც მის პიროვნებას თავისებურ ელფერს აძლევს: იგი ღამაზი ფრაზის კაცია. ამ ღამაზი ფრაზებით მას ერთსა და იმავე დროს შეუძლია ტირილიც და სიცილიც. მაგრამ განა სხვაგვარად შეეძლო მოქცეულიყო

მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი? იგი მისტრის თავის დასუბილ ბედს, „დღეს, — მოსთქვამდა სავარსამიძე ნაღვლიანად, თქვენი მტერი წელი შემისრულდა. ნახევარი ხმელეთი მომივლია, მე დღეს შე- მისწავლია, შეიდი ხალხის ყოფაცხოვრება შემიცვნიდა, მტერი შე- მარტო ვარ ამ ულრან ტყეში. შეიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნა- ხევარ გზაზე შემომალამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი — გულთმისა- ნო ჩემო გამზრდელი. ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ ულ- რან ტყიდან. განა არ გესმის? „გზა!“ იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნაზე. „გზა!“ იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფე- რები „გზა!“ იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ეკითხე და ვერაინ მასწავლა გზა. თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია და ყველა ასპარეზი ნაცა- დი. ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძევი სამაჯე, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულე- ვია და გაუვალი. ეგებ შენ მასწავლო გამოუთქმელი როგორ გამოვთ- ქვა... ტაია შელია, გეძახი სამჯერ, შორსა ხარ ჩემგან, შორეული და გა- ნუყრელი. ტკბილად ვახსენებ, ჩემ სულში მყევხარ, არ შემიძლია მაინც არ დაგწყველო. რისთვის გამზარდე, ოჯახქორო ტაია შელია, ან ჩემი თავი მამას რატომ დააწყველინე“.

ეს ძალიან ლამაზად და მოხდენილად არის თქმული, მაგრამ სავარ- სამიძის ცხოვრებაში გედის სიმღერად რჩება. განა სხვაგვარი სიმღერა შეეძლო დიდგვართა უკანასკნელ ნაბოლარას, რომელიც დრომ და პი- რობებმა ყოფილ ადამიანად აქცია! სასტიკი, მაგრამ სამართლიანი მსაჯუ- ლია დრო. აკვირდები კონსტანტინე სავარსამიძის აფორიაქებულ, უშინა- არსო, უმიზნო ცხოვრებას. გონების თვალთ იხედები უკან შორეულ წარსულისაკენ. შედიხარ მუნჯ ეპოქებში, აკვირდები წლობით და სა- უკუნეებით დამტვრიანებულ ისტორიულ მოვლენებს, ეკითხები მუნჯ ქრონიკებს და უცებ შენს თვალწინ ისინი ენას იდგამენ, მათი ხმა ყურს ესმის. ფანტაზიის შემომქმედი ძალით აცოცხლებ ამ ხმებს და უნებურად შენს თავს აძლევ კითხვას: ნუ თუ თავადახანაურების მებრძოლ წინაპ- რებს, რომელთაც რამდენიმეჯერ ხმლითა და ცეცხლით გადაუვლიათ ქვეყნები და აზიის მომთაბარე ტომებისათვის ძილი დაუფრთხიათ, რომელ- თაც ჰქონდათ ამაყი და გამბედავი ხმა და ქართველი ერის ხელმძღვა- ნელობაში დიდ დავით აღმაშენებელს, თამარ მეფესა და პატარა კახს ეცილებოდნენ, ხოლო ქართველ მშრომელ გლეხობას მონურ ბორკილს ადებდნენ. — აი ამ წინაპრებს დარჩა კონსტანტინე სავარსამიძე, რო- მელმაც მამის მიერ დატოვებული მცირე ქონება უაზროდ გაფლანგა, ევროპა მოიარა, შეიდი ენა შეისწავლა, მაგრამ მათხოვარივით სხვას შეჰყურებს ხელში და ყოველდღე უსაფუძვლოდ სჩივის: „ჩემი სამშობ- ლო მე არ მიცნობს და არ მაფასებს... საქართველოში ზედმეტი კა-

ცი ვარ. ჩემი გზა ვასცილდა საქართველოს ცხოვრების გზასო“, საქართველო ველარ ვიცანიო.

დრომ ცინიკურად გააშიშვლა ეს გულდამშიერი აზნაური; მისი „იდი-ალეები“ სასაცილონი გახდნენ, მისი საოცნებო ფერადი ექსპრესიები — ვახუნდა, მისი ქართული ჩოხა, თეთრი დარაიის ახალუხი ძონძეძისა და ჩვენი მხიურ უძიროებს პაჭიკები შემოაცვდათ, ხელზე მჯდომარე სანადირო მიმინო თავისით გაფრინდა, მისი საოცნებო ყაბარდოული ცხენი შიმშილისაგან გაძვალტყავდა, — და, ამრიგად, „დიდებულ“ წინაპრებისაგან მათი აზრდილიდა დარჩა, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი, მაგრამ ფუქსავატი, ცხოვრებაზე გულაცრუებული და ცხოვრებისაგან უარყოფილი ეს დროის ნიშანი იყო და აქაც ასე ჩაესწროთ.

2.

1930 წელს გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების კრებული სათაურით „მარცხენა თვალით“. იდეებისა და ფორმალური ძიების თვალსაზრისით ამ წიგნით კონსტანტინე გამსახურდია უკანასკნელ ხარკს უხდის დასავლეთ ევროპის ექსპრესიონიზმს.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კულტურაში ექსპრესიონიზმი იყო არა მარტო ლიტერატურული მიმართულება, არამედ ახალი მოძღვრების დამთავრებული ფორმაც. ექსპრესიონიზმა დაიპყრო ხელოვნებისა და საერთოდ იდეოლოგიის ფრონტი; ექსპრესიონიზმი გადაიქცა ბურჟუაზიული კულტურის შოდად.

ექსპრესიონიზმი დასავლეთ ევროპაში ომამდე გაჩნდა, როგორც ანტითეზა რეალიზმისა (ლიტერატურაში) და პოზიტივიზმისა (მეცნიერებაში). თუ პოზიტივიზმის მამამთავარმა ოგიუსტ კონტმა ცდა გამოაცხადა მეცნიერებისა და ხელოვნების საფუძვლად, სამაგიეროდ ექსპრესიონიზმის მამამთავარმა ანრი ბერგსონმა ჭკვრეტა მიიღო როგორც დამთავრებული ფორმა სამყაროს შემეცნებისა. ბერგსონის ესტეტიკის თვალსაზრისით, ადამიანი დაბადებულია არა სარგებლიანობისათვის, არამედ სილამაზისათვის. სარგებლიანობის შემეცნება მხოლოდ ცდითაა შესაძლებელი, სილამაზისა კი — ჭკვრეტით პირველ შემთხვევაში შემეცნების რეგულიაციას ახდენს ადამიანის გონება, მეორე შემთხვევაში კი — ადამიანის ინტუიცია. რადგან, ამბობს ბერგსონი, ადამიანის გონებამ კრახი განიცადა შემეცნების პროცესში, ინტუიცია ხდება შემეცნების საფუძვლად. „გონება უძლურია, ინტუიცია კი ყოველს-შემძლე“ — განაცხადა ექსპრესიონისტმა შორის ბარესმა.

შოაფლიო ომმა და სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში დაბადა ერთგვარი შიშის გრძნობა. მან დაინახა, რომ კაპიტალისტური სამყარო აღარ წარმოადგენდა დაურღვეველ ძალას, რომ თანდათან ირყეოდა კაპიტალიზმის დასაყრდენი ბურჯები. ოქტომბრის ძღვეამოსილმა სოციალისტურმა რე-

ვოლუციამ ნამსხვრევებად აქცია რწმენა კაპიტალიზმის მარადიულობის შესახებ. რევოლუციის შიშმა დასავლეთ ევროპის ექსპრესიონისტები, რომელნიც სამყაროს უმზერდნენ არა გონების თვალთ, არამედ ინტუიციით, მთელი ძალით გააქანა მისტიციზმისაკენ. მათ დაიწყეს მტკიცება ევროპული კულტურის კრიზისისა და წინასწარმეტყველებდნენ მის დაღუპვას.

ექსპრესიონისტები ფაქტიურად როდი იყვნენ დაინტერესებული ბურჟუაზიული კულტურის დაღუპვაში, პირობით, ცდილობდნენ მის გადარჩენას ახალი მითოსის შექმნის გზით. ექსპრესიონისტები ეპოქის კრიზისის მითოსის კრიზისით ხსნიდნენ. „უმითო ეპოქაში, — სწერდა რუსი ექსპრესიონისტი მერეტეკოვსკი, — ადამიანის სულს ევიწროვება ყოფნა... მხოლოდ სწრაფვას ზეცისაკენ შეუძლია იხსნას მითოს მოკლებული დრო“. ამრიგად, ექსპრესიონიზმმა ადამიანის გონების უარყოფით დაიწყო და მითოსის აღიარებამდე მივიდა. ექსპრესიონისტები ზეცისაკენ ეძიებდნენ გზას. ეს კი სრულიად ბუნებრივი იყო საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც დედამიწაზე გზა დაებნა.

ამრიგად ექსპრესიონიზმი, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობა, შემუშავდა კაპიტალიზმის დაღუპვის მიჯნაზე. ამ აზრით, იგი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმაა.

კონსტანტინე გამსახურდია ქართულ ლიტერატურაში ექსპრესიონიზმის პირველი მედროშე იყო. მან პირველმა კრიტიკულ წერილებში, შემდეგ კი ნოველა „ტაბუ“-ში იქადაგა ექსპრესიონიზმის იდეები.

თუ ევროპის ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში კაპიტალიზმის რღვევამ და რევოლუციის მოახლოების შიშმა შექმნეს ექსპრესიონიზმი, საქართველოში, როგორც რევოლუციურ ქვეყანაში, ექსპრესიონიზმის გადმონერგვისათვის ნოყიერი ნიადაგი არსებობდა მხოლოდ რევოლუციის მიერ განადგურებულ ბურჟუაზიული წრეების შიგნით. როგორც ზემოთ ვთქვით, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ტაბუ“ ექსპრესიონიზმის ემბაზშია განბანილი, მაგრამ ნაციონალური თალხი კოლორიტით შეფერილი. მთავარი მომქმედი პირი ნოველაში თითონ ავტორია- ნოველის დასაწყისშივე კონსტანტინე გამსახურდია გადმოგვცემს ორი ეპოქის მიჯნაზე გაჩერებულ ადამიანის განწყობილებებს. კონსტანტინე სავარსამიძის მსგავსად, ტაბუს მთავარ გმირს თან სდევს საკუთარი აზრდილი, რომელიც მის სულიერ სამყაროს აფორიაქებს. ჩოხიანი აზნაური ხელზე მიმინოთი მიემგზავრება სამეგრელოს ერთ-ერთ გაპარტახებულ-კუთხეში, სახელდობრ ნაჭყვეთში. როგორც ავტორი გადმოგვცემს, ხალხის წარმოდგენით, ოდესღაც ამ სოფელში ცხოვრება ჰყვავოდა, მაგრამ ხალხმა ღმერთი დაივიწყა და ეს სოფელიც ვითომც ამიტომ ნანგრევებად იქცა. უღმერთოებამ განადგურა ეს კუთხე და განადგურებული ნასოფლარი ხალხის შეგნებაში დარჩა, როგორც მითების სამყოფელი. აი ამ მითების ქვეყანაში მიდის ჩოხოსანი აზნაური მიმინოთი. მას თან მიჰყვება ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი ბინოკლიანი აზრდილი.

ჩოხიანი აზნაური დაინტერესებულია ერთი დიაკნით, რომელიც, სოფლებში ეკლესიების დაბურვის გამო, შეიქედლა ამ მითითურ ნასოფლარს. „უნდა მენახა საბრალო მოხუციო, — გადმოგვეცემს ავტორი, — მისგან მაქვს ნასწავლი ანბანი და სიზმრის ახსნა. პირველად მითითებულ ნაშრომში მითითებულია და მე ვაკოცებდი მას დამკვირვებელსა და მითების დაბნეული კარი... შენი წყალობით მყავ საცნაური ძველი დრო თავისი ბნელი ლეგენდებითა და სასწაულებით“. შემდეგ გამსახურდია ექსპრესიონისტული ექსტაზით გვეკითხება: „და თქვენ იცით, რა ძნელია ჰოეტისათვის კრიზისი? კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზმანებისა და მითის ჯადოსაგან.“ კრიზისი? უმითოთ ყოფნაა. ჩვენთვის: არ ყოფნა. დადიხარ ამ ქვეყნად ზედმეტი კაცივით. გაზარდაცდები. მელნის სუნი შეგაგდება, როგორც ნამთვრალევეზე ლენო კახური. და თვითვე ვიკვირს, რომ ოდესღაც სული გეგდა მითების მთხვეელი და ადამიანების სიტყვით დაელექტროება შეგეძლო. ამგვარი კრიზისის დროს მე შემიძლია მხოლოდ ვინადირო... პირველთაგანი იყო მითი: ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთთაგანისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება მხოლოდ მითი“.

ეს ძალიან გაბედულად არის ნათქვამი, მაგრამ სრულიად ულოლიკოდ და არა ქვეყნურად. რაკი ავტორი აქ ამოვარდნილია მხატვრულ კალაპოტიდან და ცნებების ენით ლაპარაკობს, არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება. გამსახურდიას დებულების ორი მხარეა საინტერესო: წმინდა პოლიტიკური და ფილოსოფიური. გამსახურდია გვეუბნება, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში სულის კრიზისი დაიწყო. აქ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს. მაგრამ რამდენადაც ეს დებულება ჰემარიტებს შეიცავს, იმდენად ყალბია შედეგების გამოიწვევ მიზეზთა ახსნა-სულის კრიზისის გამსახურდია მითის კრიზისით ხსნის და აყენებს დებულებას: „მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთთაგანისა და ხელოვნებისა... ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა“. კონსტანტინე გამსახურდიას მითის ისტორიის უცოდინარობას ვერ დავწამებთ. მაგრამ იგი განგებ ხუტავს თვალს ხელოვნების ისტორიის წინაშე. მართლაც, ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. მაგრამ რატომ? ანტიური ადამიანისათვის „ბედის“ რწმენა ბუნებრივი შედეგი იყო მისი ღარიბი ტექნიკისა, რომლითაც მან ვერ მოახერხა ბუნების ძალების დამორჩილება. ამ საფუძველზე ძველი ბერძნისათვის ბუნების ძალები გაუგებარი რჩებოდნენ და შეუძლებელი მოვლენები მათ თავზე ედგათ, როგორც ბედის წერა. აქედან წარმოიშვა მითი, როგორც საფუძველი სამყაროს მოძრაობისა.

მაგრამ ასე როდი იყო ყოველთვის, როგორც ამას გამსახურდია ფიქრობს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა განვითარების

შემწეობით ვაპქრა პრიმიტიული ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც წარმოადგენდა პრიმიტიული შეგნების მატერიალურ საფუძვლად. პრიმიტიული შეგნების მსხვერველად გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მონუმენტალური რელიგიური ხელოვნების დაცემაზე. ამ ურთიერთობის ბედისწერა და საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ვენებები გაძევებულა ადამიანის ინდივიდუალური ვენებების მიერ. მითოსის ადგილს ადამიანის ინდივიდუალიზმი იკვრს. ინდივიდუალიზმი დაეუფლა მთელ ეპოქას და ადამიანმა საკუთარი თავი გამოაცხადა ხელოვნების ცენტრად. გენიალური შექსპირის ხელოვნება ამ ეპოქის პიკშია. შექსპირის დრამებიდან განდევნილია მითოსის რწმენა, მაგრამ ვის შეუძლია უარყოს, რომ შექსპირმა ამით, ანტიურ ტრაგედიასთან შედარებით, ნაბიჯი გადადგა წინ და ხელოვნების სამყაროს ახალი შუქი მიაყენა? თუ კონსტანტინე გამსახურდია დაგვეთანხმება ამ დებულებაში, მაშინ მან უნდა უარყოს მოსაზრება, თითქოს მითოსს მოკლებულ ხელოვნებას არ შეუძლია ადამიანის სიტყვით დაელექტრონება. განა იმავე შექსპირს ესკილზე ან სოფოკლესე ნაკლებად შეუძლია ადამიანის სიტყვით მოჯადოება? არა. სასტიკად სცდება კონსტანტინე გამსახურდია თავის თეორიულ მსჯელობაში. უფრო მეტად სცდება იგი, როდესაც ბურჟუაზიული სამყაროს კრიზისის მიზეზად ასახელებს არა მის შინაგან ორგანიზმში არსებულ წინააღმდეგობებს, რომელნიც აღსასრულის დღეებს უახლოვებენ მას, არამედ მითოსის კრიზისს. ამ რწმენამდე კონსტანტინე გამსახურდია მიიყვანა რეაქციულმა ექსპრესიონისტულმა მსოფლმხედველობამ, რომლისაგანაც შემდგომ წლებში თანდათან განთავისუფლდა, მაგრამ მისი სავესებით მოშორება ჯერ კიდევ ვერ შესძლო.

ნოველა „ტაბუ“ რამდენადაც ყალბია იდეურად იმდენად სუსტია მხატვრულად. ამ ნაწარმოებში მოაზროვნე გამსახურდიამ დაჩრდილა მხატვარი გამსახურდია. მთელი ნოველა დაბნელებულია კოშმარული და ჩვენი ეპოქისათვის მიუღებელი იდეებით.

„დიდი იოსები“ ქრონოლოგიურად შემდგომი ხანის ნაწარმოებია. „ტაბუ“-დან „დიდი იოსება“-მდე ავტორი ევოლუციას განიცდიდა. ამ ნოველაში ექსპრესიონისტური ბნელი იდეები აღარ აღიზიანებენ მკითხველის გონებას. მხატვრულადაც ეს ნაწარმოები გაცილებით მაღლა სდგას „ტაბუ“-ზე. „დიდი იოსები“ რეალისტური სტილის ნაწარმოებია, თუმცა სტრიქონებს შუა კიდევ დაპქრის ექსპრესიონიზმის აჩრდილი. ნოველა იშლება მენშევიკური ბატონობის დამსხვერველსა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეების ფონზე. აქ გადმოცემულია პატარა ადამიანის ტრაგედია, რომელმაც ვერ გაიგო დროის ლოგიკა და მსხვერპლი ხდება თავისი ბნელი საქმეებისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნოველის ავტორი არაჯანსაღ დამოკიდებულებას იჩენს ინდუსტრიისადმი, თითქოს მანქანამ წაართვა ლუკმა მეკურტნე იოსებს და ამ ნიადაგზე ისიც იძულებული გახდა სახიფათო ხელობა აერჩია საარსებო წყაროდ.

საერთოდ კი „დიდი იოსები“ უეჭველად საყურადღებო ნაწარმოებია. აქ უკვე სჩანს პროზის ოსტატის ხელი.

3.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ყველაზე დასრულებულ ნაწარმოებად „მთვარის მოტაცება“ უნდა ჩაითვალოს. იგი ამავე დროს უალრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს უახლოესი წლების ქართულ პროზაში. ოდესღაც გამსახურდია თეორიულად „დისტანციის“ თვალსაზრისს ემხრობოდა, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის აწმყო დროის პრობლემების აკენთან იდგა. მაგრამ არასოდეს, არც ერთ ნაწარმოებში პრობლემათა მხატვრული დამუშავების სიძლიერით კონსტანტინე გამსახურდია არ ასულა იმ სიმაღლემდე, რომელსაც „მთვარის მოტაცება“-ში მიაღწია.

„მთვარის მოტაცება“-ში კონსტანტინე გამსახურდია ეხმაურება ილია ჭავჭავაძის და დავით კლდიაშვილის მიერ დასმულ სოციალურ პრობლემას. ამ პრობლემის მიამოძრავებელ ღერძს წარმოადგენდა თავადაზნაურობის, როგორც საზოგადოებრივი ერთეულის, ბედი შეცვლილ დროში და პირობებში. ეს პრობლემა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის წარმოადგენდა ერთ მთავარ პრობლემათაგანს, რომელზედაც აშენდა მთელი ლიტერატურული მიმართულება. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ ეს პრობლემა ორჯერ დააყენა თავის შემოქმედებაში: ბატონყმობის გადაეარდნამდე და ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ. პირველად ეს პრობლემა ყველაზე რადიკალურად დაისვა სამოციანი წლების მიჯნაზე, როდესაც ბატონყმობა, როგორც სოციალური სისტემა, ჯერ კიდევ არსებობდა. ამ პერიოდში თავადაზნაურული საზოგადოების მოზრდილ ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო ლუარსაბ თათქარიძის ტიპი. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ლუარსაბ თათქარიძე არ გამოხატავს სამოციანი წლების ქართველი თავადაზნაურული საზოგადოების სულიერ განწყობილებებს, რომ თითქოს იგი უბრალო კარიკატურას წარმოადგენს. ამ აზრის დამცველები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამ ტიპის არა ქართულ ბუნებას. მათის აზრით, ლუარსაბ თათქარიძის სულიერი სამყარო პირდაპირ ანარეკლია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თითქოს ტიპიური ნიშნები ლუარსაბ თათქარიძისა პირდაპირ იყოს გადმოტანილი რუსული ლიტერატურიდან. ამ აზრის დამცველები მხედველობიდან უშვებენ დროს, რომლის პირშო შვილიც თათქარიძეა. დრო და პირობა ისეთი ძალაა, რომელსაც შეუძლიან შესცვალოს ან თავისებური მიმართულება მისცეს ამა თუ იმ ერის წარმომადგენლის ზოგიერთ ნაციონალურ თვისებას.

ვინც გონების თვალთ შეხედავს საქართველოს რუსეთთან შეერთების პოლიტიკურ აქტს და აქედან გამომდინარე შედეგებს, მისთვის ნათელი გახდება, თუ რატომ იყო ლუარსაბ თათქარიძე ამ ეპოქისათვის ტიპიური და დამახასიათებელი. თუ რუსეთთან შეერთებამდე ქართველი

თავადაზნაურობა, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ ასრულებდა თავის სოციალურ ფუნქციას ქართველი ერის ხელმძღვანელობის საქმეში. რუსეთთან შეერთებამ მას ეს ფუნქცია დაუკარგა, და დაცვა საქართველოს საზღვრებისა, რომლებიც იმავე დროს რუსეთის იმპერიის საზღვრებიც იყო, თავს იღვეს იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა. სტრუქტურულად ფუნქცია-დაკარგული თავადაზნაურობა ლაჩრულად შეეგუა ამ გამანადგურებელ აქტს. ამის შემდეგ თავადაზნაურობამ ხელი აიღო პოლიტიკურ ცხოვრებაზე და დაიწყო სამეურნეო ცხოვრება — გლეხების გაძლიერებული ექსპლოატაციის ხარჯზე. მაგრამ აქ მის მეტოქედ კაპიტალიზმი გამოვიდა. რუსეთის იმპერიის მისწრაფებამ კოლონიების დაპყრობისათვის აღმოსავლეთში ფართო ასპარეზი გაუხსნა კაპიტალიზმს, რომელიც ანგრევდა ნატურალურ მეურნეობას და ამავე დროს ხელს უწყობდა თავადაზნაურობის ეკონომიურ დაცვას. ამის შემდეგ ერთი ნაწილი თავადაზნაურობისა რუსეთის მონარქიის ყურმოჭრილ მონად გადაიქცა, მეორე ნაწილი კი თათქარიძეების მსგავსად გადაგვარდა.

გადაგვარების ეს პროცესი ილიამ გენიალურად ასახა „ქაცია ადამიან“-ში. ილია ხედავდა, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა ქართველი ერის სხეულზე წარმოშვეს საკმაოდ სერიოზული წყლული ლუარსაბ თათქარიძის სახით. საჭირო იყო ამ წყლულისაგან დროზე განკურნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ეროვნული სხეულის დაავადება. ილია, როგორც გენიალური ქირურგი, ეძებდა გზას, საშუალებას მკურნალობისათვის, და უნდა ითქვას, რომ კიდევაც აღმოაჩინა იგი. მოძრაობა, მოქმედება, შრომა, — იხრა მიაჩნია ილიას ერის გაჯანსაღების პრინციპად. ვის არ ახსოვს ილიას საყვარელი ფრაზა, რომელიც შრომის მოყვარე ოთარაანთ ქერივს ათქმევინა: „თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე ვაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო“. მოძრაობასა და მოქმედებაში ხედავდა ილია სიცოცხლის დანიშნულებას. ლუარსაბ თათქარიძეს სწორედ ეს თვისებები აკლდა. ამაში ხედავდა ილია თათქარიძეთა დაღუპვის აუცილებლობას. ასეთი იყო დრო და ლუარსაბ თათქარიძეც ამ დროის დამლას ატარებს.

მაგრამ გავიდა წლები. ბატონყმობა გადაეარდა. ბატონყმობის გადავარდნას თუმცა არსებითად არ შეუცვლია გლეხაკის ეკონომიური ცხოვრება, მაგრამ ამ აქტის შემდეგ თავადს აღარ შეეძლო გლეხს ისე მოქცეოდა, როგორც პირუტყვს. გლეხების ერთმა ნაწილმა თავადაზნაურობის მიწების შესყიდვით გაიჩინა საკუთრება და დაიწყო შედარებით დამოუკიდებელი ცხოვრება. გლეხობის ამ ნაწილისათვის შრომა აღარ წარმოადგენდა ტანჯვის სინონიმს, როგორც ეს ბატონის ხელში იყო. შეცვლილმა დრომ და პირობებმა შესცვალა თავადაზნაურული წოდების ერთი ნაწილიც. ლუარსაბ თათქარიძის ადგილს აქ იჭერს განსწავლული არჩილი, ხოლო დარეჯანის ადგილს — კესო. თუ პირველ პერიოდში ლუარსაბისათვის სწავლა-განათლება საღანძღავ სიტყვად არის

გადაქცეული, მეორე პერიოდში თავადაზნაურობა თითონ ჰკითხებს ხელს კულტურას, რადგანაც ცხოვრების განვითარების ლოგიკამ დაარწმუნა იგი, რომ სწავლა-განათლების გარეშე ადამიანი პირობების მონაა, ილია ხედავდა, რომ ახალმა დრომ შესცვალა არა მარტო წარმართობა შორის ურთიერთობა, არამედ თვითონ ადამიანებიც შეიცვალნენ. დროის მიხედვით ამ დროისათვის ტიპიურ ადამიანებს წარმოადგენენ არა ლუარსაბი, დათიკო, გაბრიელი და კაკო, არამედ განსწავლული არჩილი და სინდისის მოციქული გიორგი.

ახალ დროში და პირობებში ილიამ ერთხელ კიდევ სცადა იმ ცვლილებების შემოწმება, რომლებიც დრომ მოახდინა წოდებრივ ფსიქოლოგიაში. ამ პრობლემის მხატვრულ გაშუქებას უძღვნა მან „ოთარაანთ ქვრივი“. ეს მცირე მოცულობის მოთხრობა თავისი მხატვრული სიძლიერით და პრობლემათა დაყენების სიღრმით დღემდე ქართულ ლიტერატურაში ინარჩუნებს ნორმისა და მიუწვდომელობის ნიმუშის სახეს. „ოთარაანთ ქვრივიში“ ილია ქვეყნავე თავისი ნათელი გონებით აკვირდება ორივე წოდებას, კრიტიკული თვლით ზომავს არჩილსა და გიორგის, კესოსი და ოთარაანთ ქვრივის სულიერ სამყაროს. გულთამბილავი წინაგრძნობით აკვირდება მათ ყოველ ნაბიჯს და, როგორც მიუდგომელი მსაჯული, საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ წოდებათა შორის, ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგაც, ჯერ კიდევ არ არის დანგრეული მუნჯი კედელი გვარიშვილობისა, რომელიც სამანივით აშორებდა ერთი მეორეს საზოგადოების ორ მტრულად გაყოფილ ფენას. არისტოკრატიულ წოდებაში კიდევ ცოცხლობდა პატივისცემა გვარიშვილობისა. ადამიანის პირადი ღირსება და ნიჭი აქ უძღური იყო. ამიტომ ვერ მიუხედავარ არისტოკრატი კესო გლეხიკაცი გიორგის სიყვარულს. ამას ფეით არჩილიც გრძნობს. არჩილს უყვირს, თუ რა მასალიდან დაიწნა გლეხობაში ისეთი კაცი, როგორცაა გიორგი, ან ისეთი დედაკაცი, როგორც ოთარაანთ ქვრივია, უყვირს, თუ საიდან წარმოიშვა მათში ის დიდი მადლი, რომელიც მოთავსებული იყო ამ ორი ადამიანის გეამში. ილიამ მართმსაჯულის პირით უთხრა როგორც არჩილს, ისე მთელ მის წოდებას, რომ როგორც არჩილი, ისე ოთარაანთ ქვრივი თვით ცხოვრებამ წარმოშვა. შრომამ, მოქმედებამ, მოძრაობამ გააკეთილშობილა ეს ადამიანები, თვით ბუნებამ მისცა სინდისი და ნამუსი, რომელიც გიორგიმ მოციქულად გაიზადა არჩილთან ურთიერთობაში. მაგრამ ვერც არჩილი და ვერც კესო ვერ მიხვდნენ ამას. ამ „ვერშიხვედრაში“ ხედავდა ილია იმ ურთიერთი მტრობასა და შტრისძიების გრძნობას, რომელიც ღრმად იყო ჩანერგილი ორივე წოდებაში.

მთავარ ბრალდებულად ამ უჯულმართ საქმეში ილიას თავადაზნაურობა გამოჰყავდა, მაგრამ არჩილი მაინც არ ჰკარგავს მომავლის იმედს. მას მონანიება და ცრემლი მიანია იმ მაგიერ ძალად, რომელიც ოდესღაც მაინც აღადგენს წოდებათა შორის ჩატეხილ ხიდს. „ეგ ცრემლიანი ცოდნა, — ამბობს არჩილი, — უყანა სწევას და ჰბუგავს, წინ ნამავს და

ამწევანებს. ეგ ნამი რომ ვაბევერდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელ ტივს შოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ორსავე ნაპირს გააერთიანებს. ეგ ტრემლიანი ცოდნა თუ ცოდნაანი ტრემლი, — შუქია წინასი და შუქი ხომ... დასაწყისია განთავსება ამ იმედით და რწმენით მოკვდა არჩილი და ეს სიტყვები ანდერძად დაუტოვა თავის შთამომავლობას.

აქ დასვა წერტილი მე-19 საუკუნის გენიალურმა მწერალმა ილია ქავჭავაძემ. ამავე წერტილზე გაჩერდა ამავე საუკუნის მეორე დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი. ამის შემდეგ ეს სოციალური პრობლემა აღადსმულა ქართულ ლიტერატურაში. ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის კი ფრიად საინტერესო იყო ლუარსაბ თათქარიძისა და სამანიშვილის შთამომავალთა ბედი რევოლუციის შემდეგ. სწორედ სოციალისტურ რევოლუციას უნდა გადაეწყვიტა უკანასკნელი ხვედრი ამ წოდებისა.

კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ამ პრობლემას მოჰკიდა ხელი. შემომკმედის გამჭრიახი თვალით აკვირდება იგი იმ ცვლილებებს, რომლებიც სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა წოდებათა შორის ჩვენში. ჯერ „დიონისოს ღიმილში“, შემდეგ კი „მთავრის მოტაცებაში“ მწერალმა გვაჩვენა ადამიანები, რომლებსაც თავიანთ სახელოვან წინაპრებისაგან მხოლოდ ძონძებიღა შერჩენოდათ. ამ რომანებში ავტორი ასამარებს ქართველი თავადაზნაურობის უკანასკნელ ნაშიერს, მაგრამ ასამარებს არა უბრალოდ, როგორც ასამარებდნენ ადამიანებს შექსპირის გულგრილი, ხუმარა მესაფლავენი, არამედ როგორც მგლოვიარე ადამიანი. მწერალი ზოგჯერ სარკასტულად დასცინის თარაშ ემხვარის დაღუპულ ცხოვრებას, მაგრამ კიდევაც გლოვობს მას, ძველი სარაინდო აღთქმების მსგავსად.

თარაშ ემხვარი რომანის მთავარი ფიგურაა. წარმოშობით იგი ეკუთვნოდა იმ ბრწყინვალე, ცნობილ გვარს, რომელიც უკანასკნელი საუკუნების მიჯნაზე შარვაშიძეების გვარს მეტოქეობა დაუწყო და მთავრის ტახტს შეეცილა. ამ ნიადაგზე შარვაშიძეებმა ოქუმიელი ემხვარების მთელი შტო ამოწყვიტეს. თარაშ ემხვარის წინაპრების ერთი ნაწილი ხონთქართან გაქცეულა, მეორე ნაწილი სამცხეს-საათაბაქოში ვახიზნულა, ხოლო მესამე ნაწილი სამურზაყანოში დარჩენილა შარვაშიძეების მეტოქედ. თარაშ ემხვარის მამა ჯამსულ ემხვარი მსახურობდა მეფის არმიასში. მსოფლიო ომის წლებში ცხრა ჭრილობა მიიღო და ვენერლის ჩინით და ორდენებით მკერდ-დამშვენებული ჩამოვიდა მენშევიკურ საქართველოში. აქაც სამხედრო სამსახურში შევიდა. მრავალი აჯანყების ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეებში თავადმა ჯამსულ ემხვარმა მიჰყიდ-მოჰყიდა სოხუმის თუთუნის პლანტაციები და ოქუშის მამულები, მიღებული ფული თურქულ ლირაზე გადააბურდავა, ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო თარაშ ემხვარი სკოლიდან გამოიყვანა და ევროპაში გაქცეულ მენშევი-

კურ მთავრობას ვაპყვია. ევროპაში ყოფილ თავადს გაუძნეულა ახალ და რთულ ცხოვრებასთან შეგუება. ყველგან სცადა გენოლის წამსახურის მიღება: სტამბოლიდან იტალიაში, იტალიიდან ბულგარეთში, ბულგარეთიდან დანიაში, დანიიდან გერმანიაში გადავიდა. მგერმანიაში კარხანაში მუშად მოეწყო, გაუფრთხილებლობის გამო ბედმა უმუხთლა და ტრაგიკულად დაიღუპა ევროპაში.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა თარაშ ემხვარის მამის მიუსაფარი ბედი, არამედ თვითონ თარაშისა. თარაშმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, იგემა კაპიტალისტური ცხოვრების ძირძვარა. „როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დადგმულ ქართულ პალმას ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააზროს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი უცხო ცივილიზაციის გრივალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიქა. და ქარისაგან გატაცებული ძეწნის ფარფლის დარად დამაქროლებდა ცხოვრება ქალაქიდან ქალაქად. მე მოწყენილი ვიყავი სხვის ქვეყანაში, მაგრამ ჩემი მოწყენა ნიადაგს მომცდარი მცენარის მოწყენა იყო, ან მონადირეთა გულქვაობის წყალობით დედისაგან გატაცებული ნუქრის დარდი დედისათვის, მთებისათვის დარდი“. ჯერ კიდევ ქაბუკი თარაშ ემხვარი ჩაითრიეს კაპიტალისტური ცხოვრების მღერიე ტალღებმა ბერლინმა, პარიზმა, რომმა — ამ ცდუნებათა ქალაქებმა ადვილად შესძლეს გამოუცდელი ახალგაზრდა ადამიანის ბურჟუაზიული გარდაქმნა. თარაში გრძნობს, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში არ არსებობს წრფელი გრძნობა, იქ ადამიანური ზრახვა და ეგოიზმი ოქროსა და აბრეშუმს ქვეშ იფარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ შეუძლიან უარი სთქვას ბურჟუაზიულ სამყაროზე. ბუნებით ნიქიერი ადამიანი პარიზისა და ბერლინის ქუჩებში ეძებდა ბედს. რალაც ფანატიკური ძალით იკვლევს იგი წინ სავალ გზას და სწამს, რომ ოდესმე მიაღწევს მიზანს. გულდამშვიდებული უსმენს პროფესორების ლექციებს და გრძნობს, რომ მისი შინაგანი სამყარო შეიცვალა. თანდაყოლილი ენერჯიის პირვანდელი სილალე თანდათან ჰჭრებოდა და ბურჟუაზიულ ყაიდაზე ჩქმნებოდა. „როგორც დაგვილი მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკრავენ, მერე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს ააააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადავიწყონ, თანდაყოლილი ენერჯიის პირვანდელი სილალე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ააააა-ს ევროპიული მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შეიდი წლის განმავლობაში“.

ასაკის დამწიფებასთან ერთად მწიფდებოდა თარაშ ემხვარის მსოფლმხედველობაც. პირქუშმა დრომ, რომელმაც თავისი დასასრული ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსში ჰპოვა, თარაშის გონებას მარადიულად ამოუშლელი დაღი დააჩინა. ამ ადამიანის წინაპართა ბნელი წარსული ხელს უწყობდა მის ჩაძირვას ბურჟუაზიული ცხოვრების მორევში. მაგრამ ამას სწადის არა ბრკვეიალა ოქროებისათვის, როგორც ბალზა-

კის უკუდავი გმირები, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო მისი კეთილშეშობის ლოგიკური დასასრული. შვიდი წლის მანძილზე თარაშ ემხვარი იგემა კაპიტალისტური ცხოვრების „ხე ცნობადისა“, მაგრამ მიხედა აღლოთი, რომ ეს არ იყო ის საოცნებო ქვეყანა, რომლისკენაც ის მისწრაფებდა სიკაბუკის წლებში. ამ ნიადაგზე ამ ახალგაზრდა ადამიანის წინ ბედისწერასავით აღიმართა აზრი „ორი გზის შესახებ“. თარაშ ემხვარი გონების თვალთ აკვირდება ცხოვრებას და ხედავს მის წინაშე გადაშლილ ორ გზას: „დღეს მთელ ქვეყანაზე, — ამბობს იგი, — ორად ორი გზაა დარჩენილი — ერთია სტალინის გზა, გზა ბოლშევიკებისა, მეორე მუსოლინისა და ჰიტლერისა“. როდესაც მის წინაშე სდგება გზის არჩევანის საკითხი, იგი მერყეობს, და განა შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო ადამიანი, რომელსაც ნიადაგი გამოეცალა და რომელიც მოსწყდა ხალხს? ამას თითონაც გრძნობს თარაშ ემხვარი. „მე ჩემ ხალხს საუბრებით მოწყვეტილი ვარ და არ ვიცი რა უღბისა, რა უჭირს მას. აქედან ძნელია რაიმეს თქმა, ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: იტალიური და გერმანული ფაშიზმი ჩვენი ხალხისათვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გველფებისა და გიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“, იგიც უგულვებელყოფს ალბად ჩვენი ხალხის ინტერესებს. რაც შეეხება პირველს (ე. ი. სტალინის გზას — დ. ბ.) პირადათ ჩემთვის ცოცხალიც რომ დავრჩე, ალბად, ეს გზაც დახურული იქნება. ერთი იმიტომ, რომ თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ... გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ“. ეს ხალხისიანად და გაბედულად არის ნათქვამი, მაგრამ არა ჭკვიანურად. როგორც ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაზე აღზრდილ ადამიანს სჩვევია, თარაშ ემხვარიც ულოგიკობასა და არათანმიმდევრობას იჩენს მოვლენათა შეფასების დროს. თუ ის ხანდისხან ერთგვარ სიმპატიებს იჩენს ბოლშევიზმისადმი, ეს მისი რწმენიდან კი არ გამოდის, არამედ არათანმიმდევრობისა და ულოგიკობისაგან. ემხვარი რომ ფაშიზმს უარყოფს, როგორც პატარა ერის დამჩაგრელ ძალას, ეს სავსებით სწორი და ბუნებრივია. მაგრამ რატომ ყველა „იზმს“ ათანასწორებს პატარა ერების მჩაგვრელ ძალასთან? მარქსიზმი — ლენინიზმი — ბოლშევიზმი — მსოფლიო იზმია და მაშასადამე იმავე დროს ევროპულიც, მაგრამ რომელი ჭკუადამყოფი ადამიანი იტყვის, თუ არა ფაშისტები, რომ იგი მიმართული იყოს პატარა ერების დამჩაგრისაკენ. გაცილებით უფრო „ბუნებრივი“ იქნებოდა თარაშ ემხვარი, რომ თანმიმდევარი იყოს თავის ფეოდალურ-ბურჟუაზიულ რეაქციონერ მსოფლმხედველობაში. იგი ხშირად ეპოტინება რევოლუციის ჩანგს, მაგრამ მის მიუჩვეველ ხელში არა პარმონიულად ეღერს იგი.

მაგრამ ხშირ ცვალებადობაში და არათანმიმდევრობაში — ერთში მანც უცულებელი რჩება თარაშ ემხვარი: იგი ადამიანურ საზოგადოებას ზევიდან დასცქერის, როგორც ებრაელების ღმერთი სინას მთაზე. ამ რწმენ-

ნით დაბრუნდა საქართველოში თარაშ ემხვარი, მაგრამ, როგორც თვითონ აცხადებს, ქართველი ხალხი მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც იგი — ხალხისათვის. ხალხზე გულაცრუებული გარბის სვანეთის მთებში, იქ უნდა პოვოს თავისი დეკადენტური სულის საზრგარსი. სვანეთის მიუვალ მთებშიც შეიქრა ბოლშევიზმის მაცოცხლებელი იდეები და თარაშ ემხვარიც იძულებული ხდება გაიქცეს მიუვალ მთებიდან აფხაზეთში.

იქნებ დრომ ჩააქრო ამ ადამიანში უკეთესი მერმისისაქენ მისწრაფების იდეალი? არა. დრომ მხოლოდ დააჩქარა ამ ადამიანის კრაზი. არც ბავშობისას, არც სიკბაბუკის წლებში და არც ქარშავაობის ხანაში მას არა ჰქონია უკეთესი განზრახვა მომავლის საწინდრად. მას არც აქვს მომავალი, იგი მელანქოლიური სევდით შეპყრობილი, იმედდაკარგული და ცხოვრებაზე გულაყრილი შეპყურებს წელთა სვლას, არა როგორც ცოცხალი ადამიანი, არამედ როგორც გულგრილი მემბატინე. იქნებ ამ შეგნებამ ათქმევინა თარაშ ემხვარს: „და როგორც ლოთი ნაბახურებზე ნანობს ზომაზე მეტად შესმულ ღვინოს, მეორე დღესვე, თავი სტკივა და გულის რევა უტრემლებს თვალებს, მერე ეს კაცი თითს ჩაიყოფს თავის ხახაში და ცდილობს ამგვარად წამოარწყიოს წინა დღით ნასვამი, ასევე ვებრძვი ჩემ თავს და მწყურია ამოვარწყიო პირისაგან ჩემისა სხვის ქვეყანაში მიღებული ზედმეტი საზრდო, ეგებ განილტვონ ჩემგან სხვისი აზრები, სქელი წიგნები, ფოლიანტები, რიცხვი, ციფრები, ომებისა და მეფეების წელთაღრიცხვანი, ფილოსოფიისა და ალგებრის იწილო-ბიწილო, თეორიები, იდეები, ჰიპოტეზები. ჩემი ხსოვნიდან წარიცხონ უცხო და უცხო მოძღვრებანი სამარადეთათ, ოღონდ ეს გული განიწმინდოს ბიწიერებისაგან“. მაგრამ თარაშ ემხვარს არა ყოფნის გამბედაობა ნათქვამის სისრულეში მოყვანისათვის. ასე იქმნება შეუსაბამობა მის შინაგან სურვილსა და ობიექტურ შესაძლებლობას შორის.

ჰამლეტის მსგავსად, მას ელანდება აჩრდილი, მაგრამ არა მამის, არამედ საკუთარი აჩრდილი, რომელიც გაბედული ხმით ჩასძახის ყურში: „შენ გზა აგებნა ცხოვრებაში... დიდი თემშარა დაგივდია და შეპყლიხარ ვირის ზურგის სიგანე ბილიკებს. ზღვას გაქცევიხარ და ტბორებში ყურყუმალობ, ელექტროშუქი გაგიცვლია ნაძვის ქალებზე, კახური ღვინო აყროლებულ ანწლის არაყზე. დაბრუნებას გირჩევ, ბარს მიაკითხე, ზღვისაქენ მიშავალ შარას მიჰყე, შავი ზღვა იყო ჩვენი ქვეყნის დიდი გუშავი, მისი კულტურის, განათლების დიდი აკვანი... აღსდევ, ზარმატო, უქნარო ლეშო, ნუ თუ ვერ ხედავ ჩვენ ქვეყანას აღგება შუქი“. იმის მაგიერ, რომ მიჰყვეს ამ მოწოდების ხმას, აჩრდილს ისტუმრებს უშვარი სიტყვებით — „წა, გამეცალე შე მურტალო“.

თარაშ ემხვარის სულს ევიწროვება ადამიანური ცხოვრება. მას რეალური ქვეყანა წარმოდგენილი აქვს როგორც უზარმაზარი გოთური ტაძარი, რომლის ბნელსა და ცივ თაღებ ქვეშ თითქოს ნადგურდება მისი პარამონიული პიროვნება. ამიტომ ცდილობს ემხვარი ამ მტანჯველ

გრძნობებიდან განთავისუფლებას. მაგრამ რით? იმ მსოფლმხედველობით, რომელიც აიძულებს მას ადამიანურ საზოგადოებას ზეცოდან უყუროს თარაშ ემხვარი ქედმაღალია და განწყობილეჭყუყუყუ კლდეიანთა წყებას ეკუთვნის, რომელიც საკუთარ „მე“-ს აყენებს მსოფლიოს ცენტრში და კმაყოფილდება სამყაროს მედიდური ჰერეტიით. მაგრამ არისტოტელის თქმისა არ იყოს, ადამიანი დაბადებულია არა ჰერეტისათვის, არამედ მოქმედებისათვის. სწორედ ეს მოქმედება აკლია თარაშ ემხვარს. უმოქმედობით კი მისი ევროპულად განსწავლილი გონება თანდათან ჩლუნგდება და მტვრიანდება. „მე. — ამბობს იგი, — სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავი, და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავ. რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამოდგა და რაც აქ შემიძენია, იქ არ გამოდგება“. თარაშ ემხვარი თვითონაც გრძნობს, რომ მან თავისი უქნარობისა და არათანმიმდევრობის გამო შარავზის ძიებაში საცალფეხო ბილიკიც კი დაჰკარგა. გზადაკარგული ადამიანის ტრავედია ყველაზედ მეტად მან შამინ იგრძნო, როდესაც დედის ზანდუცში იპოვა მტვრიანი ეტრატო, რომელშიაც ასმერვე ფსალმუნის ძალით დაწყევლილი იყო თარაშ ემხვარის შორეული წინაპარი — ვარდან ემხვარი. წყევლის ეტრატს ხელს აწერდა ქართლის კათალიკოსი არსენი. თვით წერილი დათარიღებული იყო 1033 წლით. ცრუმორწმუნეობის ძალით თარაშ ემხვარს სჯერა, რომ მისი გზები წინაპართა ცოდვებმა არიეს. რაკი მან ნამდვილი მიზეზი ვერ მოსძებნა ამ გზების არევისა, იგი მიმართავს ზეცას. თარაშ ემხვარისათვის ეს სრულიად ბუნებრივი იყო. რაკი დედამიწაზე მას გზა აებნა, იგი ეძიებს გზას ზეცისაკენ. ფანტაზიის ძალით ჰქმნის ახალ ქვეყანას, რომელსაც არ ახასიათებს რეალური ქვეყნის სისასტიკე. თარაშე ცდილობს მოსცილდეს ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, რათა იქ, იმ ფანტასტიურ ქვეყანაში ნახოს თავისი ზედერი. მაგრამ ჯერ კიდევ ჰომეროსმა იცოდა, რომ რეალურ ქვეყნისათვის უსარგებლო ადამიანი იქაც ისეთივე რჩება და — პირობით, გაიხსენეთ „ოდისეაში“ ულისის საუბარი აქილესთან:

„როს ცოცხალ იყავ, ვით უკვდავ ღმერთს გათავყვანებდი,
 აქ, მართალია, მიცვალებულთ ბრძანებლობ, მეფობ,
 მაგრამ დიდება შენი ბრწყინავს, ვით სიცოცხლეში“.

თარაშ ემხვარი ნილილისტურად უარპყოფს ევროპის ბურჟუაზიულ კულტურას, როდესაც მისი ყოველი ნაბიჯი ამ კულტურის არტახები-თაა შემოკილი. ხელაღებით სწყევლის ინდუსტრიას და ამავე დროს ფეხით სიარულს მატარებლით მოგზაურობა ურჩევნია. კულტურის შიშით სვანეთის მიღვეალ მთებში გარბის, მაგრამ ეშინია რწყილებისა და ჰუჭუყის. ფილისტერულად სძავს ადამიანი და ამავე დროს მარტოობას უჩივის. ყოველ წუთს ოცნებობს სიკვდილზე, მაგრამ სწყურთან უკვდავება. მიწას მოწყვეტილი აიდეალებს ზეცისაკენ სწრაფვას, მაგრამ ბუნების სიმშვენიერის წინაშე ქედს იხრის. ქალის დაბადების დღეს სწყევლის და

ამავე დროს ყოველდღე ყურში ჩასძახის სიყვარულის იდემატურ ხმა. ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ ამ ხალხის იდეალები მის მიერ შექმნილ ფანტასტიურ ქვეყანას ანგრევს.

ამ მომავლდინებელი წინააღმდეგობით არის აღსავსე თარაშ ემხვარის ცხოვრება. ძველი და ახალი სამყაროს კიდილში ნაღვურდება შინა საოცნებო ქვეყანა. ამ ნგრევის პროცესში იგი დროებით უკან იხედება, შორეულ წარსულისაკენ: „აქ, — მოსთქვამს ნაღვლიანად თარაშ ემხვარი, — მჯდარა ალბათ რვა საუკუნის წინ ვარდანის ძე — ემხვარების დიდი წინაპარი, კარნუ ქალაქის ამღები გმირი — ვარდანი. დაქცეულია ან კარნუ ქალაქი, მისი ამღებიც და ასაღებად წარმგზავნილიცა. მოდის ახალი საუკუნო, ახალი ხალხი, ლალუმების სროლით გზას მოიკაფავენ. და ვარდანის უკანასკნელ ნაშიერს შემოუვლია ხმელეთის პირი; იარა ჩრდილოეთისაკენ, იარა დასავლეთისაკენ, ცოტა იარა თუ ბევრი იარა, გულმეცნიერებს და მოძღვართ მოძღვრებს შევირდათ მიებარა. უსმინა ხანგრძლივად სიბრძნის ოსტატებს. შეიცნო თითქმის საიდუმლო ვარსკვლავებისა, ძველ ეტრადებშიაც ბნელი სიბრძნე ამოიკითხა, ქედმოდრეკილი დახოჩავდა ბიბლიოთეკებში, სემინარებში და სალექციო აულებში იგი ხანგრძლივად. იგემა კიდევ უმალლესი კულტურის რთველი, მაინც ის დარჩა თარაშ ემხვარ, ველარ გაასწრო სამი წლის ბალს“.

ჩვენ შესავალში ავღნიშნეთ, რომ თარაშ ემხვარს თავისი დიდებული წინაპრებისა მხოლოდ ძონძები-ლა შერჩა. რადგანაც საბჭოთა ქვეყანა მისთვის უცხო და მიუღებელია, განუდგა მას, მაგრამ ვერა გრძნობს, რომ ეს განდგომა ფაქტიურად მისი პირველი დამარცხება იყო. ამ ადამიანის უბედურება იმაშია, რომ ის არ არის დაბადებული ცხოვრებისათვის. ის რომ ამგვარი ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ განდგომა, უმოქმედობა, პოლიტიკური ცხოვრებისაგან მოწყვეტა ანადგურებს ადამიანს. ლოგიკის ძალით იგი ან მტერი უნდა ყოფილიყო ახალი ქვეყნისა, ან არადა მოკეთე. პირველ გზაზე გავლა თარაშმა ვერ გაბედა თავისი პოლიტიკური სიმხდალის გამო. ვერც მეორე გზაზე სიარული შესძლო, რადგანაც მისთვის უცხო იყო იგი.

რომანის ავტორი ლირიკული უკანდახევებით თითქოს ბოდის იხდის თარაშ ემხვარის მაგიერ და გვეუბნება: „ახლა კი ესმის თარაშ ემხვარს, ვინც დღევანდელ დღეს ვერ არგო რა, იგი ვერ არგებს ვერც მომავალ საუკუნეებს. მუდამ თავისებური ფილოსოფია ქონდა ემხვარს არჩეული, შორს უნდა გაუდგესო ამ ცხოვრებას ძე ხორციელი, ცხოვრებისათვის რომ შექმნასო თითონ რაიმე... ეს იყო მისი შეცთომა უმთავრესი და უპირველესი. მიტომაც ბოლოში მოიგდეს იგი ამ ცხოვრების სავეს ნადიმზე. მერმე ის იყო მისი ოცნება ოჩან ხარსავით განზე წავიდა და ცხოვრება მიჰყვა თავის გზას. ცხოვრება დარჩა ზღვას გადაღმა, მან ველარ შესძლო ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისათვის, ველარც ეპოქის მდინარების ალღოს აღება“...

რომანში მოქმედ კაროლინას მსგავსად, ჩვენ თარაშ-ემხვარის კულტუროსნობა არ მიგვაჩნია მოჩვენებითად, მაგრამ იგივე კაროლინა უკველად მართალია, როცა თარაშის მისამართით ამბობს: „ფეხუღურ ხესა პავესო თარაშ ემხვარი, ფესვებ მომპალ, უნაყოფო ფიქვანო მისგან კეთილი ნაყოფი არ იქნებაო“. თარაშ ემხვარზე ამავე აზრისაა მისივე მამიდაშვილი ანული. „თარაშ ემხვარი ხომ ჩემი მამიდაშვილია მკვიდრი, მაგრამ ის ამ ცხოვრების კაცი არაა. ასეთი მეოცნებენი ჩვენ დროში ვერ გამოდგებიან“. თარაშ ემხვარმა მთელი ევროპა მოიარა, ისმენდა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს, ყოველდღიურად კითხულობდა წიგნებს, სწავლობდა დიდი ადამიანების ცხოვრების ისტორიას, შეისწავლა ყოველი სტრიქონი ვეიშარელი ბრძენისა, მაგრამ ვერ შეიგნო ამავე ბრძენის სიტყვები, წარმოთქმული ფაუსტის პირით, რომ „პიოველად იყო საქმე“. თარაშში კი ამ ცნობილ აფორიზმს სცელის იოანეს სახარების მსგავსად: „პირველთაგან იყო სიტყვა“.

მართლაც, ემხვარების დიდი გვარის უკანასკნელი ნაშიერი ფრაზის კაცია და არა საქმისა. იგი ოცნებობს შარადისობაზე და აიდეალებს გონების ძალას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭკვიანია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სუსტია და უძლური. თარაშის მავგარი ადამიანები აიდეალებენ არამის, რაც მათ აქვთ, არამედ იმას, რაც მათ აკლიათ. „გარწმუნებ, — სწერდა ემხვარი კაროლინას, — მე აღარ მიწევს ბარისაკენ გული. გულწრფელად გეუბნები მიწა მომენატრა... მინდა მიწის სურნელებით გავძღე, ახლა ძალიან ვნანობ, მიწადმოქმედება რომ არ შევისწავლე ევროპაში. არ ვიცი, ეგებ ნაადრევი ჭიკაძის ამბავი იყოს — მიწის ძახილი გახმანდა გულში“. ეზივარ ჩემს კოშკში, მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ვარ და მიხარია, რომ მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ვარ“. მაგრამ ვაი რომ არაფერი არ არის ისეთი იქ, იმ მალაღ, მზით განათებულ სვანურ კოშკებში, რომელიც თარაშის პოეტურ ფანტაზიას ეთანხმებოდეს! რაც შორიდან მის ოცნებას რალაც იდეალურ ქვეყნად ეჩვენებოდა, ახლო მისვლისთანავე ქრებოდა და მის წინაშე სდგებოდა ჩვეულებრივი სამ-განზომილებიანი ქვეყანა. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ არ შეიძლება თვითნებური გაქცევა ცხოვრებიდან, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნის ბრძოლისათვის სინამდვილის წინააღმდეგ, ევროპულად განსწავლულ თარაშ ემხვარს ხშირად ავიწყდება გამოჩენილ ევროპელ მეცნიერთა შეხედულებანი ამგვარი განდგომისა და გაქცევის წინააღმდეგ. „ადამიანი, — ამბობდა ბრძენი ჰელვეციუსი, — ბუნების ქმნილებათ; ის იმყოფება ბუნებაში და ექვემდებარება მის კანონებს; არ ძალუძს მისგან განთავისუფლდეს, ან თუნდაც თავის აზრში მის საზღვრებს თავი დააღწიოს. ბუნების მიერ გაჩენილ ადამიანისათვის არაფერი არ არსებობს იმ დიდი მთლიანობის იქით, რომლის ნაწილსაც თითონ წარმოადგენს... არსებანი, რომელნიც თავიანთ წარმოდგენაში თითქოს ბუნების ზევით სდგანან და მისგან განსხვავდებიან, უბრალო ქიშკრებს წარმოადგენენ“.

მართლაც, თარაშ ემხვარი ქიმერაა და არა ცოცხალი აღმჩანი. ამას თითონაც გრძნობს. „გადაშლილია ჩემს წინ ბედისწერის ჩემის წიგნი, — მოსთქვამდა ემხვარი, — ეფურცლავ, მაგრამ მე ხომ თხუნელა ვარ, ბეცი თხუნელა“. დიდებულაია! „ბეცი თხუნელა“ ზედ გამოეყრებოდა თარაშ ემხვარისა. და აი ეს თხუნელა ზეცისაკენ მძებნა: მძებნა, მძებნა და დედამიწაზე გზა დაებნა. აქამდე თარაშ ემხვარის სიკაბუკის აკვანთან ვიდექით, ახლა კი მის კუბოსთან ედგევართ. „მე სიკვდილს შთავსე-ქერი უკვე თვალეზში, — სწერს იგი თავის მეგობარს, — და ახსარებისამებრ სიწრფელით ვალიარებ აქ ყოველივეს. შესაძლოა შენ უფრო განგამკვიდროს ამ სტრიქონებმა საკუთარ რწმენაში, ან ეგებ ვინმეს სხვას აჩვენო და მას მოხვდეს გულზე. ხომ გაბსოვს, რომში რაც ვითხარი — ორი გზაა მეთქი ამჟამად მსოფლიოში, ორად ორი გზა — სტალინის ან შუსოლინის გზა. შენ პირველი აირჩიე და მე მეგონია შენი მდგომარეობის კაცს სხვა არჩევანი აღარ შეეძლო. მე დღემდე უგზოთ ვიხეტიალე და როგორც ხედავ, ვერც ერთს დავადექი... მე ეს მომივიდა არა სიმაბუნის წყალობით... მოკლედ გეტყვი, ძმაო, მე ვერც ერთს მათგანს ვერ დავადექი. ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომელად მიყვარდა, არასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კედებიან ჩემი სანატრელი სიმღერები, და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე შეჩვენება, როგორც უფერული ტრამალი. გარდა ამისა, კიდევ ერთიც უნდა გაუწყო. სევანეთიდან მობრუნებულმა, ეს პირველად შევიცანი ჩემ სიცოცხლეში: მარტოხელა კაცი თავის უდიდესი სიბრძნითაც შლეგის შთაბეჭდილებას რომ ახდენს. ამიტომაც ამ მესამე გზას დავადექი უნებლიეთ... მე მეგონა სევანეთში გადაბეჭვით გავეშვივდი გარს მომდგარს გრიალს ლაღუმებისას, მაგრამ შევცდი, იქაც იგივეა, რაც პარიზში, რომში (Sic — დ. ბ) ან თბილისში ხდება. იდეები ებიდემიებს გვანებია და ისინი ისეთ ქვეყნებსაც მისწვდებიან თურმე, სადაც კაბელებსა და ელმავთულებსა ჯერაც ვერ მიულწევიათ. ჩემთვის აქ ყოველივე ამაოა. მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი. უკეთ გეტყვი, მესმის, მაგრამ მაჭრიალებს მის გაგონებაზე. ხელი მომეცარა სიყვარულში. სამეცნიერო ასპარეზზე ხელი მომეცარა, ერთ რამეში არ მომეცარა მეგონი ხელი და ამას ჩემი ბრაუნინგი გადასჭრის უკეთ... ეს ბრათი უჩვენე ყველას, ვინც ყოყმანობს, ყველას უჩვენე და თანაც უთხარი ყველას, ჩემს ნატერფალზე არავინ შედგას ფეხი... ჩემი გზა აწ იქითკენ მიდის, საიდანაც ხმაც ველარ ბრუნდება“. ამ წერილის ბოლოს საკუთარი გვარი და სახელი მოაწერა, მარცხენა ძუძუს ქვეშ ბრაუნინგის ღულლით მოსინჯა სასროლი ადგილი, და სწორედ ამ ტრაგიკულ წუთში მოისმა წინა კარების საშინელი ბრაუნინი. კარებიდან ლუკაია ლაბახუა შევიდა და თარაშს გადასცა სამწუხარო ამბავი აუადმყოფ თამარ შერვაშიძის უკანასკნელი კრიტიკული წუთების შესახებ. ამავე დროს აგრძნობინა, რომ თამარი თქვენს ნახევს თხოულობსო. ლუკაიას უკანასკნელი სიტყვები მოწოდების ზარით

რეკდა გველნაკბენივით გამხდარ თარაშ ემხვარს ყურში, ეს იყო სიყვარულის იდუმალი ხმა, რომელიც მეოცნებე თარაშ ემხვარს მიწასთან აკავშირებდა. სიყვარულის ძალამ საკუთარი რწმენის წინააღმდეგ გაუღვიძა სურვილი მიწასთან დაბრუნებისა. „მინდა გავუბნავდე, — ეუბნებოდა იგი ოდესღაც თამარს, — შობლიური მიწის სურვილებით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკვე ვავდო და ჩემ ხალსს დაეუბრუნდე“. რა თქმა უნდა ეს ჩვეულებრივი სიტყვაა მხოლოდ, მაგრამ აქ მაინც სჩანს სიყვარულის ზეგავლენის ძალა. ამ სიყვარულით თარაშ ემხვარი ყელამდე კმაყოფილია. ამაყი სულის პატრონი მუხლს იდრეკს სიყვარულის ძალის წინაშე და ცდილობს ერთგული მეგობარი დარჩეს თამარისა. თამარ შერვაშიძესთან სიახლოვე ემხვარს ავიწყებს შუაგზაზე შემოღამების სევდას. „მე ახლა მარტო ვარ, როგორც იმ ბნელ ნაძვენარში და ასე მგონია, მხოლოდ შენი ხმა დამიბრუნებს იმ უბიწობას, უცხოეთში ყიალის დროს რომ დამეკარგა, თამარ, შენა ხარ ჩემი დაკარგული ბავშობის ზმანება, შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე, თამარ, ახ, ნეტავ შენ ძვირფას დედას მოჰგონებოდა და აკვანში დაენიშნე ჩემთვის, მაშინ შენთან მობრუნება ნაგვიანები არ იქნებოდა, მაშინ შენ მომიცდიდი და ისე მიმიღებდი მე სხვის ჭვეყანაში შემოღამებულს. ალბად მეც ვიგრძნობდი მომეტებულ ვალდებულებას“. თარაშ ემხვარი თავდავიწყებით ეფიცება სიყვარულს შერვაშიძის უღამაზეს ქალს და სურს ამ ქალის საშუალებით დასწყვიტოს უკანასკნელი ბორკილები, რომლებიც ბოკავდნენ მის ჭაბუკურ სულს. „სთქვი რამე, ხმა გაიღე თამარ, — ეხვეწება იგი ქალს... დამიძახე მისოუსტ, როგორც ბავშობაში, რადგან შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე, თამარ“. გულუბრყვილო თამარსაც სჯერა თარაშის სიყვარული და შეიყვარებს მას იმ ძალით, როგორც იციან სიყვარული აღმოსავლელმა ქალებმა; იგი ცეცხლში ჩავარდება თარაშ ემხვარის გულისთვის. თუ სხვებს ემხვარი მიიჩნიათ გზადაკარგულს, უსარგებლოს, უმიზნო ადამიანად, სამაგიეროდ თამარის წინ ეს ახალგაზრდა აღიმართა, როგორც სალოცავი კერპი. ამ კერპის წინ თავისი ქალური კდემამოსილება ავიწყდება და სულიერათ ერთვის ვაქს. ქალის სიყვარულს ბიძგს აძლევს ერთი მხრით: — თარაშის გვარიშვილობა, და მეორე მხრით — მისი განათლება. ეს ორი ძალა თამარის თვალში ღირსებას მატებს მისთვის საოცნებო ახალგაზრდა ადამიანს; მაგრამ თამარი ვერ გრძნობს, თუ როგორ იმსხვრევა ყრმობის ილიუზიები თარაშ ემხვარში. ქალი ბრმად ენდობა ვაქს და არ ითვალისწინებს ემხვარის განვლილ გზას ევროპიელ ქერა ქალებთან. ქალმა არ იცის, რომ ევროპული კულტურით განსწავლულ და დიდ გვარიან თარაშ ემხვარს — დიდი ხანია გულიდან ამოერეცხა წრფელი გრძნობა, რომ მის სპეტაკ თოვლივით თეთრ პერანგ ქვეშ იმალება უზომო ეგოიზმი და მზაკრობა. თამარ შერვაშიძე — ეს გულწრფელი, უმშვენიერესი ქალი, თარაშ ემხვარისათვის მანამდე იყო ტრფიალების საგანი, ვიდრე იგი სქესობრივ ეინს დაიკმაყოფილებდა. ამის შემდეგ თამარის ჰაეროვანი სახე გაჰქრა და

ემზვარის წინ დადგა ჩვეულებრივი ქალი. „თბილისმა, — სწერს თარაში, — გამომიცვალა თამარისადმი გული, იქ გამოირკვა, თუ როგორ უფსკრული ყოფილა ჩვენს შორის. მე იგი საოცნებო ქალად შემიჩნედა. უცნაურად მედროვე ქალი შემრჩა ხელში“. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, რა ცინიკურად სასტიკი და დაუნდობელია ემზვარი თვით იმ ადამიანისადმიც კი, რომელიც მზად არის თავი დასდოს მისი სიყვარულისთვის. მაგრამ სიყვარული და თანაგრძნობა თარაშ ემზვარმა არ იცის, იგი გულცივი გრძნობით შეჰყურებს თავის წინ მუხლებზე დამხობილ საკუთარ მსხვერპლს. ემზვარი მხოლოდ დაბალსა და ქვენა გრძნობებს აფასებს და ვერ ამჩნევს უნაზესსა და გულთბილ სიყვარულს ადამიანში. „უგულოთ, შეუბრალებლად გადამილახავს ყოველთვის ქალთა სქესის მიერ ოსტატურად დაგებული მახეები, რათა ცოლქმრობის უღელში თავი არ გამეყო“ — გულგრილი, ფილისტერული ტონით სწერს თარაშ ემზვარი.

თამარ შერვაშიძე, ეს უნაზესი გრძნობისა და მოსიყვარულე გულის ადამიანი, თავის გამოუცდელიობისა და ზოგჯერ გულუბრყვილობის გამო, ვერ მიხვდა, თუ რა დიდი ზღვარი არსებობდა მისი სიყრმის შეგობარს — პატარა თარაშს და ევროპაში მოხეტიალე, ბურჟუაზიულ ყოფაში გაქექილ თარაშ ემზვარს შორის. ეს იყო საბედისწერო შეცთობა და ამ შეცთობამ კატასტროფით დაასრულა თამარის სიცოცხლე.

თარაშ ემზვარი ასეთ ფილისტერულ გულციობას იჩენს საკუთარ მშობელ დედისადმი და ოჯახის სხვა წევრებისადმიც. თარაშ ემზვარის დედა შვილისაგან დაუტირებელი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთი ტკბილი სიტყვა არ გაუგონია თავის გაზრდილისაგან. ოჯახზე ხომ მთლად გულაცრუებული იყო. სახლს ყაევარი გადასძვრა, წვიმის წვეთები აღმობდა იატაკს, შიგ მცხოვრები მეოცნებე თარაშ ემზვარი კი ქვეყნის ბედზე ფიქრობდა. შართალია, ეს წვრილმანია, მაგრამ არსებითი.

ფილისტერული გულგრილობა და ცინიზმი ძალიან ცუდ დახასიათებას აძლევს თარაშ ემზვარის პიროვნებას. მაგრამ ლუკაიას სიტყვებმა მომაკვდავ თამარის შესახებ თითქოს ჩაახშო მასში ფილისტერი და გააღვიძა ადამიანობა. მაგრამ ეს იყო წუთიერი გრძნობა. ამ გრძნობამ ემზვარი აღიდებულ ენგურში შეიაცურა, მაგრამ გულაცრუებული კაცობრიობაზე, თავის საყვარელ არსებასთან მიდის არა როგორც ადამიანი ადამიანთან, არამედ როგორც მრისხანე მსაჯული.

თარაშ ემზვარი აღიდებულ ენგურში დაიღუპა. ენგურის ცივი ტალღები იყო მისი ემზაზი და იგივე ტალღები გადაიქცა მის სამარედ. ასე დასრულდა იმ ადამიანის ცხოვრება, რომელიც სტალინურ ეპოქას უმზერდა ფილისტერის თვალთ, ვინც განდგომა და გაქცევა აწმყო დროდან გამოსავალ წერტილად გაიხადა. ეს იყო ლოგიკური დასასრული თავდახნაურთა წოდების უკანასკნელი მოგიკანისა.

კონსტანტინე გამსახურდიამ თარაშ ემზვარის ბედით მკითხველს მხატვრულად აჩვენა, თუ როგორ დასრულდა ლუარსაბ თათქარიძის და ბეკინა სამანიშვილის სასიკვდილოდ განწირულ შვილთა უკანასკნელი დღე-

ები. ლუარსაბ თათქარიძე, ბეკინა სამანიშვილი, თარაშ ემხვარი — სხვადასხვა დროის ნიშნებია, რომლებიც ვერ დაიმალნენ ვერც ქართულ ჩოხაში და ვერც ევროპულ კოსტუმში. რა ვუყოთ, რომ ევროპული ევროპულად განსწავლული ადამიანია და ფიზიკურად ჩვენი სხეულში ცხოვრობს! მისი იდეები, მისი მსოფლმხედველობა თათქარიძეებისა და სამანიშვილების სამყაროს ვერ გასცილდა. თარაშ ემხვარი სოციალისტური ინდუსტრიის ეპოქაში პატრიარქალურ მეურნეობაზე ოცნებობდა ისე, როგორც ლუარსაბი. თათქარიძის მსგავსად უარპყო მან კულტურა და თავის დევიზად გაიხადა „ნუ დააგდებ ძველსა გზასა“.

მან მართლაც არ დააგდო ძველი გზა, ცხოვრება კი წინ მიდიოდა დრო სასტიკი და უღმობელი აღმოჩნდა იმით მიმართ, ვინც ჩამორჩა და ცხოვრებას განერიდა. ასეთ განდგომილთა დროშა გაბუნდა და ბოლოს ნაფლეთებად იქცა. დროთა სასტიკი ქარიშხალში თათქარიძეებს, სამანიშვილებსა და ემხვარებს მხოლოდ ძონძებიღა შერჩათ თავიანთ წინაპრებისაგან. ბოლოს ძონძებიც შემოაცვდათ ტანზე და დაიღუპნენ.

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც დასაწყისში ავლნიშნეთ, „მთვარის მოტაცება“-ში ასამარებს თავდაზნაურობის უკანასკნელ ნაშიერს, მაგრამ ასამარებს არა უბრალოდ, არამედ კიდევაც გლოვობს მას, ძველი სარაინდო აღთქმების მსგავსად.

„მთვარის მოტაცება“-ში თარაშ ემხვარის ანტიპოდს წარმოადგენს არზაყან ზვამბაია. თუმცა არა სრულად, მაგრამ მაინც გულთბილად და რეალისტური ფერებით აქვს მოცემული მწერალს ამ შესანიშნავი ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. არზაყანი საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის პირმშო შვილია. ჯერ კიდევ ადრე, სიკვამლის წლებში შევიდა იგი კომკავშირის ორგანიზაციაში, შემდეგ გაიწვიეს წითელ არმიაში. კომკავშირი და წითელი არმია იდეური დავაჯეცების სკოლა იყო. აქ მწიფდებოდა მისი მსოფლმხედველობა და იკავებოდა მისი კომუნისტური ნებისყოფა. „მისთვის, — გადმოგვცემს რომანის ავტორი, — პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსება იყო მუდამ, რომლისათვისაც ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწოროზე თავისი ჭაბუკური სიცოცხლე პარტიის დავალებით, პარტიის გულისათვის პირდაპირ რელიგიური ფანატიზმით უყვარდა არზაყანს პარტია“. ეს სიყვარული არზაყანისათვის ცარიელი ფრაზა არ იყო. მას არა ერთხელ დაუმტკიცებია ეს სიყვარული საქმით. არზაყანი ჯერ კიდევ ადრე სათავეში ედგა ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს. ხალხის, პარტიის ინტერესებისათვის იგი მუდამ მზად არის დასთმოს საკუთარი განუმეორებელი სიცოცხლეც კი. მთელ მის არსებაში სიცოცხლობს კომუნიზმის იდეის გამარჯვების რწმენა, მთელი სიძლიერით უყვარს ბოლშევიზმის მაღალი იდეები და საქმით ცდილობს ამ იდეების პრაქტიკულად განხორციელებას. ამ ადამიანის რწმენის წინაშე ქედს იხრის თვით არისტოკრატი კაროლინაც კი, რომლისათვისაც უცხოა ბოლშევიზმი. „მე, — ეუბნება კაროლინა თარაშ

ემხვარს, — ძალიან შორსა ვარ კომუნისტური ამბებისაგან, მაგრამ იმ ყმაწვილს ძალიან ნათელი აზროვნება აქვს. მივიკის, რომ მას რქვენზე უფრო პროგრესიული აზრები აქვს“.

მართლაც ნათელი იყო არზაყანის იდეები. ეს იმდენად სწორი იყო, აშუქებდა მისი ზომიერი ცხოვრების გზას. იგივე იდეები კვლავ არზაყანაში აღვიძებს უმაღლეს განათლებისადმი მისწრაფებას. არზაყანი მზად არის, მთელი თავისი უზარმაზარი ენერგია შესწიროს მეცნიერების დაუფლებების საქმეს. ბუნებრივი ალლოთი გრძნობს, რომ მომავალ ბრძოლებში მეცნიერება მას დიდ სამსახურს გაუწევს. მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ჯერჯერობით ვერ მოახერხა. საუკუნეების ტევრში გამოვლილი აფხაზური ტრადიცია ბოკავს მის ჭაბუკ სულს. საკუთარი მშობელი მამა წინ აღუდგება შვილის სურვილს და ტრადიციის ძალით ისიც დაემორჩილა მამის ნებას. თვით არზაყანის შეგნებაშიაც ხანდისხან ცოცხლდება ჩვეულებათა და ტრადიციათა ქვეყანა, თუმცა ეს უკანასკნელი არზაყანის კომუნისტურ რწმენაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. როგორც აფხაზს, სიგიჟემდე უყვარს თავისი უღამაზესი ცხენი არაბია. ბევრი უსიამოვნება შეემთხვა არზაყანს არაბიას გულისათვის, მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ შებოქა მისი სიყვარული ცხენისადმი. არაბიამ ასახელა არზაყანი მარულაში, არაბია იყო მისი ვაჟკაცობის სინონიმი, იმავე არაბიას წყალობით გაიცნო თამარ შერვაშიძის ქალი, რომელიც ბოლოს მისი ოცნების საგანი შეიქნა. „როცა არზაყანმა თავლიდან გამოიყვანა ცხენი, მწიფე ქლიავის ფერსა და დიდრონ თვალეში ჩაჰხედა, იგრძნო რატომღაც, რომ არაბია თამარს წააგავდა. თამარსავით გრძელი და ჯიშინი ფეხები ჰქონდა არაბიას, მასავით ელასტიური სახსრები. თამარსავით ამაყი იყო არაბია, თავს მშვიდად და მოკრძალებით მოაჩვენებდა კაცს, თავად გულზეიადი და ამპარტავანი. მასავით საუკეთესო იყო და უმშვენიერესი თავის ჯიშში. მაგრამ თავი ისე ეჭირა თითქოს არც კი იცისო, რომ ლამაზია და პირმშვენიერი. არაბიაც თამარსავით გულფიცი იყო და არზაყანიც ორივეს უთმენდა ამ გულფიცობას. და დაიძრა ამ მსგავსებისაგან არზაყან ზვამბაიას გულში მოზღვავებული სიყვარული. მივიდა არაბიასთან, ორივე ხელი მოხვივა ცხენს, გედის კისერსავით მოდრეკილ ქედზე და განუსაზღვრელი სიყვარულის დარდით გულაჩვილებულმა აკოცა არაბიას მადონასებურ დიდრონ და კრიალა თვალეში. შემდეგ კი თვალის უბის ზემოთ ორივე თხემის რქაზე აკოცა სამგზის. უკუდგა მყისვე და თავად გაოცდა, რომ ამ ცხოველში გაერთიანდა ქალისა და ცხენისადმი უსაზღვრო ტრფილი“.

მართლაც არზაყანს, ამ გლების ბიჭს, შეუყვარდება ყოფილ თავად შერვაშიძის ქალი, თამარი. ამ სიყვარულისათვის არზაყანი აღარ წითლდება, როგორც წითლდებოდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძის გიორგი კესოს კდემამოსილების წინაშე. როცა არზაყანისა და თამარ შერვაშიძის სიყვარულის ამბავს გონების თვალით ვაჯვირდებით, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ დაიანგრია სოციალის-

ტურმა რევოლუციამ გვარიშვილობის პრინციპი, რომელიც რევოლუციამდე ღრმად იყო ჩამჯდარი არა მარტო ადამიანთა შეგნებაში, არამედ მათ ყოფაშიაც.

ოდესღაც გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტულმა კერცკი ვაიგო ოთარაანთ გიორგის გულწრფელი სიყვარული... მაგისტროს ვაიგოდა. სოციალისტურმა რევოლუციამ ძველი არისტოკრატები ცხოვრების ფსკერზე დალექა. ხოლო მშრომელი საზოგადოებრივობა ეპოქის შეგნებისა და მოვალეობის სიმაღლეზე აიყვანა. რევოლუციამ ხალხის წინაშე განვითარების უდიდესი პერსპექტივები გადაშალა და შექმნა მატერიალური პირობა ამ განვითარებისათვის. ამ პირობებში არზაყანი დაფარულად კი არ ატარებს გულში თამარ შერვაშიძის სიყვარულს, როგორც გიორგი ატარებდა კესოს სიყვარულს, არამედ თავის გულის ხეაშიაღს გაბედულად უმტლავნებს ქალს, როგორც თანასწორი თანასწორს. „რა უყოთ. მერე, — ფიქრობდა ხოლმე არზაყანი, — რომელიმე ზემამბაიას მორდულ ან მორდილად თუ მოიგებდნენ ძველი თავადები. ეს ხომ იმისათვის სჭირდათ მათ, რომ სიყვარულის ძალით განემყვიდრებიათ მონური სული“. ეს ძველად იყო, ახლა კა სულ სხვაა. არზაყანმა კარგად იცის, რომ ჩვენ ღროში ადამიანი პირადი თვისებებით და მისი ხალხთან დამოკიდებულებით ფასდება და არა გვარიშვილობით. არზაყანის პირადმა ღირსებამ, მისმა ვაჟაკობამ, გამბედაობამ მოხიბლა თამარის ამაყი სული. არზაყანის დოღში გამარჯვებამ თამარის გულში რაღაც ახალი შუქი აანთო. კონსტანტინე გამსახურდიამ ეს გრძნობა შემდეგი სიტყვებით გადმოგვცა: „დღეს მას განსაკუთრებით მოეწონა არზაყანი. იმდენი სიხალისე, იმდენი სიმარდე და ვაჟაკობა იყო მის დღევანდელ ჯირითში, რომ არზაყან ერთის დაკვრით იგივე გახდა მის თვალში, როგორც იყო იგი თარაშ ემხვარის ჩამოსვლამდე“. გამარჯვებულმა არზაყანმა „მხველსავეთ წაავლო ხელი ამ ურჩსა და უდრეკ თავადის ქალს, ისე, როგორც ათას გზის წაუვლიათ ხელი შარვაშიძეებს ზემამბაიას ქალებისათვის“.

სიყვარული თამარ შარვაშიძესადმი არზაყანისათვის იყო რაღაც სტიქიური გატაცება, რომელიც ზოგჯერ სდრეკდა მის ნებისყოფას. „რა მოუვიდა არზაყან ზემამბაიას? დიაცისადმი სიყვარულმა ასე დაიჯაბინა იგი“, — აყვედრიდა არზაყანი საკუთარ თავს. რაღაც გამოურკვეველი ინსტიქტის ძალით არზაყანი თავს დამნაშავედ გრძნობს თავადის ქალის სიყვარულში. იქნებ ამ მდგომარეობამ აიძულა არზაყანი მიეწერა დამამცირებელი წერილი თამარისათვის. „მეო, — სწერდა იგი, — განგებამ დამსაჯა, რომ სწორედ შენი კლასის, შენი წოდების სისხლის ნაშიერი შემიყვარდაო. აბა რა საქმე მაქვსო მე თავადის ქალთან, ისეთ ქალთან მეოცე საუკუნეში ჯვარის მადლი და ხატის ძალა რომ სჯერაო“. ამგვარსავე შიშს, მხოლოდ შებრუნებული მნიშვნელობით გრძნობდა თამარ შერვაშიძეც. მას ვერ წარმოედგინა, ცოლი გამხდარიყო ისეთი ადამიანისა, რომელიც არ უყვარდა. ეს გრძნობა დაუფარავად გამოსთქვა

თამარმა ანულოთან საუბარში. ანულის კითხვაზე: მიჰყევდა თუ არა იგი არზაყანს, თამარი უპასუხებს: „...მე სრულიადაც არ შევიქრობი არზაყანის ვაყოლას“. „შენ კიდევ არ იშლი დედიჩემისებრ ქედმაღლობას, თამარ“. „ქედმაღლობა რა შუშია, ანული? მე მხოლოდ სწავლას ვავეულები“. როგორც ხედავთ, თამარის შეგნებაში ჯერ კიდევ კოცხლობს გვარიშვილობის ნაშთები. იგი მართალია მიზეზად სიყვარულს ასახელებს, კესოს მსგავსად, მაგრამ ეს მხოლოდ საფარველია მისი გულის ნამდვილი ზრახვებისა. ამრიგად, სოციალურმა და მსოფლმხედველობის სხვადასხვაობამ ერთმანეთს დააშორა არზაყან ზემამბაია და თამარ შარვაშიძე.

ასე დასრულდა კონსტანტინე გამსახურდიას ცდა ორი მოწინააღმდეგე წოდების შორის უკანასკნელი უიღბლო სიყვარულის მხატვრული ასახვისა.

შარვაშიძის ქალისადმი სიყვარული მხოლოდ ერთი მხარე იყო არზაყანის ცხოვრებისათვის და არა მისი არსებითი ნაწილი. რომანში ჩვენი ყურადღების საგნად ხდება არზაყანის პოლიტიკური სახე. როგორც ზემოთ განვაცხადეთ, არზაყანი, წინააღმდეგ თარაშ ემშვარისა, საქმის კაცია და არა ფრაზისა. იგი ფრაზას იმდენად აფასებს, რამდენადაც საქმის ინტერესებს ემსახურება. საქმე არზაყანისათვის შინაგანი მოთხოვნილებაა, მისი რწმენაა. სტალინის შემოქმედით გენიით შთაგონებული არზაყან ზემამბაია ერთ-ერთი ენტუზიასტი იყო კოლხეთის ჭაობიან მასივის ამოშრობაში. ორ წელიწადს იმუშავა კოლხიდაში. „ბოლშევიკებო, — ფიქრობდა არზაყანი, — ამ მიუვალ ციხესაც ავიღებთ და სამარადეამოთ მოისპობა მალარია — კოლხიდის ბავშვობის მშუსვრელი“. არზაყანი პირველი შევიდა ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივში და თან გაიყოლია თავისი თაობის ახალგაზრდობა. არზაყანის ეს გაბედული ნაბიჯი მის წინააღმდეგ ამხედრებდა კულაკებს. კულაკებმა სამჯერ მოუწყეს თავდასხმა არზაყანს, სამჯერვე გადაურჩა სიკვდილს თავის სიმამაცის წყალობით. მეორედ თავდასხმის დროს არზაყანს შემოაკვდა ერთი თავდამსხმელთაგანი, კულაკი ლომკაცია ტარბა. ამის შემდეგ სისხლი ჩამოწვა ზემამბაიებს და ტარბებს შორის. მხოლოდ სისხლი გარდასწყვეტდა მათ შემდგომ ურთიერთობას. ამ გარემოებას ზედ დაერთო არზაყანის მეგობრის, რაიკომის მდივნის მოხსნა. რაიკომის ახალმა მდივანმა არლანმა კაცი მიუგზავნა კაც ზემამბაიას და სთხოვა არაბია მომეიდუო. როცა მტკიცე უბრძოლი მიიღო, მეორე დღესვე ავადმყოფი არზაყანი სამსახურიდან მოხსნა და საშუალო გლეხკაცი კაც ზემამბაია შავსიელად ჩარიცხა. რაიკომის მდივანმა სრულიად დაივიწყა ლენინ-სტალინის პარტიის მოძღვრება საშუალო გლეხთან დამოკიდებულებაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის:

„სანამ შეტევა კულაკობის წინააღმდეგ სწარმოებდა საშუალო გლეხთან ერთად საერთო ფრონტით, ყველაფერი კარგათ მიდიოდა. მაგრამ როდესაც წარმატებებით დამთვრალმა ჩვენმა ზოგიერთმა ამხანაგმა კუ-

ლაცის წინააღმდეგ შეტევის გზიდან შეუმჩნევლად იწყო საშუალო გლეხთან ბრძოლის გზაზე გადახვევა, როდესაც მათ, კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის გამოდევნების გამო, იწყეს საშუალო გლეხისადმი ძალდატანების გამოყენება—საარჩევნო უფლების წართმევა, მისი უწყალო „კება“ და ექსპროპრიაცია, — შეტევამ იწყო გამრუდებმა, საშუალო გლეხთან მთლიანმა ფრონტმა იწყო შერყევა, და, გასაგებია რომ კულაკს საშუალება მიეცა ხელახლა ეცადა ფეხზე დამდგარიყო.

დაავიწყდათ, რომ ძალდატანება, რომელიც ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აუცილებელია და სასარგებლო, დაუშვებელია და დამლუპველია საშუალო გლეხის მიმართ, რომელიც ჩვენს მოკავშირეს წარმოადგენს.

დაავიწყდათ, რომ კავალერიული იერიშები, რაც სამხედრო ხასიათის ამოცანათა გადასაწყვეტად აუცილებელია და სასარგებლო, უვარგისი და დამლუპველია საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანათა გადაჭრისას, მით უფრო, როცა ეს მშენებლობა საშუალო გლეხთან კავშირში სწარმოებს“. (იხ. ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“. 1935 წლის გამოცემა. გვერდი 390. „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“).

„მთვარის მოტაცება“—ში რაიკომის მდივანი არლანი იმ აღამიანებს ეკუთვნოდა, რომელთაც დაივიწყეს ლენინ-სტალინის მოძღვრება საშუალო გლეხთან დამოკიდებულებაში და წარმატებებისაგან თავბრუდასბმულმა დაიწყო შეტევა საშუალო გლეხის წინააღმდეგ მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში. არლანის წყალობით, სწორედ 18 აგვისტოს რაიონიდან ოქუშის თემსაბჭოს მოუვიდა განკარგულება — შავსიელს კაც ზემმაიას ორივე ცხენი უნდა ჩამოერთვასო. ცხენები იმდღესვე წაიყვანეს საბჭოში, ხოლო საქონელი სამი დღის შემდეგ უნდა გაერთკათ, რადგანაც კოლექტივის ბოსელი ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული. რომანის ავტორი ამ პროცესს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „კაც ზემმაია პირმოქუშული შეეგება მილიციელს. ჯიბეში ხელები ჩაეწყო, მუშტებად შეკრული. ძლივს იმაგრებდა სახსრებს, რათა სატევარზე არ გაეგლო ხელი, მილიციელი ნაცნობი აღმოჩნდა, თავათ ცხენის მოყვარული ყოფილა მილიციელი და მიუსამძიმრა, მებრალეობო სულო, მე კარგად ვიციო ცხენისადმი სიყვარული როგორ მწარეა, მაგრამ მე პატარა კაცი ვარო, მე ვინ მკითხავსო საქვეყნო ამბავსო სულო. კაც ზემმაია შინ შემობრუნდა. სანთლის არაყი გამოუტანა მილიციელს, დააღვინა, სთხოვა: მამა შეილობას ზეგ საღამომდე მაცალეო, იტრუა: სოხუმს უნდა წაიყვანო ავადმყოფი, ზეგ მოდიო და წაიყვანეო მამაშვილობას. მილიციელი უარზე იდგა. რაიკომის ფიცხელი ბრძანებააო, დაუყონებლივ უნდა წაიყვანოთ ცხენი და კოლექტივის თავლაში უნდა მოვათავსოო ამაღამ. მილიციელი წავიდა... როცა არაბია მილიციელს მიჰყავდა, ხათუნა (არზაყანის დედა—დ. ბ.) გულაჩვილებული მივარდა ცხენს—თვალეზი დაუკოცნა არაბიას, ისევე როგორც არზაყანს უკოცნიდა ხოლმე შორგზაზე მიმავალს. მერე მუხლებმა უღალატეს ხათუნას, და იქვე ჩაიკეცა და დიდხანს

ტიროდა კაკლის ქვეშ“. „ვთქვამს სიბერეს, ვთქვამს სიძაბუნეს, ყვიროდა კაც ზეამბაია, ორივე ხელს იცემდა გაშიშვლებულ შვილსა და თავზე“. დიდხანს გაქვევებული იჯდა კაც ზეამბაია კაკლის ქვეშ/მორზე. ადგა ნაჯახი და სალესი გამოიტანა და ისევ ნამორზე/ქვეშ იჯდა და ლესვა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა დენდა ავადმყოფ არზაყანის მოვლა დაამთავრა და გარედ გამოიხედა, თვალწინ დაუდგა სიშინელი სურათი: „კაც ზეამბაიას ნაჯახი ეჭირა ხელში, ცალშიაც თოკის გორგალი, ფურკამეჩს დასდევდენ ეზოში მამა და ორი შვილი. სახრე ეჭირათ ქელეშსა და ჯამულს, ვზას უჭრიდენ გაქცეულ ცხოველებს. შეძრწუნებული გარბოდენ კუდმოღერილი ხარები. დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ლობებებს, გარბოდა... თხაც კიკინებდა საწყალობლად... იმ წუთში ფურკამეჩს თავი ვააგდებინა კაც ზეამბაიამ კაკლის ქვეშ... იმავე წუთში გაისმა ხარის ზმუილი. დაჭრილი თხის გულსაკლავი პეტელი... დაქანცული კაც ზეამბაია ქილობზე მიეგდო, ტრიალებდა მოუსვენრად, ბორგავდა, შფოთავდა, როგორც კი თვალს მილულავდა, ელანდებოდა: ფურკამეჩის, ძროხისა და ხარების ღიად დარჩენილი თვალები“.

ეს იყო შედეგი არლანის ანტიპარტიული, ანტიბოლშევიკური პოლიტიკისა საშუალო გლეხის მიმართ. მაგრამ ეს არ აკმარეს არზაყან ზეამბაიას ოჯახს. არლანის სიმამრის, თავად გვანჯ აფაქიძის და კულაკ ტარბების მეთაურობით მზადდებოდა თავდასხმა არზაყანზე, არზაყანის თავიდან მოშორების მიზნით. განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. სრულიად შემთხვევით ვადურჩა არზაყანი სიკვდილს. თავდასხმის დროს ზეამბაიების ოჯახის წევრებმა მოკლეს ერთ-ერთი თავდასხმელი და სისნლის აღების საუკუნეებით გამტკიცებული ტრადიციების ძალით ზეამბაიები გაიხიზნენ სევანეთში.

ოჯახის მოწყვეტამ წელში გასტეხა კაც ზეამბაიას ქარმაგი სხეული. იგი ყოველ წუთს ეკინკლავებოდა საკუთარ შვილს — არზაყანს. სწყინდა მამას, რათ ეტრფოდა შვილი იმ რეჟიმს, რომელმაც, მისი აზრით, ოჯახი დაუქცია და სიბერის ფამს სევანეთის მიუვალ მთებში დააგდო. მოხუცი კაც ზეამბაია ვერ მიხვდა, რომ მის უბედურებაში დამნაშავეა არლანი, რომელმაც დაამახინჯა პარტიის ბრძნული პოლიტიკა საშუალო გლეხთან დამოკიდებულებაში.

კაც ზეამბაია, მართალია, ხშირ პაექრობას უმართავს შვილს, მაგრამ მაინც ნამდვილი მშობლიური გრძნობით, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად, უყვარს არზაყანი. მხოლოდ არზაყანის გულისათვის შეეზინა მოხუცი მამა ამ მიუვალ მთებს. კაც ზეამბაია ერთი წუთითაც ვერ ურიგდება საკუთარი შვილის სიცოცხლის საფრთხეში ყოფნას. იგი მამური გრძნობით ცდილობს ისეთ ადგილას ამყოფოს არზაყანი, სადაც ვერ მისწვდება მოსისხლეთა ხელი. ამიტომ არის წინააღმდეგი მამა არზაყანის სურვილისა თბილისში წასვლის შესახებ. მამა წინასწარ გრძნობს, რომ თბი-

ლისის დიდ ქუჩებში მოსისხარ ტარებს ადვილად შეუძლია არზაყანის მოკვლა. „ამ ტანჯვაში იყო კაც ზეამბაია, როცა ფეხის ხმა გაიგონა... თვალი გაახილა. ხედავს არზაყანს ტანზე ჩაუკვამლედა სადღაც მიდის...“

„სად მიხვალ, ბიჭო“? შიამბა კაც ზეამბაიამ.

„სად მივალ? ეს მე ვიცი“. კაც ზეამბაია საწოლიდან წამოიჭრა, გაუმეორა კითხვა.

„მე შენ გეკითხები: სად მიხვალ მეთქი?“

„თბილისში მივდივარ, ახლა რა გინდა?“

„როგორ თუ რა მინდა? შენ რომ ტარებმა მოგვლან, მაშინ ვინ იქნება პასუხისმგებელი შენი სისხლისათვის?“

„ჩემი თავისათვის მე ვაგებ პასუხს“.

„შენ თუ მე?“

„მე“.

„მე და შენ ვინ გაგეყო?“

„ვინაც გამაჩინა“.

„ვინ გაგაჩინა შენ? მე გაგაჩინე და იცოდე, ჩემი სისხლი“...

არზაყანი დადუმდა და მამამ განაგრძო:

„შენს მოკვლას მე არ დავეძებ. შენი სისხლი რომ დაღვარონ, მე სისხლი უნდა ავიღო, რადგან შენ ჩემი სისხლი გაქვს მობარებული“. ადგა არზაყანი და ქუდს ხელი წამოაწყო. წამოდგა კაც ზეამბაია და გაშიშვლებული ხანჯალი გადმოიღო სასთუმალიდან.

წამოიწია გამხეცებულმა მამამ.

არზაყან უკუ იქცა. მაუზერზე მოისვა ხელი. დაიგრილა დევის ქვაბმა და როცა ირგვლივ დამდგარი კვამლი გაიფანტა, კაც ზეამბაია კერის პირას ეგდო სისხლში ვათხუნული. მარჯვენა წარბთან გამოსვლოდა უპიდან გადმოვარდნილი თვალი და ეს თვალი ისეთი გამხვრეტი მზერით შესცქეროდა მამის მკვლელს, თითქოს სულში უპირობდა ჩაძრომას. ველარ გაუძლო შეძრწუნებულმა არზაყანმა ამ სურათს. ნაბადი გადაიხსნა და ზედ გადააფარა მიცვალებულს“.

მამის სიკვდილი პირველი ადამიანური შეცთობა იყო არზაყანისა და იგი შავ ლაქად დაესვა მის ვაჟკაცობას. ჩვენის აზრით, რომანის ავტორს ეს სცენა ძლიერი ფერებით აქვს დახატული, მაგრამ ულოგიკოა იგი და მოკლებულია ჭეშმარიტებას. აქ არა სჩანს მოტივი, რომელიც აიძულებდა არზაყანს მამის სისხლში გაესვარა ხელი. მამა ხომ მხოლოდ არზაყანის სიკეთისათვის უშლიდა შვილს თბილისში წასვლას. ნუ თუ არზაყანი იმდენად წინდაუხედავია, რომ ვერ მიხვდა მამის გულწრფელ სურვილს? განა კაც ზეამბაიას დამოკიდებულებაში შვილისადმი არის ისეთი გამაღიზიანებელი მომენტი, რომელიც არზაყანს აქეზებს ამ საშინელი და-

ნაშუალოს ჩადენისათვის? არა, სრულიად უსამართლოა არზაყანის მოქმედება და მოკლებულია საბუთს.

ვის არ წაუკითხავს პროსპერ მერიმეს შესანიშნავი მეთხრობა „მატეო ფალკონე“. ამ მოთხრობაში მამა თავის საყვარელ შვილს სჯის სიკვდილით მისი გამცემლობისა და სიმხდალისათვის. ალექსანდრე ყაზბეგის „ხვეისბერი გოჩა“ ამგვარივე სიკვდილით ჰკლავს სამშობლოს მოღალატე ონისეს. საფრანგეთის რევოლუციის დროინდელ მხატვარ დაკოდის ერთ სურათში მამა სიკვდილით სჯის საკუთარ შვილს რესპუბლიკის ლალატისათვის. მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენში არ იწვევს უხერხულ გრძნობას. პირიქით, ჩვენი თანაგრძნობა უერთდება სამართლიან მსაჯულთა განაჩენს. რატომ? მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროსპერ მერიმეს, ალექსანდრე ყაზბეგის და დავიდის შემოაღნიშნულ მხატვრულ ნაწარმოებებში ზუსტად არის დაცული ისტორიული და ლოგიკური სამართლიანობა. აი ეს სამართლიანობა აკლია კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დახატულ სურათს.

ამიტომ არის, რომ არზაყანი მკითხველთა თვალში თუ მამის მკვლევლობამდე იდეალური გმირია, ამ მკვლევლობის შემდეგ იგი დიდების პიედესტალიდან ძირს ეშვება. მაინც რატომ უნდა მოეკლა შვილს საკუთარი მამა? კაც ზეამბაია ზომ ტიპიური საშუალო გლეხია. თუ იგი შერყეობს, კოლექტივსა და კერძო საკუთრებას შორის, თუ მას ჯერ-ჯერობით კერძო საკუთრება უყვარს — ეს სრულიად ბუნებრივია. თუ ზოგჯერ ზეამბაია საკუთარ შვილს უსაყვედურებს კომუნისტობასა და რწმენას, არა იმიტომ, რომ ეჯავრება პარტია და ხელისუფლება არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ არლანის ანტიბოლშევიკურმა ხაზმა, არა სამართლიანმა განკულაკებამ კაც ზეამბაია გაამწარა. არლანის უკანონო მოქმედება საბუთს აძლევს მამას უსაყვედუროს შვილს პარტიულობა, მაგრამ ჩვენ ვერ დაეწაიებთ მოხუც ზეამბაიას, თითქოს მას შვილი სძაგდა. პირიქით: რომანის ავტორს მამის მოსიყვარულე გრძნობა დიდებულად აქვს დახატული. ამიტომ ვამბობთ, რომ სრულიად უსაბუთო და უსამართლოა არზაყანის, ამ ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანის მოქმედება მამის მიმართ.

მამის სიკვდილის შემდეგ არზაყანი უბრუნდება სამშობლო მხარეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებულმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ადგილიდან მოხსნა პარტიის ხაზის დამამახინჯებელი რაიკომის მდივანი არლანი და მისი საქმე პარტკონტროლს გადაეცა. რაიკომის მდივანად დაინიშნა შესანიშნავი ბოლშევიკი ლიჩელი. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რაიკომის ახალმა მდივანმა პარტიული ძალების მობილიზაციის საშუალებით საესებით გამოასწორა საშუალო გლეხებთან დამოკიდებულებაში არლანის მიერ დამახინჯებული ხაზი. ამის შემდეგ კულაკური აჯანყებისათვის მზადება ჩაიშალა. აჯანყების მეთაურები: ყოფილი თავადი

გვანჯ აფაქიძე და კულაკი ტარბები შეიბყრეს, ხოლო არხაყანი თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ.

უკანასკნელად გვინდა შევეხოთ ლუკაია ლაბახუცის ტყვეთა კლემანში. ლუკაია ლაბახუცა გვაგონებს ვიქტორ ჰიუგოს „პარეზიზმის“ მოქმედების გმირს ქვაშიმოდოს. ამით არ გვინდა უშუალო მსგავსების აღმოჩენა ამ ორ ადამიანს შორის, მაგრამ გვსურს პარალელების საშუალებით ნათელგყოთ პრობლემა, რომელიც დასვა ორივე მწერალმა, ერთმა — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის, ხოლო მეორემ — სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. მსგავსად ქვაშიმოდოსი, ლუკაია ლაბახუცა მახინჯი ადამიანია. თუ ქვაშიმოდო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის თაღებს შეეკედლა, სამაგიეროდ ლუკაიამ თავისი სული შარვაშიძეების სასახლეში ჩაჰკეტა. არც ლუკაიას და არც ქვაშიმოდოს ვინაობა არავინ არ იცის. ისინი მოვიდნენ ამ ქვეყანად, რათა საკუთარ გამოცდილებაზე დაუმტკიცონ ადამიანებს, თუ რამდენად გულქვა და სასტიკია ეს ცხოვრება. თუ ქვაშიმოდომ თავისი სული შეუერთა ულამაზეს ბოშა ქალს ესმერალდას, სამაგიეროდ ლუკაიამ, როგორც რომანის ავტორი გადაკვრით გვანიშნებს, თავისი ბედი დაუკავშირა ასეთსავე ლამაზ აფხაზ ქალს — ჯახანას. ამ ორი წყვილის ცხოვრება ერთმანეთთან რაღაც საიდუმლო ძაფითაა გადაბმული. ქვაშიმოდოსათვის ღვთისმშობლის ტაძარი წარმოადგენდა არა მარტო სულიერი დაწყნარების სადგურს, არამედ მთელ მის ადამიანურ სამყაროსაც. ლუკაიასათვისაც შარვაშიძეების სასახლე სულიერი დამშვიდების ასეთივე სადგური იყო.

მაგრამ როგორც ქვაშიმოდოსათვის, ისე ლუკაიასათვის ეკლესიის ზარის რეკვა რაღაც გამოუცნობ სტიქიას წარმოადგენდა. ხელობით ორივე მნათე იყო. ზარების მოწოდების ხმა აღვიძებდა ორივეს სულს და აგრძნობინებდა სამყაროსთან კავშირს. „დიდი რეკვის დროს, — გადმოგვცემს ჰიუგო, — ქვაშიმოდოს ერთად-ერთი სადი თვალი საშინლად გაფართოვებოდა და ანათებდა ციცნათელას ბრწყინვალეებით. ქვაშიმოდოს შეგნებაში მთელი სამრეკლო ირყეოდა და ყველა მისი შემადგენელი ნაწილი თითქოს ცეკვავდა. ხანდახან მას იტაცებდა რაღაც იდუმალი, გიჟური გრძნობა და ერთად-ერთი თვალი ჯოჯოხეთის ცეცხლით ანათებდა“. ზარის რეკვა იყო ქვაშიმოდოს სტიქია. ასეთივე გრძნობით რეკდა წმინდა ილორის სამრეკლოს ზარებს ლუკაია ლაბახუცა. „იღვა ილორის ჩამოლამებულ თალ-ქვეშ ლუკაია ლაბახუცა. რეკავდა. გასცქეროდა ზღვისკენ გაჭრილ ხმას ზარისას და თითქოს ხმა როდი ყოფილიყოს ეს, არამედ უზარმაზარი შავფრთიანი ფრინველი. გრუხუნით მიჰქროდა ილორის დიდი ზარის გრილი სივრცეში. კიდევ მოზიდა თოკი ლუკაია ლაბახუცამ. მეორე უფრო ძლიერი აღმოჩნდა... აზან-ზარდა და გაიღო ბოლოს სავსებით დანქარებული ქლარუნია... შეინაცვლა ხელი ლუკაია ლაბახუცამ, გაუყარა მკლავები თოკებს. დააწყველა დიდი და უმრწემესი ზარი. ორივენი აზუზუნდნენ ერთად და დაიგრუხუნეს გა-

ზაფხულის მეხის დარად. რეკავდა მთვრალი ლუკაია და თავათაც არ იცოდა, რისთვის რეკავდა.“

მართლაც, არც ქვაზიმოდომ და არც ლუკაიამ უკრეფდნენ ლუკისთვის რეკავენ ზარებს, მაგრამ კარგად იციან, რომ ზარებს უკრეფდნენ სევდას, რომელიც სხვის კარზე ცხოვრებამ შექმნა მათში. ორივემ იცის, თუ რა მძიმე და ძნელია სხვის ნასუფრალი და ნარჩენი ულუფით ცხოვრება. ორივემ შეიგნო, რომ ადამიანური საზოგადოება მათ ადამიანებად არას სთვლიდა. ისინი ყველას სძულდა, ეზიზღებოდა, ეზარებოდა. ამ ნიადაგზე ქვაზიმოდომ და ლუკაიაც შურისძიებამ შეიპვრო. მათ სძულთ ქვეყანა, მაგრამ კავშირი მაინც ვერ გაუწყვეტიათ მასთან, რადგან ქვაზიმოდოს ამ ცხოვრებაში ვგულებს ულამაზესი ბოშა ქალი ესმერალდა, ზოლო ლუკაიას—ასეთივე ლამაზი ქალი თამარ შერვაშიძე. თამარი და ესმერალდა აკავშირებენ ამ ორ ადამიანს ცხოვრებასთან. საკმარისია, თუნდაც პირობითად, თამარი და ესმერალდა მოსცილდნენ ამ ქვეყანას, რომ ქვაზიმოდომ და ლუკაიამ უარი სთქვან სიცოცხლეზე. მართლაც, როცა ესმერალდა მსხვერპლი გახდა კაპიტანი ფებისა, იმავე დღეს ქვაზიმოდომ დაიკარგა. „როცა ორი წლის შემდეგ,—გადმოგვცემს პიუგო,—შემთხვევით გახსნეს ესმერალდას საფლავი, ქალის ჩონჩხი ჩახუტებოდა მეორე ადამიანის ჩონჩხს. ზერზემალი მოკრუნხებული იყო, თავის ქალა ღრმად იჯდა ბეჭების ძვლებს შორის, ერთი ფეხი მეორეზე მოკლე მოსჩანდა. კისრის ძვლები სრულიად მთელი იყო. ცხადია, ეს არ იყო ჩამოხრჩობილი ადამიანის სხეული. ის, ვისაც ეს ძვლები ეკუთვნოდა, თავისი ნებით შევიდა ესმერალდას საფლავში და იქ მოკვდა“. როცა მოიწადინეს მისი დაშორება ესმერალდას ზერზემლისათვის, რომელსაც იგი მაგრა ჩაჰკროდა, ის სულ ერთიან დაიმსხვრა და მტვრად იქცა.

ქვაზიმოდოს მსგავსად, ლუკაიაც სწორედ იმ დღეს მოკვდა, როცა გარდაიცვალა თამარ შერვაშიძე. რაც უფრო უახლოვდებოდა ავადმყოფ თამარს სიკვდილი, მით უფრო სწყვეტდა კავშირს ცხოვრებასთან ლუკაია ლაბახუა. ვინ იცის, იქნებ ლუკაიაც ქვაზი მოდოსავით ცოცხალი დაიმარხებოდა თამარის საფლავში, რომ წისქვილში შემთხვევით გველის შხამს არ მოეკლა.

როგორც ვიქტორ პიუგოს, ისე კონსტანტინე გამსახურდიას ამ ადამიანების სახით სურთ გვაგაჩნობინონ იმათი ტრაგედია, ვინც ბუნებით ფუნქცია-დაკარგულ ადამიანად დაიბადა ამ ქვეყანად.

4.

ისმება კითხვა — შესძლო თუ არა კონსტანტინე გამსახურდიამ ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის მაჯისცემის მხატვრული გამოსახვა? ამ რომანით ავტორმა უთხრა თუ არა ახალი სიტყვა ქართულ პროზას სერთოდ?

ხელოვნების სიდიადე იმით განიზომება, თუ რამდენად უსაზღვრდება იგი ადამიანებისა და საგნების რეალურ მდგომარეობას. შემოქმედების პროცესში მავნებელია როგორც ზედმეტი დაზოგვა, ისე ზედმეტი დაახლოება ბუნებრივ ფორმასთან. თუ ხელოვანმა ბუნებრივებამდე მოწოდების ხმას უღალატა საგნებისა და ადამიანების მხატვრულად გამოსახვის დროს, მაშინ ირღვევა საზღვარი ხელოვნებასა და რეალურ სინამდვილეს შორის. ყოველი დარღვევა ხელოვნებას უკარგავს თავის დანიშნულებას და ვლუბულობთ ძალდატანებას ან მწერლის სუბიექტზე, ან ფაქტებზე და მოვლენებზე. თუ ეს დებულება მართალია ისტორიულად, იგი აბსოლუტურად მართალია ჩვენი დროის ხელოვნებისათვის.

სამწუხაროდ, ეს ბუნებრივობა ზოგჯერ აკლია კონსტანტინე გამსახურდიას. მაგრამ ამას სჩადის არა იმიტომ, რომ მწერალს არა ჰყოფნის ნიჭი? არა! წინასწარ შემუშავებული სქემები კონსტანტინე გამსახურდიას ხელს უშლიან თავისი უექველად დიდი პოტენციისა და შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას. მწერალი ხშირად შეგნებულად არღვევს ბუნებრივ ფორმებს, რომლებიც უნდა არსებობდნენ შემომქმედსა და ასაწერ მასალას შორის. „მთვარის მოტაცებ“-ის მეორე ტომის პირველი თავი, რომელსაც ავტორი „ლირიულ ინტერმეცოს“ უწოდებს, წარმოადგენს შეგნებულ ჩარევას მკითხველსა და რომანში მოქმედ ადამიანებს შორის. ასეთი ჩარევა აბსოვს ლიტერატურის ისტორიას, მაგრამ ეს ზღებოდა რომანის ან დასაწყისში, ან დასასრულში, რათა ამით ავტორს ხელი არ შეეშალა მკითხველისათვის რომანში აწერილ მოვლენათა და საგანთა მხატვრული ათვისების დროს. „ანბანთ-ჭება“, რომლითაც „მთვარის მოტაცებ“-ის მეორე წიგნი იხსნება, თავისთავად კარგია და ლამაზად არის დაწერილი, მაგრამ რომანთან მას ლოგიკური კავშირი არა აქვს. ან აიღეთ მესამე ტომის პირველი თავები. აქ აწერილია რომანის ავტორის მოგზაურობა თავის გმირებთან ერთად სვანეთის მთებში. ეიმეორებ, ასეთი გადახვევები რომანის მაგისტრალური ხაზიდან ენებენ თითონ ნაწარმოებს, უკარგავენ რომანს საკუთარ ფორმას და ნაწარმოებში რაღაც მოგზაურის დღიურებს ემსგავსება. „მთვარის მოტაცება“-ს აქვს კიდევ ერთი დიდი ნაკლი, რომელიც არ შეიძლება არ აღინიშნოს. კონსტანტინე გამსახურდია ხშირად იტყვის ხოლმე მოსწრებულად, რომ მწერალი არ უნდა ჰგავდეს იმ უხეირო თამადას, რომელიც მაგიდის წვერებს ყველაფრის თქმის უფლებას აძლევსო. ამ საშიშროების არღილთა რაშ ემხვარის დიალოგებშიაც მოსჩანს. მწერალი ხშირად ზედმეტ უფლებას აძლევს ამ ტიპს. იგი ხშირად ყბედობს ჩვენი ეპოქისათვის უცხო იდეების შესახებ. მოსაბეზრებელი ძალდატანებით ცდილობს თავი ზოგვაჩვენოს ყველაფრის მცოდნედ. გულის-გამწყვალბელი პორნოგრაფიული, შიშველი ეროტიული და მისტიკური დიალოგებით აღიზიანებს იგი საბჭოთა მკითხველის გემოვნებას.

მაგრამ ამ ნაკლის მიუხედავად, „მთვარის მოტაცება“ საერთოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. მართ-

ლია, რომანში სრულყოფილად, ყოველმხრივ არ არის მხატვრულად მოცემული ჩვენი სტალინური ეპოქის სიდიადე, მაგრამ ავტორმა საკმაოდ ძლიერი ფერებით მოგვცა მისი შტრიხები.

კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული პროზა ზეგნულად ფორმალური ელემენტით გაამდიდრა. რომანის სიუჟეტი მე-19 საუკუნის ქართულმა მდიდარმა პროზამ არ იცოდა. ბედნიერ გამონაკლისს ალექსანდრე ყაზბეგის ქეშმარიტად გენიალური პროზა წარმოადგენს, მაგრამ ეს იყო პირველი ცდა და, როგორც პირველმა ცდამ, ვერ მიიღო დამთავრებული ფორმა. რომანის ევროპული ტიპი შეიქმნა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში.

რომანის სიუჟეტის გარდა, კონსტანტინე გამსახურდიამ ქართულ პროზაში შემოიტანა თბრობის ახალი სტილი, რომელიც თავისებურ კოლორიტსა და სურნელებას აძლევს ქართულ სიტყვას. განსაკუთრებით ეს სიახლე ეხება მესამე პირის ნათქვამის „ო“ ფორმით გადმოცემას პირველი პირის მიერ, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ქართველი ხალხის სასაუბრო ენისათვის. მაგალითად არზაყან ზვამბაია შემდეგი ფორმით გადმოგვცემს დედის მიერ ნათქვამ სიტყვებს: „გეტოდებოდესო მოზუცი მამა, იმ თავდასხმის შემდეგ თავის ჯანზე ველარ არისო მამა. ღამე ძილი აღარ აქვსო...“ და სხვა. რა თქმა უნდა, აქ უკიდურესობა არ ვარგა, მაგრამ ზომიერი გამოყენება ჩვეულებრივი დიალოგის ტრადიციული ფორმის მაგიერ უთუოდ სასურველია ქართული პროზისათვის.

კონსტანტინე გამსახურდია განსაკუთრებით ეუფლება მხატვრულ სიტყვას. მისი წერის სტილი ლამაზია და მიმზიდველი და უფრო ლამაზი იქნებოდა, რომ ზოგჯერ წინასწარი განზრახვით არქაიზმით არ ამძიმებდეს.

„მთვარის მოტაცება“-ში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საუკუნეების ტევრში გამოვლილი ხალხური ადათებისა და ჩვეულებების კარგად ცოდნა და მისი ოსტატური გამოყენება. როცა „მთვარის მოტაცება“-ში იმ ადგილს ვკითხულობთ, სადაც მეგრული ტირილია მოთხრობილი, ჩვენს თვალწინ სდგებიან წლებით და საუკუნეებით გამტვერიანებული ეპოქები თავიანთი ტკივილებით, თავიანთი ყოფით და ტანჯვებით. რა დიდი სევდაა მეგრულ ტირილში! ვინ იცის, იქნებ ეს სევდა ქართველ დედას ჩაუნერგა სამშობლოს გამუდმებულმა აწიოკებამ და შვილების მოტაცებამ ხანებისა და სულთანების დამპყრობელი ჯარების მიერ.

რომანში შესანიშნავად არის აწერილი დოდის პროცესი. აქ გამსახურდია იძლევა ფერების მთელ სიმფონიას. მაგრამ შწერალმა ყველაზე მეტად თავისი ოსტატობა ცხენ „არაბიას“ აღწერაში გამოიჩინა. დიდებულია ამ მეფური ზუნების ცხენის შინაგანი სულიერი მოძრაობისა და გარეგანი ტანის აღწერა. ცხენის აფხაზური და მეგრული რომანტიკა აქა სჩანს მთელი მხატვრული სრულყოფილებით.

მაგრამ რომანში მთავარი მაინც ადამიანია. ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, როგორც რომანის უღონო ღირსება, მხოლოდ გარეგანი სამკაულია ადამიანის ბუნების მოცემის დროს მწერლის ოსტატობა იქ იწყება, სადაც იგი ადამიანის სულის შენეხანს შექმნის. ეს ყოველი უბრალო დეტალის განლაგება უნდა ეთანხმებოდეს ტიპის სულიერ სამყაროს და დროს ლოგიკას. თვით ტიპი უნდა წარმოადგენდეს განსაზღვრული ადამიანების განსაზღვრულ განწყობილებათა ხასიათთა, აზრთა და გრძნობათა სინთეზს და ამ სინთეზის მხატვრულ ასპექტს მთლიანობაში. ტიპის ცნება ბუნებრივად გულისხმობს ტიპიურ ურთიერთობასაც. პირველი ამ შემთხვევაში შედეგია, მეორე კი—მიზეზი. მიზეზისა და შედეგის იმ საიდუმლო ძაფების აღმოჩენა, რომლებითაც ისინი ერთი მეორეს უკავშირდებიან, წარმოადგენს ქვეშაირტი შემოქმედის პირდაპირ ამოცანას.

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც პროზის ოსტატის ძალა, უსათუოდ მოსჩანს ტიპების ასახვის დროსაც. სითამამე და მახვილი თვალი „მთვარის მოტაკები“-ს ავტორს საშუალებას აძლევს აწმყოს დროში სხვადასხვა სოციალურ ფენებიდან მოსძებნოს ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ტიპები. თარაშ ემხვარი, თამარ შერვაშიძე, გვანჯ აფაქიძე, შარდინ აღშიბაია, კაც ზვამბაია, ლიჩელი, არზაყან ზვამბაია—ჩვენი ეპოქის ადამიანები არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი ერთი ნაწილი ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების განადგურებული ნაშთია, რომელიც ანტაგონისტურად არის განწყობილი სოციალიზმის დიად ქვეყანასთან და ყოველ ნაბიჯზე ძირს ეცემა ჩვენი დროის ძალასთან დაჯახებაში. მეორე ნაწილი კი პარტიის ხელმძღვანელობით ყოველ წუთს სძლევს მის წინაშე აღმართულ დაბრკოლებებს. ამ ადამიანებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით—სტალინის დიადი დროშის ქვეშ შექმნეს ბედნიერი და სამური ცხოვრება. ისინი ამალდნენ ეპოქის შეგნებისა და მოვალეობის სიმალღეზე და სტალინის გარშემო დარაზმულნი იბრძვიან კომუნისმის გამარჯვებისათვის.

ყოველი დიდი ეპოქა ხელოვნებაში აღიბეჭდება ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ტიპით, რომელიც დიდი შემოქმედის ხელში მონუშენ-ტალურ ძეგლად დგება და ყოველი თაობა ამ ძეგლზე კითხულობს დროის ვნებებს. რამდენადაც მწერლის მიერ დახატული ტიპი თავისი ეპოქის ადამიანთა რეალური უკუფენაა, იმდენად ძლიერია მისი გავლენა ყველა დროის ადამიანებზე. ყოველი ეპოქა, თავისი წინამორბედ ეპოქებისაგან განსხვავებით, აყენებდა ადამიანის თვისობრივად ახალ ტიპს, რომელიც საკუთარ თავს აცხადებდა ხელოვნების ცენტრად.

ჩვენმა დიდმა სტალინურმა ეპოქამ შექმნა ადამიანის პრინციპულად ახალი ტიპი. მას ჩვენი დროის გმირი ეწოდება. ეს ადამიანი გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე მაღალი იდეებით და დიდი მიზნებით. იგი ჭაყკაცურად იბრძვის სამყაროს გარდაქმნისათვის. ამ ბრძოლაში მის მზა-

რეზეა ისტორიული სიმართლე და ხალხის ნებისყოფა. მან გაქვილილი-ბილა ცნებები მეგობრობისა, სიყვარულისა, ნდობისა და ხალხის მხარის დაქვრით შესძლო მდინარეთა მიმართულების შეცვლა. მან შექმნა სტიქიური ძალების ხალხის სამსახურში ჩაყენება. ჩენის შემოქმედის სიკვდილამდე ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი, უძლეველი და უწმინდესი დროშისა. მას უყვარს ხალხი და თვალის ჩინივით უფრთხილდება ხალხის ნდობას, იგი მზათ არის საკუთარი განუმეორებელი სიცოცხლე მსხვერპლად შესწიროს სამშობლო მიწას, თუ კი ამას პარტიისა და ხალხის ინტერესები მოითხოვენ. წინააღმდეგ ძველი ეპოქების ადამიანებისა, იგი ისტორიის მსვლელობას შეპყურებს გონების თვალთ და სიხარულის გრძნობით, რადგან ყოველ წელს თან მოაქვს ახალ-ახალი გამარჯვება. მისი ადამიანური გრძნობა კეთილშობილი და ღრმაა, მისი აზრი დატვირთულია საუკუნეების გამოცდილებათა სიბრძნით. მან იცის სიხარულიცა და მწუხარებაც, ბრძოლაცა და გართობაც, სიყვარულიცა და სიძულელიც. ის ატარებს დროის ყველა ნიშანს და მისთვის ადამიანური არაფერი არ არის უცხო. კაცობრიულის ცნება აქ აყვანილია შეგნებისა და მოვალეობის სიმალღეზე და სიტყვა „ადამიანი“ გაისმის ამაყად.

ჩენი დროის გმირი არის ორგანიული შეერთება ორი დიდი ელემენტისა: რუსული რევოლუციონური გაქანებისა და ამერიკული საქმიანობისა.

„რუსული რევოლუციური გაქანება წარმოადგენს უმოქმედობის, რუთინის, კონსერვატიზმის, აზროვნების გაყინვის, მამა-პაპური ტრადიციებისადმი მონური შორჩილების საწინააღმდეგო წამალს. რუსული რევოლუციური გაქანება — ეს ის მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც აღვიძებს აზრს, წინ მიჰყავს, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უამისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა. მაგრამ მას აქვს ყველა შანსი პრაქტიკაში გადაშენდეს უბრალო „რევოლუციურ“ მანილოვშინათ, თუ იგი შეერთებული არ იქმნა ამერიკულ საქმიანობასთან მუშაობაში“.

„ამერიკული საქმიანობა, პირიქით, წარმოადგენს „რევოლუციური“ მანილოვშინისა და ფანტასტიკური შემთხვევლობის საწინააღმდეგო წამალს. ამერიკული საქმიანობა — ეს ის დაუცხრომელი ძალაა, რომელმაც არ იცის თუ რა არის დაბრკოლება, და არ სცნობს მას, რომელიც თავისი საქმიანი დაბეჯითებით სპობს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც არ შეუძლია ბოლომდე არ მიიყვანოს ერთხელ დაწყებული საქმე, თუ გინდ ეს პატარა საქმე იყოს, და ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული აღმშენებლობითი მუშაობა. მაგრამ ამერიკულ საქმიანობას აქვს ყველა შანსი გადაშენდეს წვრილმან და უპრინციპო საქმიანობათ, თუ ის შეერთებული არ იქმნა რუსულ რევოლუციურ გაქანებასთან“.

(ი. სტალინი: „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 92 — 93.)

შეზლოდ ამ ორი ელემენტის ორგანიული შეერთება იძლევა სტალინური სტილით მომუშავე ადამიანს. ამ ადამიანის მხატვრული ასახვა წარმოადგენს ხელოვნების ოსტატთა წმინდათა-წმინდა მოვალეობას.

ამის გარეშე შეუძლებელია მონუმენტალური ნაწარმოების შექმნა, რომელიც გაუძლებს საუკუნეების გამოცდას.

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის მქონე მწერალი, თუ კი მას სურს, რომ იყოს ამავე დროს ეპოქალური შემოქმედელი, უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი დროის მოთხოვნილებას და თავის შემოქმედებაში გამოხატოს ჩვენი დროის სრულყოფილად გმირი. კმარა ყოფილ ადამიანებზე წერა. საჭიროა მხოლოდ ძველი გზების გადასინჯვა. „თუ გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განთავისუფლდეს ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ნაციონალისტური იდეებისა და განწყობილებებისაგან. უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმაროს ქართველი ხალხის სამსახურს“ (ლავრენტი ბერიძე).

ჰეგელი და გერცენი

„მუშათა პარტიამ გერცენი უნდა მოიგონოს არა ობიექტულური ჰეგა-დიდობის გულსათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის მისაჩენად, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რევოლუციის მომზადებაში...“

XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შესძლო ასეღა ისეთ სიმაღლეზე, რომ გალთიანსწორდა თავისი დროის უდიდეს მოაზრებებს. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა, მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს „რევოლუციის ალგებრას“ ის განსჯორდა ჰეგელს, მიაშურა მატერიალიზმს, ფეიერბახთან ერთად. პირველი წერილი — „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ“, — ემპირია და იდეალიზმი“, — დაწერილი 1844 წელს, გვიჩვენებს ისეთ მოაზროვნეს, რომელიც, დღესაც კი, მთელი თავით მალა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ — ემპირიკოსზე და მრავლისაგან — მრავლად ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრად იდეალისტზე. გერცენი პირდაპირ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

და სწორედ ამ „შეჩერებამ“ გამოიწვია გერცენის სულიერი კრახი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ¹⁾.

„თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — დაახლოვებით წარსული საუკუნის ორმოციან წლებიდან ოთხმოცდაათიან წლებამდე, რუსეთის მოწინავე აზროვნება წარმოუდგენლად ველური და რეაქციული ცარიზმის უღელქვეშ გმინავდა, იგი მოწყურებული ეძებდა სწორს რევოლუციურს თეორიას და საოცარი გულმოდგინებით და მეცადინეობით ადევნებდა თვალყურს ყოველ და ყოველგვარ „უკანასკნელ სიტყვას“, რომელიც კი წარმოითქმებოდა ამ მხრით ევროპასა თუ ამერიკაში. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ხიმწარით მოიპოვა ქეშმარიტად გაუგონარი ტანჯვისა და მსხვერპლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, განსაკვიფრებელი რევოლუციური გმირობით, წარმოუდგენელი ენერგიით და თავდადებული ძიებით, მოიპოვა სასოწარკვეთილების, წვრთნისა და პრაქტიკული გამოცდის გზით, საჭმეზე შემოწმებით და ევროპის გამოცდილების აწონ-დაწონით და გამოყენებით. ცარიზმით გამოწვეული იძულებული ემიგრანტობის გამო რევოლუციურ რუსეთს XIX საუკუნის მეორე ნა-

¹⁾ ვ. ი. ლენინი: „გერცენის ხსოვნას“, თბ. კრებ., ტ. XV გვ. 575-576. ქართული გამოცემა.

ხევარში ჰქონდა ისეთი დიდი კავშირი ინტერნაციონალურ ხევარში და ისეთი საუცხოო ცოდნა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რომების და თეორიებისა, როგორც არ ჰქონია არც ერთ ქვეყანაში.

ცარიზმის ველური და რეაქციური ჩაგვრის პირობებში სწორი რევოლუციური თეორიის ამ მოწყობებულს ძიებაში გერცენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის მიერ გამომუშავებული თეორია განსაკუთრებული ინტერესის მქონეა. მის მიერ პროპაგანდირებული თეორიული შეხედულებების გამომუშავებაში, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, დიდი როლი ითამაშა ჰეგელის დიალექტიკურმა ფილოსოფიამ.

ჩვენ ამოცანად არ ვისახავთ გერცენის მთელი მსოფლმხედველობის გადმოცემას და გარჩევას. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ იმ ინტერპრეტაციაზე, რომელიც მან წარსული საუკუნის მეორმოცე წლებში მისცა გერმანელი მოაზროვნის წინააღმდეგობით და ორმაგობით აღსაყვებ ფილოსოფიას. ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ეს ნათელს ჰფენს ბევრს რასმეს რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მდიდარ, საინტერესო და თავისებურ ისტორიაში. იგი რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების სიმწიფისა და ორიგინალობის მანიერებელია¹⁾.

1) ე. ი. ლენინი, თხ. კრებ., ტ. XXV გვ. 197-198.

2) ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის „ნარკვევებში ვოგოლის პერიოდის შესახებ რუსულ ლიტერატურაში“, იკვლევს რა 30 და 40-იან წლებში ჰეგელის ფილოსოფიის გავრცელებას და ინტერპრეტაციის საკითხს, სწერს:

„თანმიმდევრულ შეხედულებათა განვითარება ჰეგელის ორმოცედად და ყოველგვარ გამოყენებას მოკლებულ გადაკერით ნათქვამებიდან მოხდა ჩვენში ნაწილობრივ იმ გერმანულ მოაზროვნეთა გავლენით, რომელნიც ჰეგელის შემდეგ მოგვევლინენ, ნაწილობრივ კი, — ჩვენ საიმაყოფილო შეგვიძლიან ამის თქმა, — საკუთარი ძალეებით, რუსულმა გონებამ აქ პირველად გამოიჩინა თავისი უნარი ყოფილიყო მონაწილე საერთო საკაცობრიო შეცნობების განვითარებაში“. და შემდეგ:

„ბელისკი და მისი უმთავრესი თანამოღვაწეთაგანი გონებრივად სავსებით დამოუკიდებელ ადაშიანებად გახდნენ. ეს ფაქტი — დამოუკიდებლობა, რასაც რუსეთის აზროვნებამ მიადგინა ბელისკისა და მის მთავარ თანამოღვაწეთა სახით, საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი სასიამოვნოა ჩვენი სახალხო თვითმოყვარეობისათვის; იგი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს ლიტერატურულ შეხედულებათა ისტორიაში იმიტომ, რომ იმით აიხსნება ბელისკისა და მის მოკავშირეთა შრომების ზოგიერთი განმასხვავებელი თვისება, — თვისება, რომელიც წინათ არ ჰქონია ჩვენს კრიტიკანაწილობრივ იმიოვე აიხსნება ბელისკის ლიტერატურულ შეხედულებათა სწრაფი გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში“ (ნ. გ. ჩერნიშევსკის: „რუსული თხზულებანი“, გვ. 380, 394, სახელგამო, 1934 წ.).

ჩერნიშევსკის შეხედულებაში ჰყავს გერცენი და მისი ფილოსოფიური ნაშრომები. გერცენის აშკარად დასახლება მას არ შეეძლო ცნებურული მოსაზრებებით. იგი გერცენს „ბელისკის თანამოღვაწეს“ უწოდებს. თვით ჩერნიშევსკი მიუთითებდა და ხაზს უსვამდა გერცენის დიდ გავლენას ბელისკის იმ გარინდებულ მდგომარეობიდან გამოყვანის საქმეში, რომელშიაც ეს უკანასკნელი ჩაეარდა, თუმცაღა არც ისე დიდხნით, „სინამდვილის გონივრულობის შესახებ“ ჰეგელის ცნობილი დებულების არსწორად გაგების შედეგად (იქვე, გვ. 391-392).

უშუალოდ ჰეგელის ფილოსოფიას გერცენი რამდენადმე უფრო მოგვიანებით გაეცნო, ვიდრე მისი მეგობრები, მაგრამ აქვეყნებული ხელი არ შეუშლია მისთვის გამოემუშაებინა სწორი შეხედულებები ქართულ და წინააღმდეგობით აღსავსე ფილოსოფიურ სისტემაზე, არამედ იგი პირველი იყო თავის მეგობართა შორის, რომელმაც სწორად გაიგო ჰეგელის ფილოსოფიის ბუნება. იგი მიხვდა მის ორაზროვნობას—მასში ცოცხალი და მკვდარი პრინციპების არსებობას, დასკვნათა უზადრუკობას. მან სწორად შეიგნო ცოცხალი და ძლიერი პრინციპის — დიალექტიკის უდიდესი მნიშვნელობა.

თვით ჰეგელის თხზულებათა სერიოზულ შესწავლას მან ხელი მოჰკიდა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თავისი პირველი გადასახლების დროს ვლადიმირში, 1839 წელს.

უნივერსიტეტში პროფესორ მ. გ. პავლოვის ლექციების საშუალებით რომელიც თავის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ლექციებში შელინგს გადმოსცემდა გერცენი გაეცნო გერმანული მოაზროვნის ნატურფილოსოფიას. მაგრამ პროფესორთა ლექციებზე უფრო მეტად, თვით გერცენის მოწმობით, სტუდენტთა განვითარებას ხელს უწყობდნენ აუდიტორიები, წრეები და მათთან დაკავშირებული კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გერცენმა, ოგარიოვთან ერთად, რომელიც უნივერსიტეტში ერთი წლით მასზე გვიან შევიდა, თვითონაც ჩამოაყალიბა წრე. აი აქედან და არა პროფესორთა ლექციებიდან, რომელთაგანაც, — აქვე უნდა აღინიშნოს, — იგი მხოლოდ პავლოვს იხსენიებს კეთილი სიტყვით, მოხვდა სენ-სიმონიზმი გერცენისა და ოგარიოვის ახალგაზრდა და მხურვალე გულს. ამ მოძღვრებიდან, მიუხედავად მათს შეხედულებებში გამეფებულ არევ-დარევისა, გამოჰქონდათ დადებითი სოციალურ-პოლიტიკური დასკვნები და დაუღალავად ჰჭადაგებდნენ მათ.

„ვჭადაგებდით ყველგან, ყოველთვის, — სწერს გერცენი. — ძნელია იმის თქმა, თუ საკუთრივ, რას ვჭადაგებდით. იდეები ბუნდოვანი იყო. ჩვენ ვჭადაგებდით დეკაბრისტებს და საფრანგეთის რევოლუციას, შემდეგ ვჭადაგებდით სენ-სიმონიზმს და ამავე რევოლუციას; ჩვენ ვჭადაგებდით კონსტიტუციას და რესპუბლიკას, პოლიტიკური წიგნების კითხვას და ძალთა თავმოყრას ერთ საზოგადოებაში“).

გერცენისა და ოგარიოვის წრე განირჩეოდა თავისი პოლიტიკური მიმართულებით მის პარალელურად არსებულ სტანკევიჩ-ბელინსკის წრისაგან. ამ უკანასკნელ წრეს გრანოვსკისთან ერთად ეკუთვნოდა ბაკუნინიც. ამ წრეებს შორის სიმპატია არ არსებობდა. პირიქით, მათი წევრები ერთმანეთისადმი არამეგობრულად იყვნენ განწყობილი.

„მათ არ მოსწონდათ, — სწერს თვით გერცენი, — ჩვენი თითქმის განსაკუთრებით პოლიტიკური მიმართულება, ჩვენ არ მოგვწონდა მათი თითქმის სპეკულატური მიმართულება. ისინი ჩვენ ფრონდერებად და

1) Герцен: „Билос и думы“, т. XII. под. ред. Ламке.

ფრანგებად გველიდნენ, ჩვენ მათ — სენტიმენტალისტებად და გერმანელებად¹⁾.

ამსოლუტური სულის ენციკლოპედია გერცენის *„სენტიმენტალური შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა. მას ჩაჰკრატებდნენ“* ასტანკევიჩ-ბელინსკის წრის წევრები. პირველთა მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო სოციალ-პოლიტიკურ და ისტორიულ ლიტერატურისაკენ.

გერცენის პირველი ნაწარმოები — „ადამიანის ადგილის შესახებ ბუნებაში“ (1832) და „კოპერნიკის სისტემის ანალიტიური გადმოცემა“ (1833) მისი ამ პერიოდის მრავალნაირ ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, როგორც ახალგაზრდა ავტორის შეხედულებათა გამომრკვევი. ეს ნაშრომები მკვეთრად ამტკიცებენ სენ-სიმონიზმისა და ფრანგ კუზენის გავლენას და დიდ გულუხვობას იჩენენ მათ ქებაში. მოგვიანებით თვით გერცენი სენ-სიმონიზმს სთვლიდა „ბუნდოვანად, რელიგიურად და იმავე დროს ანალიტიურად“, ხოლო კუზენის ეკლექტიურ ბუნებაგანწყობას იგი ფილოსოფიურ მნიშვნელობას არ აძლევდა.

„კუზენის ეკლექტიზმი, — ამბობდა იგი 40-იან წლებში, — ისევე ნაკლებადაა ფილოსოფია, როგორც მისი ვრცელი უარყოფა, დაწერილი, შესაძლებელია, ყველაზე უფრო ძლიერი სპეკულატური გონების მიერ, რომელიც კი მოიპოვება ამჟამად საფრანგეთში — პიერ ლერუს მიერ. სადაც არ არსებობს ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, იქ არ შეიძლება იყოს ისტორიის მტკიცე, თანმიმდევარი ფილოსოფიაც“).

ხსენებულ მოძღვრებათა მიმართ ასეთ მკვეთრ დასკვნებამდე მისასვლელად საჭირო იყო ჰეგელის გავლა. ასეც მოხდა. ზემოთაღნიშნული შეფასების უკანასკნელ სიტყვებში — „ფილოსოფია-მეცნიერება“ — აშკარად ჰეგელი გამოსჩანს. განთავისუფლდა რა ძირითადში „ბუნდოვან რელიგიურ“ და „ანალიტიურ სენ-სიმონიზმისაგან“. რაიც აუცილებლად ჰეგელის დიდი გავლენით მოხდა, გერცენმა იმავე დროს შეითვისა და შეინარჩუნა სენ-სიმონიზმის პროგრესიული ელემენტები. ამ აზრით უნდა გავიგოთ მისი განცხადება „Былое и думы“-ში, რომ „სენ-სიმონიზმი საფუძვლად დაედო ჩვენს რწმენას და არსებითში უცვლელი დარჩაო“²⁾.

მიუხედავად გერცენის პოლიტიკურ შეხედულებათა გაბედულობისა და პროგრესიულობისა იმ დროისათვის, იგი პირველ გადასახლებაში (1835 წლის ნახევარს) იდეალისტად გაემგზავრა. იქ, ვიატკაში, გადასახლების პირობებში, მისტიკოსს არქიტექტორ-მხატვარს ა. ლ. ვიტბერგის გავლენით და ნ. ა. ზახარინას ნახვის წყურვილით გამოწვეული მოზღვა-ვებული სევდის გამო (შემდეგში ნ. ა. ზახარინა მისი მეუღლე გახდა), აგრეთვე ამ უკანასკნელის სიყვარულით და რელიგიური გრძნობით აღ-

¹⁾ იქვე.

²⁾ Герцен, собр. соч., т. II, стр. 140.

³⁾ Герцен, т. XII, стр. 152.

სავსე წერილების გავლენით გერცენი მისტიციზმისაკენ გადაიხარა. მაგრამ ეს მეტად მცირე ხანს გაგრძელდა.

ვლადიმირში, სადაც გერცენს დიდი ინტერესი აღუქვამდა, ჰეგელის ნაწერებისადმი, მისტიციზმი მთლად იწყებს გაქრობას. გერცენის რეალისტური ბუნება არ ჩამხვალა და არც შეეძლო ჩამხვალა იყო მისტიციზმის ქაობში.

„ვიტბერგის გავლენამ შემარყვია, — ამბობს გერცენი, — მაგრამ ჩემმა რეალურმა ბუნებამ მაინც აჯობა. მე არ შეწერა აესულიყავ მესამე ცაში, მე დავიბადე სავსებით მიწიერ ადამიანად, ჩემს ხელთაგან მაგიდები არ ტრიალებენ და ჩემის შეხედვით ბეჭდები არ ირხევიან. აზრის დღის სინათლე ჩემთვის უფრო მშობლიურია, ვიდრე ფანტაზიის მთვარიანი შუქი“¹⁾).

პირველი გადასახლებიდან გერცენი 1840 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. მოსკოვში თავისუფლად მისვლის ნებართვის მიღებამდე, იგი ვლადიმირში ყოფნის დროს ჩადიოდა მოსკოვში. ხოლო 1839 წლის ივლისში მან ოფიციალურად მიიღო მოსკოვში ჩასვლის ნებართვა. ეს იყო ჰეგელის ფილოსოფიით უმწვერვალესი ვატაკების პერიოდი.

ამავე დროს ჰეგელიანელთა სკოლების ბრძოლასთან გაცნობილი გერცენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუდგა ჰეგელის სისტემის დედანთა უშუალო შესწავლას, ვლადიმირიდან 1839 წლის თებერვალს გერცენი სწერდა კეტჩერს — „ჰეგელი მე თვითონ არ წამიკითხავს“ — და სთხოვდა „ეშოვნა რამე ჰეგელისტებისა“. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ატყობინებდა: „გმადლობთ წიგნების დაპირებისათვის... მთავარი ჩემი სათხოვარია — რაც შეიძლება მეტი ისტორიული და ჰეგელიანური. მოგვეცით აქ ჰეგელი“.

ვლადიმირში გადასახლებული გერცენი ძალიან ბევრს მუშაობდა. სწავლობდა ისტორიას, ფილოსოფიას (პირველ რიგში ჰეგელსა და ჰეგელიანებს). შეუდგა დისერტაციის წერას.

„მთელ დროს ჩვენი განშორების შემდეგ, — სწერს იგი ვლადიმირიდან 1839 წ. ივლისში თავის ვიატკელ მეგობარს ვიტბერგს, — მე ძალიან ბევრს ვმეცადინეობ, განსაკუთრებით ისტორიასა და ფილოსოფიაში. სხვათა შორის, ხელი მოვკიდე დისერტაციას, რომლის თემაა: „რომელი რგოლია წარსულსა და მომავალს შორის ჩვენი საუკუნე?“ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ძალიან ბევრი ვიმუშავე. უკებ ვხედავ, რომ რაღაც „ამის მაგვარი დაბეჭდილია ბერლინში „Prologomena zur Historiographie“. გამოვიწერე და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, რომ ყოველივე იმაში, რაც მთავარი იყო, გასაოცრად ვეთანხმებოდი ავტორს. მაშასადამე, ჩემი დებულებები სწორია და მე უფრო მეტად შევეუდგები მის დამუშავებას“²⁾).

¹⁾ Герцен, т. XIII, стр. 304.

²⁾ Герцен, т. II, стр. 274. ცეზაროვსკის წიგნს მართლაც პქონდა ასეთი სათაურით: „Prologomena zur Historiosophie“. ალბათ, გერცენს წერილში შეცდომა შეეპარა.

ერთის მხრით, გამძაფრებული მეცადინეობა, ხოლო მეორეს მხრით, ცხოვრების უშუალო გამოცდილება, რომელიც მან გადასახლებაში ყოფნისას მიიღო, ნათელს ჰფენს იმ პირველი შეხედვით საფუძვლად მოყვანას, რომ გერცენი გადასახლებიდან დაბრუნებისას ჩინური სიმბოლოების თავის მეგობრებს, რომელთაც თავიანთ წრეში მიღების დროს გადაკვერით მიუთითეს ვითომ ჩამორჩენილებზე, არამედ მათ შორის დამოუკიდებელი და ყველაზე მოწინავე ადგილი დაიკავა.

„ახალმა ნაცნობებმა, — იფონებდა შემდეგში გერცენი, — მიმიღეს ისე, როგორც მიიღებენ ხოლმე ემიგრანტებსა და ძველ მებრძოლებს, იმ ადამიანებს, რომელნიც ციხეებიდან გამოდიან, ტყვეობიდან ან გადასახლებიდან ბრუნდებიან, — პატივისცემით, შეწყალებით, როდესაც მზად არიან მიგიღონ თავიანთ კავშირში, მაგრამ ამასთან არაფერს არ სთმობენ, არამედ გადაკვერით მიგივითებენ იმაზე, რომ ისინი დღევანდელ დღეს წარმოადგენენ, ხოლო ჩვენ — გუშინდელ დღეს, და მოითხოვენ ჰეგელის „ფენომენოლოგიისა“ და „ლოგიკის“ უცილებლოდ მიღებას, თანაც იმათებური გაგებით“...

შემდეგ აღწერს ჰეგელით* გატაცებას:

„მსჯელობდნენ ისინი იმათ შესახებ განუწყვეტლივ; არ არის პარაგრაფი „ლოგიკის“ სამივე ნაწილში, „ესთეტიკის“, „ენციკლოპედიის“ ორივე ნაწილში, რომელიც არ ყოფილიყო აღებული რამდენიმე ლამის გამძაფრებული კამათით. ადამიანები, რომელთაც უყვარდათ ერთმანეთი, ითიშებოდნენ მთელი კვირაობით, რადგან ვერ თანხმდებოდნენ „გარდამტაცებელი სულის“ („Перехватывающего духа“) განსაზღვრაში. შეურაცყოფლად სთვლიდნენ შეხედულებას „აბსოლუტური პიროვნებისა და თვითმყოფადობის“ შესახებ. ყოველ უმნიშვნელო ბროშურასაც კი, რომელიც გამოდიოდა ბერლინში და გერმანული ფილოსოფიის სხვა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში, სადაც კი მოხსენებული იყო ჰეგელი, იწერდნენ, თავდავიწყებით კითხულობდნენ, ფურცლების დაგლეჯამდე, დალაქავებამდე, რამდენიმე დღეში“¹⁾.

რას წარმოადგენენ ის დასკვნები ჰეგელის ფილოსოფიიდან, რომლებამდისაც მივიდნენ გერცენის მეგობრები ამ გაუთავებელი მსჯელობის შედეგად და რომელთა უცილობლად მიღებას ისინი მოითხოვდნენ და პირობად უყენებდნენ ყველას? ეს იყო ქადაგება სინამდვილის გონიერულობის შესახებ, ქადაგება ნიკოლოზისეულ საზიზღარ სინამდვილესთან შერიგებისა და ამ სინამდვილის აპოლოგია.

„ფილოსოფიური ფრაზა“. — „ყოველივე სინამდვილე გონიერულია“, რომელმაც ყველაზე მეტი ზიანი მოიტანა და რომლის მიხედვითაც გერმანელი კონსერვატორები ცდილობდნენ ფილოსოფია გერმანიის პოლიტიკურ ყოფასთან შეერიგებინათ, იყო სხვაგვარად გამოთქმული: დებულება საკმაო მიზეზის და ლოგიკისა, და ფაქტების შესაბამისობის შესა-

*) Герцен, т. XIII, стр. 11.

ხებ. პეგელის ცუდად გაგებული ფრაზა გადაიქცა ფილოსოფიური იმად, რასაც წარმოადგენდა ერთდროს ქრისტიანული ეირონიისა და პავლე¹⁾ სიტყვები: „არ არს ხელისუფლება, გარდა ღმერთისაგან მოვლენილი“. მაგრამ თუ ყოველივე ხელისუფლება მოვლენილია ღმერთისაგან, არსებული საზოგადოებრივი წყობილება გამართლებულია გონებით, მაშინ გამართლებულია თვით ბრძოლაც მის წინააღმდეგ, თუ კი იგი არსებობს. ფორმალურად მიღებული ეს ორი სენტენცია წმინდა ტაქტოლოგიაა და მას პირდაპირ მიჰყავდა საქმე ძალაუფლების მპყრობელთა ცნობამდის, იმისაკენ, რომ ადამიანმა გულხელი დაიკრიფოს. აი ეს სურდათ სწორედ ბერლინელ ბუდისტებს. და თუმცა ასეთი შეხედულება რუსულ სულს ეწინააღმდეგებოდა, მას გულაზდილი შეეცდომილებით იღებდნენ ჩვენი მოსკოველი პეგელიანები“¹⁾).

გერცენმა სწორად ვერ გაიგო პეგელის დებულება და დაიყვანა იგი საკმაო საფუძვლიანობის კანონამდე. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ პეგელის არასწორად გაგებულ პრინციპიდან მან მაინც სწორი რევოლუციური დასკვნა გამოიტანა. მან, თავისი მეგობრების საწინააღმდეგოდ, გამოიტანა იქიდან მოქმედებისა და ბრძოლის დასკვნა ირგვლივ არსებული საზიზღარი სინამდვილის წინააღმდეგ და არა უმოქმედობისა და შერიგების დასკვნა. ამაშია მისი სიღიაღე, მაგრამ ამაზე ქვევით.

პირველ დაბეჭდილ მანიფესტს, რომელიც მიმართული იყო აბაღაზრობისადმი და რომელიც მოუწოდებდა მას, „შესთვისებოდა მშვენიერ რუსულ სინამდვილეს“, წარმოადგენდა მ. ა. ბაკუნინის წერილი, რომელიც მან წინასიტყვაობის სახით წაუშმღვარა პეგელის „გინაზიის დროის სიტყვებს“. ეს დოკუმენტი-დეკლარაცია პირადი ხასიათისა როდია. იგი წარმოადგენს იმ მოსკოველი პეგელიანების მთელი ჯგუფის დეკლარაციას, რომელთაც გერმანული ფილოსოფიის ორაზროვანი სისტემა მემარჯვენე პოზიციიდან აითვისეს.

ამ დოკუმენტში, რომელსაც წინ უძღოდა აბსოლუტური იდეალიზმის ენციკლოპედიისა და ფენომენოლოგიის გულმოდგინე და დოგმატური შესწავლა, ბაკუნინი გადმოსცემს პეგელის ფილოსოფიას და სრულიად შეუმჩნეველად სტოვებს იმას, რაც მთავარია დიდი ფილოსოფოსის სისტემაში — მის დიალექტიკას. პეგელის ფილოსოფიის ქვეკუთხედად გამოცხადებულია ეს ცნობილი თეზისი: „რაც სინამდვილეა, ის გონიერია, ხოლო რაც გონიერია, ის სინამდვილეა“, რომელიც ამავე დროს განმარტებულია მეტად მემარჯვენეული ვაგებით.

პეგელის სისტემა, ბაკუნინის მიხედვით, დაავიჯრვინა გონების დიდიხნის მისწრაფება სინამდვილისადმი, და ეს დაავიჯრვინება გამოხატულია ხსენებულ ფორმულაში: „რაც სინამდვილეა, ის გონიერია, ხოლო რაც გონიერია, ის სინამდვილეა“. „აი პეგელის ფილოსოფიის საფუძველი, — ამბობდა ბაკუნინი, — საფუძველი, რომელმაც ჯერ კიდევ ბევრი მო-

¹⁾ იქვე, გვ. 15.

წინამდებე კპოვა მოჩვენებათა მსგავს თანამედროვეთა ზორის ახალ-გაზრდა გერმანიის ამ სასაცილო რიგებში, რომელსაც უნდა ვარდა-ექმნა თავისი კეკიანი სამშობლო თავისი ბავშური ფანტაზიების მიხედ-ვით¹⁾.

პეგელიანური სისტემის კონსერვატიული მხარით გაქვნილმა ბა-კუნინმა ბრძოლა გამოუცხადა საფრანგეთის რევოლუციას. იგი ცდილობ-და ფრანგების მატერიალიზმისა და ათეიზმის დისკრედიტირებას და ამ მოძღვრებებს შედიდურად „უსულო ხორცის ზეიმად“ აცხადებდა. ბაკუ-ნინის აზრით, საფრანგეთის ავადმყოფობას წარმოადგენს არქონა რელი-გიისა, ესთეტიური გრძნობისა, შინაგანი სიცილიერე philosophie du hon sens და სხვა, რაიც არ სჯერდება თავის სამშობლოს ჩარჩოებს. ზორს სცილდება მის ფარგლებს და გვევლინება XVIII საუკუნის ავად-მყოფობად. ეს ფრანგული სენი გავრცელდა რუსეთშიაც, — ამბობს ბაკუ-ნინი. ექვს ვარეშეა, რომ აქ ბაკუნინი გერცენის წრეს გულისხმობს.

ბაკუნინი თავგამოდებულია „მეფისა და სამშობლოსადმი ერთგული, მტკიცე და ნამდვილი რუსი ადამიანის“ აღზრდისათვის. ამისათვის იგი მოითხოვს ყოველ მიზეზს ვარეშე სინამდვილესთან შერიგებას ყოველ მხრივ და ყველა სფეროში. აი რაგვარი წამოძახილით ათავენს იგი თავის წერილს:

„ღიახ, ბედნიერება არა მდგომარეობს მოჩვენებაში, განყენებულ სიზ-მარში, არამედ ცოცხალ სინამდვილეში. აღსდგე სინამდვილის წინააღ-მდეგ და მოიკლა შენში სიცოცხლის ყოველივე ცოცხალი წყარო — ეს ერთი და იგივეა. სინამდვილესთან შერიგება ყოველმხრივ და ცხოვრე-ბის ყველა სფეროში ჩვენი დროის უდიდეს ამოცანას წარმოადგენს, და პეგელი და ვოეტე მეთაურები არიან ამ შერიგებისა, ამ დაბრუნებისა სიკვდილიდან სიცოცხლეში. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ახალი თაო-ბაც გამოვა მოჩვენებითობიდან, რომ ხელს აიღებს ცარიელ და უაზრო-ლაყობაზე, რომ იგი შეიგნებს, რომ ქეშმარიტი ცოდნა და გონების ანარქია და აზრთა თვითნებობა საესებით ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რომ ცოდნაში გამეფებულია მკაცრი დისციპლინა და რომ ამ დისციპ-ლინის ვარეშე ცოდნა არ არსებობს. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი თაობა შეუთვისდება, ბოლოს, ჩვენს მშვენიერ რუსულ სინამდვილეს და, უკუ-გდებს რა ყველა ცარიელ პრეტენზიას გენიალობაზე, ბოლოს და ბოლოს იგრძნობს თავისში ნამდვილ რუს ადამიანად ყოფნის კანონიერ მოთხოვნი-ლებას“²⁾.

ჩვენთვის საჭირო არ არის თვალყური გავადევნოთ, თუ როგორ ვა-დაეიდა შემოშოყვანილი სტრიქონების ავტორი სინამდვილის აპოლოგი-ის ამ ალტყინებული ქადაგიბიდან და მონაზონური უმოქმედობიდან ანარ-ქისტული ნგრევისა და თავზეხელაღებული ბუნტარობის არანაკლებად

¹⁾ Бакунин, собр. соч., т. II, гл. 171 — 172, 1934.

²⁾ იქვე, გვ. 177 — 178.

გამძაფრებულ ქადაგებაზე, თუ როგორ მოხდა, რომ „სინამდვილესთან ყოველმხრივი და ყველა სფეროში „შერიგების“ ლოზუნგი იმავე აქტორმა შეცვალა ლოზუნგით: „страсть к разрушению есть вместе с тем и творческая страсть“¹⁾). ჩვენი მიზნისთვის საკმარისად ადვილად მხოლოდ, რომ იმ დროს ბაკუნინის დებულებებს საკვებით იზიარებდა სტანკევიჩის წრის ყველა წევრი და პირველ რიგში თვით ბელინსკი, ხოლო გერცენს, რომელიც არ იზიარებდა ამ პრინციპებს, ბრძოლა მოუხდა მათ წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1837 წელს ბელინსკი მეგობრებისადმი მიწერილ თავის წერილში სინამდვილესთან შერიგებას ჰქადაგებდა, ხოლო გერცენის დაბრუნებისას ბელინსკი თავისებური ტემპერამენტით და თანმიმდევრობით გამოდიოდა, — როგორც არ უნდა ებამუშოს ეს ყურს, — ნიკოლოზისებური „მშვენიერი“ სინამდვილის დამცველად და „ინდიურ სიმშვიდეს“ ქადაგებდა. აი რას ამბობს ამის შესახებ თვით გერცენი:

„ბელინსკი — ეს ყველაზე მომქმედი, მძაფრი, დიალექტიურად ცხოველყოფელი მეზობლის ბუნება, ქადაგებდა მაშინ ბრძოლის მაგიერ ჭვრეტის ინდიურ სიმშვიდეს და თეორიულ შესწავლას. მას სწამდა ეს შეხედულება და არ ფიქრობებოდა არავითარი შედეგის წინაშე არ ჩერდებოდა არც ზნობრივი წესიერების, არც სხვების აზრის წინაშე, რისაც ასე ეშინიათ სუსტსა და თვითყოფად აღაშინებებს; მასში არ იყო მშიშარობა. მიტომ რომ იგი ძლიერი და გულწრფელი იყო; მისი სინიღისი წმინდა იყო.

— თქვენ იცით, რომ თქვენი თვალსაზრისით, — ეუთხარო მე და ვფიქრობდი გამეოცებინა იგი ჩემი რევოლუციური ულტიმატუმით, — შეგიძლიანთ დაამტკიცოთ, რომ საზიზღარი თვითმპყრობელობა, რომლის პირობებშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, გონიერია და უნდა არსებობდეს?

— ყოველ ექვს გარეშე, — მიპასუხა ბელინსკიმ და პუშკინის „ბოროდინოს წლისთავი“ წამიკითხა.

მის მოთმენა არ შემეძლო და ჩვენს შორის გაჩაღდა გამძაფრებული ბრძოლა... ჩვენი უთანხმოება სხვებზედაც მოქმედებდა; წრე ორ ბანაკად გაიყო. ბაკუნინს სწამდა შეერიგებინა, განემარტა, ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ ნამდვილი ზავი არ ჩამოვარდნილა. გაჯავრებული და უკმაყოფილო ბელინსკი პეტერბურგს წაეიდა და უკანასკნელად იქიდან ავეიტება გამძაფრებული სროლა წერილში, რომელსაც სწორედ „ბოროდინოს წლისთავი“ დაარქვა.

მათთან მაშინ მე ყოველივე ურთიერთობა შევსწყვიტე... ხორო ბელინსკის მხარეზე იყო. ჩვენ შედიდურად დაგვეტყუროდნენ, ამაყად იტყუდნენ მხრებს და ჩამორჩენილ ხალხად გთვლიდნენ“²⁾).

¹⁾ Бакунин, т. III, гл. 148.

²⁾ Герцен, т. XIII, гл. 15 — 16. აქ, როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, გერცენის მიერ დამწებულია შეცდომა. უპირველეს ყოვლისა, უნდა განმარტდეს, რომ წაკითხულ იქნა არა დიდი პუშკინის, არამედ ეუკოესკის „ბოროდინოს წლისთავი“, რომელიც ეუკოესკიმ დასწერა ბოროდინოს ბრძოლის ველზე ძველის გახსნის

მალე ბელინსკიმ, რომელიც დასკვნებში თვით ჰეგელზე უფროს მოდიოდა, გადაჭრით და გულწრფელად უარყო თავისი დროებითი გადაგება რუსეთის სინამდვილესთან შერიგებისა და უმოქმედობის შესახებ. 1840 წლის 10 დეკემბერს ბელინსკი უკვე სწერდა ბოტკინს: „მე ვეფერებოდი, რომ რუსეთში უკვე დაიწყო რეფორმების მოლოდინი“.

„გამომღვლეძა და მაშინებს ჩემი სიზმრის მოგონება... ხოლო ეს ძალმომრეობით შერიგება რუსეთის საზიზღარ სინამდვილესთან, — მატერიალური, ცხოველური ცხოვრების, ჩინმოყვარეობის, ჯვართმოყვარეობის, ფულმოყვარეობის, მექრთამეობის, ურელიგიურობისა და გარყვნილების, ყოველნაირი სულიერი ინტერესების არქონის, უსირცხვილო და უტიფარი სისულელის ზეიშის, საშუალებისა და უნიჭოების ამ ჩინურ სამეფოსთან შერიგება, სადაც ყოველივე ადამიანური და რამდენადმე ჰუმანური, კეთილშობილური, ნიჭიერი განკუთვნილია ჩაგვრისათვის, ტანჯვისათვის, სადაც ცენზურა გადაიქცა სამხედრო წესდებად გაქცეულ ჯარში გაწვეულთათვის, სადაც მოსაპობილია აზრთა თავისუფლება... სადაც პუშკინი გლახასავით ცხოვრობდა და გაიდევრაობის მსხვერპლად დაეცა, ხოლო გრეჩები და ბულგარინები მთელ ლიტერატურას მართავენ დაბეზლებათა საშუალებით და მშვენიერადაც ცხოვრობენ. არა, დაე გახმეს ის ენა, რომელიც კრინტს დასძრავს ყოველივე ამის გასამართლებლად. და თუ ჩემი ენა გახმება, მე არ მოვეყვები ჩივილს. რაც არის, ის გონიერი და ნამდვილია. ჯალათიც ზომ არის, მაშ მისი არსებობა გონიერი და ნამდვილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც საძაგელი და საზიზღარია“.

მეტად საინტერესო და მიმზიდველია დიდი კრიტიკოსის ფილოსოფიური გზა. მაგრამ ჩვენ საშუალება არა გვაქვს შევჩერდეთ მასზე აქცხადია ერთი რამ — და ამჟამად ჩვენც ეს გვიანტერესებს, — რომ ნიკოლოზისეული სინამდვილის დაცეასთან გადაჭრით კავშირის გაწყვეტაში, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო თვითონ ბელინსკისათვის, არამედ რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისათვისაც, დიდი როლი ითამაშა გერცენმა, მისმა რევოლუციურმა და ფილოსოფიურმა შეხედულებებმა და ამით დაპირობითებულმა ჰეგელის ფილოსოფიის ინტერპრეტაციამ. მისმა კამათმა და, ბოლოს, დროებითმა განშორებამ ბელინსკისაგან უსათუოდ დააჩქარა ამ უკანასკნელის გამოფხიზლება იმ ჰიპნოტიური მდგომარეობიდან, რომელშიაც ის იმყოფებოდა.

გამო. მეორე — ბელინსკის აღნიშნული წერილი „ბოროდინოს“ შესახებ არ იყო უკანასკნელი „გამაფრთხილებელი სროლა“. ასეთად უნდა ჩაითვალოს მისი ნაშრომი — „მენცელი, გოეტის კრიტიკოსი“, სადაც ავტორი გამაფრთხილებით „უშენს“ გერცენს, თუმცა პირდაპირ არ ასახელებს მას. ეს ზანმოკლე, მაგრამ, ბელინსკის სიტყვით, საშინელი პერიოდი მთავრდება დიდი ნაშრომით, რომელიც მიემდინა პიესას „ვაი კუთისაგან“.

რაც უნდა მოჯადოვებული ყოფილიყო ბელინსკი სინარქისტულთან შერიგების იდეით, მის ფხიზელ, მგრძნობიარე, მომქმედსა და რევოლუციურ ბუნებას არ შეეძლო არ ჩასწვდომოდა, არ გამოქმედებოდა, — პირველ ხანებში შეიძლება არახელშესახებად, — გონებრივად და ღრმა გერცენის სამართლიან მტკიცებას. შეტაკებამ და კამათმა მოსკოვში, რაიც ასე მკვეთრად და აღწერილი გერცენის მიერ (იხ. ზემოთ), ორნაირი კეთილშეშობილი მნიშვნელობა იქონია. ამან, უპირველეს ყოვლისა, დააჩქარა ბელინსკის მიერ კავშირის გაწყვეტა ნიკოლოზისეული დესპოტიური სინამდვილის დაცვასთან, ხოლო მეორეს მხრივ — თვით გერცენს პეგელის ფილოსოფიის უფრო სერიოზული და ღრმა შესწავლის სტიმული მისცა. ხანმოკლე ვატიშვის შემდეგ ამ ორმა დიდმა ადამიანმა ერთმანეთთან მტკიცე კავშირი შეკრა. და ეს კავშირი, გერცენის სიტყვით, არ განწყვეტილა ბელინსკის სიკვდილამდე. თუ პეგელის როგორი გავება დაუმკვიდრდა გერცენს ამ სერიოზული მცეადინეობის შემდეგ, ამაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

II

იმ კამათმა, რომელიც მოსკოვში იმართებოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო გერცენის მიერ პეგელის ფილოსოფიის უფრო სერიოზულ შესწავლას. „ამ შეხლა-შემოხლის დროს, — გვიამბობს იგი, — საჭიროდ ეცანი „ex ipsa tante bibere“ (მესვა თვით წყაროდან). და სერიოზულად ჩავეუჯექი პეგელს“¹⁾.

ცხოვრების მდიდარ გამოცდილებასთან და მომწიფებულ პოლიტიკურ შეხედულებებთან ერთად პეგელის სერიოზულმა შესწავლამ მის მიმართ კრიტიკული მიდგომის შენარჩუნებით უფრო განამტკიცა გერცენის რევოლუციური, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი. მხეცურმა დევნამ და მასთან ერთად დიალექტიკური იდეალიზმის ფილოსოფიის შესწავლამ უფრო განამტკიცეს გერცენის სწრაფვა პრაქტიკული პოლიტიკური ბრძოლისადმი იმ დესპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც მას ასე სძულდა.

„მე ვიწყებ № 2 კონტუზიის სარგებლობის შეგრძნობას, — სწერდა იგი ოგარიოვს მეორე გადასახლებაში გამგზავრების წინ, — მე ერთხანს დავიკარგე (XIX საუკუნის მსგავსად) აზროვნების სფეროში, ხოლო ეხლა ისევ მომქმედი და ცოცხალი გავხდი ბრწყალებამდე. თვით გაბოროტებამ აღმადგინა მე მთლიან პრაქტიკულ სიმაჰაცეში, და, რაც სასაცილოა, სწორედ ამ წერტილზე შევხვდით მე და ვისარონი (ბელინსკი), შევხვდით და ერთმანეთი პარტიზანებად ვაქციეთ. არასოდეს ამაზე უფრო

¹⁾ Герцен, т. XIII, გვ. 16

ცხოვლად არ მიგრძენია ფილოსოფიის ცხოვრებაში გადასვლა-განვი-
თარების საჭიროება“¹⁾).

დიალექტიკური იდეალიზმის ფილოსოფიის ამ ღრმა შესწავლას გერ-
ცენი განაგრძობდა მეორე გადასახლების ადგილასაც. 1841 წელს, იქვე თავისი შემოქმედით „საქმის წყა-
ლობით და ლ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის გავლენით,
გერცენმა სძლია ჰეგელის აბსოლუტურ იდეალიზმს და გასწია წინ, მა-
ტერიალიზმისაკენ. გერცენი აგვიწერს იმ გამანთავისუფლებელ გავლენას,
რომელიც მოახდინა მასზე ფეიერბახმა, მისმა სახელგანთქმულმა
„ქრისტიანობის არსმა“. იგი ამბობს: „ორი-სამი თვის შემდეგ ნოვგო-
როდზე გაიარა ოგარიოვმა“. მან ჩამოიტანა ფეიერბახის „Wesen des
Christentum“. პირველი ფურცლების წაკითხვისთანავე, სიხარულისაგან,
შევხტი. ძირს სამასკარადო ტანსაცმელი! შორს ენაღლუნგობა და ქარაგ-
მები! ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ და არა ქსანთის მონები, ჩვენ
არ გვჭირდება ქეშმარიტების ვახვევა მითოსში!“²⁾.

ამოცანად არ დაგვისახავს, გადმოვვეცა გერცენის მიერ გამოშვებულ
ფილოსოფიური კონცეპცია. ჩვენ გვაინტერესებს მის მიერ მოცე-
მული ჰეგელის ფილოსოფიის ინტერპრეტაცია. ამ საკითხზე ზოგად პა-
სუხს გერცენი იმავე „Благо и Думы-ში იძლევა. იგი სწერს:

¹⁾ Герцен, т. II, გვ. 426.

„შენ, ოგარიოვო — სწერდა იგი საყვედურით თავის მეგობარს, რომელიც ცდი-
ლობდა დაემშვიდებინა იგი მეორე გადასახლების გამო, — ჰქადაგებ რეზიგნაციას
მაგრამ იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიაც შენ მას ჰქადაგებ, მე იგი არ მიხდება; მე
იმასაც კი ვფიქრობ, რომ მთელი უბედურება სწორედ იმაშია, რომ იგი მებრძვ ბევ-
რია. როდესაც სახეში ვირტყამენ, არ შესმის მე რეზიგნაცია, და მიყვარს ჩემი გან-
რისხება იმდენადვე, რამდენადაც შენ შენი სიმშვიდე. „კერძო შემთხვევა“. რასაკვირ-
ველია, ყოველივე იმას, რაც მთელ ტომებს არ ემართება, შეიძლება კერძო შემ-
თხვევა ვუწოდოთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ არსებობს უფრო მაღალი თვალსაზრისი...
თუ შენ ჩემს დასამშვიდებლად მოიწერე, რომ ეს კერძო შემთხვევაა, მადლობელი
ვარ; ხოლო თუ ხელმობით ფიქრობ ასე, მაშინ ეს იმ ცრუ, მონაზნურ რიპაის
ეობის ერთ-ერთი გამოვლენაა, რომელიც, ჩემის აზრით, შენი მტარვალი, შენი
ბოროტი სულია“ (ტ. II, გვ. 414).

²⁾ ტ. VIII, გვ. 70. ინტერესს მოკლებული არ იქნება, რომ ეს აზრი შევიადაროთ
ენგელსისას, რომელმაც მარქსთან ერთად ერთ დროს ფეიერბახის წიგნის გამანთავი-
სუფლებელი გავლენა განიცადა, ენგელსი სწერს: „გამოვიდა ფეიერბახის თხზულება
„ქრისტიანობის არსება“. მან ერთი დაცრით გადალაზა ეს წინააღმდეგობა იმით,
რომ მატერიალიზმი ხელახლა, ყოველი პირობის გარეშე, ტახტზე აიყვანა... ნავსი
გატყდა... ამ წიგნის გამანთავისუფლებელი გავლენა პირდაპირ არ განუცდია, არ
შეუძლია ამის წარმოდგენა — ჩვენ ყველანი აღფრთოვანებული ვიყავით და ყველა-
ნი მაშინვე ფეიერბახის მიმდევრები გავხდით. მარქსის „წმინდა ოჯახიდან“ სწანს, თუ
როგორი ალტაცებით მიესალმა მარქსი ახალ შეხედულებას და რა ძლიერი გავლენა
მოახდინა მასზე ამ შეხედულებამ, მისი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის მიუხედა-
ვად“ „ფ. ენგელსი:“ „ლიუდვიგ ფეიერბახი“).

„როდესაც შევეჩვიე პეგელის ენას და დავეუფლე მის მეტრას, და-
ვინახე, რომ პეგელი გაცილებით უფრო ახლოა ჩვენს შეხედულებასთან,
ვიდრე თავისი მიმდევრების შეხედულებასთან; ასეთია იგი პირველ
თხზულებებში, ასეთია ყველგან, სადაც მისი გენია ხერხეულდება ლა-
გამს და მიჰქონდა წინ, ავიწყდებოდა რა „ბრადენბურგის ალაყაფი“.

პეგელის ფილოსოფია რევოლუციის ალგებრაა, იგი არაჩვეულებრი-
ვად ანთავისუფლებს ადამიანს და ქვას ქვაზე არ სტოვებს ქრისტიანულ
სამყაროსაგან, იმ გადმოცემათა სამყაროსაგან, რომელთაც თავიანთი დრო
მოჰქამეს. მაგრამ იგი, შესაძლებელია, განზრახ იყოს ფორმულირებული
ცუდად“).

ამ ბრწყინვალე დახასიათებასთან ერთად — რაიც მაშინვე მოს-
წრებულ სიტყვად გადაიქცა, გერცენს არ გამოეპარა დიდი მოახროვ-
ნის ენციკლოპედიური ფილოსოფიის ორაზროვანობა, წინააღმდეგობა,
არათანმიმდევრობა. რასაკვირველია, გერცენი ვერ ავიდა იმ სიმაღლეზე,
რომ პეგელის ფილოსოფიის ორაზროვნებისა და წინააღმდეგობის სოციო-
ლურ — კლასობრივი მიზეზები დაენახა. მაგრამ იგი ნათლად ხედავდა
ამ სისტემაში არსებულ წინააღმდეგობას და აქედან თავისი დასკვნა გა-
მოჰყავდა. მან შეიკნო და აღნიშნა, რომ პეგელმა ბოლომდის არ მიიყვანა
თავისი რევოლუციური პრინციპები, რომ, პირიქით, ამ პრინციპებიდან
მან მეტად სამარცხენო და რეაქციური დასკვნები გამოიყვანა. იგი აღ-
ნიშნავს, რომ პეგელი განყენებულ იდეათა წრეში ტრიალებდა, რათა არ
„შეხებოდა პრაქტიკულ საკითხებს“.

„პეგელიც: — აღნიშნავს გერცენი, — მიუხედავად თავისი გენიის
მთელი სიძლიერისა და სიდიადისა, ადამიანი იყო; მან განიცადა პანი-
კური შიში უბრალოდ გამოთქმის წინაშე იმ ეპოქაში, რომელიც ლაპა-
რაკობდა დამტვრეული ენით, ისევე, როგორც ეშინოდა თავისი დებუ-
ლებების უკანასკნელ დასკვნამდე მოყვანისა. მას არ ეყო თანმიმდევ-
რობის გმირობა და თავდადება ჭეშმარიტების მიღებაში მთელი მისი
სიფართოვით და რადაც არ უნდა დამჯდარიყო იგი... პეგელი ხედავდა,
რომ ბევრი¹⁾ რამ, რაც საერთოდ მიღებულია, უნდა გაიწიროს: მას ენა-
ნებოდა დაკვრა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მას არ შეეძლო არ გამოეთქვა
ის, რის გამოსათქმელადაც მოწოდებული იყო. ხშირად პეგელს გამოჰ-
ყავს დებულება, მაგრამ ეშინიან გამოტყდეს ყველა იქიდან გამომდი-
ნარე დასკვნებში და ექმბს არა უბრალო ბუნებრივ, თავისთავად
გამომდინარე შედეგს, არამედ იმას, რომ იგი კეთილგანწყობილებაში
იყოს არსებულთან; განვითარება უფრო რთული ხდება, გასაგებობა ბუნ-
დოვანდება... ამას დაეუმატოთ სკოლის ენით ლაპარაკის ის ცუდი ჩვე-
ულება, რომელიც მას უნებურად უნდა შეეძინა მთელი სიცოცხლის გან-
მავლობაში გერმანულ სწავლულებთან ლაპარაკის დროს. მაგრამ მისი

¹⁾ იქვე, გვ. 16.

მძლავრი გენია აქაც თავს იჩენს მთელი თავისი ბუმბერაზი სიდიადით. დახლართული პერიოდების გვერდით უცებ ერთი სიკვდილით არგლივ ელვასავით ანათებს უსაზღვრო სივრცეს და თქვენი სული კიდევ დიდხანს კრთის ამ სიტყვის ქუბილისებური გრგვინისაგან. მანამდე მთქმელისადმი მოწიწების გრძობით ივსება. არ ესაყვედრებო, მისი ღიად მოაზროვნეს, არავის შეუძლია თავის საუკუნეზე იმდენად მალა დადგეს, რომ სრულიად ვასცილდეს მას, და თუ თანამედროვე თაობა უფრო სადად ლაპარაკობს და მისი ხელი უფრო გაბედულად გადახდის იზიდას ფარდას. ეს სწორედ იმიტომ, რომ ჰეგელის თვალსაზრისი მას წინ უძღოდა, მისთვის დამარცხებული იყო¹⁾.

ჰეგელის არათანმიმდევრობაზე ნათელ მითითებასთან ერთად, მის ფილოსოფიაში არსებული ხელოვნური და არამეცნიერული კონსტრუქციების აღნიშვნასთან ერთად, გერცენის მახვილი გონება ხედავდა და გადაჭრით ხაზს უსვამდა, რომ დიდი ფილოსოფოსის უმთავრესი და გამამწყვეტი ღვაწლი მდგომარეობს თავისი მეთოდის — დიალექტიკური მეთოდის გამომუშავებაში.

„ჩვენს დროში, — სწერს იგი, — ჰეგელის ღვაწლი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მან მეცნიერება ისე განსახიერა მეთოდში, რომ საკმარისია გაიგოთ მისი მეთოდი, რომ თითქმის სრულიად დაგავიწყდეთ მისი პიროვნება, რომელიც ხშირად, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ამტკიცებს თავის გერმანულ ფიზიონომიას და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის მუნდირს, და ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას ამგვარ პირად საქციელსა და იმ წრეს შორის, რომელშიაც ეს ხდება.“²⁾ მაგრამ ჰეგელის ნაწერებში პირად აზრთა ეს გამოვლენა იმდენად უმნიშვნელო და უადგილოა, რომ არაინ (წესიერ ადამიანთაგანი) არ ჩერდება მათს წინაშე, ხოლო მისივე მეთოდით თავში ურტყამენ იმ დასკვნებს, სადაც იგი წარმოადგენს არა მეცნიერების ორგანოს, არამედ ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია განთავისუფლდეს წერილმანისაგან და დროებითი ურთიერთობის აბლაბუდისაგან. მის დებულებებიდან გაბედულად მიდიან მის არათანმიმდევრობის წინააღმდეგ, მტკიცე შეგნებით, რომ მიდიან მის კვალზე და არა მის წინააღმდეგ.

გერცენი პირველი მიხვდა ბატონყმურ რუსეთში, რომ პრუსიის ოფიციალური ფილოსოფოსის „დახლართულ პერიოდებში“ და „პედანტურად ბუნდოვან სიტყვებში“ რევოლუცია იმალებოდა. იგი მიხვდა, რომ მთავარი და ცოცხალი ჰეგელის ფილოსოფიაში — ეს მისი მეთოდია. მისი დიალექტიკა და რომ ეს დიალექტიკა მისი მხატვრული გამოთქმისათანავე რევოლუციის აღებრას წარმოადგენს.

გერცენის მიხედვით, ჰეგელის სიდიადე მდგომარეობს იმაში, რომ, მან თავისი დიალექტიკური ფილოსოფიით გადალახა დუალიზმი, მაგრამ

¹⁾ ტ. III, გვ. 210-211.

²⁾ Герцен, ტ. IV, 1913, გვ. 243 — 244.

დუალიზმი მან დაამარცხა „მხოლოდ თეორიულად, საქმიანი დასტოვა იგი“ (წერილი ოგარიოვს, დაწერილი 1845 წ. 1-13 ნაბიჯი). ამრიგად, გერცენის მიხედვით, ძირითადი დუალიზმი უკიდურესად მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის, ფილოსოფიასა და მისი მდგომარეობის შორის — ვერ იქნა გადალახული ქეგელის მიერაც, იგი შერჩა ქეგელსაც. ამაში დამნაშავეა ქეგელის იდეალიზმი, მისი განზრახ წასვლა პრაქტიკულ სფეროდან და ის, რომ იგი ამჯობინებდა განყენებულ იდეათა სფეროში ფრენას. მაგრამ, რაც უნდა ნათლად დაენახა გერცენს ქეგელის არათანმიმდევრობა, იგი ხალისით გამოდიოდა დიდი ფილოსოფოსის დამცველის როლში. გერცენის მიხედვით, ქეგელის დამსახურება, რომელსაც შეუძლია გამოისყიდოს ყველა მისი არათანმიმდევრობა, მდგომარეობს იმაში, რომ თეორიული აზროვნება მან მიიყვანა იმ ზღვრულამდე, რომ „წინადადებული ყოველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ნაბიჯი პრაქტიკულ სფეროებში“. ეს უდიდესი დამსახურებაა.

„მესამე წერილში, — მოგვაგონებს გერცენი, — ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ქეგელი ხშირად არათანმიმდევარი იყო თავისი დებულებებისა. არავის არ შეუძლიან თავის დროზე მალა დადგეს. მისი სახით მეცნიერებას უდიდესი წარმომადგენელი ჰყავდა; მიიყვანა რა მეცნიერება უკიდურეს წერტილამდე, ქეგელმა, შეიძლება უნებურადაც, მძლავრად ჩასცა ლახვარი მის ძლიერებას, როგორც განსაკუთრებულს, რადგან ყოველი წინადადებული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ნაბიჯი პრაქტიკულ სფეროებში. პირადად მას სჭარბობდა ცოდნა და ამიტომ მან ეს ნაბიჯი არ გადადგა. გერმანული რეფორმაციული სამყაროსათვის მეცნიერება წარმომადგენდა იმასვე, რასაც ხელოვნება ელითურისათვის. მაგრამ არც ხელოვნებას, არც მეცნიერებას თავის განსაკუთრებულებაში არ შეეძლო ყოფილიყო სრულ დამშვიდებად და ყველა მოთხოვნის პასუხად. ხელოვნებამ წარმოიდგინა, მეცნიერებამ შეიგნო. ახალი საუკუნე მოითხოვს გავების მოხდენას (совершить понятие) ამბავთა ნამდვილ სამყაროში. ქეგელის გენიალური ბუნება განუწყვეტლივ ამსხვრევდა იმ ზორცილებს, რომლებსაც ადებდნენ მას დროის სული. აღზრდა, ჩვეულება, ცხოვრების პირობები, პროფესორის წოდება. ნახეთ, როგორ დიდებულად იშლება მისი სამართლის ფილოსოფია! ჩვენ განზრახული გვაქვს, ვაჩვენოთ არა ფრაზა, არა გამოთქმა, არამედ ნამდვილი შინაგანი აზრი, წიგნის სული“.)

მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან, დუალიზმის გადალახვაში ხელავედა გერცენი თავისი ეპოქის ამოცანას. ამ პრობლემის გადაწყვეტა, გერცენის აზრით, მოასწავებდა კლასიკური ფილოსოფიის დამამთავრებლის მოძღვრების წრიდან გამოსვლას და ამასთან ერთად მისი რევოლუციური პრინციპების გაგრძელებას. და ი

ამ ეპოქალური ამოცანის გადაწყვეტა დაისახა მიზნად ჩვენმა მოაზროვნემ.

პრაქტიკულ-პოლიტიკური ორიენტაცია დამახასიათებელია აქლე-და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გერცენის წრეს. პრობლემის „გადასჭრა“ — თუ „რომელი რგოლია ჩვენი საუკუნე წარსულსა და მომავალს შორის“ — დაისახა მან ვლადიმირის გადასახლებაში გაძლიერებული მოფიჭრების საგნად. იქ გადასწყვეტა მან, დისერტაციის საგნად გაეხადა ამ საკითხის გადაჭრა. მისი აზრები ბევრში გამოეხმაურნენ პოლონელი ჰეგელიანელის ცემკოვსკის აზრებს. ეხლა, ჰეგელის ფილოსოფიასთან და მის მემარცხენე კრიტიკოსთან — მატერიალისტ ფეიერბახთან უფრო საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ, მისთვის ძირითად მოთხოვნად ზდება თეორიასა და სინამდვილეს შორის არსებული დუალიზმის გადალახვა. ამას მიეძღვნა საესეებით ჩვენი მოაზროვნის გაცხოველებული საინტერესო თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა.

ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ პრობლემის ნამდვილი მეცნიერული გადაჭრა გერცენმა ვერ შესძლო. იგი გადასჭრეს მეცნიერული კომუნიზმის გენიალურმა ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მაგრამ მეტად შესანიშნავი და საინტერესოა ის გზა, რომელიც დასახა გერცენმა. აქ სავესებით აშკარავდება გერცენის, როგორც მოაზროვნისა და რევოლუციონერის, ენერგიული და მომქმედი ბუნება.

ზემოაღნიშნული დუალიზმის გადალახვა, გერცენის კატეგორიული აზრით, ხორციელდება მხოლოდ აქტიური მოქმედებით. ქმედობა თეორიისა და პრაქტიკის ცოცხალი მთლიანობაა. იგი ფილოსოფიის განხორციელების ნამდვილი საფუძველი და გასაღებია. აი ამ პრაქტიკულ მოღვაწეობისაკენ მოუწოდებს გერცენი და ასაბუთებს მის აუცილებლობას.

საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო აღვადგინოთ ზოგიერთი მთავარი ადგილი:

„...სრული სიმშვიდე ქმედობაშია“. „ქმედობა თეორიისა და პრაქტიკის ცოცხალი მთლიანობაა“, — სთქვა ორი ათასი წლის წინათ უძველესი დროის უდიდესმა მოაზროვნემ (არისტოტელმა). ქმედობაში გონება და გული ჩაინთქნენ ამოქმედების მიერ, ამბავთა სამყაროში შეასრულეს შესაძლებლობაში მყოფი. სამყარო, ისტორია — განა მარად ქმედობა. არ არის? გონიერ, ზნეობრივად თავისუფალსა და ფიცხელ-ენერგიულ ქმედობაში ადამიანი აღწევს თავისი პიროვნების სინამდვილეს და უკვდავყოფს თავის თავს ამბავთა სამყაროში. ასეთ ქმედობაში ადამიანი მარადიულია დროულობაში, დაუსრულებელია დაბოლოვებულში, გვარისა და თავისი თავის წარმომადგენელია, თავისი ეპოქის ცოცხალი და შეგნებული ორგანოა“¹⁾.

¹⁾ იბმე, გვ. 218.

„მაგრამ ადამიანი, — განაგრძობს გერცენი, — მოწოდებულია არა მარტო ლოგიკაში, არამედ სოციალურ-ისტორიულ, ^{სწავლობივად} თავისუფალ და დადებითად მოქმედ სამყაროშიც. მას მარტო განდგომითი ვაგებების ნიჭი როდი აქვს, მას აქვს ნებისყოფაც, რომელიც შეძლება ეუწოდოთ დადებითი გონება, შემომქმედი გონება; ადამიანს არ შეუძლია უარი სთქვას ადამიანის იმ ქმედობაში მონაწილეობაზე, რომელიც მის მახლობლად ხდება; იგი უნდა მოქმედებდეს თავის ადგილას, თავის დროში, — ამაშია მისი ყოველმხრივი ცნობა, ეს არის მისი *conditio Sine qua nou*. პიროვნება, რომელიც მეცნიერებიდან გამოვა, აღარ ეკუთნის აღარც კერძო ცხოვრებას, აღარც განსაკუთრებით საყოველთაო სფეროებს; მასში შეთავსდა კერძო და ზოგადი სამოქალაქო პიროვნების ერთეულობაში. მეცნიერებაში შერიგების შემდეგ მას სწყურია შერიგება ცხოვრებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა ზნეობრივი ნებისყოფის შემოქმედებითად ამოქმედება ყველა პრაქტიკულ სფეროში“¹⁾.

„აზრმა უნდა ხორცი შეისხას, უნდა ჩავიდეს ცხოვრების ორომტრი-ალში, უნდა გადიხნას იმ დროებითი ყოფნის მთელი სიმშვენიერით და სილამაზით, ურომლისოდაც არ არსებობს ცხოველყოფელი, ფიცხელი, წარმტაცი ქმედება.“²⁾.

ამ სტრიქონების ავტორს ესმოდა, რომ მის მიერ დასაბუთებული პრინციპი ახალია, რომ მისი დასაბუთება ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

„გერმანიის ფილოსოფოსები, — აღნიშნავს იგი. — როგორღაც გრძნობდნენ, რომ ადამიანის მიზანი ქმედობაა და არა მეცნიერება. ეს იყო ხშირად გენიალური წინასწარმეტყველური არათანმიმდევრობა, რომელიც ძალით შეიჭრებოდა ხოლმე უენებო და მკაცრ ლოგიკურ ნაგებობაში. თვით ჰეგელმა გადაკერით უფრო სთქვა, ვიდრე განავითარა აზრი ქმედობის შესახებ. ეს მისი ეპოქის საქმე არ არის, — ეს მის მიერ შობილი ეპოქის საქმეა. ჰეგელი, გადაგვიშლის რა სულის სხვადასხვა დარგს, ლაპარაკობს ხელოვნების, მეცნიერების შესახებ და ივიწყებს პრაქტიკულ მოქმედებას, რომელიც ჩაწულა ისტორიის ყველა ამბავში“³⁾.

გერცენს არ შეეძლო პოვნა ისტორიული პროცესის ნამდვილი სუბიექტისა, პროლეტარიატისა, რომელიც თავის რევოლუციურ-პოლიტიკური პრაქტიკით ამზობს ექსპლოატატორებს, ამყარებს თავის კლასობრივ დიქტატურას, აღადგენს თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობას და აშენებს უკლასო კომუნისტურ საზოგადოებას. მან მხოლოდ თავისი სიცოცხლის ბოლოს მიაპყრო თვალი პროლეტარიატის და მის პირველ ნამდვილად რევოლუციურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას — ინტერნაციონალს, რომელიც მარქსმა შექმნა.

¹⁾ იქვე, გვ. 222 — 223.

²⁾ იქვე, გვ. 222.

³⁾ იქვე, გვ. 220.

ასე რომ რაც უნდა მწვავედ დაეყენებინა გერცენს თეორიისა და ცხოვრებას შორის დუალიზმის გადალახვის საკითხი, მას არ შეეძლო ამ დიდი საკითხის სწორი გადაწყვეტა. ეს გააკეთეს მარქსმა და ენგელსმა თავიანთი მეცნიერული კომუნისმის თეორიით, რომლის მოვლინა¹⁾ გერცენმა მარქსისა და ენგელსის გენიისა, გაპირობებული იყო სათანადო, უფრო განვითარებული სოციალ-პოლიტიკური და კლასობრივი მდგომარეობით.

ბატონყმურ რუსეთში „გერცენი პირდაპირ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“ (ლენინი). ეს დიდი გმირობა იყო. ეს ათანასწორებდა მას „თავისი ღრობის უდიდეს მოაზროვნეებთან“. ამაშია მისი გონების სიდიადე. მაგრამ, შეჩერდა რა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე, მან ვერ გამონახა საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის გასაღები. ამ გარემოებამ მისი სოციალიზმი არამეცნიერული, უტოპიური სოციალიზმის პოზიციებზე დასტოვა. არსებითად მისი სოციალიზმი „ეს არ იყო სოციალიზმი, არამედ დიდად მშვენიერი ფრაზა, კეთილი ოცნება, რომელშიაც ახვევდა მაშინდელ რევოლუციურობას ბურჟუაზიული დემოკრატია და აგრეთვე მისი გავლენისაგან გაუთავისუფლებელი პროლეტარიატი“²⁾.

„გერცენი—მამამთავარია „რუსული“ სოციალიზმის, „ნაროდნიკობის“. გერცენი ხედავდა „სოციალიზმს“ გლეხების მიწით განთავისუფლებაში, სათემო მიწათმფლობელობაში და „მიწის უფლების“ გლეხურ იდეაში“³⁾.

ხსენებული „შეჩერება“ გერცენს პესიმიზმსა და სკეპტიციზმში ავდებდა. მან გერცენში გამოიწვია სულიერი კრაზი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მაგრამ გერცენისათვის სკეპტიციზმი არ იყო დემოკრატიიდან ლიბერალიზმზე გადასვლის ფორმა, როგორც ცდილობდნენ წარმოედგინათ ეს ლიბერალებს. მისთვის სკეპტიციზმი „იყო ფორმა „ზეკლასობრივი“ ბურჟუაზიული დემოკრატიაში ილუზიებიდან პროლეტარიატის შკაცრ, ურყევ, უძლეველ კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლისა“ (ლენინი).

ამხელდა რა გერცენის ლიბერალურ ინტერპრეტატორებს, ვ. ი. ლენინი იძლევა გერცენის სკეპტიციზმისა და პესიმიზმის არსისა და მიზეზების გენიალურ ანალიზს.

„გერცენის სულიერი კრაზი. — სწერს ლენინი, — მის ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ იყო ბურჟუაზიული ილუზიების კრაზი სოციალიზმში. გერცენის სულიერი დრამა შედგება და ანარეკლი იყო იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის, როდესაც ბურჟუაზიული დემოკრატის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა (ევროპაში). ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული“⁴⁾.

¹⁾ ვ. ი. ლენინი: „გერცენის ხსოვნას“, ტ. XV, გვ. 576

²⁾ იქვე, გვ. 577.

³⁾ იქვე, გვ. 576.

პოლიტიკურ ბრძოლაში გერცენი მუდამ თანმიმდევრად იყო, იგი ზოგჯერ უკან იხედდა დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ, რუსთვისაც სამართლიანად უსაყვედურებდნენ დიდი რევოლუციონერები, მაგრამ სწორედ ამიტომ — ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი. მაგრამ სწორედ ამიტომ — ხოვს, ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ გერცენის ყოველგვარი მერყეობასთან ერთად „დემოკრატიზმი მაინც იმარჯვებდა მასში“ (ლენინი).

„გერცენის დანაშაული კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო ენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში, ორმოციან წლებში. როდესაც მან დაინახა იგი 60-იან წლებში, ის უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეს ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ის იბრძოდა ხალხის გასამარჯვებლად ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის შემამულეთა მეფესთან შესათანხმებლად. მან რევოლუციის დროშა აღმართა“¹⁾.

პეგელის ფილოსოფიის გერცენისეული ინტერპრეტაცია და საერთოდ ფილოსოფიის წინაშე მის მიერ დასმული ამოცანა გერცენს აშკარა და შეურიგებელ წინააღმდეგობაში აყენებდა ფორმალისტებისა და მემარჯვენე პეგელიანელების რეაქციურობასთან. იგი მკვახედ და სარკასტულად ესხმოდა მათ თავს. მისი სიტყვით ისინი (ფორმალისტები, მემარჯვენე პეგელიანელები) ცდილობდნენ გადააქციონ პეგელი მშრალ ლოგიკოსად, მკვდარ ძვლად და სქოლასტად. ვინ ისწრაფის, პეგელის ცოცხალი, ყველაფრის შემცველი მოძღვრება აქციოს სქოლასტად, უსიცოცხლო საშინელ ჩონჩხად? — კითხულობს გერცენი და უპასუხებს: ბერლინელი პროფესორებიო. მას მხედველობაში ჰყავდა მემარჯვენე პეგელიანელების ოფიციალური წარმომადგენელი. „პეგელი. — ამბობს გერცენი, — სადაც კი შეეძლო, ითხოვდა, იხეწებოდა მორიდებოდნენ ფორმალიზმს ამტკიცებდა, რომ ყოვლად ჭეშმარიტი განსაზღვრა, სიტყვა-სიტყვით აღებული, უბედურებამდე მიგიყვანსო; ბოლოს ილანძღებოდა, მაგრამ არაფერმა არ უშველა“²⁾.

გერცენი აღნიშნავს, რომ მემარჯვენე პეგელიანელები და ფორმალისტები განაგრძობენ პეგელის ფორმით გამოსვლას და ამახინჯებენ მის ფილოსოფიას. მათთვის გერცენს ერთი სახელი აქვს — ახალი მეცნიერების ტალმუდისტები. ისინი ბუდისტები არიან, რომელნიც ასოს ებლაუჭებიან და ცოცხალ სულს ჰკლავენ. ისინი შედიან აბსტრაქციის ჩამოზნელებულ ბურჟუსში, რომ უგულვებელჰყონ ცოცხალი სინამდვილე, დააზრონ ცხოვრების ცოცხალი ჩუხჩუხი. ისინი ამახინჯებენ დიალექტიკას, ისინი აქტიური კმედებადობის მოსისხლე მტრები არიან, უმოქმედობისა და სამარისებური სიმშვიდის მქადაგებელი, საზიზლარი სინამდვილის დამცველი, არაგულწრფელი, მეცნიერების მანებლები, ფაქტების უგულვ-

¹⁾ იქვე, გვ. 581.

²⁾ Герцен, т. III, гл. 224.

ბელმყოფნი და სხვა. ასეთია ფილოსოფიის რეაქციონერთა და ჰეგელის მემარჯვენე კრიტიკოსთა გერცენისეული დახასიათება.

„აიღეს რა მხოლოდ ასოები, მხოლოდ სიტყვები. — აქასეთებს გერცენი ფორმალისტებს და ჰეგელის მემარჯვენე კრიტიკოსებს. — აქასეთებს დაახშეს ყოველგვარი სიბრაღული, ყოველგვარი თბილი თანაგრძნობა. ისინი ვანზრახ, ძალით ავიდნენ ყოველივე ადამიანურისადმი გულგრილობის წერტილზე, მიაჩნიათ რა იგი ქეშმარიტ სიმაღლედ; მათ მუდამ არ დაეჯერებათ, რომ ისინი უგულონი არიან, ისინი ხშირად ასეთებმად ასალებენ თავს... ფორმალურ გადაჭრას ისინი მუდამ და ყოველგან ნამდვილ გადაჭრად იღებენ. მათ ეჩვენებოდათ, რომ პიროვნება ცუდი ჩვეულებაა, რომელსაც დროა ჩამოეშორდეთ, ისინი ქადაგებდნენ შერიგებას თანამედროვე ცხოვრების ყოველ ბნელ მხარესთან და ყოველივე შემთხვევითს, ყოველდღიურს, დრომოკმულს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი ქუჩაში გვხვდება. უწოდებდნენ ნ ა მ დ ე ვ ი ლ ს და, მაშასადამე, ცნობის უფლების მქონეს. ასე გაიგეს მათ ის დიადი აზრი, „რომ ყოველივე ნამდვილი გონიერია“. ყოველ კეთილშობილ მისწრაფებას ისინი აკრავდნენ სამარცხვინო სახელს „Shönseeligkeit (შშეენიერი სული). მათ ვერ შეეთვისებინათ ის აზრი, რომლითაც ნახმარი იყო ეს სიტყვა მათი მასწავლებლის მიერ. მათ სწორედ მისი ფრაზები ამოგლიჯეს, სწორედ ისინი გაიგეს სიტყვა-სიტყვით. მათ არ შეუძლიანთ შეეჩვივნენ ქეშმარიტების მარადიულ მოძრაობას, არ შეუძლიანთ ერთხელ და საბოლოოდ სცნონ, რომ ყოველგვარი დებულება უარყოფაა უმაღლესის სასარგებლოდ და რომ მხოლოდ ამ დებულებათა შემდგომ თანმიმდევრობაში, ქიდილსა და მოხსნაში, იკაფავს გზას ცოცხალი ქეშმარიტება, რომ მისი გველური ქერქი, რომლიდანაც ის გამოდის, უფრო და უფრო თავისუფალია“¹⁾.

¹⁾ იქვე გვ. 224.

„ფორმალისტებმა თვითონვე მიიღეს ყინულის ხასიათი და საშინელი ზიანი მიაცენეს მეცნიერებას, ლაბარაკობდნენ რა მათი ერთ და გამოსთქვამდნენ რა თავიანთ უღმობელ განაჩენებს, რომელთაც პოლიარული სიცივე გადაჰკრავთ; მათ სიტყვების მთელი ბრწყინვა ყინულის ბრწყინვაა, წყლოვანი, მკვდარი, რომელზედაც მზის სხივი მოცოცავს, მაგრამ არ ათბობს, რომელიც უფრო ადრე მოისპობა, ეიდრესითბოს მიიღებდეს“ (იქვე გვ. 223).

„მათი (ფორმალისტების) განუჯერებლად საშინელი მდგომარეობა მდგომარეობს ამ უკიდურეს კმაყოფილებაში; ისინი ყველაფერს შეუბრუნდნენ; მათი გამოხედვა გამოხატავს სიმშვიდეს, ცოტა შუშის მსგავსს, მაგრამ შიგნიდან აღუშფოთებელს; მათ დარჩენიანთ, მოსიყვანონ და დასტკბნენ, ხოლო ყველაფერი გაკეთებულია ან თავის თავად გაკეთდება... ფაქტებით მათ ვერ დააბნევ, ისინი უგულვებელყოფენ მათ. ჰკითხეთ მათ, რად არის, რომ ყოფნის ამ აბსოლუტური ფორმის დროს მანჩესტერში და ბირმინგამში მუშები შიშშილით იხოცებიან ან იკეებებიან იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ ძალღონე არ დაკარგონ. ისინი იტყვიან, რომ ეს შემთხვევითია. ჰკითხეთ მათ, როგორ მიაკრებენ ხოლმე სიტყვას „აბსოლუტურად“ განვითარების პროცესში მყოფ ამბებს და სფეროებს, რომელნიც თავიანთი მოძრაობით წინ თავიანთ არააბსოლუტურობას ამტკიცებენ. „ასეა ნათქვამი ამა და ამ პარაგრაფში“. მათთვის

პეგელის ეს ენერგიული დაცვა „ახალი მეცნიერების ტარაშისტიზმისაგან“ არა ჰფარავს გერცენისაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ფილოსოფიის იდეალიზმს იგი აკრიტიკებს პეგელს. აღნიშნულ წიგნში პეგელის ნაწერებში ბუნება და ისტორია გამოყენებითს აღიარებენ, მაგრამ გერცენი თვით ლოგიკასაც აკრიტიკებს. ამ კრიტიკას იგი მატერიალიზმის პოზიციებიდან აწარმოებს (რასაკვირველია, არა დიალექტიკურიდან). ეს კრიტიკა გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, გასცილდა პეგელს და ფეიერბახთან ერთად მატერიალიზმს მიაშურა. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ გრძელი ამონაწერი 1844 წელს დაწერილ წერილიდან „იდეალიზმი და ემპირია“, რომელსაც ესოდენ მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი:

„პეგელმა გვიჩვენა საზღვარი, — სწერს გერცენი, — რომლის იქითაც გერმანული მეცნიერება არ წავა; მისი მოძღვრება აშკარად შეიცავს გამოსავალს არა მარტო მისგან, არამედ საერთოდ დუალიზმისა და მეტაფიზიკისაგანაც. ეს იყო წმინდა აზროვნების უკანასკნელი, ყველაზე უფრო მძლავრი ცდა, იმდენად ერთგული ქვეშაირიტებისადმი და რეალიზმით აღსავსე, რომ, თავის და საწინააღმდეგოდ, იგი ვახუწყვეტლივ და ყველგან ნამდვილ აზროვნებისაკენ იხრებოდა. ზუსტი მოხაზულობა, ენციკლოპედიის გრანიტოვანი საფეხურები არა ზღუდავენ; შინაარს, რადგან ხომალდის ზღრუბლი არ უშლის თვალს ჩაიძიროს ზღვის დაუსრულებლობაში. მართალია, პეგელის ლოგიკა ინარჩუნებს თავის პრეტენზიას ხელშეუხებელ ძალაუფლებაზე სხვა სფეროებისადმი, მთლიან, ყველასათვის საკმაო სისრულეზე; იგი თითქოს ივიწყებს, რომ ლოგიკა სწორედ იმიტომ არ არის ცხოვრების სისრულე, რომ მან იგი დაამარცხა თავისში, რომ იგი განერიდა დროებითს; იგი განყენებულია იმიტომ, რომ მასში შევიდა მხოლოდ მარადიული, იგი განყენებულია იმიტომ, რომ აბსოლუტურია, იგი ყოფნის ცოდნაა და არა ყოფნა. იგი მასზე მალა სდგას და ამაშია მისი ცალმხრივობა. ბუნებას რომ ეკმარებოდეს, იცოდეს, თუ ხანდისან როგორ გამოუსხლტება ხოლმე პეგელს, მაშინ მივიდოდა რა თვითშეგნებამდე, მოიხსნიდა თავის ყოფნას, არაფრად ჩააგეებდა მას; მაგრამ ყოფნა მისთვის ისევე ძვირფასია, როგორც ცოდნა; მას შეუძლია ცხოვრება, ხოლო ცხოვრება შეიძლება მხოლოდ დროებითს ვაკხიურ ტრიალში; საყოველთაობის სფეროში ცხოვრების ხმაური და შეხვეება დადუმდა; კაცობრიობის გენია მერყეობს ამ წინააღმდეგობათა შორის; მას ხარონის მსგავსად განუწყვეტლივ გადაჰყავს დროებითი

ესეც დამამტკიცებელი საბუთია, ხოლო რა აზრით იარის მიღებული სიტყვა ამ პარაგრაფში, ამაზე შრომის ვაწვევაც არა ღირს. ფორმალისტების თვალის აბლა მწვლია; ისინი გადაჭრით, როგორც ბუდისტები, მკვდარ მოსპობას დაუსრულებლობაში თავისუფლებად და ამიხნად აღიარებენ და რაც უფრო მალა აღიან განყენებათა ყინვიან სფეროებში და შორდებათ ყოველივე ცოცხალს, მით უფრო დამშვიდებულად გრძნობენ თავს“ (იქვე, გვ. 226, 227).

საენედან მარადიულში; ეს გადაყვანა, ეს მერყეობა ისტორიისა და სწორედ ამაშია საქმე და სრულიადაც არა იმაში, რომ გადასხედო მხარეზე და იცხოვრო წმინდა აზროვნების განყენებულ და საყოველთაო სფეროებში... მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მოვა, იგულისხმობს ისევე, როგორც ლეიბნიცი, ყოველივე დროებითს, ყოველრეალურს უმსხვერპლებს აზრსა და სულს; იდეალიზმი, რომლითაც აღზრდილი იყო ის, რომელიც მან დედის რძესთან ერთად შეიწოვა, ჰფარავს მას ცალმხრივობაში, რომელიც თითონ მან დასაჯა; და იგი ცდილობს სულით, ლოგიკით ჩაახშოს ბუნება; თავისი ყოველი კერძო ნაწარმოები მზად არის მოჩვენებად ჩასთვალოს, ყოველ მოვლენას მედიდურად ზევიდან დახედოს.

ჰეგელი განყენებულ სფეროებიდან იწყებს იმიტომ, რომ კონკრეტულ სფეროებამდე ჩავიდეს, მაგრამ განყენებული სფეროები გულისხმობენ კონკრეტულს, რომელთაგანაც ისინი განყენებული არიან... მაგრამ ჰეგელს უნდოდა ბუნება და ისტორია, როგორც გამოყენებითი ლოგიკა და არა ლოგიკა, როგორც ბუნებისა და ისტორიის განყენებული ვონებრივობა. აი მიზეზი იმისა, თუ რატომ დარჩა ემპირიული მეცნიერება ისევე გულგრილი და ყრუ ჰეგელის ენციკლოპედიისადმი, როგორც შელინგის დისერტაციებისადმი. შეუძლებელია უარყოფა იმ საცოდავი ემპირიკოსების ღრმა აზრისა და სწორი შეხედულებისა, რომელთაც ასე თავალებით დასცინოდა იდეალიზმი. ემპირია იყო აშკარა პროტესტი, ხმამაღალი მტკიცება იდეალიზმის წინააღმდეგ; იგი ასეთადაც დარჩა; რაც უნდა გაეკეთებინა იდეალიზმს, ემპირია გამოსახავდა მას... ეჭვს გარეშეა, ჰეგელმა აზროვნება იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მის შემდეგ შეუძლებელია ნაბიჯის გადადგმა, რათა იდეალიზმი საესებით არ მოიტოვო უკან. მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგმულა და ემპირიზმი გულგრილად ელის მას; სამაგიეროდ თუ ეღირსა ამ დროს, მაშინ ნახეთ, რა ახალი ცხოვრება დაუვლის ადამიანის ცოდნის ყველა განყენებულ სფეროს. ემპირიზმი სპილოსავით წელა მიაბიჯებს წინ, სამაგიეროდ კარგად ადგამს ფეხს.¹⁾

III

1843 წელს გერცენი დაბრუნდა მოსკოვში მეორე-ნოვეგოროდის გადასახლებიდან. იქ დაბედა გამწვავებული ბრძოლა სლავოფილებსა და „ზაპადნიკების“ შორის. გერცენს, რომელმაც არა თუ საფუძვლიანად შეისწავლა ჰეგელი, არამედ, მისი ფილოსოფიის დადებითი მხარეების ათვისებასთან ერთად, მატერიალიზმის მხარეზედაც გადავიდა, შეუძლო ფილოსოფიური ბრძოლა ყველაზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგებთან და ამასთან გამარჯვების საფუძვლიანი იმედიც ჰქონდა.

¹⁾ Герцен, т. IV, 1913, стр. 186 — 188.

და აი ბრძოლისათვის გამზადებულმა გერცენმა არ დაელოდა მიემართა თავისი ბასრი პოლიტიკური მახვილი სლავოფილობა¹⁾ და მის მძლავრ წარმომადგენლების წინააღმდეგ. სლავოფილურმა პოლიტიკური დედაარსი ცნობილი იყო გერცენისათვის მისი წინააღმდეგ მისი ბრძოლის ყველა ეტაპზე²⁾. ამ ბრძოლას, რომელიც მეტად აინტერესებდა და იზიდავდა არა მარტო მთელ მოაზროვნე მოსკოვს, არამედ იმ ადამიანებსაც, რომელნიც არც თუ მაგდენად ერკვეოდნენ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრობლემებში. — უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ჩვენი ომით, — იგონებდა შემდეგში გერცენი, — ძალიან იყვნენ დაინტერესებული ლიტერატურული სალონები მოსკოვში. საერთოდ მოსკოვი იმ დროს შედიოდა გონებრივ ინტერესთა გამძაფრების ეპოქაში, როდესაც ლიტერატურული საკითხები, პოლიტიკური საკითხების შეუძლებლობის გამო, სასიცოცხლო საკითხებად იქცევიან.

კამათი განახლებოდა ხოლმე ყველა ლიტერატურულ და არალიტერატურულ საღამოზე, სადაც ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, ეს კი კვირაში ორჯერ-სამჯერ ხდებოდა. ორშაბათს ჩაადაეთან ვიკრიბებოდით, პარასკევს — სვერბევეთან, კვირას — ა. პ. ელაგინასთან.

¹⁾ „სლავოფილობა, — სწერს გერცენი თავის დღიურში 1842 წელს. — ყოველ დღე იფურჩქნება. აშკარა სიძულილი დასავლეთისადმი წარმოადგენს აშკარა სიძულილს კაცთა მოდგმის განვითარების მთელი პროცესისადმი, რადგან დასავლეთი, როგორც უძველესი ჰევენის მემკვიდრე, როგორც შედეგი მთელი მოძრაობისა და ყველა მოძრაობისა, კაცობრიობის წარსული და აწმყა... Or donc დასავლეთისადმი სიძულილთან და უგულვებელყოფასთან ერთად — სიძულილი და უგულვებელყოფა აზრის თავისუფლებისა, უფლებისა, ყველა გარანტიისა, მთელი ცივილიზაციისა! ამრიგად, სლავოფილები თავისთავად დგებიან მთავრობის მხარეზე და ამაზედაც არ ჩერდებიან, უფრო შორს მიდიან. მთავრობა ავიწროვებს უაზროდ; მას ჰყავს ჯიშუშები, რომელნიც სისულელეს მოახსენებენ, იგი სისულელისათვის უპაქებებს სასჯელით, გადასახლებით. მაგრამ მას არა ჰყავს იმდენად განათლებული ჯიშუშები, რომ უჩვენონ ყოველგვარი აზრი, რომელიც სულის თავისუფლებიდან არის ნათქვამი, რომ გაიგებოდეთ სწავლული წერილი, მიმართულება და სხვა. სლავოფილებმა ხელი მოჰკიდეს ამას. ბულგარინის საზიზღარი დაბეზლებანი არ შეურაცხყოფენ ადამიანს, იმიტომ რომ ბულგარინისაგან მეტი არაფერია მოსალოდნელი, მაგრამ „მოსკვიტანელთა“ დაბეზლება სევედის მომგვრელია. ბულგარინი ერთი გროშის გულისთვის მუშაობს. ეს ვაებატონები რწმენით მუშაობენ... რწმენა აშკარა დაბეზლების ნებას იძლევა, ნებას იძლევა დააბეზლოს პირნი და განუშხადოს მათ მტარვაღური სასჯელის ყველა უბედურება. მთავრობა, საბედნიეროდ უცოდინარია, არ კითხულობს ეურნალებს და არ იცის — რა შეუსაბამო აზრებს ჰქადაგებენ ისინი. ხოლო წიხაღმდეგის თქმა არ შეიძლება“ (ტ. III, გვ. 53).

თავისი ფილოსოფიური კამათის შესახებ გერცენმა თავის დღიურში ჩასწერა: „მე გამაზარა ამ კამათმა; ნაწილობრივ შემძლო მეცადა ჩემი ძალღონე, — ასეთ მებრძოლთან შეჭიდება ყოველგვარ სწავლებად ღირს, და ჩვენ განვმორდიო ისე, რომ თითოეული თავისაზე იდგა და იოტის ოდენა არაფერი დასმო“ (იქვე, გვ. 62).

კამათის მონაწილეთა გარდა, იმ ადამიანთა გარდა, რომელთაც თავიანთი აზრი ჰქონდათ, ამ საღამოებზე მოდიოდნენ მოხალისეებიც, მათ შორის ქალებიც კი, და ღამის ორ საათამდე ისხდნენ უჩუქუნუღან

როგორია ის ფილოსოფიური პრინციპები, რომლებსაც გვინდა გვინდონ სლავოფილობის საუკეთესო წარმომადგენელი და რომელთა წინააღმდეგაც ასე ენერგიულად იბრძოდა გერცენი?

გამოდიოდნენ რა შეღონგის მისტიურ მხარეებიდან და იყენებდნენ რა პეგელიანების რეაქციულ ელემენტებს, სლავოფილები ახდენდნენ გონების დისკრეტიზაციას და ყოველნაირად აღიდებდნენ მისტიკას, რელიგიას:

„მისი (ხომიაკოვის, სლავოფილების მეთაურის. — ა. ქ.) ფილოსოფიური კამათი, — ვადმოგვეცემს გერცენი, — მდგომარეობდა იმაში, რომ იგი უარყოფდა ქეშმარიტებაზედ გონებით მისვლის შესაძლებლობას. გონებას იგი ანიჭებდა ერთ ფორმალურ უნარს — სხვაგვარად მინაღებ, ნაწილობრივად გამზადებულ (ე. ი. გამოცხადებით მოცემულ, რწმენით მიღებულ) ჩინასახთა და მარცვალთა განვითარების უნარს. ხოლო თუ გონებას თავის თავს მიეანდობთ, იგი უდაბნოში ხეტიალით და კატეგორიების აშენებით შესძლებს თავისი კანონების გამოაშკარავებას, მაგრამ ვერასოდეს ვერ მისწვდება სულის ცნებას კერძო უკვდავების ცნებას“ 7).

გერცენი ასე აგვიწერს ხომიაკოვთან თავისი კამათის შინაარსს:

— „იციი რა, — სთქვა მან უცებ, თითქოს ახალმა აზრმა თვითონ გააოცაო, — არა მარტო გონებით არის შეუძლებელი იმ გონიერ სულამდე მისვლა, რომელიც ვითარდება ბუნებაში, არამედ ვერ მიხვალ იქამდისაც, რომ ვაიგო ბუნება, როგორც უბრალო განუწყვეტელი დუღილი, რომელსაც არა აქვს მიზანი და რომელსაც შეუძლია განგრძობა და გაჩერებაც. და თუ ასეა, მაშინ თქვენ ვერ დაამტკიცებთ იმასაც, რომ ისტორია არ შესწყდება ხვალ, არ დაიღუპება ადამიანთა მოდგმასთან ერთად, პლანეტასთან ერთად.“

— მე არც მოთქვამს, — ვუბასუხე მე, — რომ ვკისრულობ ამის დამტკიცებას; ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ეგ შეუძლებელია.

— როგორ? — სთქვა გაოცებულმა ხომიაკოვმა, — თქვენ შეგიძლიანთ მიიღოთ მძვინვარე იმანენციის ეს საშინელი შედეგები და თქვენს სულში არაფერი არ აღშფოთდება?

— შემიძლიან, რადგან გონების დასკვნა დამოუკიდებელია იმისაგან, სასურველია ჩემთვის იგი თუ არა.

— თქვენ, ყოველ შემთხვევაში, თანმიმდევარი ხართ; მაგრამ, როგორ უნდა იღრძოს ადამიანმა სული, რომ შეურიგდეს ჩვენი მეცნიერების ამ სამწუხარო დასკვნებს და შეეჩვიოს მათ?

7) ა. ი. გერცენი: თხზ. კრებ., ტ. XIII, გვ. 138 და 142.

8) ტ. XII, გვ. 143.

— დამიმტკიცეთ, რომ თქვენი არამეცნიერება უფრო მეტმართიოა და მე მივიღებ მას გულახდილად და უშიშრად, საღმრთისაგან არ უნდა მიმიყვანოს მან, თუნდაც ივერიის ღვთისმშობლამდე.

— მაგისათვის საჭიროა რწმენა.

— მაგრამ, ალექსეი სტეფანეს-ძვე, თქვენ ხომ იცით, რომ „არ არის“ არ არის — არ არის“¹⁾).

ფეიერბახის დაკვალად მატერიალიზმზე გადასვლამ და აქედან გამომდინარე რევოლუციურ-პოლიტიკურმა დასკვნებმა გახადეს გერცენი რეაქციური სლავოფილების მოწინააღმდეგე; უფრო მეტიც: ბელისსკისთან კავშირში იგი წინააღმდეგა თავისი „ზაპადნიკების“ წრის ზოგიერთ წევრებსაც კი²⁾. ეს წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად წრის წევრთა ერთმანეთისადმი დიდი სიყვარულისა, დამთავრდა წრის გაყოფით ორ ფრთად — მემარცხენე (რევოლუციურ-დემოკრატიულ) და მემარჯვენე (ბურჟუაზიულ-ლიბერალურ) ფრთად. პირველს სათავეში ედგა გერცენთან ერთად ბელინსკი, მეორეს — გრანოვსკი. იდეალისტი გრანოვსკი ვერ შერიგებოდა გერცენის მატერიალიზმისა და ათეიზმის ენერგიულ ჭადაგებას. მისთვის მეტად ძვირფასი იყო იდეალიზმი, პირადი უკვდავების იდეა. მაგრამ ამის დათმობა არც ერთი წუთით არ შეეძლო არც გერცენს და არც ბელინსკის.

თუ პირველხანებში გერცენს შეეძლო სიცილი და მხოლოდ ვახუშტისა და იმ კ. გ. რედკინის მალორიოსიულ ახირებულებაზე, რომელიც ცდილობდა პირადი სულის ლოგიკური აგების გამოყვანას, უფრო მოგვიანებით მან მწუხარებით შენიშნა და დარწმუნდა, რომ მისი მეგობრების უმეტესობა — არსებითად ეთანხმებოდა რედკინს³⁾.

რახომ დიდიც არ უნდა ყოფილიყო ამ აღმოჩენით გამოწვეული მწუხარება, მას არ შეეძლო გამოეწვია შერიგება ან მიეყვანა საკმე შერაგებამდე. ბრძოლა აშკარა და აუცილებელი გახდა. ამ ბრძოლაში გერცენს აღფრთოვანებდა ისიც, რომ ახალგაზრდა თაობა ბევრად უფრო ახლოს იდგა მის მიერ ნაქადაგვე შეხედულებასთან, და ეს მან იცოდა. კამათი იმართებოდა უფრო და უფრო ხშირად და უფრო და უფრო მძაფრად მიმდინარეობდა. აი როგორ აღწერს თვით გერცენი თავის განხეთქილებას გრანოვსკისთან:

¹⁾ იქვე, გვ. 143.

²⁾ ტ. XIII, გვ. 186.

³⁾ „შეიძლება ითქვას, — ადასტურებს თავის მოგონებაში ანენკოვი. — რომ ფეიერბახის წიგნს არსად“ არ მოუხდენია ესოდენ ძლიერი შთაბეჭდილება, როგორც ჩვენს დასავლეთელთა“ წრეში, არსად ისე სწრაფად არ აღქმებდა იგი ყველა წინანდელ, მის წინ არსებულ მსოფლმხედველობის ნაშთებს. გერცენი, რასაკვირველია, მოგვევლინა მის დებულებათა და დასკვნათა მხურვალე ინტერპრეტატორად და, სხვათა შორის, მის მიერ აღმოჩენილ „გადატრიალებას მეტაფიზიკურ იდეათა დარგში“ იგი ადარებდა პოლიტიკურ გადატრიალებებს, რომელთაც წინასწარმეტყველებდნენ სოციალისტები, რაშიაც გერცენი ისევ უახლოვდებოდა ბელინსკის“ („ლიტერატურული მოგონებანი“, გვ. 284).

„კამათი უფრო და უფრო ხშირად იმართებოდა. ერთხელ (აქამდე) ვსადილობდით. გრანოვსკი კითხულობდა „ოტჩესტენიე ზაპისკი“-ში ერთ-ერთ ჩემს „წერილს ბუნების შესწავლის შესახებ“, (მან არც კი შეცნობა პედიკტების შესახებ) და მეტად კმაყოფილი იყო ამ წესის შესახებ.

— „მინც რა მოგწონს? — შევეკითხე მე. — ნუ თუ მხოლოდ გარეგანი გამართულობა? შეუძლებელია, რომ ეთანხმებოდე მის შინაგან აზრს.

— შენი აზრები, — მიპასუხა გრანოვსკიმ, — სწორედ ისევეა ისტორიული მომენტი აზროვნების მეცნიერებაში, როგორც თვით ენციკლოპედისტების ნაწერები. შენს წერილებში მე მომწონს ის, რაც მომწონს ვოლტერში ან დიდროში: ისინი ცოცხლად მკვეთრად ეხებიან ისეთ საკითხებს, რომელნიც აღვიძებენ ადამიანს და წინ მიერეკებიან. ხოლო შენი შეხედულების ყველა ცალმხრივობას მე არ მინდა შევეხო. ვანა ამჟამად ვინმე ლაპარაკობს ვოლტერის თეორიებზე?..

— ნუ თუ არ არსებობს ჭეშმარიტების არავითარი საზომი და ვაღვიძებთ ადამიანებს მხოლოდ იმისათვის, რომ უმნიშვნელო რამ ეუთხრათ?

ასე გრძელდებოდა ბაასი კარგა ხანს. ბოლოს აღენიშნე, რომ მეცნიერების განვითარება, მისი თანამედროვე მდგომარეობა გვაგვალებს. ჭეშმარიტებათა მიღებას, იმის მიუხედავად გვწადიან ჩვენ თუ არა, რომ ერთხელ შეცნობილი ეს ჭეშმარიტებანი შესწყვეტენ ხოლმე ისტორიულ გამოცანებად ყოფნას და ხლებიან შემეცნების ურყევ ფაქტებად, როგორც ევკლიდის თეორემები, როგორც კეპლერის კანონები, როგორც მიზეზისა და შედეგის, სულისა და მატერიალის განუყოფელობა.

— ყოველივე ეს უგზომ ნაკლებად სავალდებულოა, — წარმოსთქვა გრანოვსკიმ და სახის გამომეტყველება ოდნავ შეეცვალა, — რომ მე არასოდეს არ მივიღებ თქვენს მშრალ, ცივ აზრს ხორცისა და სულის მთლიანობის შესახებ; მასთან სულის უკვდავება ჰქრება. იქნებ თქვენ იგი არ გკირიათ, მაგრამ მე მეტად ბევრი დავმარხე, რომ ეს რწმენა დაეთმო. ჩემთვის საჭიროა პირადი უკვდავება.

— რა მშვენიერი იქნებოდა ცხოვრება ამ ქვეყნად, — ვთქვი მე, — რომ ყოველივე ის, ვისაც რა სჭირია, იმწამსვე მიერთვას, როგორც ეს ზღაპრებშია ხოლმე.

— დაფიქრდი, — გრანოვსკი, — დაუმბატა ოგარიოვმა, — ეს ხომ ერთგვარად უბედურებისაგან გაქცევაა.

— მისმინეთ, — წარმოსთქვა გაფითრებულმა გრანოვსკიმ და გულგრილად განწყობილი გარეშე ადამიანის გამომეტყველება მიიღო — თქვენ გულწრფელად დამავალდებთ, თუ არასოდეს აღარ დამიწყებთ ლაპარაკს ამ საგნებზე. ვანა ცოტა რამეა საინტერესო, რომლის შესახებაც ბაასი ვაცილებით უფრო სასარგებლო და სასიამოვნოა.

— ინებე, დიდის სიამოვნებით! — წარმოვსთქვი მე და სახეზე სიცივე ვიგრძენი. ოგარიოვს ხმა არ ამოუღია. ჩვენ ყველამ ერთმანეთს შეე-

ხედეთ და ეს შეხედვა სრულიად საკმარისი იყო; ყველას რაღაც გვიყვარდა ერთმანეთი, რომ სახის გამომეტყველებით საწინებელი გაგვეზომა ის, რაც მოხდა. აღარც ერთი სიტყვა. კამათი აღარ ვაქტივობდით¹⁾.

უთანხმოებას განყენებულ ფილოსოფიურ პრობლემებზე ვაქტივობდით. ემატებოდა პოლიტიკური უთანხმოებაც. სხვანაირად არც შეიძლებოდა. სოციალიზმი გერცენისათვის, მისი დიდი მეგობრის ბელინსკის გამოთქმით, გადაიქცა „იდეათა იდეად“, „საკითხთა საკითხად“, „რწმენისა და ცოდნის აღფად და ომეგად“, ისევე, როგორც თვითონ ბელინსკისათვის.

თავისი წრის წევრებთან კავშირის განწყვეტის შემდეგ გერცენმა კვლავ მარტოობა იგრძნო. იმხანად მასთან იყო მისი მეგობარი — პოეტი ოგარიოვი. და აი გერცენმა გადასწყვეტა განეხორციელებინა დიდი ხნის ნანატრი განზრახვა — წასულიყო საზღვარგარეთ, იქ, სადაც, მართალია ცრემლი, სისხლი და ტანჯვა ნაკლები არ იყო, მაგრამ, საზღვარგარეთ, ბრძოლა, უფრო აშკარა იყო.

გერცენმა დასტოვა ნიკოლოზისეული რუსეთი და აღარც დაბრუნებულა. იგი ევროპაში დარჩა, როგორც განდევნილი და განკიცხული. იქ იგი წარმოადგენდა არაოფიციალურ, არამედ ცოცხალ რუსეთს და თავის საინტერესო ცხოვრების დასასრულამდე იბრძოდა მომავლისათვის, თავისი სამშობლოს და მთელი კაცობრიობის გასანთავისუფლებლად.

¹⁾ ტ. XIII, გვ. 190 — 191.

ეკატერინე გაბაშვილი

(1851 — 1938)

იშვიათად მოიძებნება ჩვენში ისეთი შეგნებული ქართველი, რომელიც ეკატერინე გაბაშვილს არ იცნობდეს და ღირსეულად არ აღასებდეს მის ხანგრძლივ სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობას. ვისაც კი ჩვენი წარსული ცხოვრების მიმდინარეობისათვის თვალყური უდევნებია, ვისაც ქართული ჟურნალ-გაზეთების გაუმჯობესება და საერთოდ ჩვენი საზოგადო საქმეების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება ქართველი ერის წინმსვლელობის საიმედო იარაღად დაუსახავს, იგი უთუოდ დიდის პატივისცემით მოიხსენიებს ყოველ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს და მწერალს და მათ შორის ეკატერინე გაბაშვილს განსაკუთრებით, ვამბობთ „განსაკუთრებით“, რადგან მეფის რეჟიმის პირობებში ქალის სწავლა-განათლებას ძალიან ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიტყეული, ქალის სა-მოღვაწეო ასპარეზი ვიწრო ფარგლებით იყო შემოზღუდული, მრავალი საზოგადო მოღვაწეობის სარბიელი ქალისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო და ამიტომ, თუ რომელიმე ქალი ყველა ამ დაბრკოლებას გადალახავდა, საზოგადო საქმეების ფერხულში ჩაებმებოდა და თავისი მოღვაწეობით თვალსაჩინო კვალს გაავლენდა, ასეთი ადამიანი განსაკუთრებული პატივისცემის ღირსი იყო.

ეკატერინე გაბაშვილი სწორედ იმ ქალთა რჩეულ გუნდს ეკუთვნოდა რომელნიც მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, თავიანთი ნიჭით, შრომით და იშვიათი მხნეობით საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს ეკლით მოფენილ გზას არ ვაუბრობდნენ და რომელთაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ხალხის კეთილდღეობისა და წინმსვლელობის საქმეში დიდ განძად მიჩნეულ საღაროში.

ეკატერინე გაბაშვილი სწორედ იმ იშვიათ ქალთა წრეს ეკუთვნოდა, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის ივიწყებდა თავის პირად ინტერესებს და საზოგადოებრივი სამსახური თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნდა, რომელიც სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით, სრულიად მოურიდებლად, ახალგაზრდული გატაცებით ამხნევებდა თავის მოძმეებს და საზოგადოებრივ იდეალებს უნერგავდა გულში.

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა ქალაქ გორში 16 ივნისს 1851 წელს. მისი მამა რევაზ თარხან-მოურავი თავის დროის შესაფერისად განათლებული კაცი იყო. რევაზ თარხან-მოურავს მთელს ქართლში ქვეიანი, პატიოსანი, გულკეთილი და ნასწავლი კაცის სახელი ჰქონდა გაეარდნელი. მართლაც, რევაზი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული

კაცი იყო, მეტად უყვარდა წიგნების კითხვა, განსაკუთრებით იურიდიული და ისტორიული წიგნებისა. ყველაზე უფრო გატაცებით/საფრანგეთის ისტორიას კითხულობდა და განსაკუთრებით ჟან-პოლ რეველუციის ხანა აინტერესებდა. იურიდიული საკითხებში კი უფრო მეტად მცოდნე იყო და კიდევაც ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოში იმ დროის მთავრობას არც ერთი სამძიმო იურიდიული საკითხი არ გადაუწყვეტია, რომ ამ საკითხის განხილვის დროს რევაზ თარხანმოურავი არ მიეწვია კომისიაში.

მთავრობამ რევაზი, როგორც კარგი მცოდნე კანონებისა და ადგილობრივი პირობებისა, გამოიძიებლად დანიშნა და გორში გაამწესა სამსახურში. რევაზმა თავის კეთილგონიერებით, სამართლიანობით და პატიოსნებით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მთელი საზოგადოებისა, განურჩევლად წოდებისა.

კატერინე გაბაშვილის დედა, სოფიო ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული, გულკეთილი და ნიჭიერი ქალი იყო. სამწუხაროდ, იგი ძალიან ადრე გარდაიცვალა, ასე რომ ჩვენ მწერალ ქალს თავისი დედის პირისახეც კი არ ახსოვს.

ხუთი წლის პატარა კატო და მისი ძმა სოსიკო მამისა და დიდიდედის ამარა დარჩნენ. მთელი ოჯახის მოვლა-პატრონობა და გამგებლობა რევაზმა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თავის სიდედრს ჩააბარა.

სამწუხაროდ, კატოს დიდიდედა მეტად სასტიკი და თავისებური ადამიანი იყო. იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ თავისი სიძის მდიდრულად გამართული ოჯახი არ მოშლილიყო და ამიტომ მრავალნაირად ავიწროვებდა როგორც ოჯახის მოსამსახურეებს, ისე მახლობელ გლეხკაცობას. რამდენადაც რევაზი გულკეთილობას და მზრუნველობას იჩენდა გლეხკაცობისადმი, იმდენად კატოს დიდიდედა სასტიკად და შეუბრალებლად ეპყრობოდა მათ. კატო ახალგაზრდობითვე უნებლიე მოწმე ხდებოდა იმ უსამართლოებისა, რომელსაც მისი დიდიდედა იჩენდა გლეხობისადმი. კატო ბავშვობითვე სიბრალულის თვალით შეპყურებდა გლეხ-კაცობას, არაფრად მოსწონდა თავისი დიდიდედის უსამართლო საქციელი. რევაზიც უკმაყოფილებას აცხადებდა თავისი სიდედრის ესეთი თვითნებობის გამო. ხშირად უსიამოვნებაც მოსდიოდათ, მაგრამ რევაზი თავისი გულკეთილობით ყოველთვის დამნაშავე გამოდიოდა სიდედრის წინაშე.

დიდიდედა პატარა კატოსაც სასტიკად ეპყრობოდა. როცა რევაზი უკმაყოფილობას აცხადებდა, სიდედრი სრულის რწმენით ვადაქრით ეტყოდა რევაზს: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“. დიდიდედა, რასაკვირველია, ძველის აზრების მიმდევარი იყო და, მამასადამე, მისი გავლენა კატოზე სწავლა-აღზრდის მხრით, თუ არას დააკლებდა, ვერაფერს შემატებდა.

შეიდი წლის იქნებოდა კატო, როცა მამამ სამსახურს თავი დაანება და თავისი შვილების სწავლა-განათლების ზრუნვას შეუდგა. დიდიდე-

დის რჩევით, შვიდი წლის კატო იქვე, გორში, მიაბარეს ვიღაც ფეკლენიშვილის ქალს, „პროკურორის ქვრივს“, როგორც გორში ეს ეძახდნენ. ეს „პროკურორის ქვრივი“ მეტად სასტიკი ქაღალაქის მწველ-ალზრდისა არა ვაეგებოდარა, მოწაფეებს სადღაც ბრძანებდა, სწავლევდა, თვითონ კი გორში არხეინად დასეირნობდა. მოწაფეები და მათ შორის კატოც უსახლეროდ იტანჯებოდნენ და სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. „პროკურორის ქვრივი“ კატოს ერთი წლის განმავლობაში ფსალმუნებს აზებირებდა „დავითნიდან“.

კატო რომ რვა წლისა შესრულდა, რევაზმა თბილისში ჩამოიყვანა და გერმანელების სკოლაში მიაბარა, შემდეგ იგი გადაიყვანა მამადავითში ამბარდანოვების პანსიონში, მაგრამ როგორც გერმანელების სკოლაში, ისე ამბარდანოვების პანსიონში სწავლა-ალზრდის საქმე მეტად ცუდად იყო დაყენებული და ამიტომაც კატოს ამ სასწავლებლებში თითქმის არა შეუძენია-რა.

სწორედ 12 წლისა იქნებოდა კატო, როცა კენჭი ერგო და, თუ იგი გამოცდებს ჩააბარებდა, სახელმწიფო ხარჯზე მიიღებდნენ საქალბო ინსტიტუტში. მაგრამ გამოცდების შემდეგ, რადგან კატო სუსტად იყო მომზადებული, განსაკუთრებით რუსულ ენაში, უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებაზე.

რაკი კატოს უსწავლელად დატოვება შეუძლებელი იყო, რევაზმა იგი ისევ გორში მიაბარა ვინმე ქუცნა ამირეჯიბის მეუღლეს, რომელიც ბუნებით შეგნებული ქალი გამოდგა და კიდევაც დიდი გავლენა იქონია კატოს მომავალ ცხოვრებაზე. ეს მადლიანი ადამიანი ხშირად ეტყოდა ზოლმე კატოს: „ჩემო კატო! ერთად ერთი გზა ბედნიერებისათვის სწავლა არის. მე ამჟამად იმდენი ცოდნა არა მაქვს, რომ შენ გიხელმძღვანელო და ამიტომ ყოველი ღონე უნდა იხმარო სადმე რიგიან პანსიონში მიებარო. უთუოდ საჭიროა თავი გამოიღო და შენს წადილს მიაღწიო, თორემ უსწავლელი დარჩები და სამუდამოდ სანანურად დაგჩრებაო“.

ამ სიტყვებმა ძალზე ჩააფიქრეს ჩვენი მომავალი მწერალი ქალი. მან მამას თბილისში წერილი მისწერა და ამ წერილს ცამეტი წლის კატო ასე ათავებდა: „მამა, თუ ახლა არ მიპატრონე და სადმე რიგიან სასწავლებელში არ მიმბარე, უთუოდ თავს დავიხრჩობ“-ო.

მამამ წერილის მიღებისთანავე წაიყვანა თავისი ქალი თბილისში და იქ ფავრის კარგად ცნობილ პანსიონში მიაბარა. ეს პანსიონი საუკეთესო პანსიონად ითვლებოდა იმჟამად თბილისში, რადგან ფავრმა დახელოვნებულ მასწავლებელს მოუყარა თავი ამ სასწავლებელში. ქართულ ენასაც საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი პანსიონში.

ქართულ ენას პირველ ხანებში ასწავლიდა ჩვენი მწერლის შიო არაგვისპირელის ბიძა, ნიკო დედაბრიშვილი, შემდეგ — ნიკო ინაშვილი და ალექსანდრე ცაგარელი.

კატო დიდის აღტაცებით დაეწაფა სწავლას და სულ მალე მიიქცია ყურადღება ყველა მასწავლებლისა. პირველ წელსვე კატო მესამე კლასიდან პირდაპირ მეხუთე კლასში გადაიყვანეს. საგნებს შორის კატოს ყველაზე მეტად უყვარდა ქართული ენა. მასწავლებლები ნაკლებად იყვნენ და აღექსანდრე ცაგარელი დიდად კმაყოფილი იყვნენ კატოს სწავლაში წარმატებით. აღექსანდრე ცაგარელმა ქართული ენის გამოცდების დროს მოიწვია ჩვენი ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც მეტად ნასიამოვნები დარჩა კატოს ქართული ენის ცოდნით. იაკობ გოგებაშვილმა გამოცდების გათავების შემდეგ მომავალ მწერალ ქალს აჩუქა თავის მიერ შედგენილი „პირველი ანბანი“, ამ ძვირფას საჩუქარს ეკ. გაბაშვილი მთელ თავის სიცოცხლეში მოწიწებით ინახავდა და სიამოვნებით იგონებდა იმ დროს, როცა ასე გულმოდგინეთ ეწაფებოდა სამშობლო ენის შესწავლას.

ფავრის პანსიონი კატომ 1868 წელს დაამთავრა და იმავე წელს გორში გადასახლდა თავის დიდიდედასთან. გორში იმავე წელს სომხების ეკლესიასთან დაარსდა პირველდაწყებითი სკოლა, საცა ახლად სწავლადამთავრებული კატო ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიეს. წლის ბოლოს სკოლის დამაარსებლებმა საჯარო გამოცდები მოახდინეს კლუბის დარბაზში, საცა მოწვეული იყო მთელი გორის საზოგადოება. სასწავლებელში 52 მოწაფე სწავლობდა და მათ შორის 49 მოწაფემ ისე საუცხოოდ ჩააბარა გამოცდები, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა.

კატო ბუნებით პედაგოგი იყო და კიდევაც ამით აიხსნება, რომ იგი ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა — სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში თუ სოფლად, — აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინარს და ახალგაზრდურის გატაცებით ყველას წერა-კითხვას ასწავლიდა. კატო მართლა რომ ნამდვილი მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით და ხელმძღვანელობით მრავალ ქართველს აუხელია თვალი.

1870 წლიდან იწყება ეკატერინეს სალიტერატურო მოღვაწეობა: პირველი მისი წერილი — „გლეხ-კაცების აზრი სასოფლო სკოლებზედ“ „დროებაში“ დაიბეჭდა. მას აქვე განუწყვეტლივ შრომობდა სალიტერატურო ასპარეზზე და ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ყოფილა თითქმის ისეთი დრო-გამოშვებითი გამოცემა, რომ ეკ. გაბაშვილს არ მოეთავსებინოს თავისი მოთხრობა და მკითხველი საზოგადოება თავისი უტყუარი ნიჭით არ მოეხიბლოს. ეკატერინე გაბაშვილს ნიჭიერად აქვს დაწერილი თავისი მადლიანი კალმის ნაწარმოებნი: „მაგდანას ლურჯა“, „რომანი დიდ ზევში“, „კონა“, „თამროს ნუგეში“, „გამარჯებული ნიკო“, „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“, „ორენა და ქუჩე“, „ოჯახის ბურჯი“, „ღვთის შვილი“ და მრავალი სხვა ამბავი და მოთხრობა.

ეკატერინე გაბაშვილის კალამმა უქუჩი მოჰფინა გლეხ-კაცის მიბუტულ კერას. დაგვანახა გლეხ-კაცის სულისკვეთება, მისი ჭირი და ვარამი, მისი მწუხარება და სიხარული და საჯაროდ მოურიდებლად

მასთან მეგობრობა, მასთან სულიერი დაკავშირება აღიარა. გულს ძმური, მეგობრული ხელი გაუწოდა და გულწრფელად უთხრა: „შენც ადამიანი ხარ, დროთა ვითარების გამო დაჩაგრული, მაგრამ ჩემს მხედრობაში, გულს ნუ გაიტეხ, დღევანდელი აუტანელი ვითარება საკეთილად შეგეცვლება, ადამიანურ ცხოვრებას, დღეს თუ არა ხვალ მაინც დაეწაფებიო.“

მეორე ნიშნობლივი თვისება ეკ. გაბაშვილის სამწერლო მოღვაწეობისა ის არის, რომ იგი ღრმად მცოდნე იყო ბავშვის ფსიქოლოგიისა, იგი ერთგული მეგობარი იყო ნორჩი ყრმისა. ეკ. გაბაშვილს ღრმად ჰქონდა შესწავლილი ბავშვის რთული ფსიქოლოგია და კიდევ ამიტომ არის ყოველი საყმაწვილო მოთხრობა ჩვენი სასიკაძულო მწერლისა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მოზარდ თაობაზე.

ეკ. გაბაშვილის მოღვაწეობა მარტოოდენ სალიტერატურო ასპარეზით არ განისაზღვრება.

1870 წლიდან დაწყებული ქართველობას არ წამოუწყვია არც ერთი საზოგადო საქმე, რომ ჩვენ მწერალ-ქალს მონაწილეობა არ მიეღოს. ყველგან და ყოველგვარ კომისიაში ეკატერინე გაბაშვილს საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. იგი მუდამ დაუღალავი ენერგიით შრომობდა, ყველაფერში სიცოცხლე და მხნეობა შეჰქონდა.

ეკ. გაბაშვილის დამაჯერებელი, მუდამ რიხიანი, მაგრამ ამავე დროს მეტად ნაზი და ტკბილი სიტყვა მსმენელს ხიბლავდა და ამხნევებდა. არასოდეს არ დაგვაფიქვდება ის ძლიერი სიტყვა, რომელიც ეკ. გაბაშვილმა საგურამოში წარმოსთქვა ილია ჭავჭავაძის გამოსვენების დღეს. ხალხი, რომელიც განსვენებული პოეტის გამოსვენებას დაესწრო, სმენად გადაიქცა და დიდის ყურადღებით ისმენდა ჩვენი მწერალი ქალის გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს.

„ალარა გეყავს ილია ლოში, მედგარი, მტრის პირში მდგომი, მოყვრის შემძენი, ქართულის აზრისა და სიტყვიერების მეფე, მეფე-მწერალი, აეტორი იმ შედეგებისა, რომელთა შემწეობით ენა ამოვიდგით, ცხოვრების მიზანი ჩავისახეთ, ჩვენს სულსა და გულს ნათელი, გარკვეული, იდეალი აფუყვავეთ“—დაამთავრა ეკ. გაბაშვილმა თავისი მგრძობიარე სიტყვა.

ამ სიტყვამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც იქ მყოფ ინტელიგენციაზე, ისე ადგილობრივ გლეხებზე.

ეკ. გაბაშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა ქართველ ქალთა სახელოსნო-სასწავლებელი, რომლის გამგე და პატრონი მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩვენი თმათეთრი, მაგრამ გულით ყოველთვის ახალგაზრდა კატო იყო. ეს სასწავლებელი იმამად გზას უკვლევდა ორასამდე ღარიბ და დატაკ ახალგაზრდა ქალს, რომელთათვისაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თითქმის ყველა სასწავლებლის კარები დახშული იყო.

ამ სასწავლებელს ეკ. გაბაშვილი თავს დასტრიალებდა, პერსტროფო-
და და შეჰხაროდა და ხშირად სიამოვნებით იტყოდა ნოლოვ: „სკოლით
დავიწყე ჩემი მოღვაწეობა და სიბერის დროსაც სკოლით ვაქტიუვდები!“

ეკატერინე გაბაშვილი უკვე ღრმა მოხუცი იყო, *სრული სიწმინდე*ლო-
ში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მიუხედავად ხანშესულობისა,
მსცოვან მწერალ ქალს კალამი ხელიდან არ გაუვდია. იგი ახალგაზრ-
დული გატაცებით განაგრძობდა მოღვაწეობას და თავისი მადლიანი
კალმით მონაწილეობას იღებდა განახლებული ცხოვრების მშენებლო-
ბაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც ეკატე-
რინე გაბაშვილს მიუძღოდა ჩვენს მწერლობაში, პერსონალური პენსია
დაუნიშნა და სრულ მის განკარგულებაში გადასცა ის სახლი მოსკოვის
ქუჩაზე, რომელიც წინათ განსვენებულის მეუღლის საკუთრებას შეად-
გენდა.

სახელმწიფო გამომცემლობამ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოს-
ცა ჩვენი მწერალი ქალის რჩეული მოთხრობები და ამბები მოზრდილი
ტანის ორ წიგნად („რჩეული ნაწერები“, 1932 წ. და „მოთხრობები“,
1936 წ.).

ამრიგად, ეკატერინე გაბაშვილის ნივთიერი მდგომარეობა წარსულ-
თან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ოთხმოც წელს გადაცილებული იყო ეკ. გაბაშვილი, მაგრამ გული
კვლავ ახალგაზრდულად უძგერდა.

„დიდად მოწადინებული ვარ, — უთქვამს არა ერთხელ, — მსურვა-
ლე მონაწილეობა მივიღო ჩვენს მწერლობაში, მაგრამ რა უყო, რომ
ძალღონე აღარ მომდევს! მაგრამ გული მაინც თავისას არ იშლის და
კოტ-კოტას კიდევ ვჩხირკედლაობ. ჩემს სიცოცხლეში ბევრი რამ მი-
ნახავს, ბევრ რამეს მოვსწრებივარ. ვფიქრობ, თუ ჯანმრთელობამ არ
მიღალატა, ჩემი ნახულისა და ნაგრძნობის მკრთალი სურათი მოგონე-
ბის სახით აღეადგინო. ამგვარ ჩემ მოგონებას შეიძლება ერთგვარი სა-
ზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდეს. მხატვრულ ნაწარმოებთა მოცე-
მა შე უკვე არ შემიძლია. ეს საპატიო მოვალეობა ახალგაზრდა მწერ-
ლებისათვის დამილოცია. გულახდილად უნდა ვითხრაო, რომ ჩვენს
დღევანდელ სინამდვილეში მრავალმა ნიჭიერმა მწერალმა იჩინა თავი,
რაც ძალიან და ძალიან მახარებს ამ მოხუცებულობის დროს. ამჟამად
ჩემი ერთადერთი სურვილია, ჩემს სიცოცხლეშივე მოვესწრო ჩემი ნაწე-
რების მთლიანად გამოცემას. ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ მარ-
თლაც ეს ჩემი ნაწერები ჩემს სიცოცხლეშივე გამოიცა. შემდეგ სიკვდი-
ლიც აღარ დამენანება“.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო გამომცემლობა და საქართველოს
მწერალთა კავშირი ანგარიშს გაუწევენ ჩვენი მსცოვანი მწერლის უკა-
ნასკნელ სურვილს და საზოგადოებას მიუძღვნიან მისი ნაწერების აკა-
დემიურ გამოცემას.

გაბაშვილი

რამდენიმე დღე კახეთში

(უპიზოდები მოგონებებიდან) ¹⁾

1888 წელს, ენკენისთვის პირველ რიცხვებში, ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი თავისი ცოლით, როგორც მერე შევიტყვე, სპეციალურად იმ განზრახვით, რომ შეესწავლა საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა თავისი ვრცელი და ძვირფასი თხზულების „მეღვინეობისა“-თვის.

თუმცა იმ დროს პეტრიაშვილის საყვარელი მოწაფე და შემდეგში კარგად ცნობილი პროფ. პეტრე მელიქიშვილი თბილისში არ იყო, მაგრამ პეტრეს და, კეკე, სერგეი მესხის ცოლი, და ძმა მათი, სოსიკო მელიქიშვილი, ალტაცებით შეეგებნენ და გაუმასპინძლდნენ პეტრიაშვილებს. სხვათა შორის, მეც და ტასო თუმანიშვილიც მიგვიწვიეს სადილად.

სადილის დროს ლაპარაკში გამოიჩინა, რომ პეტრიაშვილები მიემგზავრებიან კახეთს და დაესწრებიან კახეთის დღესასწაულს „ალავერდობას“. იქვე ითქვა, რომ ეს ალავერდობა მთელი კახეთის მოსახლეობის ნაღვალწ-ნაშრომის გამოფენაა და დიდად საინტერესოა თავისი აღებ-მიცემობის მნიშვნელობით.

პეტრიაშვილის მეუღლემ თავაზიანად ვეთხოვა მე და ტასოს, ჩვენც მიგველო მონაწილეობა ამ მოგზაურობაში, კეკე კი, ჩვენი საერთო მეგობარი, უკვე შეთანხმებულიყო მათთან წასასვლელად. ჩვენც დიდი თხოვნა აღარ დაგვჭირებია.

12 ენკენისთვის დილა ადრიანად ტასოსთან მიველ და იმასთან ერთად ეტლით გავედით ავლაბარში, სადაც მაშინ მეურმეთა და მეტარანტასეთა ბაყები იყო მოწყობილი კახეთში გასამგზავრებლად.

ჩვენ პირველნი შევედით იმ სადგურზე, სადაც იდგა რამდენიმე დილიანსი, ერთცხენიანი „პოვოზები“ და მრავალი ურემი და შეკაშმული ცხენი. უშველებელი ეზო შემოფარგლული იყო ძველი, დაფახირებული შენობებით და იმისთანა უსუფთაო და ჭანჭით სავსე, რომ ჩვენ

¹⁾ „რამდენიმე დღე კახეთში“ წარმოადგენს ნაწყვეტს განავენებული ე.კ. გაბაშვილის უკანასკნელი, გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან.

კალთები ავიწიეთ, რათა მაშინდელი ათრიალა-შლეიფიანი კბები არ მოგვეცვარა, და საჩქაროდ ჩავსხედით პირველ ალაგას მდინარე დილი-
ჯანსში.

ჯერ ცხენები არ იყო შებმული, კინტორად ჩავსვით, მთელი მოკლე ნაოჭებიან ახალუხებში, წითელი პერანგებით და აუცილებელი განიერი, დასვედიანებული ვერცხლის ქამრებით, სახელდახელოთ საუზ-
მობდნენ პურით და ყველით, თან არაყს შეეტყეოდნენ და თავისებურად მასხარაობდნენ, ოხუნჯობდნენ. ჩვენს ადრიალად მისვლაზე დაიწყეს კბი-
ლების ლესვა და გამოგვაბძანეს კიდევ დილიენიდან.

— ვა, ყველანი რომ ავრე გაუთენებლივ მოვიდნენ და დილიენის რბილ ბალიშებზე გამოიკიშნენ, მაშინ ხომ მთელი პრაგანი პაჩინკასაც არ აუვა. გადმობძანდით, გადმობძანდით! — ცინიკურის ღიმილით დაგვე-
კვივლეს.

მეტი რა გზა იყო, გადმოვედით და კუთხეში ავიტუხენით, რადგან სხვა ჩამოსაჯდომი არსად იყო. მგზავრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ, ჩვენი დაპირებული თანამგზავრნი კი არსად სჩანდნენ. ჩვენ აწეწილები ვიდგეთ და ველოდით. გამელელ-გამომვლელნი ეჭვის თვალით გვიყუ-
რებდნენ ორ ყმაწვილ ქალს, უპატრონოდ კუთხეში ატუხულს...

როდის, როდის, მობძანდნენ ჩვენი თანამგზავრნი და ბოლო მოელო ჩვენს საეჭო მდგომარეობას.

რვა საათზე პირამდის ვაჭვიდილი ჩვენი დილიენისი „კოზლაზე“ გამოკიშნული ვანიჩკა „კურით“ რახრახით და უსწორ-მასწორო გზაზე ასკი-კუკის ხტუნვით დაიძრა.

მშვენიერი, იშვიათი სილამაზით შემკული დილა იყო, ოდნავ მოლ-
რუბლული, გრილი, უკვე შემოდგომის სუნით გაჟღენთილი. მზე მორცხ-
ვი პატარძლივით ძლივ-ძლივობით ახელდა თვალებს.

ჩვენ ხუთ პირს გარდა, დილიენში მოეწყო სამი მოქალაქე, ღიპიანი და ბრგე, შუახნის კაცი, რომელნიც ყოველის მხრით, — თუ ჩაცმით, თუ განიერით, ოთხი თითის სიპტყის ვერცხლის ქამრებით, თუ ლამაზი რგვალი, ძვირფასი კალმუხის „გარიბალდებით“, ერთი დედის შვილებს ემსგავსებოდნენ. დიდი, პირამდე გატენილი ხურჯინებიც კი, თითქოს ერთნაირის ირანული ფარდაგის მშვენიერი ფერებით ჰქონდათ მოქარგუ-
ლი და ხელშიაც ყველას ეჭირა პატარა ნაკრები, ზოგს კი დაჩუქურთმე-
ბული კაკლის ყუთი. მხოლოდ ერთი მათგანი განსხვავდებოდა იმით, რომ ხელები ღილის ფერით ჰქონდა შეღებილი.

დიდის ვაი-ვაგლახით ჩასჭედეს ამ მოქალაქეებმა დილიენის საჯდომ ორ სკამ შუა ეს თავიანთი უხვი ბარგი და რადგან ბრგე ფეხების დასა-
დგმელად ადგილი აღარ დარჩა, თავიანთი მალაყელიანი, ლამაზად ნაქსოვი ჩახსაკრავებით გამოკრული ბარძაყები ჩვენ წინ ტაბლასავით ხურჯინებზე გადმოაწყეს, რამაც, ცოტა არ იყოს, ცხვირი ააწევეინა თავად თავდგირიძის ასულს და დიდი პროფესორის პეტრიაშვილის მეუღ-
ლეს ეკატერინეს, თუმცა არც მე, მეორე უბრალო ეკატერინეს, და არც

მესამე ეკატერინეს მესხისას არაფრად გვეპიტნავა ეს ილტვის სუნით გა-
ღენთილი ტლოკები. მაგრამ თვით მოქალაქენი ისე იყვნენ დარცხვნილ-
ნი, ისე იკრძალებოდნენ, იყუნტებოდნენ და მალმალე, აწმუნდნენ წი-
თელი ბაღდადებით შუბლზე ვადმომსკდარ სირცხვილს, რომელსაც ჩვე-
ნი ცხვირ-აწეულობა თითქმის მოგვანანიეს.

მალე გავცდით ავლაბრის ქუჩყიან ქუჩებს და გავედით ვაზიანის
ფართო, უმწვანო და ყვითლად გარუჯულ მინდორზე, სადაც პაერი თა-
ვისუფლად დასეირნობდა. თან გატყეცილმა გზამ ჩვენი მეეტლე ვანიჩკა
გამოათბიზლა და მძიმედ დატვირთული ეკიპაჟი ბუმბულის სიმსუბუ-
ქით გააქროლა, ხოლო ქანდაკებად გამოიყურე ცხენები შავარდნებივით
გააფრინა.

— გააფრინე აგრე, აგრე, გენაცვალე, ვანიჩკაჯან, და „ნავოტკი“
ჩვენ კისერზე დააქდიე! — შეჰყვირეს ხურჯინოსანმა მგზავრებმა.

ვანიჩკამ დაპირებით თუ პოეტური ვატაცებით აღფრთოვანებულმა
კვლავ გადასჭყივლა ცხენებს, მათრაზი „გრაციით“ სავეტ გაქნევით შეა-
ტრიალა და ჩვენი ნოეს კიდობანი უფრო და უფრო გახელვებით გა-
სრიალდა.

მოშუადღევდა. სიცხემ ძალზე დაგვაჭირა. ვაკე მინდორი თანდათან
მალლობს შეუდგა. ცხენებმა თავები ჩაჰქინდრეს, ვანიჩკა თვლემამ შე-
იპყრო. დილიეთანში შეგობრული ბაასი გაიმართა. ჩვენი თანამგზავრი
მოქალაქენი ცნობისმოყვარეობით შეგვეკითხნენ ვინაობას, ჩვენი მოგ-
ზაურობის მიზანს და თავიანთი ვინაობაც გავგიმელავენეს: ავლაბრელი
ხელოსნები ვართ, მივდივართ ალავერდში, ჩვენი ხელოვნების ნიმუშე-
ბი მიგვაქვს გასასყიდად, საჩვენებლად. უთუოდ მოგესხენებათ, რომ მთე-
ლი კახეთი, ქიზიყი, ლეკეთი და სხვანი მიდიან იქ ჯვარობაში, სალო-
ცავად, სავაჭროდ ან საქეიფოდ. ჩვენც, ქალაქელი ხელოსნები და ვაჭ-
რები მოვეშურებით ადრიანად, რომ კარგი ადგილები დავიჭიროთ დუქ-
ნებად და ჩვენი სავაჭრო თვალსაჩენ ალაგას გამოვფინოთ.

— აი გიორგა ოქრომჭედელს მოაქვს ოქროს და ვერცხლის განძე-
ული, ლალი, ფირუზი, მარგალიტი, საყურეები, სამაჯურები, ვერცხლის
ბეჭდები ლამაზი კახელი გოგოებისთვის, ბუშტიანი ვერცხლის ქაშრები
ტალიკი ბიჭებისთვის. მე, — დაუმბატა ენაწყლიანმა მობაასემ და ჩაიცი-
ნა: — მიმაქვს მცირე რამ, მაგრამ ძალიან საჭირო გლუხისათვის: ლურჯი
შედებილი ლეინები, უხუნო და მკვიდრი დიმიკიტონები დარბაი-
სელი გლუხებისთვის, — და ლურჯად შედებილი ხელები გაპარჭყა. — ხე-
ლოსნების ვარდა, მოდიან ვაჭრებიც, მოაქვთ სავაჭრო გასასყიდად. იქი-
დან კი წამოიღებს წლის სარჩოს: ყველს, ერბოს, მატყლს, ლეინოს და
მრავალ სხვა სანოვავეს. ზოგი წამოიყვანს ბედაურ ცხენებსაც, ზოგი კი-
დედ მაგალითად, აი ეს ჩემი ნათლიმამა, სიმონა ყასაბი, ცხერებს და სხვა
ოთხფეხ საქონელს საკლავად. თერძი გიგოლა წამოიღებს ნაბდებს, სა-
ჩოხე შალებს, ლეკურ თივთიკს და სხვას. კარგი ვაჭრობა და გაცვლა-
გამოცვლაა, ალავერდის დღეობა კი დიდი, დიდი იარმუკაა, — და მთე-

ლი ეს დიალოგი სომხურ-ქართულ დიალექტზე დაათავა ბურჯანის ვახს-
ნით. ამოალაგა იქიდან ბროწეული, აღჯანაბადი, ქალაზობადამი, ფსტა-
და თავდაბლობით გვითავაზა ქალებს.

„სირის კულმა“ გაგვახარა. ჩვენც ავჭიკჭიკდით, მეტადვე ენამახვი-
ლი თავდგირიძის ასული, რომელიც, ამ კავალრების თავაზიანობით მო-
ხიბლული, ეშმაკური ქალური ღიმილით ხუმრობა-მასხარაობას მოჰყვა.

— ეს ძვირფასი საკვლეური ვილასთვის იყო დანიშნული?! ჰა, ჰა,
უთუოდ სავაჭროსთან ერთად ლამაზი ხევსური ქალების პირის ჩასატყ-
ბარუნებლად, — სთქვა მან ღიმილით.

ამ სიტყვების საპასუხოდ მღებარმა და ოქრომჭედელმა, უთუოდ სა-
რეპეტეციოდ, ჩვენც მოგვიძღვნეს დარცხენილი ღიმილი. მგზავრობით
და ბუნების სიმშვენიერით აღძრულებს თუ აღრეულებს ყველას ცულ-
ლუტობის საღერღელი აგვეშალა.

შუადღის სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა. როცა მიეუახლოვდით
სართიქალის ვენახეშით მოფენილ მიდამოებს. მალე ჩვენი ეკიპაჟი შე-
გრიალდა ერთი განივრად ვალებული ალაყაფის კარების ბქეში, — აქ
უნდა დაესვენათ ცხენებს და ჩვენც დაენაყრებულებიყავით. ბაღში შესე-
ლისთანვე დავენახეთ მშვენივრად მოწყობილი, განიერ აივნისანი დუქანი,
მაგრამ აივანი უკვე სავსე იყო ჩვენზე ადრე მოსული კამპანიით, რო-
მელიც ჩონგურზე ტბილი ღილინით ქეიფობდა. გარშემო ცხერის მწვეა-
დის სუნი ტრიალებდა.

მოგვეგება ბრვე და მამაცი მიკიტანი სერგო, მოკლე ახალუხით, წი-
თელი გულისპირით და თეთრი წინსაფარით, სალამი მოგვცა და აივან-
ზე მიგვიწვია, მაგრამ ჩვენ მადლობა უთხარით და ბაღის სიღრმისკენ
გავეშურეთ. იქ მწვანეში გახვეულ ფანჩატურში დავსხედით და, რო-
გორც ინტელიგენტებს სჩვევიათ, მეტად მსუბუქად მომზადებულნი აღ-
მოვჩნდით მოგზაურობით გაადორებული მადისთვის, რომელიც გაათკეცა
ბაღის სიმშვენიერემ და ფანჩატურის გვერდით რუს ლიკლიკმა. კეკეს
წამოელო ორი „ბულკი“, პატარა კოლოფი ხიზილალა და პატარა ნაჭე-
რი ყველი. მე მქონდა გახეთის ქალაღში შეხვეული დაშაქრული სა-
ზამთროს მურაბა, სამი კვერცხი და ორი ნაჭერი პური. ტასოს — შემ-
წვარი სუკი, ლავაში გახვეული. პეტრიაშვილებს სულაც არაფერი.
ისინი, როგორც საზღვარგარეთ დაჩვეულნი, კახეთის გზაზედაც უთუოდ
„ოტელებს“ მოელოდნენ. დუქანში შესვლა არ ვიკადრეთ, და, მეტი რა
ლონე იყო, გახვეული საგძალი გამოვხსენით, ფანჩატურის შუაში გვერდ-
ზე წახრილ მაგიდაზე ვადავშალეთ, ერთმანეთს ბოდიშის ღიმილით გა-
დავხედეთ და ხელი მივყავით მცირე სანოვაგეს. ნებ-ნება წვრილ-წვრილ
ლუკმებს ოდნავ ვალებულ პირში ვიწყობდით, ვითომ შიმშილი უნდა
დაგვეშალა.

უცებ თავს წამოგვადგნენ ჩვენი თანამგზავრი — მღებარი და ოქრო-
მჭედელი ხელში უშველებელი ლანგარით. რა გინდა სულო და გულო,
რო ამ მოკალულ და დაჩუქურთმებულ ლანგარზე არ ელავა: თართის

დოში, ისე დათლილი, როგორც სპილოს გამჭვირვალე ფირფიტა ლამაზი ქალის ხელში, როდესაც ის აბრეშუმს ართავს დედამთილისთვის კრიალოსნის ასახმელად, ოჩხის თევზი, კაკლის ფოთლები, ვაჭვეული, ცვრიანი მწეადი წიწაკიანი კიტრის წნილით, მოწეულნი ნაწამთიონ ნაჭრები, ქარვის ფერი დაჭრილი ღუთმა, დამკვრახული ბუდეშური, შუშის ლამაზი ჩარქვით წითელი ღვინო, ხოლო ამ მეფის საკადრის ტაბლის შუა სურნელოვანი ნარგიზის კონა!

ჩვენ გაკვირვებით ზეზე წამოგვარდით და ამრეზილნი შევყურებდით შეძღვენებს: რისთვის? ვისგან და ვისთვის?

ჩვენი პროფესორი ხომ მთლად გაშრა და ისიც უტყვი მარილის სვეტად გადაიქცა (პეტრიაშვილს ლაპარაკი არ უყვარდა).

— ბატონებო, რად გვიწყრებით? ძღვენი მოგართვით, მიიღეთ და გზა დაგვილოცეთ, ვაჭრობაში გამარჯობა გვისურვეთ, — და დიდის მოწიწებით დასდგეს ძვირფასი ნობათი ქალაღში გახვეულ ჩვენს მკვლე საგაძლთან.

ლურჯ ხელებიანმა ლანგრიდან აიღო მშვენიერი სირაზის შუშა წითელი ღვინით და ბროლის ჭიქა აავსო:

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ძვირფასო ქალბატონებო, კენინებო, ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ თქვენთან შეგვხვდა მოგზაურობა! ნუ გვიწყრებით გაბედულობისთვის, შეეცეით. ჩვენ იმიტომ ვართ გაჩენილნი, რომ მშვენიერთ ვემსახუროთ! — დიდის პათოსით დაუმატა ოქრომჭედელმა და დაბლა თავის დაკვრით მიეფარნებ.

ახლა სიცილ-ხარხარი აგტეხეთ. პროფესორმა ტკბილის ღიმილით და მოულოდნელი გრძელი სიტყვით ლექცია წაგვიკითხა: დილას დილიჯანში ტკბილეულობით გამასპინძლების დროს თქვენგნით ისეთი აღერსი და მეგობრული მადლობა მიიღეს, რომ ბუნების გულგაშლილ მდელოზე უფრო გულუხვი გამასპინძლებით უთუოთ უფრო დიდს და ტკბილს ჯილდოს მიღებას მოელიან და მე, როგორც ერთადერთ თქვენს კავალერს, მეტი თვალფხიზლობა დამჭირდება, რომ მაგათი მოლოდინი ჩაიღურის წყალს გაგატანო.

პატივცემული პროფესორის ლაპარაკმა მომავალი საშიშროების გამო მადა ვერ შეგვიკრა და დაუყოვნებლივ გავკარით კბილი ძვირფას ძღვენს. არც თუ თვითონ ჩვენმა მცველმა კავალერმა იუკადრისა თართის დოში და გამჭვირვალე ბუდეშური.

ღუქნიდან სევდიანი შიქსტის ხმა ისმოდა, ხანდახან სადღეგრძელოების ყიყინი. ჩვენც ვისმენდით უჩუმრად და შეეცქეროდით მადიანად.

მზემ ძალზე გადაიწია. მეეტლებს გზის გაგრძელება გაახსენდათ და აღიაჭოთი შეუდგათ. კვლავ ჩავიკედენით ნოეს კიდობანში და შევუდექით ვომბორის აღმართს.

პროფესორის წინასწარმეტყველება არშიეობის შესახებ არ გამართლდა. ალბათ. ჰამა-სმით დამძიმებული მოქალაქენი პატარძლებივით პირმოკუმულნი ისხდნენ. არც ჩვენ ვარღვევდით სიდიხვებს და მყუდროებას.

გომბორის მთის აღმართი ჩვენი ეკიპაჟის ბედაურებისთვის მსუქი არ აღმოჩნდა და ისინიც თავჩაქინდრულები, ნება-ნება მიიზღოვნებოდნენ.

ბინდმა მოატანა. დილიდანში მკედრული სიჩუმეში მოქალაქენი ტკბილ თვლემას მიეცნენ. პირველ ეკატერინეს მხარეზე მიეყრდნო მშვენიერი თავი, კეკე, — მეორე ეკატერინე და ტასო რალაზედაც ჩურჩულებდნენ და მარტო მე, მესამე ეკატერინემ მოუსვენარი და მოულოდნელი მოგზაურობით აფორიაქებული, თვალეზ-გაფართოვებული გავყურებდი დასავლეთის მხარეს, „მკრთალის ნათელით“ საოცნებოთ განათებულს, და ვხარობდი, რომ ხვალ ვნახავ კახეთს. ამ „საუკეთესო მარგალიტს საქართველოს მშვენიერების გვირგვინისას“, სამშობლოს კახეთის საუკეთესო და სასიქადულო შეილისას.

ძალზე ჩამობნელდა. მიეუახლოვდით სოფ. გომბორს, სადაც ღამე უნდა გავგეთენებინა. აღმართზე ასვლის დროს დაგვეწია ქალაქელი ვაჭრებით გაქედილი რამდენიმე დილიციანი. იყვნენ საზანდრებიც, რომელნიც უშველებელ დაღაბანდებზე ოდნავი ხელის შეხებით რალასაც დალიციებდნენ.

აი მივედით ღამის გასათევ ბინაზე — „ანასტასიას სასტუმროში“. ჩვენი დილიციანი პირველი შეგრიალდა ფართო, ფარნებით განათებულ ეზოში, რომელსაც გარშემო ვალავანივით შემორტყმული ჰქონდა ხის ფარდულები და გრძელ-გრძელი ბაგები ქერით და თივით. ბაგებზე მიბმული ცხენები ჩვენზე ადრე მისული ეკიპაჟებისა უკვე მადიანად აზრამუნებდნენ თივას. მგზავრები კი ეზოს კარებში ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილები იდგნენ, თითქოს დანარჩენ მგზავრებს მოეღიანო. როდის, როდის, მუხლებ-შეხუთულნი და დაბალ-ქერიან დილიციანი კისერ-წაბრილნი გამოეძვერით ჩვენი ნოეს კიდობნიდან და მგზავრთა საერთო კამპანიას შეეუერთდით.

შესავალ კარებში მზიარულად მოგვეგება სასტუმროს პატრონი ანასტასია, ფაშფაშა რუსი დედაკაცი, თეთრი წინსაფარით და თეთრი „ჩეფჩიკით“ თავზე და კეთილი ღიმილით და სტუმართმოყვარეობით მიგვიწვია ოთახებში.

ჩვენ, როგორც ერთად-ერთ მგზავრ ქალებს, ცალკე ოთახი გვითავაზა. ოთახი სუფთა და ლაზათიანი იყო, სწორედ ამ დღისთვის შეთეთრებული კედლებით და გარეცხილი იატაკით. უშველებელი საწოლით, ქერამდის საესე ლოჯინით, სართულიანი ბალიშებით, თეთრი საბნით გადაფარებული. შუა ოთახში სუფრა-გადაფარებულ მაგიდაზე უკვე აჩუბჩუხებული სამოვარი იდგა, რამაც დიდი სიხარული და სიამოვნება გამოიწვია ჩვენში, მით უფრო, რომ დილაადრიანად გამოქცეულებმა ჩაის გადაყლაპა ვერ მოვასწარიით.

— ახლავე რძეს, პურს, ყველს და ჩაის იარალს მოგართმევთ, — მზიარული კისკისით გვითხრა ანასტასიამ და სხვა სტუმრების დასახვედრად გაფრიალდა თუ გაბაჯბაჯდა. რადგან მისი განზე გადგმული თეძოებისთვის და ექვს-ფუთიანი სხეულისთვის ვაფრიალება წარმოუდგენელი იქნებოდა.

ჩაის შევექცეთ, თითო ჭიქა სურნელოვანი, ახლად მოწველილი და ადუღებული რძე გადავკართ, ცხელ-ცხელი „რეანონს“ პური და კარგი ყველი შევატანეთ და დაღალული სხეულის დასვენებას შევუძლიებთ ჯურთუყის გაფუებულ დოშაკზე. მაგრამ ამ დროს ~~საფრანგული~~ დარბაზიდან ისეთი ხმაური მოისმა, ისეთი ორომტრიალი და პათოსით წარმოთქმული სადღეგრძელოები, რასაც ისეთი რიხიანი მრავალეამიერი მოჰყვა, ზოლო მრავალეამიერს დუღუკის ისეთი ტბილი ლულუნი, რომ ჩვენი დასვენება და დაღლილობა უკუიქცა და საზოგადო ლხინისაკენ გავვიტაცა.

უშველებელ თეთრ დარბაზში მრავალრიცხოვან მგზავრებს პატარა მაგიდები ერთმანეთზე მიედგათ, საერთო სუფრა გაემართათ, თავთავიანთ ტოკებიდან გოზაურები ჩამოესხათ და ძმურის კავშირით შეერთებული ეს სხვადასხვა ჯურის ხალხი და სხვადასხვა ასაკის ადამიანები საერთო ლხინს მისცემოდნენ.

ჩვენი პატივცემული, სახელოვანი თანამგზავრი, პროფესორი ვასო სუფრის თავში დაესვათ და პირველი სადღეგრძელო საერთო ფეხზე ადგომით, ქუდების მოშვლებით და დიდის მოწიწებით იმისთვის მიეძღვნათ.

თვით პროფესორი, ფრიად აღელვებული და შემკრთალი ამ უჩვეულო და მოულოდნელი ოვაციით, თაჩნალენული იჯდა და ხელში წითელი ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა (იქნება ღვინოს ანალიზსაც უკეთებდა). მოქეიფეთა მთელი საზოგადოება ეხვეწებოდა გამოეცალა ჭიქა და ორიოდ სიტყვით გაეცნო მათთვის თავისი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. ჩვენ, კარებში მდგომთ, ქირის ოფლმა დაგვასხა, რადგან გამოცდილებით ვიცოდით, რომ პროფესორისთვის ორატორობა, გარეშე ქიმიის ლექციებისა სტუდენტებთან, უცნობი ხილი იყო.

მაგრამ აქაც მოეცუვდით. ის თავისებურად დინჯად, მძიმედ წამოღდა, ამხანაგურად გაუღიმა კამპანიას და მოკლედ გადასცა ამ უცნაურ მსმენელებს თავისი ვინაობა და თავისი კახეთში გამოგზაურობის მიზეზი. საქართველოს მეღვინეობას უნდა გაეცნო და მერე სხვა ქვეყნებს გაეცნო. შესასწავლად კი საჭიროა ალაგობრივ შემოწმება ღვინოებისა, და აი მეც ესვამ კახურს, ვაკვირდები მის თვისებას, დაყენების ხერხს, შენახვას, გადაღებას და თუ ნაკლი აქვს, შევეცდები გაუკეთესებას მეცნიერების საშუალებით და ის, რაც ასე უხვად დაუზოგველად იღვრება და იხარჯება ჩვენს ქვეყანაში, სხვა ქვეყანაში გავა, იქიდან ოქროს შემოგვიტანს, ოქრო კი ქვეყანას ააყვავებს, რკინის გზებს გაგვიყვანს და გომბორზედ ჯანდაკი ცხენებით ამობობლება აღარ დაგვჭირდებაო, — სთქვა ეს და თავისებურად დინჯადვე დაბძანდა.

მსმენელთ ვაშას ძახილი ასტებეს, მომღერალთ მრავალ ეამიერი ვაბბეს, ზოლო მედუღუკეთ დიდის ზავით და დოლის ხმის ამალლებით რასტი დაპკრეს. ისინი კარგათ მიხედნენ პროფესორის ახსნა-განმარტებას.

ჩვენ კვლავ ჩვენი კუთხისკენ გავეშურენით, მაგრამ გათენებამდე არ შეწყვეტილა სადღეგრძელოები და ლხინი ასე რომ თვალენ, საძილედ ტყუილად ვაპლატუნებდით.

ირაქრავა თუ არა ანასტასიამ კვლავ შემოგვიტანა ^{ქვეყნულ} სამოვარი, ხოლო დიდი ფოდნოსით კარაქი, კვერცხები, ნაჭკანაძე და თხელ ნაჭრებად დათლილი „რკინის“ პური. გვერდით დანახარჯის სიაც მოედო.

„მზე ამობრწყინდა დიდებულად“ და გომბორზე დაგროვილი ნისლი და ბურუსი გაჰფანტა. ჩვენი ეკიპაჟი, იმავე თანამგზავრებით გაქედილი, ისევ პირველი გამოვიდა ანასტასიას მყუდრო საბუდრიდან. ეს პირველი გამოსვლა ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ „ეკუართა კამპანიამ“ ამით პატივი გვცა ჩვენ, განათლებულ პროფესორს და მის თანამგზავრებს, ქალებს.

რამდენიმე წამის შემდეგ გავცდით სოფ. გომბორის სუფთა და ვანიერ ქუჩას და დავეშვით თავდაღმართზე. მშვენიერი, რკინასავით მოქვილი გზატკეცილი სჭრის ახოვანი ტყით მოფენილ დაღმართს. აქეთიქით გზის თავზე წამომდგარი ხის ტოტები ძვირფას ხეივანდ ხდის ამ დაუვიწყარ გზას მგზავრთათვის.

ჩვენი თანამგზავრნიც აღფრთოვანდნენ და წამდაუწყუმ გაიძახოდნენ:

— ოჰ! ვანიჭკაჯან, შენ გენაცვალე მაგ მარჯვენაში! გაპკარ, გაპკარ! მაგრე გაუტლაშუნე? ჰაი, ჰაი, ჰა! მიფერინავთ რალა, მიფერინავთ დედამიწაზე შეუღარებელ კახეთში! წითელი ღვინის სამშობლოვ, კაცის სულის და გულის დამტკბობო, ქვეყნის სამოთხედ ნაქებო! ჰაი არალი, ჰაი თარალი!

ჩვენც არა ნაკლებ ვიყავით გატაცებული დიდებული ბუნებით. მხოლოდ ხმა ვერ ამოგველო, შევცქეროდით და ვტკბებოდით ამ საოცრებით. კავკასიონის ქედის დანახვამ ნება-უნებურად გაგვახსენა დიდი პოეტის „ყვარლის მთებს“ და ათასმა აზრმა გაგვიელვა თავში.

ჯერ ისევ ადრე იყო, გადახრილი მზე ჯერ ისევ ბრწყინავალედ ანათებდა კახეთის დალოცვილ მდელოებს, როდესაც თელავში შესავალ ხევში ჩავექანეთ. ვანიერმა და უზარმაზარი ქვებით სავსე რიყემ სწრაფ დაარღვია ჩვენი მალა ფრენანი. ჩვენმა ნოეს კიდობანმა საშინელი რყევა და ზანზარი შექმნა, და მკიდროდ რომ არ ვყოფილიყავით ჩაქედლინი, იქნებ ერთმანეთს თავებსაც დავატაკებდით და მთელი დღის შევება, ლხენა და მეგობრული თანამგზავრობა უნებურ სისხლიან ბრძოლად შეგვცლოდა. ეკიპაჟის სიეწროვემ პოზიციები შეგვინარჩუნა სამაგიეროდ სულ გვაწყველინა ხევების გამჩენი.

მაგრამ დაუსრულებელი ამ ქვეყნად არა არის რა, „თეთრად“ წოდებული რიყეც გამოიღია და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უკვე „შიკით“ შევექანდით კახეთის „სატახტო ქალაქში“, რომლის ქუჩებიც მრავალი ეტლის სიარულისაგან შავად იყო აწელილი ტალახით. ამ ტალახში უზრუნველად სტოპედნენ დამხდური ზოგი ბინას გეთავაზობდა ღამის გა-

სათევად, ზოგი ბარგს ექიდებოდა გადასატანად. საერლო უკრავდა იღგა გარშემო.

ჩვენი თანამგზავრები, თავიანთი სიმძიმის მიუხედავად, ახლოს სისწრაფით წამოიშალნენ და დიდი ფაცა-ფუციტ ახლოს მოსახლოვანების გადასვლას. დიდრონ ზურგინებს ვეშაპებივით მიათრევდნენ, რომ დაესწროთ დაქირავება ყრმისა, ცხენისა თუ მუშისა, რათა დილა აღრიან გასდგომოდნენ ალავერდის გზას, და ეგონისტურად სულ დავევიწყდით.

ჩვენ კი გარინდებული ვიდგეთ გზის პირას და გაშტერებული აქეთ-იქით ვიცქირებოდით. სად იყენენ ჩვენი დამხვედრი ადამიანები? ვიდექით და ველოდით.

— სასტუმროში ხომ არ მოთავსდებით — უეცრად შეგვეკითხა ყმაწვილი გლეხი.

ერთ წამში გამოვფხიზლდით და ყველამ ერთად შევძახეთ:

— ჰო, ჰო! გეთაყვა! აბა გვიჩვენე, საით არის და გაგვახარე.

— აი, აქეთ მობრძანდით! — და ზდილმა ქაბუკმა რამდენიმე ნაბიჯი გაგვატარა და კიბეც დაგვანახა, რომლითაც სასტუმროში უნდა ავსულიყავით. მერე გაბრუნდა, მაგრამ ახალი იმედით აგვაესო: — შეც ეხლავე გაახლებით და ყველაფერს აგისრულებთ, რაც დაგჭირდებათ.

სასტუმროს კიბე მეტად დამაბუნებელი აღმოჩნდა, საფეხურები აქა-იქ ჩასცივებოდა და მთლად ზანზარებდა, ამის გამო ჩვენი სურვილი, რომ საჩქაროდ ჰერქვეშ შევსულიყავით, დიდის გაჭირვებით ავასრულეთ.

მთელი სახლის სიგრძეზე აივანი იყო გაჭიმული და ამ აივანზე ადამიანი არა სჩანდა. აივნის ბოლოში ერთი კარი ღია შევნიშნეთ. შევევლით, გავიარ-გამოვიარეთ დაცარიელებულ, შპალერ ჩამოძრობილ ოთახებში და ძლივ ძლივობით ერთი ოთახის კუთხეში აღმოვაჩინეთ ბებერი დედაკაცი თვალებზედ ჩამოფარებული შავი თავშალით. ჩვენ შეკითხვაზე ცალი ყბით შემოგველაპარაკა:

— ვერა ხედავთ ოთახები ცარიელია? გასტინიცას რემონტი უნდა გაუკეთონ.

— რაღა ექნათ?! — ცვლავ შევძახეთ და გულზე ხელები დავიკრიფედ. სწორეთ ამ გაჭირვების დროს ისევ თავს წამოგვადგა ის ყმაწვილი ბიჭი, რომელმაც ქუჩაში ატუზულნი აქეთ გამოგვისტუმრა.

— შენ გაზრდას, დაგვეხმარე, ამ ცარიელ ოთახებში ღამე გაგვათევე-ბინე როგორმე და ცოტა რამ საქმელი გვიშოვნე კაი სამოვარი გჭონიათ, ესეც აგვიდულე და შენი გასამჯელო ერთი ორად გადაგვახდევინე.

პროფესორმა სიტყვა საქმედ აქცია და საჩქაროდ წითელი თუნუჩიანი გაუწოდა ახალგაზრდას. ბებერს ბუზლუნზე ახალგაზრდამ ჩურჩული დაუწყო. მერე საჩქაროდ შემოიტანეს ორი ტახტი, მოზრდილი ხის მაგიდა და გძელი სკამი.

ჩვენ თავი უკვე დამკვიდრებულად ვიგრძენით და აივნისკენ გავეშურენით. აივნიდან მოსჩანდა მთელი ქალაქი, დაბლობში გაშლილი ალაზ-

ნის ველი და აქა-იქ გაფანტული სოფლები. ბინდუნდში ქალაქი ფარნების შუქი და სოფლებში ანთებული სანთლები ოდნავ ბურუსიან ჰაერში ვარსკვლავებივით ლიელებდნენ და თვალგაღუწვდენელ მომხატვლავ სურათს ანათებდნენ. ღმერთო ჩემო! ნუ თუ რომელიმე მომაკვდავ ხელოვანს შეუძლია რაიმე ამგვარი აღბეჭდოს ტილოზე? მაგრამ რა არის ტილოს ნაჭერი იმ სიღიადესთან, რომელსაც, წარმოადგენს კახეთის პანორამა თელავის ნადიკვრიდან? რამდენს აუწერია ეს წარმტაცი სანახაობა, რამდენს უძღვნია პოეტური ქებათა-ქება მისთვის, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თვალით მნახველს შეუძლიან წარმოიდგინოს მისი კაზმულობა და დაუვიწყარი იერი! არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით შებოკვილი ამ სურათის სიღიადით. დროის სვლას ვეღარ ვამჩნევდით, თითქოს თვით არსებობაც გაქარწყლდა და ფრთოსან ოცნებად იქცა.

— ჩაი მზად არის, ვახშამიც, — მოწიწებით და ღიმილით მოგვმართა ჩვენს სახლის პატრონად ჭკეულმა ქაბუქმა და გამოგვაფხიზლა. შიმშილმა ერთბაშად გაიღვიძა და არა ნაკლების აღტაცებით ახლა ლამფით გაშუქებულ სუფრას მოვეუსხედით.

ლურჯ სუფრაზე დიდ ლანგარზე სამი შამფური იდვა და ცხერის მწვადის სურნელება ოთახს ავსებდა, ყველი, მწვანილი, ბოთლით კახური ღვინო, — ყოველივე ეს მეფის საკადრის სუფრად გვეჩვენა. და როცა ფანჯრის რაფაზე აღდებულ საშავარო და ვინახეთ, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვკამდით, ვსევამდით, ვიღიმებოდით და ღია კარებიდან ახლად ამოსული ნახევარ მთვარის შუქით განათებულ ნადიკვარს გავსცქეროდით.

უცებ მთვარის შუქს ჩრდილი ჩამოეფარა და ჩვენ წინ გამოჩნდა ვინმე კახელი თავადი თავით ფეხამდე შავ სამგლოვიარო ტანისამოსში გამოწყობილი. რაც მის თეთრ-ყირმიზ პირისახეს, წაბლისფერ წვერულვამით შემკულს, ერთი ორად ფას სდებდა და ამშვენებდა.

— ოჰ, ვანო, შენ? — შესძახა პეტრიაშვილმა და თან მორცხვად ჩვენი კამპანია — სამი დაუბატოებული სტუმარი — გააცნო თავადს.

— აბა, ბატონო ვანო, ჩაიზე დაგვეწვიეთ, — სიცილით უთხრა ძველ ნაცნობს, ქმრის ყოფილ მოწაფეს ეკატერინე პეტრიაშვილმა და თან ხელი გაიშვირა სუფრის „სერვიზისა“ და ხის შამფურებზე აგებულ მწვადები-საკენ.

— გმადლობთ! — უპასუხა თავადმა. — ჩაიზე ჩვენები ენისელში მიგველიან და ვთხოვთ, ჩქარა მოემზადოთ. ეტლი კარზე გველის.

ნახევარი საათის შემდეგ უმადურად შივატოვედ ეს სამოთხედ მიწნეული თავშესაფარი, სიხარულით ჩაელაგდით ოთხი ბედაური ცხენით შებმულ ეტლში, კვლავ დამთვრალნი მომზიბლავი გარემოცულობით, გაკუროცხლეთ ენისლისკენ და საათნახევრის მოგზაურობის შემდეგ უკვე ვიყავით ჯორჯაძიანთ მამულში.

უშველებელი ორსართულიანი სახლი, აივნებით ეზოსკენ მიქცეული, ფარნებით იყო გაჩაღებული. ეტლის გაჩერების უმალ ვანო გადმოხტა

და აივნიდან შეგვიძლია პირდაპირ სასადილოში, სადაც სულ უკვე გაშლილი იყო და სუფრის თავში მოკეცილი იჯდა დიასახლისი მძიმე შავებში. (თურმე ამ ოჯახს სულ ორი-სამი კვირის წინაც უნებურება სწევოდა: ვანოს მამა გარდაცვლილიყო. ჩვენ კი არაფერი ვიცოდით და ასე უდროოდ დავესხით თავს). მოწიწებით წაედექით მგლოვია-რებთან და მერე ჩვენი ადგილები დავიჭირეთ სუფრის გარშემო, რომელიც მდიდრულად იყო მოწყობილი და რომელზედაც თეთრ-ხელთათმანებიანი ახოვანი რუსი შავის სერთუკით ბოთლების მთელ ჯარს ამწყობებდა.

მალე შემოვიდნენ ოჯახის დანარჩენნი წევრებიც: რძალი, ვანოს ცოლი — ფრანგი, მშვენიერი ქალი, ძმები ილიკო და დავით, ახლო მეზობელი თავადები, რამდენიმე კაცი, დიდის მოკრძალებით სრულის სიჩუნიტ ჭამას შეუდგენით.

შუა ვახშამზე უფროსმა ძმამ უბრძანა რუს ლაქიას, მოეტანა „შაქრიანი“, და სუფრაზე გაჩნდა ქართული შამპანიური-შაქრიანი. გაიმართა ბაასი კახური ღვინოების თვისებაზე, გემოზე და სურნელებაზე, რის შესატყობად და შესაცნობად მოსულიყო კახეთში ვასილ პეტრიაშვილი, რომელმაც შემდეგში გამოსცა ვრცელი მეცნიერული წიგნი, თუ არა ვცდები, „მელვინეობის“ სახელწოდებით. ჩვენ, ქალები, დიასახლისის, მეთხე ეკატერინეს მეთაურობით სუფრიდან წამოვდექით და ვეკაცთ დაუთმეთ ასპარეზი.

უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი კახელი თავადიშვილის ოჯახი, რომელიც მე გავიცანი, ფრიად გაწყობილი იყო ყოველმხრივ და მაგონებდა წიგნებში გაცნობილ რუს და ევროპულ ფეოდალურ ოჯახებს, რაც ჩემთვის, ქართლელი ქალისთვის, თითქმის არაჩვეულებრივი იყო. ქართლელი თავადის ოჯახი, ძალიან იშვიათის გამოკლებით, ბევრად ღარიბ შთაბეჭდილებას ახდენდა. მეტადრე თვალსაჩინო იყო უმაღლეს სასწავლებლებში ნამყოფთა სიმრავლე.

ჯორჯიანთ სახლის ზემო სართული, სადაც ჩვენ, ქალები, აგვიყვანეს დასაძინებლად, შესდგებოდა რამდენიმე მშვენიერად მოწყობილ ოთახისაგან. დარბაზი-ხალა სულ ბრწყინავდა დაოქრულ ნივთებით და ავეჯით. ისეთი სპეტაკი და ძვირფასი ლოგინი იყო, რომ გვეკვირდით, და, როგორც მოგხსენებთ ოთხი ქალის ერთად შეკრების ამბავი, ვაუთავებელი ბაასი გავაბით.

ვგონებ, არც ქვემო სართულში დარჩენილი კამპანია ჩამოგვრჩა ღაშის თევაში, იქიდანაც გაცხოველებული ბაასი მოისმოდა. უთუოდ „შაქრიანმა“ პროფესორს, როგორც გომბორში, დაუსრულებელი თემა მისცა კახური ღვინის ოქროდ გადაქცევისა.

დილით მე მაინც ადრე გამომეღვიძა. ჩემი ამხანაგები ღრმა ძილში იყვნენ. უჩუმრად ავდექი და სახლის უკანა აივანზე გავედი. წინ კარგად დიდი, ვაზით სავსე ვენახი იყო, რომელსაც წისქვილის რუ ორად ჰყოფდა. რუს გაღმა, წყლის პირას, ყმაწვილი დედაკაცი იჯდა, ხელში მშვე-

ნიერი ბავშვი ეჭირა და მალალის ხმით ტიროდა, მოსთქვამდა და ხელებს ასავსავებდა, ხანდახან ვაებით თავში შემოიკრავდა ხელებს, პატარას სრულიად არ აქცევდა ყურადღებას.

საჩქაროდ ჩაველ ბაღში და მიუახლოვდი თუ არა დედაქალაქის მაშინვე ზეზე წამოხტა, თვალების წმენდა დაიწყო, გაღიმებასაც კი შეეცადა, მაგრამ მალე პირი ისევ მოეღრიცა და კანკალი აუვარდა.

შვეცხადე ბავშვი გამომერთმია, თან შევეკითხე მწუხარების მიზეზს.

— ოჰ, ქალბატონო, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ, შემობრალეხით. მე აქ ამ კნიაზებთან ძიძათა ვარ, ამ მშვენიერ ბავშვს ძუძუს ვაწოვემ და მეზობელ სოფელში დატოვებული ამის ხნის ბალლი მამკდომია. არც ავადმყოფობა შემატყობინეს, ისე მიუბარებიათ მიწისთვის! — და უფრო საშინლად აქვითინდა.

— შენისთანა ყმაწვილი, ლამაზი დედაკაცი, განა რა გაქირვებამ გამოგიყვანა ოჯახიდან? ქმარი არა გყავს?

— მყავს, მაგრამ დიდმა გაქირვებამ გამაბედვინა კარზე გამოსვლა. სოფლის მოხელეები ყოველ წლივ გვარბევენ, რაც სულს აქეთ გვაბადია, გვართმევენ, და აი ჩემმა პატრონმა სთქვა, ერთი წლის ჯამაგირით ცოტა სულს მოვითქვამო, და გამამისტუმრა ხუთი თუმნისათვის უცხო სახლში, ხუთი თუმნისთვის გავწირეთ ჩემი პატარა, ჩემი მშვენიერი ბიჭი! — და კვლავ თავში ხელი შემოიკრა. — მე აქ სხვის შვილს ულოლიავებ, ჩემი საკუთარი კი შიმშილით მომიკვდა... ოჰ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მერე ის ჩემი ცოდვით შეძენილი გროშები ნეტა მაინც სასარგებლოდ გავგზდომოდა. ახლა თურმე ამბობენ, ის სადაო მამული ისევ ბატონებს დარჩენიათო. ასე დავილუპენით, ასეთი ცეცხლი მოგვეკიდა. მთელი სოფელი ვალით არის სავსე, აღარც საქონელი, აღარც ავეჯი გააჩნია ვისმე...

— რას ამბობ, ადამიანო, რა დავაზე ლაპარაკობ, ვინ ვართმევთ ყველაფერს? — გაკვირვებით შევეკითხე.

— ჩვენ, საბუელი გლეხები, თავად ჯორჯაძეებს დიდი ხანია ვედავებით ტყეზე. მე აგერ ხუთი წელიწადია იქ ვარ რძლად და ჩენი თავში საცემი და სავაგლაზო სულ ის დავაა და, როგორც ჩემი დედამთილი ამბობს, ვინ იცის, კიდევ რამდენ წელს გაუვლია ჩემ მისვლამდე! ჯერ მარტო ჩვენ, მარტოხელა კაცს, წელიწადში ათ თუმნამდე გვაწერია, აბა მთელ სოფელში რამდენი ხარჯი უნდა გროვდებოდეს?!

— ვინ გახდევინებთ, ადამიანო, ვის ხელშია ეს საქმე?

— ვის ხელში და სოფლის დეპუტატებისა. საქმის წარმოება კი, რა მოგახსენოთ, ამბობენ, ქალაქში ვილაცა დიდი ადვოკატიო.

საშინლად დამაინტერესა ამ ამბავმა.

იმავე დღეს მიგიწვივია თავისთან სოფელ საბუეში ეკატერინე ჯორჯაძის სიძემ, იორამ ჯორჯაძემ. მშვენიერი დიდი სოფელია საბუე, ჩვეულებრივ კახურად გაშენებული. განიერი გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია გლეხთა სახლები, მომეტებულად ხის შენობები, წითელი კრამი-

ტით დახურული, განიერი მწვანე ეზოთი. სოფლის გზის მოშორებით სდგას შებატონის ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, სუფთად შედობილი აივნებით, რომლებიც გადაჰყურებენ მდინარე სტორის ხეობას, დიდებულ სურათს და შორეულ პორიზონტამდე გაშლილ, კალმიფრთხილ მყდამოს, ტყით, ველებით და ბალ-ვენახებით აღსავსეს. თვალწარმატაც სურათს აესებს დიდი ციხე-გალავანი, რომლის ნახევარი გვერდი მდინარე სტორის აზვირთებულ ტალღებს ჩაუნგრევიათ.

ჩვენი პირველი სიტყვა მასპინძლებთან ამ სოფლის მღელვარების მიზეზის გამოკითხვა იყო, რაზედაც სახლის პატრონმა იორამმა გვიამბო:

— აქ, საბუეში, გარდა ჯორჯაძეების ნაყმევებისა, ორმოც კომლამდე სახელმწიფო გლეხებიც შემოხიზნულან. ამ სახელმწიფო გლეხებმა დავა დაგვიწყეს ტყის მფლობელობაზე. ავერ ოცი წელიწადია, რაც ეს დავა სწარმოებს. დაეიღუპენით ჩვენც და ისინიც. გამარჯვება ხან ჩვენსკენ არის და ხან იმათკენ. არც ერთი არ ვთმობთ ჩვენს უფლებას. ამ ხუთი-ექვსი წლის წინად ვებეწეთ გლეხებს მოვრიგებულყავით შინაურულად, თუმცა ჩვენი საკუთრების საბუთი ყოველ ეჭვ გარეშე იყო, ვაძლიეთ სასადაო მამულის მეოთხედი, მაგრამ მაგათ უარი სთქვეს. ახლახან სენატში ჩვენ კვლავ მოვიგეთ საქმე და ჩავიბარეთ კიდევ ტყე-ფიჭობდით, ეს არის ღმერთმა გვიშველა და მოვისვენეთო, მაგრამ აი სხვადასხვა გაიძვერა ადვოკატების წაქეზებით, ლამის ერთმანეთს შევაკლათ თავი. როდესაც გამოეცხადათ, რომ მამული ჩვენ დაგვრჩა, ეგენი კვლავ ადვოკატთან გაიქნენ. იმათ უბრძანებიათ: თქვენ ძალათი შედით ტყეში, გამოიტანეთ, რაც გსურთ, და პასუხისმგებელნი ჩვენ ვიქნებითო. და აი დღეს მთელი სოფელი ძალად შევიდა ტყეში. ჩვენ იძულებული ვიყავით, უმაღლეს მთავრობისთვის გვეთხოვნა გაეგზავნა პოლიცია ჩვენი ინტერესების დასაცველად. ასი ჯარისკაციც დაუმატეს, და თუ შეტყება მოხდება გლეხებთან, ჩვენი რა ბრალია...

და რომ შეგვატყო ამ სიტყვებზე აღელვება, დაუმატა:

— ეს სისასტიკე გადამეტებულია, მაგრამ გვიჩვენეთ სხვა გზა კანონიერი აღსრულებისა და დიდს მადლობას მოგახსენებთ.

სადილის შემდეგ გავიხმე კეკე მესხი და გავედით სოფლის შარაგზაზე სოფლის დასათვალისწინებლად, უფრო კი იმის შესატყობად, თუ რამდენად მართალი იყო თავადის ახსარება. მალე აქეთ-იქიდან მოგანგაშე დედაკაცები გადმოდგნენ ქუჩის პირას და მაშინვე ამათაც დღეის ქირვარამზე ჩამოგვიდგეს ლაპარაკი. ჩვენი სურვილიც ეს იყო.

აქ არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ საბუეში პირველად ვნახე ქართული გლეხი დედაკაცის სიმშვენიერე. აქ ერთი მეორეზედ უფრო ლამაზი, უფრო ტანადი ქალები არიან, რიხიანი, გაბედული სიტყვა-პასუხი აქეთ, და რაც ეშვითათია საქართველოს სხვა კუთხეებში, აქ დედაკაცებს დაუცავთ ძველებური ტანისამოსი, რომელიც მათ ტანადობას დიდად შეენის: ფეხებამდის თალხი კაბა, რომელსაც გულისპირი სამკუთხად აქვს ამოქრილი, საიდგანაც მოსჩანს თეთრი პერანგის გულისპირი.

წელზე მოქერილი აქვთ ღია ფერის სარტყელი, ხოლო თავზე მოხვეული და ყბებზე აკრული, თეთრი სუფთა შილაია. ზევიდან თავშალი ქინძის-თავით არის დაბნეული და თავშალის ყურები თავის გვერდზე აქვსკილი.

— როგორ მოგწონთ, კნენებო, ჩვენი საბუე? — შუგულისხმან.

— სწორეთ სამოთხეა. ნეტავი თქვენ, რომ აქა სცხოვრობთ!

— და აქი თავს იმიტომ ვიკლავთ. ჩვენი წვითა და დაგვით მონაპოვარი, ჩვენი მარჯვენით აყვავებული მამული განა უნდა დაეთმოთ და გადავსახლდეთ?..

— როგორ თუ გადასახლდეთ? — შეეყვირე მე. — ვინ გითხრათ ეგ საშინელი სიცრუე?

— აგრე ამბობენ, შენი ქირიმე. თუ ტყე ჩაიბარესო, მერე სოფლიდანაც აგყრიანო. „თქვენ აქაური მკვიდრნი არა ხართო, საიდანაც მოსულხართ, იქ უნდა წახვიდეთო!“

— ვინ გითხრათ, ვინ ჩაგაგონათ მაგვარი უსაფუძვლო აზრი?

— ვინა და ჩვენმა მხსნელმა, ჩვენმა მოაშაგე ადვკატმა.

ჩვენ ეცდილობდით შეგვეგნებინა მათთვის ყველა ის, რაც თავადმა აგვიხსნა. რაც სრულ სიმართლედ მიგვაჩნდა და რასაც ადვკატების სიმუხლთით ვსხნიდით.

— ადვკატი იმიტომ არ გირჩევთ მორიგებას, რომ საწველ ფურად გაუხდინართ, რომ რაც უფრო დიდხანს იდავებთ, ის უფრო მეტს გამოგტყუებთ. რატო სოფლის მასწავლებელს ან სხვა ვისმეს არ შეეკითხებით? აი დღესაც თქვენ წასძლოლიხართ ურმებს. დედაკაცის ვალია ქმარშვილი დააშოშმინოს, სამართლის გზაზე დააყენოს, თქვენ კი თურმე უფრო ცეცხლს უკიდებთ! მაგვარმა რამემ შეიძლება მართლა გადასახლებაზე მიიყვანოს საქმე. „ბუნტს“ ახდენენო, იტყვიან და მაშინ სამართალი სულ დაიკარგება.

მეგობრულად, ამზანაგურად, ღიმილით ველაპარაკებოდით, თან ვტკბებოდით მათი აზოვანებით, ჯანსაღობით და ვაყვაცური სიმამაცით.

— აბა თქვენ რას გელაპარაკებით?! — შეჰყვირა განრისხებით ერთმა მათგანმა და დანარჩენთაც ბანი მისცეს. — თქვენც თავადები იჩნებით უთუოდ და აბა ძალი ძალის ძვალს რად გასტეხს, იმათ რად უმტყუნებთ! — და ქვებს დასწვდნენ ჩვენდა სასროლად.

ჩვენც მოვეურცხლეთ, რაც ძალი და ღონე გვქონდა.

სალამოზე, კარგა დაგვიანებული იყო, როდესაც ბოქაულიც მოვიდა თავისი შეიარაღებული მსლებლებით და გვიამბო, თუ რა ქირი გადაჰხდა გლეხებთან ბრძოლაში, რა რიგ გაძალიანდნენ, კეტებით დატრიალდნენ.

— ჰა, ხედავთ, რა ვაი-ვაგლახში ვარ! — სჩიოდა ბოქაული, — აგერ სამი კვირაა სულ ამ ცეცხლში ვტრიალებ, არც დღეა ჩემთვის მოსვენება და არც ღამე. მთელი მაზრის პოლიცია, მთელი კახეთის „დრუჟინა“ ფეხზე სდგას და მე, როგორც პოლიციის ბოქაული, ყველასაგან ხელწამოსაკრავი მოხელე, შუაში ვტრიალებ და ვიჭყლიტები. ჯერ იყო

და, გიორგი ჯორჯაძე რო გარდაიცვალა, გლეხებმა, მთელი ხუთი-ექვსი სოფლის მოსახლეობამ მთავარ-ანგელოზის ეკლესიას, ჯორჯაძეძიანთ საგვარეულო სასაფლაოს, ალყა შემოარტყეს — „ეკლესიაში ჩვენ გაუაბხლეთ, ჩვენ გავამშვენით ჩვენის ოფლით მოგროვილი გროშით, მასალის ზიდვით საქონელი ამოვწყვიტეთ, ეკლესიის კურთხევისთვის სამღვდლოებას ჩვენ გავუძებით, თუ ფულით თუ მასპინძლობით, და ახლა მზა-მზარეულზე ეგენი უნდა შიგ დაიმარხნენ, საყდარი ისევე აფუთკონ, იატაკი აარღვიონ! არა, არ შეიძლება, ჩვენი ცოცხალის თავით ნებას არ მივცემთ“. რასაკვირველია, აჯანყების მიზეზი ბევრი სხვაც იყო, მაგრამ დრო იხელთეს, ეკლესია აიღეს მიზეზად და ცნობილი თავადი მთელ კახეთში და მის გარეშეც, დიდი ნათესაობის მყოფე, გააბიბრეს: მთელი ერთი კვირა დაუმარხავი ესვენა, გაიხრწნა... დიდი შუღლი ჩამოვარდა გლეხთა და თავადთა შორის. ნამესნიკი, გუბერნატორი ფეხზე დადგნენ: „ჯარი ვაიყვანეთ, ხალხი ძალით მოაშორეთ, განსვენებულის საფლავი გაანთავისუფლეთ“, მოვიდა ბძანება. ჩვენ, აჭაურებს, მეტადრე მე, ქანცი გაგვიწყდა სირბილით, ბძანების ასრულებით. ჯერ რივიანად არ ამომესუნთქა, რომ ახლა ეს ტყის დავიდარაბა ატყდა. ხვალ კიდევ „ალავერდობა“, მთელი მიღეთი იქ მოიყრის თავს, მრავალი ათასი მოიტანს სავაქროს, მორეკავს საქონელს, ათასი კაცი გამართავს ლხინს, სმას და აყალმაყალს. ყველგან მე უნდა ვიყვე, ყველგან წესი და რიგი მე უნდა დავიცვა“-ო, — იკვებოდა ბოქაული.

ალავერდის სავაქრო მნიშვნელობაზე და მის საეროვნო დღესასწაულზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ეს უკვე აწერილი მაქვს ჩემს საკმაოთ მოზდილ მოთხრობაში: „გამარჯვებული ნიკო“.

ბაჩანა: ლექსები და პოემები. სოლომონ ყუმაიანი-ბაჩანა თეატრალური.
გამომცემლობა „საბჭოთა“. 1938 წ.

ბაჩანა უახლოესი ქართული ლიტერატურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა და მისი ლიტერატურული შემოქმედებები მეტად საგულსხმო და დასაფასებელია.

ბაჩანა ვაჟა-ფშაველას ძმა და მისივე სკოლის მწერალი. მასში ამეზველებულია შთის ხალხი თავისი ზვიადი ბუნებითა და ვაჟაკი და გმირი შვილებით. სარეცენზიო წიგნის მომკმედი პირები, თუმცა კულტურულად დაბალ საფეხურზე დგანან, საშობლოს ვაგებს უფრო მწვევედ განიცდიან და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტ ვაჟაკობასა და რაინდობას იჩენენ. მათი პატრიოტიზმი უანგაროა, უმწიველო, თავისუფალი ყოველგვარ მძლევარებისა და შხამისაგან სხვა ერთა მიმართ.

ბაჩანა რეალისტური სკოლის მწერალია და თავის დროის ფშავ-ზევსურეთის ცხოვრების სინამდვილის სიმართლით ამსახველი. იგი თავისი ძმის — ვაჟა-ფშაველას ძლიერ გავლენას განიცდის და მისი ზოგიერთი ნაწარმოები ვაჟას ძლიერ ნაწარმოებთა სუსტ გადამღერებას წარმოადგენს, შთას აქვს თავისი სპეციფიურობა, მაგრამ ბაჩანას ნაწარმოებებში ეს სპეციფიურობა ეგზოტიკის ფერებით არ არის მოცემული. რეალური ცხოვრების დიდი სიმართლე, სოციალური ამბების სიმძაფრე და სიმწვევე მის შემოქმედებაში პირველ პლანზე დგას.

ბაჩანა უმთავრესად რევოლუციამდელი მწერალია (კერძოდ, სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია რევოლუციამდე დაწერილი ლექსები და პოემები, და გვისახავს ამ დროის ხალხსა და მის ცხოვრებას. ბაჩანას თავისი დროის ქვეყანა ერთ მთლიან ორგანიზმად როდი აქვს წარმოდგენილი. პოეტი ხედავს საზოგადოების ფენებად და ყოფას: მდიდრებს და ღარიბებს, მწაგვრელებს და დაჩაგრულებს. მას ესმის დაჩაგრულთა გულის წუხილი, იგი თანაუგრძნობს მათ. პოეტს ესმის, რომ

„ბედნიერებას ვინ მისცემს
ბატონის ხელში მონებასა
და ყაბისაში საკლავსა
ბერაეს ცხვარსა და ძროხებსა“.

მეგრამ არ ესმის, თუ რატომია, რომ

„ერთი მსუქანი შაქლარი
სიკოცხლით კმაყოფილია“.

პოემა „ღმერთები და სულა“ ისტორიული და განუცნებელი ხასიათის პოემაა, ჰუმანიტარული აზრებით გამოთბარი. პოემაში ვხვდებით ისეთ ადგილს, რომელიც გვაფიქრებებს, რომ პოეტი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ეკონომიურ ფაქტორებს. პოემაში ვკითხულობთ:

„ასე: სწორობა განუსაზღვრელი
სინამდვილეში ზღაპარი არის,
ხოლო უფლებრივ და გონებრივი
შესაძლებელი და ქნადიკ არის“.

„პატარა მეხბორე“ და „კოტი და ჩიტები“ საყმაწვილო პოეზიები, სასურველად შესრულებული.

სარეცენზიო წიგნის ნახევარზე მეტი უჭირავს დიდ პოემებზე, აქ მომქმედ პირებს უკვე დაკარგული აქვთ საშუალო საუკუნეების ქვეყნებისა და რაინდობა:

„თუმც ბერო ფშავში ცხოვრობდა
და იქვე იყო აღზრდილი,
მაგრამ სხვა ფშაველებზედა კი
გონებით იყო გახსნილი.
მეორე, ლუბი, შშიერი
ჯაფით წელმოწყვეტილია,
ერთი მოახლეს მსახური,
მეორე ბრძანებელია“.

ის გარემოება, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია 1890 წელს, მოწმობს ავტორის პოლიტიკურ სიფხიზლეს და სრულიად ამბებში გარკვევის მაღალ დონეს, თუმცა მომავლისაკენ ხედვა მას შეზღუდული აქვს. ეს არც გასაკვირველია. ამ შემთხვევაში ბაჩანა ილია ქავეჯავაძის სკოლის იდეოლოგიურ გავლენას განიცდიდა: არავის უკან დაწევით ან დამბობით არ ემუქრებოდა და ღარიბების დაწინაურებისა და წელში გამართვისათვის იბრძოდა.

ბაჩანას წერილ ლექსებში განსაკუთრებით გამოირჩევა ძლიერი და მაღალი ლირიკული ელერით დაწერილი ლექსი „მუხა“. ამ ლექსმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია. მუხის სახით პოეტს წარმოდგენილი აქვს თავისი დროის საქართველო, განმარტოებით მდგომარე, დაღონებული, მტირალი, რომელსაც ახასიათებს სიმტკიცე, არ აშინებს ბუნების ფერის ცვლილება, რომელიც ამაყად ელის აედარს, თავს არ უყადრებს ქარს, ხოლო ელვა-ქუხილს წარბსაც კი არ შეუხრის.

უფრო ძლიერი ლირიკული ნაწარმოებია ლექსი „ვინა სიტქვა საქართველოზე“. პოეტს ღრმად და მტკიცედ სწამს საქართველოს უკეთესი მომავალი და სრულებით არა სჯერა მისი სიკვდილი.

პოემა „თაღლაურა“ გმირული შინაარსის ეპიკური პოემაა, შთის ხალხის ყოფაცხოვრების ფონზე გაშლილი. გმირი თაღლაურა ვაჟაკია, თავის სიტყვის შემსრულებელი. იგი მტერთან ბრძოლაში საბრძოლო ვაჟაკობას იჩენს, მტერს სიცოცხლეს ატეხებს, მაგრამ იგი არ დაინდობს და უკანაიდან მიპარული მახვილს ჩასცემს და მოკლავს.

პოემა „საფრთხე“ მცარველ ლეკებისა და ფშაველების ბრძოლის თემატიკაზეა დაწერილი. ლეკებისა და მთიელების ურთიერთთან ისტორიული ბრძოლა აქ განსხვავებული მიდგომით არის მოცემული. ილალო გმირი და ვაჟაკია და მტრის არ ეშინია. თუ იგი მსხვერპლს გაურბის, ესეც მისი ვაჟაკობის ერთ-ერთი თვისებაა. ილალოს აზრით:

„კაცი მოკვდება ცოლზედა,
მამულზედ საკუთარზედა,
მაგრამ რომ ვინმე თქვენგანი
მოკვდეს ამ ხელობაზედა,
მაშინ რა ითქმის იმისა
სულსა და კაცობაზედა!“

ილალოს იმის შეგნებაც აქვს, რომ მთიელები სჯულით განსხვავებული ძმები არიან ლეკებისა. მათ შორის ბრძოლა მაინც ხდება. ერთი მთიელი შვიდ ლეკს უმ-

კლავდება და ბოლოს თვითონაც ეცემა. სულთმობრძავს თავის უსთიღებელ თქვს წა-
ადგებიან. მისი უკანასკნელი ანდერძია:

„და ეგ ბრმა ძმები ჩვენები
სამარეს შიამბაროთა,
თოფ-იარაღი თავისი
ყველას თან ჩააყოლოთა.
მკითხავენსადმი მის ზიზღი
ღმალღეს წერტილს აღწევდა,
არც მნიშვნელობას ხატ-საყდართ
და იმათ მსახურთ აძლევდა“.

უკანასკნელი
გინგლიწინი

იდეურად პოემას საბჭოთა ეპოქის გავლენა ატყვია. პოემა ძალზე გაჭიანურებუ-
ლია, კომპოზიციურად ვერ არის შეკრული, არის მთავარი თემიდან გადახვევები და
დამხმარე ეპიზოდებში გადაყარდნა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ხალისით იკითხება.
წიგნს რედაქტორის ხელი არ ატყვია: მას არ აბლავს არც ცალკეულ ნაწარ-
მოებთა ანოტოლები, არც ლექსიკონი. ვერც კრიტიკულ წერილსა და რედაქტორის
შენიშვნებს მოსჭებნით ამ გამოცემაში. ეს კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა
ასეთი აკადემიური ხასიათის კრებულისათვის.

გ. მ.



**ზრ. ორბელიანი — „წერილები“, ტ. II. აკადი ბაწარელიას
ჩემდაქმნილ და შენიშვნებით**

ეპისტოლარული ლიტერატურის გამოცემა და შესწავლა — ახალი საქმეა ჩვენში. ცნობილია, რომ კვლევის ამ დარგს უდიდესი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს წარსულის ცხოვრების, კლასიკოსების ბიოგრაფიის, მათი იდეების გოლუციისა და შემოქმედებითი პროცესის გასაცნობად. აუარებელი შესანიშნავი ცნობები, რომლებიც მიმოფანტულია ქართველი კლასიკოსების პირად მიმოწერაში — ცხადია, რომ შესწავლის შემდეგ ნათელ შუქს მოპოვებენ ქართული ლიტერატურის ისტორიის არა ერთ საკვანძო საკითხს. ამ მასალების შესასწავლად უკვე დაწყებულია საფუძვლიანი მუშაობა. კერძოდ ამ საქმეში მისასალმებელ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს გრ. ორბელიანის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა და გამოქვეყნება. სახელგამმა უკვე გამოსცა ამ მწერლის პირადი წერილების მეორე ტომი.

ერთი სპეციფიურობა ახასიათებს გრ. ორბელიანის წერილებს: მათში პოეტი ძლიერ ძუნწად, თითქმის არაფერს არ ამბობს ლიტერატურის, პოეზიის შესახებ. მის წერილებში არა სჩანს ავტორი კლასიკური „სალამო გამოსალმებისა“, „ვაზაფხულისა“, „იარაღისა“, არა სჩანს ავტორი იმ საუცხოვო ლექსებისა, რომელთაც მისი სახელი დავიწყებას გადაარჩინეს. სამაგიეროდ წერილებში მოსჩანს რუსის არმიის გენერალი, ჩვენ დეტალურად ვეცნობით პოეტის სამხედრო მოღვაწეობას, მის ბიოგრაფიას, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. წერილებში უხვად არის მიმოფანტული ცნობები კავკასიის ომის მიმდინარეობის შესახებ.

მეორე ტომში გამოქვეყნებულია წერილები, რომლებიც გრ. ორბელიანს დაუწერია 1851 — 1859 წლების მანძილზე. ეს განსაკუთრებით სინტერესო პერიოდია პოეტის ცხოვრებაში. ამ ხანში მიაღწია მან თავისი სამხედრო დიდების მწვერვალს. მთელი ამ წლების მანძილზე მისი პოეტური კალამი სდუმდა, სამაგიეროდ მისი ხმალი მოქმედობდა. 1848 წელს რუსის არმიის მიერ შიდა-დაღესტნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის — აული გერგებლის აღების დროს გამოჩენილ თაოსნობისათვის მას მიანიჭეს გენ.-მაიორის ხარისხი. „იარაღილიც შევიქენ... გვაქს დიდი ყოფა“ — სწერდა პოეტი ამ შემთხვევის გამო ილია ორბელიანს. 1853 წელს შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებისათვის მას მისცეს გენ.-ლეიტენანტის ხარისხი, მომდევნო წელს მას უკვე ეხდებოდა დაღესტანში მომქმედი რუსის ჯარების სარდლის მოვალეობათა აღმასრულებლად, 1855 წელს იგი დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე. ამავე წელს გრ. ორბელიანმა გადასწვა ტაბასარანი და ყაითლი, 1857 წელს ილია შამილის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი — ძველი და ახალი ბურთენაი. ამ ოპერაციისთვის მას ებოძა გენ.-ადიუტანტის ხარისხი. პოეტი სწერდა ბაბაღე საგინაშვილს: „ეს ღენერალ ადუტანტობაც მოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა, წელი კი ველარ მომდევს და რაღა ღაზათია“.

ამით დამთავრდა გრ. ორბელიანის სამხედრო კარიერა. ოცდახუთი წლის განმავლობაში გმირულად იბრძოდნენ მთიელები შამილის ხელმძღვანელობით თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. გრ. ორბელიანი ამ ბრძოლების შთაგულში ტრიალებდა. მაგრამ ის არა ყოფილა იმ ბანაკში, რომელშიაც დაჩაგრულ საქართველოს შეიღს უნდა ებრძოლა. სინტერესოა ის ფაქ-

ტიც, რომ პირად წერილებში გრ. ორბელიანი თავის სიმკაცრეს მთიელთა მემართ — ქართული პატრიოტიზმით ამართლებს.

როგორც ცნობილია შამილი მოხერხებული მმართველი და უნიკალური, სარდალი იყო. გრ. ორბელიანი კი ასე როდი აფასებს მას: იგი თავის წერილებში, შამილზე უმრავლეს შემთხვევაში დაცინებით ლაპარაკობს, ეკვის თვალთ შტეტის მის გმირულ თავგანწირულებას; ასე მაგ. წერილში ყაფლან ორბელიანისადმი იგი სწერს: „თბათვეში ამოველ ჯარითა სალაგათიაში, სადაც ვაშენ ციხესა. შამილიც იყო დიდის ჯარითა, ჭურდსავით ტყეში იდგა, და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდან, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირპირ დამტყრეული მირბოდა. 24 იენისს ვეება ზევი აეავსე იმათის დახოცილებითა, ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტეტებზე ავაგებინე“.

საერთოდ — სწორედ ამ სტილით — გრ. ორბელიანი ძლიერ ბევრსა სწერს თავისი ბანაკის ბრწყინვალე გამარჯვებებზე. სინამდვილეში ყოველთვის ასე როდი იყო საქმე-ყოველი მტკაველი მიწის აღება ზღვა სისხლის ფასად უჯღებოდა რუსის გენერლებს დაღესტანი. ვერ აღდეს მანამდე, ვიდრე მთლად სისხლისაგან არ დაიკალა ეს პატარა. მაგრამ თავისუფლების მოყვარე ქვეყანა. გრ. ორბელიანის მიერ სალაგათიის აღებამ დაპატარა შამილის ძლიერების დაღუპვა. თვით პოეტი ასე აგვიწერს ამ ბრძოლას: „... ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდან. სულ რჯული გაეადგებინე... უკანასკნელი მისი ნავთსაყუდელი სალაგათიაში ბურთუნაი ძლიერ გამაგრებული, წაეართვი. გუშინ წინაც ერთი მისი დარჩომილი ციხეც ავიღე და მიეყავ ხელი ტყის გაკაფას და ამით წაეგართვი მთად სალაგათია... თვითონიც გამეტკა შამილი აქედამ და ზის ახლა დარღოში“ (წერილი ბაბაღე საგინაშვილისადმი).

ეს წერილი კარგად ახასიათებს იმ მეთოდებს, რომლითაც მეფის არმია ებრძოდა შამილს. პირდაპირ ბრძოლაში რომ ვერაფერი გააწყეს — მეფის გენერლები ჰკაფადუნენ ტყეებს, ასე თითო ნაბიჯით იწვედნენ წინ, 1855 წელს, ტაბასარანის ბრძოლის შემდეგ გრ. ორბელიანი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს: „... ინგრეე-იქცეე-იწვის მშვენიერად აშენებულნი თლილის ქვით, ჩუქურთმიანნი სახლები. ამ ორ სოფელში უშვებ მხოლოდ ერთს მეჩითსა და დანარჩენს კი ესთხრი ძირიანად. ზეაღე მიეკყოფ ხელს, ტყის გაკაფასა“...

სხვა წერილში გრ. ორბელიანი სწერს:

„იქამდის მივიყვანე საქმე, რომ ტაბასარანელები გამოვიყვანე 500 კაცამდის ცულეებითა და გაეკაფინე იმათივე ტყე“.

იმ დროის პეტერბურგში გავრცელებული იყო ერთი აფორიზმი: „მთიელებს დამარცხებს არა ხიშტი, არამედ ნაჯახი“.

გრ. ორბელიანის წერილები ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ კავკასიის ომში ნაჯახის ტაქტიკა გაიმარჯვა. ეს გვემა არც გრ. ორბელიანისა და არც ბარიატინსკის მოფიქრებული არა ყოფილა, დაღესტნის დაპყრობის ასეთი გეგმა ჯერ კიდევ ორმოციან წლებში წარუდგინა ნიკოლოზ პირველს სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა.

ფაქტურად ჩერნიშოვზე ადრე ამავე მეთოდს იცავდა ერმოლოვიც.

სინამდვილეში მთიელების საბრძოლო მოქმედება გაცილებით უფრო გონივრული და მოხერხებული იყო, ვიდრე რუსი გენერლების ტაქტიკა. მთიელები გზებს ქებებითა და მოჭრილი ხეებით ჩახერგავდნენ ხოლმე (завал), იკაებდნენ ფლანგებს... ასეთ სიმარტეზე პირისპირ ფრონტალური იერიში — სიგიჟეა. მეფის არმიის ოფიცრები ხშირად მიმართავდნენ ასეთ იერიშს და ამოდ ღუპავდნენ აღარებულ ჯარისკაცების სიცოცხლეს. გრ. ორბელიანის წერილებიდან სჩანს, რომ პოეტი-სარდალი გაცილებით მოხერხებული და კვლავიანი იყო იმ ოფიცრებზე, რომელნიც მას გარს ეხვია და რომელნიც კავკასიის ომში მონაწილეობდნენ. როგორც 1851 წელს ილია ორბელიანისადმი მიწერილ წერილიდან სჩანს გრ. ორბელიანმა კარგად იცოდა, რომ შეტევა მთებში წარმატებით შეიძლება დაგვირგვინდეს მხოლოდ მოწინააღმდეგის

ფლანგზე და ზურგში გასვლით... აქედან სჩანს, რომ გრ. ორბელიანი კარგად იცნობდა სამთო ომის ტაქტიკას.

საერთოდ გრ. ორბელიანის ასეთი დიდი სამხედრო წარმეტყველება... მიეწეროს მის სტრატეგიულ ნიჭს და უნარს. კავკასიის ომში ხშირი იყო მსგავსი შემთხვევები: მიადგებოდნენ რომელიმე აულს, დასწევდნენ საზღვებს, გახადდნენ უსუსრად დაღუპულნი, გასთელავდნენ ნათესებს, მაგრამ აუარებელი დანაკლისის გამო წინ წასვლას ვეღარ ბედავდნენ, დაბრუნებოდნენ ისევ უკან სიმაგრეში... ამის შემდეგ დაიწყებოდა რელიგიების წერა „ბრწყინვალე გამარჯვებებზე“, რამდენიმე ოფიცერი მიიღებდა გიორგის ჯეჟარს და მოოქროვილ ხმალს წარწერით „სიმაჰალისთვის“. როგორც სჩანს გრ. ორბელიანი ასე არ იქცეოდა, ე. ი. ადვილად არ სტოვებდა დაკავებულ პოზიციებს, ამას ნათლად ამტკიცებს მისი წერილი 1855 წლის 31 ოქტომბრის თარიღით. მეორე წერილში იგი სწერს ილია ორბელიანს ერთი ოფიცრის შესახებ: „ამის დარდი ეს არის, რომ ეგებ მოახდინოს სროლა რამე, რომ რელაცია კარგად დაწეროს, ჩამოვიდეს ქალაქში, ილაქლაქოს ბევრი და მოუვიდეს პოლკოვნიკობა. ამ აზრით ხან აქ მიეჩრება ჯართა და ხან იქ“.

ასეთი ოფიცრები გამოჩაგისი როდი იყვნენ. ასეთი იყო აბსოლუტური უმრავლესობა. არც იმ ქართველ მოხალისეებზე იყო კარგი აზრისა გრ. ორბელიანი, რომელნიც კავკასიის ომში აქტიუბანტებისა და ორდენების საძებრად იყვნენ წასულნი. პოეტო სწერდა ზაქარია ორბელიანს: „...საქართველოში რაც ოხერი, სასიკვდილო, გასაფუტებელი, ამოსაგარდნელი, იმერელი, თათარი, თორანჯი, ჯაინჯლის ქვეყნიდამ, ასე გასწავე იორამ თახზნიშვილი და ზარაფოვიც აქ არიან შამილის დასაჭერად... ჩენი ილია ამითი ნაჩაღნიცა. ბაკანა, გეუა ოპანაშვილი იმის პომოშნიცი აქ არიან. სხვა ვინ გინდა? დავით ქავეკაძე სიღნაღისა, ლევან მელიქოვი თუშებისა, ზაქარია ერისთავი ქართლისა მეტივეების დრუენებისა ნაჩაღნიცებად არიან... ერთი სიტყვით თელეთობა!“

ნიკოლოზ ბარათაშვილიც მწარედ დასცინოდა ამ მოხალისეებს, იგი სწერდა გრ. ორბელიანს: „ჩენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ“.

გრ. ორბელიანის წერილიდან ნათლად სჩანს, რომ იგი მოქმედობდა არა მარტო როგორც მხედარი, არამედ როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი და დიპლომატი. იგი ნელ-ნელა, შიგნიდან არღვევდა მთიელი ხალხის ერთიანობას, ათასგვარ საშუალებას ხმარობდა მთიელების ურთი-ერთზე წასაკიდებლად და მათში მიწრდიხმისადმი ერთგულების შესასუსტებლად.

რა თქმა უნდა გრ. ორბელიანის წერილები საინტერესოა არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით. ეს პირველყოფლისა ადამიანური დოკუმენტებია, წერილები ახასიათებენ მთელს მაშინდელ იდეურ და მორალურ ატმოსფეროს, ქართულ ფეოდალურ არისტოკრატის ფსიქოლოგიასა და განწყობილებებს. გრ. ორბელიანი როგორც ადამიანი, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური სამუარო, მისი დარდი და სიბარული, მისი დაულალავი ზრუნვა ნათესავებზე, მისი ოფიციალური პატრიოტიზმი განსაკუთრებით ყირიმის ომთან დაკავშირებით — ყველაფერი ეს ხელის გულივით გადაშლილია ამ წერილებში.

„წერილების“ რედაქტორს ა. ვაწერელიას დიდი მუშაობა ჩაუტარებია. წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში გაშიფრულია ყოველი წერილი, ყოველი წერილმანი, გამორკვეულია ყველა იმათი ვინაობა, ვინც კი თავის მოკითხვის ბარათებში უხსენებია გრ. ორბელიანს. აღსანიშნავია რომ ეპისტოლარულ ლიტერატურაში მწელია მოიძებნოს სხვა ისეთი მწერალი, რომლის მიმოწერაში დასახელებული იქნება იმდენი პიროვნება, რამდენიც გრ. ორბელიანის წერილებში. კომენტარებში მოყვანილია ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული მნიშვნელობა გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის შესასწავლად (მაგ. ნიკოლოზ პირველის „უმაღლესი სიგელი“ გრ. ორბელიანის დაჯილდოების შესახებ და სხვა.) კომენტარები მოკლეა

და ზუსტი, გულდასმით დოკუმენტირებულია და შედგენილია საქათბოს საეკონომიკური შესწავლის ნიადაგზე. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ არა საცხებიტ ზუსტი აქვს გადმოცემული რედაქტორის ყირიმის ომის მიზეზები, რუსეთ-თურქების ურთიერთობა გაართულა და ომამდე მიიყვანა არა მარტო კათოლიკე ბერებისა, არამედ ე. წ. „წმინდა ადგილების“ ორგელიე პალესტინაში, არამედ უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ ნიკოლოზ პირველს უნდოდა სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო შავი ზღვის ნაპირებზე, საბოლოოდ განედევნა თურქები კავკასიის ქვეყნებიდან და თავისუფლად გაეტანა შემამულეთა პური სრუტეებით ევროპაში. ერთი სიტყვით მას უნდოდა შეიარაღებული ხელით გაეკაფა გზა რუსეთის საქონლისათვის, უფართოესი ბაზრები მის სამონოპოლიოდ გამოეცხადებინა. სწორედ იმან და არა ბერების კინკლაობამ პალესტინაში შეაშფოთა ინგლისი და საფრანგეთი და გააერთიანა ისინი რუსეთის წინააღმდეგ.

„წერილების“ მეორე ტომს დართული აქვს შამილისა და გრ. ორბელიანის გენეოლოგიური შტოს სქემები.

მკითხველი

უი ნ ა ა რ ს ი



33-

ომისა და საზოგადოების წინააღმდეგ	3
დეკრეტად ლ. პ. ბერიას სიტყვა	9

მხატვრული ლიტერატურა

აღ. გომიზვილი — უკანასკნელი დღე კეცხოველისა (ლექსი)	17
გიორგი ლეონიძე — მცხეთის მთებში (ლექსი)	19
— არწივები (ლექსი)	21
ელ. პოლუმორდენოვი — წყურვილი (მოთხრობა)	22
გრ. აბაშიძე — მოსკოვში (ლექსები)	34
აღ. ქვიციანი — ლელო (რომანი. გაგრძელება)	36
საადი — „ბუსტან“-იდან (თარგმ. ამბ. ჭელიძისა)	61
აღ. პუშკინი — ქვის სტუმარი (თარგმ. ნ. თარხნიშვილის)	67

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დიმ. ბენაშვილი — კონსტანტინე გამსახურდია	96
აღ. ქუთელია — ჰეგელი და გერცენი	135
აღ. შიქაბერიძე — ეკატერინე გაბაშვილი	162

მეგზუარები

ეკ. გაბაშვილი — რამდენიმე დღე კახეთში	168
---	-----

ბიბლიოგრაფია

გ. მ. — ბაჩანა: ლექსები და პოემები	183
მკითხველი — გრ. ორბელიანი — წერილები ტ. II.	186

შეცდომის გასწორება:

გ. ლეონიძის ლექსში „მცხეთის შიშველი“ გვ. 20 ზემოდან მე-13 სტრიქონის შემდეგ
უნდა ჩაემატოს ოთხი სტრიქონი:

«ვიცი ქაფიდან ტალღა წამოვა,
ძალა ექნება დაჯახებისა,
ვიცი, ტალღიდან წარღვნა წამოვა
და ორ ექნება ბოლოკიდური!».